



„ცხრათვალა მზის ქვეშ“ იმავე ციკლიდანაა, რომელსაც „ჩვენი სამშობლო“ ვუწოდებ. ამ ციკლიდან უკვე გამოქვეყნდა: „თოვლიან მთებში“, „ხუთი მდინარის სათავეში“, „კაუჩუკის მადიებელნი“.

წიგნში „ცხრათვალა მზის ქვეშ“ აღწერილია ჩვენი ველები და ნახევარუდაბნოები. მოგზაური მათ იშვიათად ეწვევა ხოლმე, მაგრამ სილამაზით ნახევარუდაბნოები არაფრით ჩამოუვარდება ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებს. ამავე დროს, წარსული მრავალფეროვანი, შინაარსიანი და ღრმა აქვს.

ჩვენმა მოგზაურებმა გაიარეს აღმოსავლეთ საქართველოში: სამგორი, გარეჯი, ალამდარა, შირაქი, ელდარი, პანტიშარა, ვაშლოვანი, კასრისწყალი, გული შირაქი; ალაზნის ველი: მოსაბრუნე, ხორანთა, მილარი: უფრო დასავლეთით და სამხრეთით: მცხეთა, ქვათახევი, მანგლისი, ფარცხისი, ფიტარეთი, ტანძია, დმანისი, გომარეთი, კლდეკარი, რკონი, კასპი.

გააყოლებთ ფანქარი ამ პუნქტებს რუკაზე. ნახავთ, რომ მანძილი დიდია და საინტერესოც. გზადაგზა შეგხვდებით ნაქალაქარები: ბოეთანი, ხორანთა, ყარაჯალი და სხვები; ძველ ბრძოლათა ასპარეზი: ნაომარი, მოსაბრუნე, კლდეკარი, დიდგორი; უძველესი დროის ნამოსახლარები: ნატახტარზე, ალახანზე, შირაქში, გარე კახეთში; სამარხები: კარსნის ხევში, არმაზში, საცხოვრისში... საინტერესო მცენარეები, ცხოველები და ნამარხები.

### **რვა ათასი წლის წინ დამარხული მტვრის მარცვალი**

– აი, ძია პავლე, მოვედით, მოვადწიეთ! – მხიარულად წარმოთქვა მაღალმა, სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილმა თმაშვერცხლილმა ვაჟკაცმა და საბარგო მანქანიდან გადმოხტა.

– კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება! კაი კაცი სუფრაზეო, თქვენ ჩამოსვლას გაუმარჯოს.

პირღმინილიანი შუახანის ძია პავლე გულღიად დახვდა ჩამოსულებს.

– გამარჯობა, ხომ კარგად, ძია პავლე?

– გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი, კარგად რომ არ ვიყო, არ იქნება, ხომ იცი, საქვეყნო საქმე უჩემოდ სწორ გზაზე ვერ გაივლის. – ამ ხუმრობაზე თვითონვე გაეღიმა.

ორი შეღერებული 14-15 წლის, პირზე ღმინილშეთამაშებული „ვაჟკაცი“ მაღლიდან ჩამოსცქეროდა მამასა და ძია პავლეს.

– კაცო, ეს არწივის ბარტყები შენი ბიჭები ჩანან. შალვას ხომ კარგად ვიცნობ. უთხარი, ჩამოვიდნენ. თუმცა, არა, გაცნობას მერეც მოვესწრებით, ჯერ ბარგი ჩამომაწოდეთ, – და მაგარი მარჯვენა გაუწოდა. – ეს ერეკლე იქნება, ეს კი ვახტანგი. როგორ გაიპარა ეს წუთისოფელი თვალსა და ხელს შუა. შენი ქორწილი, ასე მგონია, გუშინ იყო. კაცო, ამოდენა ბარგი რად გინდა? ჩვენს ოთხ ვირს როგორ აეკიდება? აქაოდა, სახედარმა თქვა, წვრილი ფეხების გადატეხვისა რომ არ მეშინოდეს, მთელ ქალაქს ავიკიდებდიო, – არ ისვენებდა პავლე და ბარგს შალვას და გოგია მძლოლს აწოდებდა, მათ კი აივნისკენ მიჰქონდათ.

– აბა, შვილებო, მოგშვივდებოდათ, კამეჩის ცივი მაწვნით გული გაიგრილეთ – შეიპატიჟა პავლეს მეუღლემ ბიჭები და კიდობნიდან ამოდებული პურები მაგიდაზე დააწყო.

– გმადლობთ, ეს-ესაა ვისადილეთ, – თქვა ერეკლემ და უკან დაიხია.

– ბებო სალომე, ახლა კი არა, კარგი ხუთი საათია მას შემდეგ, – მხიარულად გაეღიმა ვახტანგს.

– კეთილი, ძალო სალომე, ახლავე, – წაეშველა შვილებს გიორგი. – აი, თქვენთვისაც რაღაც-რაღაცეები გამომატანა ჩემმა დიასახლისმა, – და სავსე ზურგჩანთა გადასცა – ეს სალომეს შვილიშვილებსაო, დამაბარა. მართლა, სად არიან, არა ჩანან!

– რად სწუხდებოდით. თქვენ ისე არ ჩამოხვალთ, რომ რამე არ ჩამომიტანოთ. სად იქნებიან? იორზე ვიღაც გეოლოგები თუ ბოტანიკოსები მოსულან, ზაალიანთა დგანან. ივრის ჭალაში ბურღი დაჰკრეს, ყვავილის მტვერი უნდა მოვიპაროთო! რას არ მოიგონებენ ეს მეცნიერები, არ ვიცი, ამ ქვესკნელში ყვავილის მტვერი როგორ უნდა იპოვონ!

– ვანო იქნება. აბა, ვიმარჯვოთ, ბიჭებო, შელამებამდე ჩავიდეთ იორზე...

ბიჭებმა მოიმარჯვეს ხის კოვზები. „ხის კოვზით მაწონი უფრო გემრიელია“, – უთხრა ძია პავლემ. მართლაც, უფრო გემრიელი ჩანდა. ყველივით საჭრელ კამეჩის მაწონს მოუღებინეს.

გიორგიმ გოგია მძლოლს დაავალა, თორმეტი დღის შემდეგ შირაქში ჩამოდი, კასრის წყალზე, ინსტიტუტის საცდელ ბაზაზე, გზად პავლესთან გამოიარე და ბარგი და მასალა წამოიღეო.

– ახლა კი აეკიდება! – წამოიძახა პავლემ.

მაღე მგზავრები ივრის ჭალისკენ ვიწრო ბილიკს ჩაუყვანენ.

– აგე ჩვენი სახედრებიც – გაიშვირა ხელი პავლემ ჭალის პირას მობალახე სახედრებისკენ.

სანამ ჩვენი მგზავრები ივრის პირას ჩამოვიდოდნენ, გავიცნოთ ისინი.

გიორგი ერთ – ერთი სამეცნიერო დაწესებულების მუშაკია. მას დავალებული აქვს, შეისწავლოს ჩვენი ველები, უფრო სწორად, ერთხელ კიდევ თვალი გადაავლოს, დასახოს ღონისძიებები ტყის საფარი ზოლების გასაშენებლად. ვახტანგი და ერეკლე გიორგის შვილები არიან, ვახტანგი მეცხრეკლასელი მოსწავლეა, ერეკლე მერვე კლასშია. აუტყდნენ მამას, ჩვენც წამოვალთ, კოლექტორი ან მუშა ხომ გჭირდებათ, მათ მაგივრად ჩვენ ვიმუშავებთ, ხელფასს არ მოგთხოვთო.

გიორგიმ ბევრი იუარა. ეშინოდა, ელდარის მზემ ბავშვები არ დამისციხოსო. ბოლოს ისევ სკოლა მოიმინეზა, სწავლა არ დამთავრებულა და ვინ გამოგიშვებთო. ბიჭებმა ხმა აღარ ამოიღეს, ერთმანეთს გადახედეს და თვალებით რაღაც ანიშნეს. ორი – სამი დღის შემდეგ სადილობისას, ერეკლემ რაღაც თეთრი ქალაღი დაუდო მამას წინ...

– ახლა რაღას იტყვი?!

სკოლის დირექტორი სწერდა გიორგის: ვახტანგი და ერეკლე კარგად სწავლობენ, არ ჩამორჩებიან, ამიტომ შეუძლიათ სამეცნიერო ექსპედიციაში იმუშაონ კოლექტორებადო.


– მერე, შეძლებთ კოლექტორობას?

– ვითომ რატომაც ვერ შევძლებთ?

– ეხ, თქვე თავქარიანებო, რას ვიზამ. შალვა მაინც უნდა წამოვიდეს, უმისოდ არაფერი კეთდება, პავლე კი სართიჭალაში დაგვხვდება.

შალვა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკია, გიორგის მოწაფე, ექსპედიციებში სულ თან ახლავს, ჩუმი და წყნარი კაცია. ძია პავლე კოლმეურნეა, ერთი მათგანი, რომელთა დაუღალავმა, ყოველდღიურმა ჩუმი და თავმდაბლურმა შრომამაც დღევანდლამდე მოიყვანა ჩვენი სამშობლო. პავლე არაგვისპირელია. არაგვის პირას დაბადებული და გაზრდილი, მთასა და ბარს ნაზიარები. აქეთ უფროსი ქალი მელანო ჰყავს გამოთხოვილი, რომელმაც სამამულო ომში ქმარი დაკარგა და ხელში წვრილშვილი შერჩა. ცოლ-ქმარი, სალომე და პავლე ხშირად ჩამოაკითხავენ ხოლმე მელანოს, ორი-სამი თვეც რჩებიან უფროს ქალიშვილთან. მამაპაპისეულ ოჯახს უმცროსი შვილი უვლის. უფროსებიდან ერთი ექიმია, მეორე – აგრონომი.

პავლეს მამა ადრე მოუკვდა. ახალგაზრდა დედას დარჩა სამი ობოლი: პავლე, სიმონა და მზექალა; ჩაიცვა თალხი კაბა, დაიხურა შავი მანდილი და ქალის საოჯახო საქმეს მიუმატა ბარი და თოხი, ნამგალი და ცელი; ობლებს ობლობა არ შეამჩნევინა. ერთხელ კარის მეზობელმა თავისი ბოსტნის ღობე მოშალა და ხალახლა შეღობა. მაგდა სახლში არ იყო, საღამოს რომ დაბრუნდა, გახედა ხაზს, ღობე ორი მტკაველით მაინც იყო გადმოწყული. საბძლიდან რკინის ფიწალი გამოიტანა, პავლეს სიტყვა გადაუგდო: წადი, პაპა ხვთისო ამოიყვანეო, – და დაიწყო ღობის აშლა. როდესაც მეზობელი ყვირილით გამოუვარდა, მაგდამ ფიწალი მოუღერა და მრისხანედ შეუძახა: „ემანდ გაჩერდი, თორემ ამ ფიწლით ბრმა კრუხივით დაგსვამო“... მეზობელმა მართლა ფეხი ვერ გადმოდგა, შორიდან იმუქრებოდა. მაგდამ მარგილები გადაუყარა: „დაადექ ახლავე და მამაპაპეულ საზღვარზე შეღობე! შენ რა გგონია, ობლებს დაგაჩაგვრინებ“?



**ჭალის ტყე, ვერხვანარი**

ამ დროს პაპა ხვთისომაც შემოალაჯა.

– რა ამბავია, ხალხო, რასა წიოკობთ, ლეკიანობა ხომ არ არის?

პაპა ხვთისომ საქმეს ახედ-დახედა, მიუბრუნდა თედოს და საყვედურით უთხრა:

– არა გრცხვენია, კაცო? სინდისს რო უღალატო, ობლებს არ უნდა უღალატო და დაჩაგრო!

– არა, პაპა ხვთისო, ობლებს არავის დაგაჩაგვრინებ! – გამოსძახა მაგდამ და ჯალჯის კონა თედოს ბოსტანში გადაისროლა.

უბნის თავკაცებიც მოვიდნენ, თედო ყველამ შეარცხვინა.

– თედო, მეტი ჯანი არ არის, საპირგასამტეხლო და პირის ჩამოსაბანი შენზეა. წადი, თადარიგი დაიჭი და ღობეს ჩვენ გავაკეთებთ, – შეუძახა ხვთისომ.

თედო ზღაზვნითა და ბურტყუნით წავიდა სახლისკენ. მეზობლებმა ღობე ძველ საზღვარზე აღადგინეს.

საღამო ხანს თედოს სახლის დერეფანში ხუთი-ექვსი კაცი ტაბლას შემოსხდომოდა, ვახშამს შეექცეოდა. პავლემ სუფთა ხონჩაზე დალაგებული პური, ყველი, მწვანილი, საჯეროთი კარგად შეზავებული შეჭამანდი და ერთი სავსე საღვინეც მიართვა სტუმრებს: „ეს დედაჩემმა მოგართვათ, შერიგებისა და ამ საქმის დავიწყებისა იყოსო“...

– აი, გაიზარდე დიდი კაცი, ჩემო პავლე, გახსოვდეს, არ დაივიწყო: „კაი კაცის პურ – მარლი ზღვაზე ხიდად გაიდება, კარგ კაცობა ქვაზე დადო, გაიარო, წინ დაგხვდება“, – სიტყვა დაამთავრა პაპამ და თედოს გადახედა – შენც კარგ კაცობაზე მეტი არა აკეთო რა!

– გმადლობთ, პაპა ხვთისო, გმადლობთ, – და პავლემ სახლისკენ მოკურცხლა. მალე თედოს ეზო – ერდოდან ნელი ღიღინიც მოისმა.

ნათქვამია: „დავწვილშვილდი – დავიწვი, დამეზარდნენ – ავიწვიო“. პავლემ ისე დაიმშვენა ულვაშები, დედამ ვერც კი შეამჩნია.

ერთ დილას ეზოში გამოვიდა და დაინახა, პავლე ურმის თვალს აკეთებდა.

– ვისია, ბიჭო, ან შენ რა იცი მაგ საქმისა? – შეეკითხა დედა.

– აბა, სადამოზე ნახე, ვიცი თუ არა.

მალე პავლემ სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესო ხელოსანმა. იმისთანა ურემს გამოკვანწავდა, „თამარ დედოფალსაც კი ეკადრებაო“, – იტყოდნენ სოფელში. გავიდა ერთი წელი და პავლემ სოფლის წისქვილი გამართა. დედა პირჯვარს იწერდა: „როდის, საიდანო“.

ერთი სიტყვით, პავლესთანა მოწადმართე კაცი ხეობაში არ იყო.

იმისთანა ურემი, გუთანი, კვერი, მარხილი, წისქვილი ხელიდან არავის გამოსდიოდა. გუთნისდედა ხომ იყო და იყო. არც ზამთარს ატარებდა უქმად, თლიდა კოვზებს, ტაბაკებს, ხონჩებს, ფანდურებს.

ლხინშიც ბადალი არ ჰყავდა, ენაკეთილსა და სიტყვაპასუხიანს – არაკი და ანდაზა, შაირი და სიმღერა სულ მისი მოგონილი იყო.

სიმონა ვენახში დატრიალდა, შვილივით ჰყავდა ვაზი ნაზარდი. ვაზის რქას სარზე ისე ნაზად, სათუთად მოახვევდა, გეგონებოდათ, გულის სატრფოს მოხვია ხელი წყალზე გადასვლისასო. სულ ვაზთან ტრიალებდა, ასწორებდა, ზედმეტ ფოთოლს აცლიდა, ფურჩქნიდა, მტევანს გამოაჩენდა, მიუალერსებდა. წალამსა და ყოველგვარ ნასხლავს ისე აკრეფდა, ვაზებს შუა ერთ კეწეწს ვერ იპოვიდით.

მზექალა ხომ დამშვენდა და დამშვენდა. ისე დადიოდა, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებსო; თუ ვინმეს გადახედავდა, მისი თვალის სიმშვენიერე ელვასავით გამოკრთებოდა, ღიმილი ხომ ცის გახსნას უგავდა; სახლში ჯარასავით ტრიალებდა. სოფელში იტყოდნენ ხოლმე: მაგისთანა ჭრელ წინდას ბებია ბაბალებ ვერ მოქსოვს, ჭრა-კერვაში ხომ ტოლი არ ჰყავსო. მზექალამ მალე გაახარა და დაამწუხრა კიდეც დედა და ძმები. მარტყოფელმა ბიჭმა წაიყვანა. დედა ცრემლად იღვრებოდა.

*„ნეტავი ნეფის დედასა, ვარდნი უსხდნენ კერასა,*

*ვაი დედოფლის დედასა, თავგნი ურბევენ კერასა“*,

ეს მაგდაზე ითქმოდა. გახარებულ დედას ენანებოდა თავისი მზექალა.

მზექალას ორი ბრგე ვაჟკაცი ძმა ედგა გვერდით. გასათხოვარმა გოგოებმა თითქოს ახლა დაინახეს პირველად ძმები და გული აუჩქროლდათ.

ძმებს არ უყვარდათ პურძვირი კაცი. თვითონ პურადები და გულუხვები იყვნენ და შემოსწრებული სტუმრისათვის ყოველთვის მოემებნებოდათ სავესე საღვინე.

ორივე ძმამ ერთ დღეს იქორწინა. პირველად რძლები ერთმანეთში კარგად იყვნენ, მერე ქმრებს დაუწყეს ბუზღლუნი, გავიყაროთო. აღარც დედამთილი მოსწონდათ.

*„ვთქვა და აბა როგორა ვთქვა, ავი დედამთილი ხარო,*

*როცა ვზივარ – კუტი ხარო, დავდივარ და – ცეტი ხარო,*

*არასა ვჭამ – უჭმელი ხარ, შევჭამ რამეს – სვავი ხარო,*

*კარგს ვეტყვი და არც ეს სჯერათ, მამამაღლის ქალი ხარო“*.

ბიჭები ჯერ აინუნშიც არ აგდებდნენ, ახალგაზრდებია, დაღვინდებიანო. ცოლებმა რომ აღარ მოიშალეს, ერთ მშვენიერ დღეს შვილებმა დედა მარტყოფში გაიტყუეს, „მზექალა ნახეო“, ცოლები დიდ ოთახში გამოკეტეს, ხმელა პურისა და წყლის ანაზარა. დასხედით და თქვენი სადავო ზოლომდე თქვითო. თვითონ ბაგაში<sup>1</sup> წავიდნენ და მთელი დღე ღიღინებდნენ:

*„სიდედრო, შავგვრემანობით არ დაიწუნო სიძეა,*

*წადი, სოფელში იკითხე, გრძელი ვენახი ვისია.“*

ახლა მეორემ წამოიწყო:

*„ვენახსა განაპირასა, ჩაურიგებენ მანასა,*

*ვინც ღვინოს დაგვალევენებს, იმას მოვუმკით ყანასა.“*

კარგად რომ მოსაღამოვდა, მაშინლა დაბრუნდნენ. თვითონ რომ არ შეეხმაურნენ, ცოლებმა დაუწყეს ხვეწნა, გაგვიღეთ კარებიო. გაუღეს.

– წმინდა გიორგი გაგვიწერეს, თუ ამის შემდეგ ან დედამთილი, ან თქვენ, ან მეზობელი აუგად მოვიხსენიოთო.

მაგდა რომ ჩამობრუნდა, ერთი-ორი დღის შემდეგ პავლეს ჰკითხა, ბიჭო, რა უყავით ამ ქალებს ასეთი, სულ თვალეში შემომციცინებენო... პავლემ ჩაიცინა და არა უთქვამს რა.

რძლების დამწყვდევის ამბავი სოფელში ზღაპარივით დარჩა. სულ შენი მოგონილი იქნება, შე გულმკვდარო, – ეტყოდნენ პავლეს. ის კი მხოლოდ ჩაიღიმებდა და ძველ ლექსს მიაგებებდა:

*„ღმერთო, ნუ მისცემ ვაჟკაცსა ცოლსა ყბედსა და მძინარსა,  
ის მოჰკლავს, ის დაანელებს, ის მისცემს წყალსა მდინარსა“.*

აი, უკვე 65 წელი განვლო პავლემ შრომაში. ბევრჯერ გასჭირვებია, მაგრამ არ დაუკვნესია.

თავიდანვე უყვარდა მათთან საუბარი, ვინც მასზე მეტი იცოდა.

დღეს გიორგის ექსპედიციაში იღებს მონაწილეობას. წინათაც გაჰყოლია მეგზურად.

პავლეს ოთხი სახედარი მოემარაგებინა, ერთი თავისი იყო, ერთი დაექირავებინა და ორი კი ბოდბის ბაზარზე ეყიდა ნუკრიანელებისგან. ნუკრიანი, რომელიც გომბორის ქედიდან წამოწეულია მთის წვერზე, ზღვის დონიდან 800-900 მ. სიმაღლეზეა გაშენებული, თურმე განთქმული ყოფილა კარგი სახედრებით. სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დარგი ამ სოფელში სახედრების მოშენება იყო. წინათ წყალი ნახევარი დღის სავალზე ჰქონდათ, ვენახებიც შორს იყო:

*„მაჩხანზე ჩამოვიარე, წყალი იყო მეტად ძვირი,  
პატარძალსა წყალი ვთხოვე, მომაწოდა ლედვის ჩირი,  
სანამ ვირი მოვიდოდეს, ამით გაისველე პირი“.*

– ხომ გაგიგონიათ? – თქვა პავლემ.

მგზავრებმა ივრის მეორე ტერასის შუბლი ჩაათავეს და ჭალაზე გავიდნენ. ძველი ჭალის ტყის ნაშთებიცაა ჩანდა აქა-იქ: თეთრი ვერხვი, ოფი, ტირიფი, შავი მურყანი; ჭალაზე გაბატონებულიყო ოფის შიშალი. განზე ერთი-ორი ნამეხარი მუხა იდგა. ჭალის ნაპირას კი გაშენებული იყო ამერიკული ვერხვის კორომი.

ამ ორმოციოდე წლის წინ ივრის ჭალა განთქმული იყო უზარმაზარი თეთრტანა ვერხვებით; ხვალო და ოფი, შავი მურყანი, შემადლებულზე თავს იწონებდა გრძელყუნწა მუხა და თელა, იფანი, ნეკერჩხალი, მაჟალო, პანტა და მრავალი სხვა. ჭალის ტყე გადაბადრული იყო სუროთი და ეკალ-ლიჭით, კატაბარდათი და ღვედკეცით, სვიით და მაყვლით. ჭალაში დაშლივინობდნენ გარეული ღორის კოლტები, ხანდახან ქორბუდა ირემიც გამოვიდოდა ტყის პირას და მიათვალ-მოათვალაიერებდა არემარეს. რუკრუკებდნენ და კრიახობდნენ ხოხბები, ჭალის პირას – დურაჯები, მუხის ტოტები დახუნძლილიყო გარეული მტრედის, ჭალარა ქედნისა და გვიძინის გუნდებით, ბილიკებზე დაგოგმანობდნენ გვრიტები.

დღეს თითქმის ყველაფერი ეს სიზმარივით გაქრა – უდიერმა ხელმა მოსპო და გააცამტვერა მშვენიერი ტყე.

– ხომ გითხარით, ვანო იქნება-მეთქი! – მიმართა ბიჭებს გიორგიმ და მიესალმა შუა ხნის კაცს, რომელიც ბურღთან ტრიალებდა.

მალე გაიბა საუბარი. ვანომ ბიჭები მაყვალასთან მიიყვანა და უთხრა:

– მაყვალა, აბა, აჩვენე შენი ნაღვაწი.

საქმე ის იყო, რომ ამ ჯგუფს საველე ლაბორატორია თან ჰქონდა. ბიჭები მიუსხდნენ მიკროსკოპიან მაგიდას, რომელიც სამტონიანი მანქანის ჩარდახქვეშ იდგა. მათ მიწის წვრილ ნამცეცებს შორის რაღაც ირგვლივ მოჩუქურთმებული მრავალი სხეული შენიშნეს, შეხედეს მაყვალას და თავი გააქნიეს, ვერაფერი გავიგეთო. მაყვალას გაეღიმა და შუშაში შემონახული კაკლის ყვავილედიდან (ჩვენში ლეკვებს რომ ეძახიან) მიკროსკოპის მინას მტვერი დააბერტყა, დააფარა სიფრიფანა შუშა და აბა ჩაიხედეთო, ანიშნა.

ერეკლემ კარგა ხანს უცქირა, მერე თავი მალლა ასწია და წამოიძახა:

– შუშაზე კაკლის მტვერი იყო!

ვახტანგს ახალი პრეპარატები უნდა გაესინჯა და თავს აქნევდა.

– აი, ახლა კი გიჩვენებთ ლაფანის მტვერს.

– მერე როგორ? ლაფანი ხომ აქ არ არის.

ვახტანგი და ერეკლე თვალეზდაჭყეტილები დიდხანს უგდებდნენ ყურს მაყვალას:

– ამ 7-8 ათასი წლის წინათ (ამ პერიოდს გეოლოგები ჰოლოცენს უწოდებენ), გამყინვარების შემდგომ პერიოდში, როგორც ჩანს, კლიმატი რამდენჯერმე შეიცვალა: ცივი გრილით, გრილი ცხელით, ტენიანი მშრალით, მშრალი კვლავ ტენიანით და ა. შ.

ვარაუდობენ, რომ სწორედ ჰოლოცენში გაჩნდა ხეობები და ჭალები და განსახლდა ადამიანი, რის შემდეგაც იწყება ე. წ. ნეოლითი, რომელმაც შეცვალა ადამიანის ცხოვრების განთიადზე ქვის ხანა. ნეოლითის პერიოდის დასაწყისში დაიწყო თიხის ჭურჭლის კეთება და ეს გაგრძელდა მეტალურგიის წარმოშობამდე. ამ დროს ადამიანი ხელს ჰკიდებს მესაქონლეობას და ხვნა-თესვას... მაშინ ივრის ხეობაში ხარობდა ისეთი ჭალის ტყე, როგორითაც ახალი რიონის ნაპირებია დაფარული. ლაფანისა და ვერხვის გაუვალი ტევრები გადახლართული იყო სუროთი და ღვედკეცით, კატაბარდათი და ეკალ-ლიჭით; ერთი სიტყვით, აქაც კოლხური ტიპის ტყე არსებობდა, მაგრამ კლიმატის ცვალებადობამ კოლხური ელემენტების უმრავლესობა გაანადგურა, ლაფანი და სხვა მისთანები დღეს აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ალაზნის ნაპირებზეა შემორჩენილი.

5 მეტრის სიღრმიდან ამოღებულ ნიმუშში კაკლის მტვრის მარცვალეც იპოვეს.

აქამდე გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში კაკალი შემოტანილი მცენარეა, თუ ტყეში გვხვდება სადმე, ან ნასოფლარებზეა შემორჩენილი, ეს მხოლოდ გაგარეულების შედეგიაო. ჰოლოცენში, 7-8 ათასი წლის წინანდელ ფენებში აღმოჩენილი მტურის მარცვალი კი იმის დამადასტურებელია, რომ კაკალი აქაური მცენარეა. ამასვე ადასტურებს ცნობილი მკვლევარის, პალიბინის ცნობაც, რომელმაც ამ 50 წლის წინ შირაქის ნამარხებში, სხვა მცენარეებთან ერთად, კაკალიც ნახა, მაგრამ ეს ცნობა რატომღაც დაივიწყეს. ერეკლემ და ვახტანგმა წარმოიდგინეს ულრანი ტყე, ვინ იცის, რამდენი ნადირი იყო იქ. აკი ჩვენმა პალეონტოლოგებმა სწორედ ივრის ხეობაში (შირაქისაკენ) იპოვეს სპილოს ჩონჩხი, მარტორქა და სხვა მრავალი.

200 – 300 წლის წინ აქ კარგი ტევრები იყო თურმე. მაყვალამ აიღო ერთი წიგნი, გადაფურცლა და წაიკითხა: „ხოლო მდინარის იორის კიდე, იმიერი და ამიერი, არს ფრიად ნაყოფიერი, ვინაიდგან აღმოვლენან რუნი და ირწყვიან ველნი და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი. და დასდევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი, და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს ხობობნი. გარნა იყო ალაზნის შესართავამდე და ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოხბრდა გამოსლვასა და ბერქასსა და შემდგომად ლანგ-თემურისაგან რომელნი ჩანან დღესაც“ ...

– აი, ეს წერია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიაში. დღეს ჭალაც აღარ არის, მაგრამ აგერ, ქვემოთ გადაიხედეთ, – ახადა მაყვალამ ჩარდახის კალთა მანქანას, – ხედავთ ჭალას? ეს ნაკრძალია, საგარეჯოს ნაკრძალი. იქ კარგი ტყა, მაგრამ ლაფანი აღარ არის, ალბათ 3-4 ათასი წლის წინათ მოისპო.

თქვენ გადმოჰყურით სამგორის ველი. ეს ის ველია, სადაც ვახტანგ გორგასალმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართა ირანელ დამპყრობლებს. ვახტანგ მეფეს ჯაჭვის პერანგი გახვია ილიაში, მისმა მეაბჯრემ, რომელიც თურმე ირანელი იყო, ეს აცნობა მტრის სარდალს. მეორე დღეს ბრძოლაში ვახტანგი ილიაში დაჭრეს. გაიმარჯვეს ქართველებმა, მაგრამ ამ ჭრილობამ მეფე იმსხვერპლა. იგი უჯარმის ციხეში გარდაიცვალა.

როგორც ჩანს, სამგორის დიდი მაწილიც ტყით იყო დაფარული. ვაზიანს რომ ამოსცდებით, ხეებში ახლაც ჩანს ბუჩქნარი. გარადა ძეძვისა, შეგხვდებით თელა, მუხა, ჯაგრცხილა. სამ გორაკთან ხომ შორიდან მოჩანს ბერყენი – ესეც ტყის ჯიშია, ოღონდ ნათელი ტყისა.

„არამედ არს ესე მარტყოფი ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ვითარცა საგურამო. ჰავითა მშვენი, ხოლო საცხენისის და ლოჭინის სამხრით არს სამგორის ველი და ჩადივარი, და სამგორს უწოდებენ სამის გორისათვის, რომელი არს ველსა სწორესა ზედა. ბალახოვანი და უწყლო სართიჭალამდე“ – ესეც ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიაში წერია.

დღეს კი სარწყავი არხებითაა დაქსელილი იქაურობა. ამ არხებისათვის ივრიდან გამოიყვანეს მთავარი არხი, სამ ადგილას (უჯარმასა და წალმიანს შორის) არხი მთაში გვირაბით გადის. არხს რომ წყალი არ დააკლდეს, ივრის ხეობაში, ფშავში, სოფ. სიონთან უზარმაზარი წყალსატევი გააკეთეს, რომლის სიგრძე 10 კილომეტრამდე აღწევს. აქ წყალი გროვდება. თბილისთან, იქ, სადაც სამი ტბა იყო, ახლა „თბილისის ზღვა“ ისვრის ზვირთებს. ესეც ხომ წყლის მარაგია. ამბობენ, თურმე ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს პირველად გაიყვანეს არხი არაგვიდან და სამგორს ისე რწყავდნენ.

ჟამთა სიავემ ეს არხი მიწასთან გაასწორა.

XVIII საუკუნეში ერეკლემ კვლავ დაიწყო არხის გაყვანა. შვილს, ალექსანდრეს სწერდა, მუშა დღეში სამ შაურსა მთხოვს, მაგდენი საიდან ვიშოვოო. როგორც ჩანს, ვერ დაამთავრეს.

XIX საუკუნეში, ვორონცოვის დროს, 1845 წელს, არხი გაუყვანია ინჟინერ ბაგრატიონს. მის საპატივცემულოდ ობელისკი დაუდგამთ. სამგორში, სართიჭალაში, გზის პირას, ახლაც დგას ეს ობელისკი.

და აი, 1950 წელს სამარადჟამოდ ეწვია ივრის წყალი სამგორს.

– სამგორს რატომ ემახიან? – იკითხა ვახტანგმა.

– ერთ – ერთი გორა 1950 წელს გათხარეს და აღმოჩნდა სამარხი ყორღანი. ყორღანის შუაგულში რიყის ქვის გროვა იყო, მის ქვეშ კი თიხის სახლი. მასში ჩონჩხები ნახეს. ის, სავარაუდოდ, ჩვ. წ. აღ-მდე 900-1000 წელს განეკუთვნება. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ძველია და ჯერ კიდევ მუშაობენ მისი რაობის ზუსტად დადგენისათვის.

ხალხში კი ლამაზი ლეგენდაა გავრცელებული: ერთ ქალს ორი ვაჟკაცი ეტრფოდა თურმე. შუა მინდორში დავდგები, თქვენ გამოიქეცით და ვინც პირველი მოირბენს, იმას გავყვებიო, – უთქვამს ქალს. ხედავს ქალი, ერთი, ვინც მას მოსწონს, დაეცა, არასასურველი კი უახლოვდება, ქალი მოწყდა ადგილიდან და გაიქცა. ვაჟკაცი დაეცა. ქალი უპირობისათვის ღმერთმა გააქვავა, ასევე გააქვავა ის ორი ვაჟი და იმ ადგილას სამი გორაკი აღმართა.

აბა, ჩამოდით, არ გეყოთ?! – შესძახა ბიჭებს გიორგიმ.

– მამონტის სამარხებს ვნახავთ? ნაკრძალში გავივლით თუ არა? – დააყარეს შეკითხვები ბიჭებმა.

– ეს ძია პავლემ იცის! – აირიდა პირდაპირი პასუხ თავი გიორგიმ.

ამ დროს ივრისპირიდან ორი შავტუხა ბიჭი მოიჭრა, ერთს ზურგზე კოხტა კოკოზა<sup>2</sup> წამოეკიდა, მეორეს კი – მოსაკიდი<sup>3</sup>.



– აი, ჩემი გიჟებიც, – თქვა პავლემ და თავზე ხელი გადაუსვა ბიჭებს, – რასა გავხართ, ეგრე ცუდმავალა უნდა იყოთ? ბებოს როგორ გადაურჩებით, ჰა?

ბიჭები სულ დასველებულიყვნენ, სამაგიეროდ ტირიფის ჯოხზე ასხმული მურწა და ციმორი ისე ამაყად ეჭირათ, გეგონებოდათ, ამირან დარეჯანის ძე დაუტყვევებიათო.

ერთმა ვახტანგს გაუწოდა და მეორემ ერეკლეს თავისი თევზის ჯაგნები და ყველანი მხიარულად, ნელი ნაბიჯით გაუყვნენ გზას.

მთის წინა კალთებს რომ გახედეს, გიორგის უცებ თავში გაუელვა: ჩვენი ხალხი მთის ძირში დასახლდა, სადაც ჯერ კიდევ უღრანი ტყე იყო. აი, მელაანი, კაჭრეთი, კაკაბეთი, მანავი, თოხლიაური, მარიამჯვარი, საგარეჯო, ნინოწმინდა, პატარძელი, ხაშმი, მარტყოფი, ნორიო... ქართლშიც ასეა.

– აქეთ, გიორგი! – გასძახა პავლემ ბილიკს ამცდარ გიორგის.

**ნანადირევი, რომლისგანაც ვერც მწვადი შეიწვება, ვერც ჩახოხბილი გაკეთდება**

მზემ რომ ამოანათა, ჩვენი მოგზაურები უკვე მზად იყვნენ.

მია პავლეს სახედრები კოხტა კურტნებით შეეკაზმა, ერთისთვის უკვე ორი ხის კასრი აეკიდებინა და ზედ ნაბდები გადაეფარებინა. მეორეს კარვები და საგზაო ლოგინები აჰკიდეს, დანარჩენ ორს კი – ხურჯინები.

– წკრიალავ, სად ხარ? – გასძახა პავლემ და თეთრი ფინია ფეხებში გამოუგორდა.

– შენ იცი, ადამიანო, როგორც გაუფრთხილდები მაგ ბალღებს. არ უხამოს უდაბნო-შირაქმა, – სიტყვა გაატანა პავლეს სალომემ.

– აბა, რა გაფრთხილება უნდა ბალღებს, აზამბურის ბოლოზე, იორში ხომ არ გადავყრი? კარგად იქნებიან, ფიქრი ნუ გაქვს, – გაეპასუხა პავლე.

– აბა, შენ იცი.

– შენც კარგად იყავ. სახლს არ დააკლო ხელი.

– დარდი ნუ გექნება. დღეს-ხვალ ნიკაც ამოვა და პირიმზეც, – უკვე ჭიშკართან დაადევნა სალომემ იმედი პავლეს. შარაზე რომ გავიდნენ, წკრიალა წინ გახტა. სახედრები კი აუჩქარებელი ნაბიჯით, ერთმანეთის მიყოლებით გაუყვნენ აზამბურისაკენ მიმავალ გზას.


– ჩვენ ახლა კახეთის ძველ გზას მივყვებით. ეს გზა აზამბურზე გადიოდა. იორზე რკინის ხიდი იყო გადებული, გზა კაკაბეთის მინდვრებს ჭრიდა. რკინის ხიდი ამ 35 წლის წინ ადიდებულმა იორმა მოიტაცა. ორი კილომეტრი ატარა. წყალი მინდვრებშიც გადასულა, თურმე ყანის მკა იყო გახურებული. ძნები ნაკრძალში მუხის ტოტებიდან ჩამოჰქონდათო.

– მუხის ტოტებიდან?

– წყალი ისე ადიდდა, რომ მინდვრებიდან მოტაცებული მნა და ბევრი ნარიყი მუხის ტოტებში გაიჩხირა.

ბიჭებმა მამას გადახედეს. გიორგიმ თავი დაუქნია, თან ერეკლეს უთხრა: ჩაიწერე წიგნაკში, თბილისში მომაგონე და მაშნდელ გადაღებულ სურათებს გაჩვენებთო.

ორღობეში მიდიოდნენ. ზოგ ვენახს მაღალი გალავანი ერტყა, ზოგს ჯალჯის მაგარი ღობე, ზოგს კი კაწანი<sup>4</sup> ჰქონდა შემოვლებული, ალბათ მარტოხელა კაცისა იყო.



**ნაბელი მუხა სასარედ**

ორღობიდან მინდორში გავიდნენ თუ არა, დატრიალდა შედერებული და აყვავებული ხორბლისა და მრავალნაირი ყვავილის სუნი. თავთავს ჯერ ნაყრი არ ჰქონდა ჩადგმული. ცაზე პატარ-პატარა ღრუბლის ქულები გარინდებულიყვნენ, მზეს კი რამდენიმე შუბის ტარზე წამოეწვერა, ცხრავე თვალი გაეხილა და ბრდღვიალებდა.

ცაში ავარდნილი ტოროლები ზარივით წვრილებდნენ. აიჭრებოდნენ მაღლა, გაჩერდებოდნენ, დაიწყებდნენ წვრილს, ავარფატებდნენ ფრთებს, გეგონებოდათ, მზის სხივებში ბანაობენო და შურდულივით გასროლილ ქვასავით წამოვიდოდნენ ქვევით, ჩაიმალებოდნენ მუხლს ზევით ამოსულ ყანაში და კვლავ ჟღერდნენ ავარდებოდნენ ცაში. გაღმიდან გუგული იმახდა, ვენახებიდან, კაკლის ტოტებიდან – მოღალული, ყანაში კი ისმოდა მბრძანებლური „ქვითკირო“, – მწყერი ეძებდა მეგობარს; მტვრიან გზაზე დახტოდნენ და მტვერში იგანგლებოდნენ ვერცხლისფერი წყალწყალები. ასკილის ბუჩქზე დაჟოს ეკალზე წამოეგო ხოჭო და შესცქეროდა. ფშატის წვერზე კაჭკაჭი წამომჯდარიყო და მინდორს გასცქეროდა, იქნებ სადმე თავი დაევიხლო.

ყვოდა, ხარობდა თითქმის ყველა ბალახი, რომელსაც კი მიწიდან თავი ამოეყო; ყანისპირებსა და ყანაში თავს იწონებდა ყაყაჩო და ღიღილო, ხმალა და სოსანი, ქვა-პურა და ბირკა, გორველა და ხბოშებლა. მიჯნებზე და ყამირზე მზეს შეხაროდნენ თეთრი და წითელი ესპარცეტი, სამყურა და იონჯა, სათესი წივანა და მელისკუდა, კეწეწურა და შვრიელა, ფარსმანდუკი, ფამფარა და მრავალი სხვა, რომელთაც დაჰვარფატებდნენ და დაჰბზუოდნენ ჭრელ-ჭრელი პეპლები, კრაზანები, ფუტკრები. გორაკიდან მწყემსი ბიჭის წვრილა ხმა ჩამოიჭრა და კვლავ ცაში ავარდა.

ერთ ადგილას გაშემებული ვახტანგი სმენად გადაქცეულიყო.

– მამა, მამა, ეს ხომ სიმფონიაა, დილის სიმფონია, მზის ამოსვლა...

– ყაყაჩო, ღიღილო, სოსანი, გვირილა, ჭიოტა, ბაია. ფუტკრის ბზუილი, ტოროლა, მწყერი, მოღალური, გუგული... უჰ, რამდენია! რა კარგია! – აღტაცებით ამბობდა ერეკლე.

– ყური მიგდე, ვახტანგ! ძველ ჯავარზე არა ვარ, მაგრამ მაინც ერთ-ორ მუხლს ვიტყვი, – ღიმილით თქვა პავლემ. უცბად ცაში ავარდა ომახიანი ოროველა. ოროველა უეჭველად დილის, მზის, სინათლის ჰიმიანა, მისალმება. წვრილა, რომელიც ნიბლიას გამოსდგომოდა, პატრონის ხმის გაგონებაზე შეჩერდა, კისერი მოიღერა და გაშეშდა. მღეროდა მია პავლე და გულს თან ატანდა.

მზე კარგად წამოყვლეყვლავდა, როდესაც ჩვენი ქარავანი აზამბურის პატარა აღმართს შეუდგა.

– შარიან კაცზე იტყვიან, აზამბურელი თათარი ღორის თავს მედავებო. – თქვა პავლემ.

აზამბური პატარა სოფელია. აქ XIX საუკუნეში რუსები ჩაასახლეს. დღეს სხვა ჯურისანი ჩამოსახლდნენ, მაგრამ სოფელს მაინც რუსული იერი აქვს. ერთ დიდ ქუჩას აქეთ-იქით კრამიტით დახურული ქვითკირის სახლები ჩაუყვება.

მაღე ივრის ხიდზე გავიდნენ და პირი ნაკრძალისაკენ ქნეს. ნაკრძალში მისვლა ცოტა გაუჭირდათ. მანავ-კაკაბეთის მინდვრები არხებით იყო დაქსელილი. მთავარი სარწყავი არხი ჯერ არ მოსულა აქამდე, მაგრამ მინდვრის არხები კი უკვე მზადდება. ამჯობინეს ისევ ჭალა-ჭალა ევლოთ. ცოტა გაუჭირდათ, ბოლოს ესეც დაძლიეს და მაღე ნაკრძალის დირექტორი ალექსი გამოეგებათ. იგი გიორგის ნამოწაფარი იყო და თავისი მასწავლებელი რომ დაინახა, თვალში ნათელი ჩაუდგა, დაფაცურდა:

– აბა, ჩემო პავლე, ბარგი ჩამოვიღოთ, სახედრები დავაბათ, თორემ შეიძლება შეჰყვენენ ბარდიანებს და ვეღარც ვიპოვოთ. აბა, ბალღებო! ჩანთები, ბარგი აივანზე...

ათიოდე წუთში ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეს, მუხის ჩრდილში გაშალეს ნაბდები და წამოწვნენ.

– მუხლში ქარი ამოვიღოთ, შევისვენოთ... ხომ იცი, „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია,“ – თქვა მია პავლემ.

– „ვისაც კი მოუჭამია, იმასაც დაუნანია“, – შეეხმიანა ალექსი.

– საგარეჯოს ნაკრძალი, ანუ ყორული, როგორც მას ძველთაგანვე უწოდებდნენ, ჭალის ტყის ნაკრძალია. ის ივრის ჭალის, ივრის მარცხენა ნაპირას მდებარეობს. 1962 წლამდე 600 ჰექტარი ეჭირა, აქედან ჭალის ტყით დაფარული იყო 500 ჰექტარი, ამ წელს კი მას კიდევ 500-მდე ჰექტარი მიუმატეს. ივრის პირის ჭალა და ფართობიც თითქმის გაორმაგდა.



სასარე



გარდა ყორულისა, სამწუხაროდ, ნამდვილი ჭალის ტყე ბევრგან ვერ შევინახეთ. მეტ-ნაკლებად კარგად გამოიყურება გარდაბნის ველის ფარგლებში, ქციის შესართავთან, ალაზანზე – ჭიაურს ქვემოთ, თვითონ ჭიაური კი უკანასკნელ წლებში გაიჩეხა. ჭალის ტყეს ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის მდინარის პირას არის გავრცელებული. მეტად საინტერესოა, ფესვები სინესტეში აქვს გადგმული, ტანი და ფოთოლი ველი ცხელ ჰავაში, ამიტომაც, რომ აქ თავისებური ხეებია. მთავარია მუხა, მაგრამ გრძელყუნწა მუხა, რომელიც მხოლოდ ჭალაში გვხვდება; ვერხვებიდან – მხოლოდ ხვალო და ოფი; ტირიფი, თუთა, ხურმა, ფშატი, ქაცვი; ზოგან ისეთი ხეც, რომელიც ვაკის ტყეებშიც გვხვდება: იფანი, ნეკერჩხალი, პანტა, მაყალო, ზღმარტლი; ბურჩებიდან ამ ტყისათვის, გარდა ქაცვისა, დამახასიათებელია ილლუნი და ჩიტავაშლა.

ჭალის ტყე ნაპირს იცავს, ადიდებული მდინარე მას ვერ გადმოლახავს. თუ ჭალის ტყეები მოისპო, მაშინ საუკეთესო მიწას წყალი წაიღებს.

ხშირად აყევებული არაგვი ეხეთქება ნაპირს და გლეჯს მის კბოდეც, ან ადიდებული ალაზანი ბუყბუყით ეხეთქება ფლატეებს, უჩენს მას ბზარს და ჩაიხუტებს ხოლმე უზარმაზარ ლუკმას. წყალს ბევრჯერ მცენარის ფესვიც კი ვერ აკავებს და 20-30 მ. სიმაღლის ვერხვსაც წამოაყირავებს.

ტყე ნაპირის ციხე-ქალაქია!

გარდა ამისა, ეს ტყე ანელებს ზაფხულის სიცხეს, ქვენა ქარის ქროლვას, რომელიც ხშირად ისე ძლიერია, რომ ერთ დღეში გაახმობს ხოლმე ყანასა და სხვა ნათესს.

– ჩვენი, არაგვის ჭალის ტყეში მზადდებოდა სარები, შეშა, ხე-ტყის მასალა, გუთანი, ურემი, მარხილი. გუთნის ყელის შოლტას, ხელნების, დანდლების, ზეწრების, უღლების ხე სულ ამ ჭალიდან მოგვქონდა. გუთანი და უღელი საუკეთესო იყო იფნისა და ნეკერჩხლისა, ურემი კი თელისა, – ჩაურთო მია პავლემ, – ძველი დარბაზები ხომ სულ მუხისა იყო: დედაბოძი, თავხე, კოჭი, ჭერი – ჭალის ტყეში იჭრებოდა. ეგრე თვალხუჭულად კი არა. არა, მე რომ სახლის კოჭს მოვჭრიდი, ის თურმე, პაპაჩემის მამის – პეპერას მიერ იყო ასხეპილი, შემდეგ პაპაჩემი უვლიდა მას, მამაჩემიც ხშირად დახედავდა. ასე ზრდიდნენ ხეს შვილთაშვილებისათვის. ჭალის ტყე ვაკის ხალხისათვის ნამდვილი მალამო იყო.

– ახლა მუხის დარბაზი თითო-ოროლადა თუა საქართველოში.

– ეგ კარგი, მაგრამ ხობხები არ ვნახოთ? – ჩაურთო ალექსიმ.

ბიჭები წამოცვიდნენ და გადაიკიდეს ფოტოაპარატები.

– მე კი ჩემს თოფს წამოვიკიდებ. იქნებ ერთი-ორი ხობოზი ავიღო, – თქვა გიორგიმ და ბიჭებს თვალი ჩაუკრა. ალექსიმ თავი დაღუნა და ჩაიღიმა, მიხვდა: ალბათ რაღაცას ეშმაკობს ჩემი მასწავლებელი, თორემ ნაკრძალში ხობოზს როგორ ესვრისო.

როდესაც გიორგიმ მოკლელულიანი, უცნაური თოფი მხარზე გაიღო, მაშინდა მიუბრუნდა ალექსის:

– რაო, ალექსი, მაძლეე ნებას?

– თქვენ მასწავლიდით, როგორ გავფრთხილებოდი ნაკრძალს – და თვალი თვალში გაუყარა.

ალექსიმ თავისი მეძებარი გვერდში ამოიყენა და წინ გასწია.

გაიარეს მუხნარი.

– ჭალის მუხის ნაყოფს გრძელი ყუნწი აქვს. მთის ფერდობზე რომ მუხაა, მის ნაყოფს კი ყუნწი არა აქვს, მას ქართულ მუხას უწოდებენ, – თქვა გიორგიმ.

– კიდევ? – მოკლედ ჰკითხა ერეკლემ.

– კიდევ, მაღალმთის მუხა სუბალპებშია, პონტის მუხა – კოლხეთის მთებში, იმერული მუხა კი რიონის ხეობაში ხარობს. სულ საქართველოში ცხრანაირი მუხა გვხვდება.

– ნაბია, ჩემთან! – უბრძანა ალექსიმ თავის მეძებარს, რომელმაც მუხიანი გაირბინა და ვერხვიანის ბარდებში შეყო თავი. ნაბია ზანტად დაბრუნდა და საყვედურით შეხედა პატრონს.

– ამ ბილიკს იქით მაყვლიანია. მოიმარჯვებ აპარატი. ხობოზი მაღლა აფრინდება, ჰაერში წამით გაჩერდება და მერე პირდაპირ გაჰკრავს. სწორედ ამ დროს ჩამოჰკარით აპარატის ჩახმასხს, – არიგებდა ბიჭებს ალექსი.

მუხები დატოვეს და ვერხვიანში გადავიდნენ. რამდენიმე უზარმაზარი ვერხვი იდგა. შვიდი კაცი ძლივს შემოხვევდა ხელს, დანარჩენი ხეები ასე 40-50 წლისა იქნებოდა, უმრავლესობა შიშალო იყო.

– აი, წვრილიანს გავალთ და...

წვრილიანში ვიწრო ბილიკი მოათავეს და მდელოზე გავიდნენ. მდელოს მეორე ნაპირს ეკალ-ღიჭი მოსდებოდა. მაყვალი თეთრად ყვაოდა, ზოგი მისი ყვავილეთი თავკვერის მტევნით იყო დატვირთული.

– აი, აქ დედალ-მამალი ხობოზი ზის. იგოდეთ, ჯერ მამალი აფრინდება. აბა, ნაბი!

თქვა თუ არა ალექსიმ, ნაბია შურდულივით გავარდა წინ და ბარდებში შეძვრა.

– მოემზადეთ, ბიჭებო. წინ!

ნაკვერჩხლისფერი მამალი ხოხობი ჭახჭახით ამოფრინდა და ლურჯი ცის ფონზე ათასფრად აელვარდა. რა ჯობდა მის ცქერას! ალექსი გიორგის თვალს არ ამორებდა და როდესაც მან „თოფი“ მოიმარჯვა და დააჩხაკუნა, სახე გაეზადრა:

– ვიცოდი, ვერ გაიმეტებდი. ეგ თოფი კი არა, ფოტოაპარატია.

– მართალი ხარ, ჩემო ალექსი! პირველი ხოხობი ავიდე! თქვენ რაღა ქენით?

– ჩვენ? ჩვენ მზერად გადავიქცეთ. მისმა სილამაზემ დაგვატყვევა. მაინც რა სწრაფად გაქრა...

ცოტა ხნის შემდეგ ბუჩქებიდან ამოიჭრა დედალი ხოხობი. ახლა ბიჭებმა მოასწრეს აპარატების მომარჯვება.

– ჩვენებური ხოხობი პირველად რიონის ხეობაში ნახეს და ამიტომ მას ფაზისური ანუ კოლხური ხოხობი ეწოდა. არის იაპონური ხოხობიც, რომელსაც მრავალფერი ხოხობი შეარქვეს. ჩვენი ხოხობი ჭალეზში ან წვრილზოლიანებში ზამთრობს. ჩეკს 8-20 წიწილს, უვლის მხოლოდ კრუხი. ზამთარში დედალ-მამალი ხოხობი ერთმანეთს არ შორდება. კარგად გასუქებული მამალი ორ კილომდე იწონის.

– რომ აღარ შეგვარჩინეს?

– ხელი უნდა შევუწყოთ მის მომრავლებას. ბევრგან ხელოვნურადაც უნდა მოვაშენოთ. აქ კრუხებს ვაჩეკინებთ, წამოვზრდით და მერე ბარდიანებში ვუშვებთ.

– აბა, მზად იყავით! ხედავთ, ნაბია გაშეშდა. მზადა ხართ? – გახტა ნაბია და დედალ-მამალი ხოხობი ერთად შეფრთხილდა ჰაერში.

– მოვასწარი გადაღება, მოვასწარი! – ხტუნავდა ვახტანგი.

– ძალიან ლამაზია! – თქვა ერეკლემ.

– მოდი, თევზის ქარავანიც ვაჩვენოთ ბაღლებს, – მიმართა ალექსიმ გიორგის.

მალე ანკარა წყალზე ჩავიდნენ, დიდი ფშანი გადმოჩქეფდა კბოდის ძირას. მარცხენა ნაპირი კბოდედ იყო ჩამოწყვეტილი და წყლის ზედაპირის ნახევარს ჩრდილი ეცემოდა. მეორე ნახევარი ამის გამო უფრო ანკარა ჩანდა, ვსკერზე კენჭებსაც კი დაითვლიდა კაცი, მაშინ, როდესაც ჩრდილიანში თვალთან თითს ვერ მიიტანდი.

– აბა, ნათელ ნაწილს დააცქერდით! თევზის ქარავანი ჩრდილიანიდან გამოვა, – და ალექსიმ პაწაწა კენჭი გადაისროლა. წყლის ზედაპირზე ჭავლი გაჩნდა.

მართლაც, გამოეფინა ქარავანი, გასროლილი ისარივით მიიწევედნენ წინ, ჩაჰყვნენ და ამოჰყვნენ ნაპირს. გიორგიმ სცადა, გადაეღო. ვინ იცის, როდემდე იქნებოდნენ ცქერით გატაცებულნი, ნაბიას თავი რომ არ აეწყვიტა: წყალში შევარდა, ამღვირია, ააქაფა, დაიწყო სვლეპა და თევზის ქარავანიც გაქრა, უმალ მიეფარა თვალს.

ბიჭებმა დაიწყეს წყალში თევზების ძებნა, გაღმა კბოდეც გახედეს. ახლალა შეამჩნიეს, რომ იგი შრეებად იყო დაყოფილი. პირველი შრე – ნიადაგი, მუქი იყო, ამ შრის შემდეგ ერთი მეტრის სისქის თიხის შრე ჩანდა, შემდეგ, დაახლოებით ნახევარ მეტრამდე, კვლავ შავი ფენა – დამარხული ნიადაგი იყო, მას ენაცვლებოდა თიხა და წყლის პირას კვლავ დამარხული ნიადაგები. გაღმა კბოდის თავზე ორი გადაბელილი მუხა იდგა. ამ მუხის ფესვები სწორედ დამარხულ ნიადაგში ჩანდა... ერთი სანტიმეტრი ნიადაგის შექმნას თითქმის ერთი საუკუნე უნდა. თითოეული შრე აქ 10-15 სანტიმეტრი მაინცაა.

– რამდენჯერ შექმნილა ნიადაგი და რამდენჯერ დამარხულა! – გაუკვირდა ვახტანგს.

– სამჯერ შეიქმნა და ორჯერ დაიმარხა.

– სულ მარიაშვილისა და საგარეჯოს ხევების ბრალია. მათი სათავეები ეროზირებულია, დიდ ნიაღვარს მოაქვს გომბორის ქედის მიწა და ხრეში, ჩამოაქვს ვაკეზე და აჩენს ზემო ახალ შრეს, მარხავს ნიადაგს.

– არსენ, ჩემთან! – გასძახა ვიდაცას ალექსიმ.

წვრილიანიდან ხარირემი გამოვიდა. რქები თავზე გვირგვინით ედგა. ჭკვიანი თვალელები არემარეს მოავლო, თავი დააკანტურა და ალექსისკენ გამოსწია.

– მოვასწარი, მოვასწარი! – ახლა უკვე ერეკლე ყვიროდა.

– ჩვენს ნაკრძალში ორი მოშინაურებული ირემია. მალე მეტი გვეყოლება!..

ირემმა ალექსისაგან პირის ჩასატკბარუნებელი რომ ვერ მიიღო, დაიფრუტუნა და ისევ წვრილიანს შეეფარა.

– ამ სამიოდე წლის წინ ციმბირიდან ოთხი ირემალა ჩამოვიყვანეთ და გავუშვით ნაკრძალში, მაგრამ ვერ შეეგუვნენ, ნაკრძალიდან გადაიკარგნენ. ვინ იცის, იქნებ დახოცა ვინმემ. 1956 წელს ძვირფასბეწვიანი ნუტრიებიც ჩამოვიყვანეთ, მათი აკლიმატიზაცია გვინდოდა, მაგრამ ზაფხულში გავიდნენ ყორულიდან და საზამთროებს შეესივნენ. მეველეებს წყლის ვირთაგვა ეგონათ თურმე და სულ სახრით ამოხოცეს, – ჰყვებოდა ალექსი.

ივრის პირას რომ გავიდნენ, მაშინდა შემოუხვიეს ბინისაკენ. მზე სადღაც ლიალვარ-კეჩუთის მთებს ეფარებოდა.

რამდენჯერმე ეკალ-ღიჭიანებში ძლივს გაიარეს.

– ერთი-ორი ეკალი რომ გიკბენთ, უფრო კარგად დაგამახსოვრდებათ, – დაამშვიდა ბაღლები ალექსიმ.

– ცოტა კი შემაფიქრებინე პირველად, გიორგი ბატონო!

– ეს ახალი აპარატია. მგონი, „ნადირობისათვის“ გამოდგება.

ამასობაში ბინაში მივიდნენ. ძია პავლეს ჩაი აედუღებინა, საუზმე გაეწყო, აივანზე იჯდა და უცდიდა თავის სტუმრებს.

– აბა, რა „ინადირეთ?“

– მე – ხოხობი, ერეკლემ – ირემი, – დაასწრო ყველას ვახტანგმა.

– მე კი, ჩემო პავლე, ორი ხოხობი და ერთი ირემი.

– ცუდი ნანადირევი არ ჩანს, მაგრამ ვგონებ, მაგ თქვენი ნანადირევისაგან ვერც ჩახოხბილი გაკეთდება და ვერც ცვრიანი მწვადი შეიწვება...

– მინდოდა გარეული ღორი კოლტს შევხვედროდი, მაგრამ მიწამ უყო პირი თუ ცამ, ვერ გავიგე. ალბათ სადმე ბარდებში სძინავთ. ამბობენ, ღორი ღამე უფრო ხშირად გამოდის სამოვარზეო, – თქვა ალექსიმ.

### ნუმის „ტყე“

დილით ადრე გაუდგნენ გზას. ალექსიმ შეკაზმული ცხენი გამოიყვანა.

– იორს მარცხნივ ჩავყვეთ, ფონი მოვნახოთ და პირდაპირ ნუშინში გავიდეთ. ეს კია, ივრის გატოპვა მოგვიხდება და ბაღლები...

– ეგ არაფერი. სამაგიეროდ გზა მოკლდება, – უპასუხა გიორგიმ.

ქარავანი გაიჭიმა ვიწრო ბილიკზე. სახედრებს, ეტყობოდათ, მუცლები ამოვესოთ და თოხარიკით მიდიოდნენ.

ძია პავლე ხშირ-ხშირად გასძახოდა, თოქში, ჩოკინაო.

– აპარატები, ყოველ შემთხვევისათვის, მზად გქონდეთ. ხოხობი ნაკრძალიდან გარეთაც გავიდა და აქეთ ჭალებშიც ცოტა არ არის.

წვრილა და ნაბია წინ გარბოდნენ. განსაკუთრებით წვრილა არ ისვენებდა, მალიმალ შემვრებოდა ბილიკის პირას ნარის ბუჩქში და ხან ნიბლიას გამოაფრენდა, ხან ნარჩიტას. ნელი საუბრით მიდიოდნენ ალექსი და გიორგი. ბიჭები კი ნაბიას უკან არ რჩებოდნენ.

– აბა, ბიჭებო, მომყევით, ნაბია, წინ! – გასძახა უცებ ალექსიმ და ძაღლიც შიშალ-ბარდებისკენ გაიქცა. ამ დროს ავარდნენ ცაში გრძელკუდა და ჭრელქათიბა ხოხბები.

ბიჭების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. უკვე კარგა მალაღზე იყო მზე, როდესაც ფონს მიადგნენ. გაღმა ნაპირი მალაღი იყო, ნაპირიდანვე გორაკები იწყებოდა, ივრისკენ ვიწრო ხევი ჩამოდიოდა.

– აი, იმ ხევს ავყვებით და ნუშინიც იქვეა.

გაიხადეს ფეხსაცმელები და ალექსის ცხენზე გადაკიდებულ ხურჯინში ჩაყარეს.

– გიორგი, ცხენზე შეჯექი და წინ გაგვიძევი, წვრილაც ხელში აიყვანე, ნაბია თვითონ გამოცურავს. ჩვენ კი ამ ჩვენს ბედაურებს ჩავკიდებთ ავშარაში ხელს და გამოგყვებით. იორი ცოტა დიდია, არხში წყალი, როგორც ჩანს, მთლიანად არ გადაუშვიათ. ალექსი, შენ წინა სახედარს გაუძევი, ან ერეკლე, ან ვახტანგი მოგყვება, მე კი უკან გამოგყვებით, როგორც ბერიკაცი. ხომ გაგიგია, „სიბერე ძნელი ყოფილა, სიპი ქვა შეეწონება, დაჯდება, ვედარ ადგება, არგანზე დაეწონებაო“ – თქვა ძია პავლემ.

კოლბოხი, კენჭი და რიკრიკა<sup>6</sup> ბიჭებს ფეხის გულებს სტკუნდა, მაგრამ იხტიბარს არ იტებდნენ, ეხალისებოდათ კიდეც.

როდესაც შუა მდინარეს მიაღწიეს, წყალი თითქმის წელამდე მისწვდათ. მდინარე ცივი იყო, ქვიან ფსკერზე ფეხს ვერ იკიდებდნენ და ბორძიკობდნენ. სახედრებმაც ტანი შეიბერტყეს და ბარგი კინაღამ ძირს გადმოყარეს.

– წყალს შიგ არ შეუტანებია, გარედანაა დასველებული. – გულდინჯად ამბობდა ძია პავლე, როდესაც ბარგს სინჯავდა. შემდეგ სახედარს ფეხი აუწია და საოლაგს დახედა. – კიდეც ამიტომ! საოლაგში ქვა მოხვედრია და წაიფორთხილებდა, მა რას იხამდა? მაგაზეა ნათქვამი, „შორს მოუარე, შინ მშვიდობით მიდიო“.



ხვალო ივრის ჭალაში

– მშვიდობით არა ვართ თუ?

– ცოტა შემაფიქრინა ერეკლეს სახედარმა, რომ ჩაწოლილიყო, მთელი სარჩო-საბადებელი დაგველუპებოდა. პური შიგაა და ყველი!..

მალე გადალახეს ჭალა, სადაც ორიოდ მაღალი ვერხვი იდგა. რიყე ქაცვს, ფშატსა და ოფის შიმალს დაეფარა.

ქაცვიანის ბილიკს მიჰყვებოდნენ. პავლემ გასძახა წინ მიმავალ გიორგის:

– გიორგი! „კაცი კაცითა და ღობე ქაცვითაო“, ეს დალოცვილი მარტო ღობედაა კარგი...

– რადა, ჩემო პავლე, ამ ოციოდე წლის წინათ მაგის ნაყოფს არაგვზე რომ ვაგროვებდით, გახსოვს? ძალიან გემრიელი წვენი და მურაბა მზადდებდა.

აღმართს აუყვანენ და მალე ორი ქედისგან შექმნილ პატარა ხეობაში მოექცნენ.

როგორც ჩანს, წყალს თავისი საქმე კარგა ხნის წინ გაუკეთებია, რაც დასახრამი იყო, დაუხრამავს. ხეობა უკვე დამშვიდებულია და მთლიანად კორდითაა დაფარული. აგერ, სამხრეთის ფერდობზე ბერყენა დგას, ობლად, მარტოდმარტო. ის ყველაზე კარგად იტანს ხრიოკ ადგილს. მიდინარ ველზე, გადახრუკულია ირგვლივ ყველაფერი, ოლე კი თავისი ნაცრისფერი გრძელი ფოთლებით იწონებს თავს. ოლე ანუ ბერყენა პანტაა, აღმოსავლეთ საქართველოს ხრიოკებისთვისაა დამახასიათებელი; ჩვენში ცხრანაირი ბერყენა მაინც გვხვდება.

ამ ოციოდე წლის წინ ბერყენა ბევრგან გვხვდებოდა: შუა ქართლში, ქვემო ქართლში, გარე კახეთში, მაგრამ გაჩხეს და მათ ადგილას სახნავ-სათესი გამართეს. სახნავს რა სჯობს, თუმცა, ბერყენასაც უნდა გაუფრთხილდეს კაცი, მისი 1-2 წლის შიმალი საუკეთესოა მსხლის საძირედ. გვალვასა და უწყლობას კარგად იტანს.

ქარავანი უკვე ფერდობზე მიდიოდა, წინ ქურანა მიუძღოდა.

– ფეხი არ შეეშლება. სწორი ხაზით გაავლებს ბილიკს. – აღტაცებით უამბობდა ბიჭებს ძია პავლე.

– სახედრებს ეგრე ნუ უცქერით. აღმოსავლეთის ქვეყნებში, როცა ფერდობზე რუს გაყვანა უნდათ, დატვირთავენ ვირს, აჰკიდებენ გულით ნაცარს, გუდას გახვრეტენ, რომ მოძრაობის დროს ნაცარი ცოტ-ცოტა იბნეოდეს. ასე დატვირთულ ვირს გაუშვებენ ფერდობზე, მიდის და მიდის, ერთს არ გაამრუდებს, ნაცარი იბნევა და სწორ ხაზს ავლებს, – ჩაურთო გიორგიმ.

– მოდი და დაემდურე, მაგრამ როსტომისა არ იყოს, „ვისაც მე ვუყავ სიკეთე, ის უფრო ჩემი მტერიაო“. ჩვენ სულ სახედრის დაცინვაში ვართ.

ამასობაში ალექსი ფერდოს ასცილებოდა.

– აი, ესეც ნუშიანის ტყე.

– ეს რა ტყეა?!

– მართალია, მაღრანი და უსიერი არაა, მაგრამ მაინც ნუშიანია, ამიტომაც „ტყე“ ვუწოდეთ.

– მოდით, აქ ორიოდე საათი შევისვენოთ, შევაგროვოთ მასალა, კარგად დავათვალიეროთ და მერე გავუდგეთ გზას.

ამ პატარა ხეობის ორივე ფერდო დაფარული იყო ქონდარა ნუშის ბუჩქნარით. მას მეცნიერებმა ქართული ნუში უწოდეს, რადგან პირველად საქართველოში ნახეს.

პირველი ნუშები ქართლში, სოფელ იგოეთთან აღმოაჩინეს, ძემვიან ჯაგ-რცხილნარში. ქართული ნუში სწორედ ბუჩქნარებს ეტანება – ტყის პირის ძემვიანებს. ასეთი თანაბარი ნუშიანი მარტო აქ არიას, უდაბნოსა და გარე კახეთის ვაკის გზაგასაყარზე. მისი სიგრძე 3-4 კილომეტრი იქნება, სიგანე ასიოდე მეტრი. ყველაზე მაღალი ყლორტი მეტრანახევარია. იქ, სადაც ცხვარი უდგება, მიწასაა გართხმული. ამ ადგილებში ნუშის სიმაღლე 10-20 სანტიმეტრიც არის, თანაც ყველა თავწაკვნიტილია.

ნუშის გარდა თითო-ოროლა სხვა ბუჩქიც ჩანს: ხეჭრელი, შავჯაგა, ძემვი (ეს ორი – ნაპირებისაკენ), მენახირის ბალი, მიწას გართხმული სუბერიანი თელა, ბალახებიდან კაცს თვალში ეცემა იფნურა, ენდრო, სათითურა და სხვ. აქედან ზოგი ტყე-მდელოსათვის, ზოგი კი ველისთვისაა დამახასიათებელი.

– უფ, მამა, მოდი, ერთ ნახე, ამ პაწაწინას რამდენი ასხია! – გასძახა ერეკლემ გიორგის და აპარატი მოიმარჯვა.

მართლაც, ნახევარი მეტრის სიმაღლის ნუშს ოცდაათზე მეტი ნაყოფი ება.

გიორგი გულდასმით აკვირდებოდა ყოველ მცენარეს, იწერდა, თუ რამე საეჭვოს ან უცნობს ნახავდა, ბიჭები ძირფესვიანად თხრიდნენ და ათავსებდნენ ბადეში.

ზოგან საქონელი გაეტარებინათ და ნუშები სულ ჩაერეგვათ.

– მეტი გზა არ არის, ესეც ნაკრძალად უნდა გამოცხადდეს, თორემ სულ მოისპობა. იგოეთ-ოკამ-ალაიანის ნუშიანი გაახოვდა და მის ადგილას ზვარი გაშენდა. თუ ესეც გავაჩანაგეთ, მსოფლიოში აღარსად იქნება.

– როგორ, განა მარტო ჩვენშია?

– ქართული ნუში მარტო ჩვენშია, რუსეთის ველებში იზრდება პაწაწკინტელა ნუში, მას ჯუჯა ნუში, ანუ ქონდარა ნუში ეწოდება, სომხეთში გვხვდება ნაირის ნუში, ზანგეზურის ნუში.

წკრიალა არ ისვენებდა, ხან აქ წამოაფრენდა ტოროლას, ხან იქ.

სად იყო და სად არა, ნუშიანებს ცხვარი მოადგა, მთისკენ დაძრულიყო. ერეკლე წამოწვა და ცხვრის კბილებს დაუმიზნა ფოტოაპარატი. ცხვარი კბილებით გაზივით კვნეტდა პაწაწინა ნუშებს და ნეკერს გემრიელად ახრამუნებდა.

– არა, უეჭველად უნდა შემოიღობოს. თუ არ გავუფრთხილდით, სულ გაჩანაგდება!

– ესეც ივრის ნაკრძალს შემოუერთეთ და ჩვენ მოვუვლით.

– უჰ, შენ კი გაიხარე, ალექსი, ეს რა კარგი თქვი.

პავლეს სუფრა გაეშალა, ალექსიმ ხურჯინიდან ათიოდე ხაჭაპური ამოიღო, დილით ადრე გამოვაცხვეთო. მწყემს სთხოვეს, დაგვეწვიო. მწყემსმა გემრიელად დაილოცა, საქართველოს ცა და მიწა ადღეგრძელა და გადააჰკრა.

– როდის აქეთია კაი ღვინო, ცხავატურ<sup>7</sup> კოჭობში და ქოთანში მოდულელებული შეჭამანდი თვალით არ მინახავს, – მწყემსი კარგი მოსაუბრე გამოდგა, – ხანდახან კაცი რომ მომენატრება, ცხვარს ხმამალა ველაპარაკები. ცხვარი კაი საქონელია, მაგრამ ზევრი ხინჯიც აქვს. ეს საგორავიო, ეს მგელიო, ეს კაციო...

– მერე რა, შვილო, ცხვარი მაღლიანი საქონელია, ხომ გაგიგონია, როგორ გააგდო სიღარიბე.

– გამიგონია, მაშ რა!

– ჩვენც გვითხარი, პავლე, როგორ გააგდო სიღარიბე ცხვარმა?

– ცხვარი მიადგა თურმე ერთ სახლს, სადაც სიღარიბეს დაესადგურებინა, გამოდი გარეთ, მე უნდა დავდგეო, – შეუტია. ერთი კუთხე მომეციო, შეეხვეწა სიღარიბე, არაო. ერთ კუთხეში მე უნდა დავდგე, მეორეში ჩემი ბატკანი, მესამეში ყველი უნდა შევინახო და მეოთხეში მატყელიო, რაღა გზა ჰქონდა სიღარიბეს, აიკრა გუდა-ნაბადი და გადაიკარგა ცხრა მთას იქით.

– სწორედ რომ მაღლიანია! – დაუმატა მწყემსმა, – ამიტომ ეტანება ყველა. ამას წინათ ხუთი ცხვარი დავკარგე, მიწამ უყო პირი თუ ცამ, ვერ გავიგე.

– მერედა, გემინა? – შეუტია პავლემ.

– შენ ანდაზის კაცი ხარ და მეც ერთს გეტყვი: თეიმურაზ მეფეს მარტყოფელმა გლეხმა შესჩივლა, საქონელი მომპარესო. – მერე და რად გემინაო, უთხრა თეიმურაზმა. – მე მეგონა, მეფეს ეღვიძაო, – უპასუხა თურმე მარტყოფელმა.

– კაი ნათქვამია. აბა მეც გეტყვი:

*„ერეკლე მეფის დროშია, შორს მოვიძიე ძროხანი, დავეწქე და ბევრი ვიძინე, თავს წავიხურე ჩოხანი“.*

– აბა, „კორკოტი ვჭამე ასლისა, დრო არის ჩემი წასვლისა“.

გემრიელი საუზმის შემდეგ პირი გარეჯის უდაბნოსკენ ქნეს. აზამბური უკან დარჩა. კარგა დიდი მანძილის გავლის შემდეგ უდაბნოს მეცხვარეობის მეურნეობას მიადგნენ. ალექსი აქ დაემშვიდობა ყველას.

გადაჭრეს უტყეო, მომრგვალებული ქედები და დაემზვნენ გარეჯისაკენ.

– ამაღამ დოდოს რქასთან გავათიოთ. რას იტყვი, პავლე?

– კარგი იქნება.

მზე დაუნდობლად აჭერდა.

– ესეც დოდოს რქა! და ჩვენი ამაღამდელი სამკვიდრო. – წამოიძახა გიორგიმ.

– ეს დოდოს რქა რაღაა?

– გარეჯის მონასტრის ნაწილი. კლდეში გამოკვეთილი მონასტერია, აგერ!

და ხელი გაიშვირა ქარაფისაკენ, სადაც მრავალი გამოქვაბული ჩანდა.

სახედრებს ბარგი მოხადეს, მოხსნეს კურტნები და მარტო საოფლეები დაუტოვეს, არ გაქაროსო.

გიორგიმ ზურგჩანტიდან გოგირდი ამოიღო, რამდენიმე ადგილას დაყარა და ცეცხლი წაუკიდა, შავჩოხიანი არ გაგვეკარებაო.

ძველად ეგონათ, თუ გველს არ ახსენებდნენ, ის ადამიანს არ მიეკარებოდა. ამიტომ ზოგან „უხსენებელს“ ეძახიან, ზოგან „შავჩოხიანს“, ზოგან „წყეულს“, „მცურავს“ და სხვა.

მალე კარვებიც გაშალეს. მია პავლემ სახედრები გრძელი საბელით კარგ ბალახში დააბა. ბიჭებმა ხშირ ბუჩქნარში შეშა მოაგროვეს და ცეცხლი დაანთეს.

– ბინასთან თუ ცეცხლი არ ანთია, ის ბინა არ არის. – განმარტა პავლემ, – ბოლი ცაში უნდა ადიოდეს. უცეცხლო ოჯახი ოჯახი არ არის.

მზე რომ ნათლისცემის ქედს იქით ჩაესვენა, ნიავმა დაქროლა, პავლემ ცეცხლზე ქვაბი და ჩაიდანი შემოდგა. ბიჭებმა დღიურები გაშალეს და დაიწყეს წერა, გიორგი და შალვა მცენარეებს ალაგებდნენ.

ჩამოღამდა, ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. შორეულ სანთლებივით გაიელვეს ციციანთელებმა. სადღაც ბუმ დაიკვილა. ჰაერში ღამურამ გაიშრიალა და ყველაფერი მიწყნარდა. ჩამოვარდა სიჩუმე, უცბად შორიდან ვირის



ყროყინი მოისმა. ქურანა აჭიხინდა. ბოლოს ესეც მიწყდა. ახლა კარვების იქით საცოდავად აკნავლდა, აწკავეწკავდა რაღაც...

– ტურაა, ეგ სავერანე, ეგა. მაგისთანა უკუდმართს მეორეს ვერ იპოვი, – თქვა მია პავლემ და თავისი ცალღულიანი თოფი დაცალა. თოფის ხმა დოდოს რქის ქედს ეცა. იქიდან ნათლიცემს გადასწვდა, შემობრუნდა და ქვევით გაჰყვა. თავზე რაღაც ფრინველმა გადაიფრინა უზარმაზარი ფრთების ტლამუნით. – ეს ზარნაშოა!.. ოლოლის სახლიკაცი. დაიძინეთ, ბიჭებო, თორემ ამ ხმებს რომ ყური უგდოთ, ხარიპარია თავზე დაგადგებათ.

– ხარიპარია რაღაა?

– ცისკრის წინ ბრდღვიალა ვარსკვლავი გამოჩნდება ხოლმე, ისაა. წინათ გუთნის ხარ-კამეჩს ღამე ვამოვებდით, რომ დილით მამღარი ყოფილიყო. ვამოვებდით შუალამემდე. შუალამისას დავყრიდით, რომ ამოეცოხანათ. ცისკარი ამოვიდოდა თუ არა, საქონელს ავშლიდით. როცა საქონელი იწვა და იცოხნიდა, მეხრეებიც წავიძინებდით ხოლმე. ზოგჯერ თვალზე რული არ მოგვეკარებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საძოვარი ცუდი იყო და საქონელი ყანისკენ იწევდა. ერთი ნიკორა კამეჩი მყავდა. კარგი გამწევი იყო, მაგრამ სიმინდებში შლიგინი უყვარდა. ამიტომ მეხრეები თავს ფერდზე დავადებდით ხოლმე, რომ არ გაპარულიყო. ხშირად მანც გვეპარებოდა. თუ გავიგებდით, ხომ კარგი, თუ არა, მეორე დღეს მეველეების შემოტევას ვუძღებდით. თავს ვერ ვიმართლებდით, მეველე მთელი სოფლის საქონლის ნაფეხურს ცნობდა. „ეს ოსანანთ კამეჩის ნაფეხურია, ეს კი ოთარანთისა: წანახედი ღამის მეხრეს უნდა გადაეხადა ერთიორად.

უგბად გავიძებულ ღამის მეხრეს ხარიპარია ცისკარი ეგონა და ხარ-კამეჩს წამოშლიდა ხოლმე, ამიტომ იტყოდნენ, ვარსკვლავმა ხარი მოიპარაო. როდის-როდის ცისკარიც ამოანათებდა.

– ხარიპარია მარსია, – ჩაურთო სიტყვა გიორგიმ.

სახედრები ხვნეშით მიწას დაენარცხნენ. მიჩუმდა არემარე. ზოგჯერ ქურანას ხვნეშალა ისმოდა.

### ვენახიდან გაქცეული ვაზი

ერეკლემ კარვიდან თავი გამოყო, თუმცა მზეს ჯერ არ ამოეწვერა, მაგრამ სადღაც, მთის გადაღმა უკვე სხივი გაეშალა.

მამა და ვახტანგი ვარჯიშობდნენ, მია პავლე ცეცხლს ანთებდა. შალვა არსად ჩანდა.

ერეკლე სწრაფად გამოხტა კარში და ამოუდგა გვერდით.

– ყოჩად, ბიჭებო, ყოჩად. „ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარიო“, – გამოეხმაურა პავლე.

ბუჩქიანი ხევიდან წვრიალას გაბმული და ჭირვეული ყეფა მოისმა. ერეკლემ წერაყინს ხელი დასტაცა და მისკენ გაიქცა.

– დაიცა, წყეული არ იყოს! მია პავლემ კარავზე მიყუდებულ თოფს წამოავლო ხელი. – შენ უკან მომყე, ა, ეს ჯოხი გეჭიროს, – ხელში კეტი მიაჩეჩა. ერეკლემ წერაყინი კარვისკენ მოისროლა.

მია პავლემ ხევში ჩაიხედა. წვრიალა ყეფით რაღაცას წრეს უვლიდა, გეგონებოდათ, უცნაურ საზეიმო ცეკვას ასრულებსო.

– აი, შენ კი რა გითხრა წვრიალა! კუს უვლის გარშემო.

მართლაც, წვრიალა მშრალ ხევში, ქვიშაზე დასკუპებულ კუს უყეფდა, ხმელეთის კუს, ბერძნულ კუს რომ უწოდებენ.

– ეს ხომ კუს, ჯოჯოსა და უხსენებლის მხარეა. ამიტომ აქ ჩექმები უნდა ჩაიცვათ. „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“. წყეული რომ ყოფილიყო, თავს გავეულიდით, მაღლიდან თოფი მარჯვეა! – ჩაერია პავლე.

ხევისპირებს ბუწუნარი და ჩირგვნარი მოსდებოდა. ჩირგვნარი ზოგან ბუჩქნარში გადადიოდა, იქ, სადაც ნიადაგი კარგად იყო გამოსახული. შიშველ კედლებზე ბუწუნარს ამოეყო თავი. აქა-იქ ჩანდა ხორციფერა, უძრახელი, ცხენისმუხლა, ჯორისძუა; იქ კი, სადაც ნიადაგი იყო, თუნდაც ხირხატი, ჩირგვნარი წამოწეულიყო: შავჯაგა, თრიმლი, გრაკლა; ბუჩქნარში კაცი დაიმალებოდა, აქ იყო ძემკვი, თუთუბო, ცხრატყავა. თუ ნიადაგი მწირია, შიშველ ბუჩქნარის შემქმნელმა სახეობებმა ბუწუნარი და ჩირგვნარიც შექმნან.



## გარეჯის მთის ბოლოები

- აი, ესეც საკმლის ხე, – მიუთითა ერთ ტანმორჩილ ხეზე მია პავლემ.
- მერედა, ძეძვი რა უნდა?
- როგორც ჩანს, ნორჩობაში ძეძვი იფარავს, საქონელი ვერ კორტნის, ძეძვს რომ ასცდება, საქონელიც ვერას დააკლებს, უკვე მოლონიერებულია.
- ერეკლე წინ წავიდა, ხევს აჰყვა.
- ერეკლე, მარტო არ წახვიდე, – ურჩია პავლემ.
- ერეკლე გაკვირვებული მისჩერებოდა ერთ უზარმაზარ ძეძვიში ამოსულ აკაკის ხეს, რომელსაც ვაზი ახვევოდა, ისე, როგორც ხეზე ასულმა ბაბილომ იცის. ველური ვაზი, კრიკინა, წინათაც უნახავს, მაგრამ ასეთი კი არა.
- ეს რაღაა? – გაიკვირვა ერეკლემ, როდესაც ხევის დამრეც, გავაკებულ ნაპირზე ნუშის მაღალი ხე დაინახა.
- ნუთუ ნამდვილი ნუში ჩვენში გარეულია? – ამ ნუშის გვერდით ვეებერთელა ძირკვები ამოზიდულიყო, ზოგი მათგანი თითქმის ნახევარი მეტრის სიმაღლე იქნებოდა. ეტყობა, დიდი ხნის მოჭრილი არ უნდა ყოფილიყო.
- ზოგიერთი კულტურული მცენარე, – უყვებოდა ბავშვებს გიორგი საუზმის დროს, – კვლავ უბრუნდება თავის სამშობლოს. ეგ ვაზიც იმ ვენახიდანაა გაგარეულებული, აქ ბერებს რომ ჰქონდათ გაშენებული. ნუშიც ალბათ მათივე ბაღიდანაა. გამოქვაბულებისკენ რომ წახვალთ, ყურადღებით იყავით, ჩავინიშნოთ, ასეთები ჰერბარიუმისთვისაც ავიღოთ.
- ხენეში ხე ადვილად ხარობს, მაგრამ მადლიანი ძნელად რჩება ველურად. ეგ ვაზი მადლიანი ყოფილა! – განმარტა პავლემ.
- ნელი ნაბიჯით აჰყვნენ მშრალ ხევს.
- გიორგი, ფრთხილად იყავი. „წინდახედულსა ვაჟკაცსა, ვერ აუტირდეს ცოლ-შვილიო“, – გააყოლა სიტყვა მია პავლემ.

ვახტანგმა კვლავ მოიმარჯვა წიგნაკი.

- აი, ესეც ჭერამი! არც ესაა ჩვენი ველური ფლორის წარმომადგენელი, ესეც გაგარეულებულია.
- მართლაც, ძეძვიანში აქა-იქ მოჩანდა ჭერმის ხასხასა ფოთლები. აქვე იპოვეს გაგარეულებული უნაბიც.
- ვახუშტი თავის გეოგრაფიაში, რომელიც 1742 წ. დაამთავრა, წერს:

*„გარეჯის მთას აქვს პატარა მონასტერნი, კლდესა შიგან გამოკვეთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი, ზამთარი თბილი, ზაფხული გრილი. ნათლიმცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღვარი, დავით გარეჯას – არქიმანდრიტი, ბერთუბანს – წინამძღვარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი, ვიდრე მწარე წყლამდე და მოწესითა სავსენი, ხოლო აწ არს ხუთი მოწესითა მყოფი. არ არს აქ წყალი, არამედ იპყრობენ წვიმისაგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას. არა არს ტყე, არამედ ძეძვი, მით ხარშავენ და აცხობენ, არს ეკლესიანი შემკულნი და დახატული ძველთაგანვე მონასტერად ქმნული არს 13 მამათაგანისა დიდვითისა. მერმე შემკული, მომატებული მეფეთაგან“.*



გაგარეულებული ნუში გარეჯის უდაბნოში

მგზავრები ნელ-ნელა მიიწევდნენ ქარაფებისკენ. ვაზის, ნუშისა და ჭერმის გარდა შეხვდათ ლელვი და ბროწეული. გიორგიმ თქვა, უნდა ვნახოთ ამ უკანასკნელთა ნაყოფი და დავასკვნით მათ სადაურობას, ეს კია, ლელვი ორი ჩანს, ერთის ფოთოლი ძლიერაა დანკვთული, მეორისა – ნაკლებ, ერთ-ერთი გაგარეულებული უნდა იყოსო.

გაღმა, ნათლიცემის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზეც მოჩნდა ბუჩქნარი.

მზეს ჯერ არ წამოესამხრებინა და ბიჭებს სიცხე არ აწუხებდათ. აქა-იქ ჯოჯოები მოჩანდნენ, ქვებზე პირდაღებულები და თვალებდაჰყეტილები ქაქანებდნენ, უბრალო ფაჩუნზეც კი ფრთხებოდნენ და კლდის ნაპრალებში იკარგებოდნენ.

ხევს ასცდნენ, ფერად-ფერადი ყვავილებით აჭრელებულ, მაგრამ დამრეც ფერდობს აუყვნენ და, როგორც იქნა, მიაღწიეს გამოქვაბულების ჯგუფს.

სული მოითქვეს და დასავლეთისკენ ქნეს პირი. წინ გადაეშალათ უდაბნოს ხეობა, იქვე ნათლიცემ-გარეჯის ქედი გაწოლილიყო.

აგერ ჩიჩხიტურის კოშკი, ლავრის სადარაჯო კოშკის ჩრდილო კედელი. ქედს გადაღმა უდაბნოა, არ ჩანს ნათლიცემლის მონასტერი. ბერთუბანი აღმოსავლეთითაა, მთა-გორაკებს მიღმა, აქედან ოციოდე კილომეტრი თუ იქნება.

გარეჯის უდაბნოს გამოქვაბულთა და მონასტერთა კომპლექსი ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების იშვიათი, მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია. მას სხვა კომპლექსი ჩვენში ძნელად შეედრება.

გარეჯის უდაბნოს მონასტერი VI საუკუნეშია აგებული. მოციქულ დავითს, ასურეთიდან დაბრუნებული ბერებიდან ერთ-ერთ ცამეტაგანს, პირველად ბინა თბილისის ახლოს, იმ მთაზე დაუდგია, რომელსაც ახლა ხან მამადავითს ვუწოდებთ, ხან მთაწმინდას. ასკეტ ბერს თბილისის სიახლოვე თვალში არ მოსვლია და თავის მოწაფესთან, ლუკიანესთან ერთად, გამოუწახავს უფრო მკაცრი ბუნების მხარე, გარეჯის უდაბნო და იქ დასახლებულა.

„წმინდანთა ცხოვრებაში“, სადაც აღნიშნულია დავით გარეჯის ცხოვრება, გარეჯში დასახლება ასეა აღწერილი:

„ხოლო ვითარცა მიიწივნეს პირველ თქმულსა მას უდაბნოსა შთობოვდეს წყურვილითა და თანაც სიცხითა შეიწუბდნენ, რამეთუ ეს ადგილი მძაფრად შემწველი არს მზისა მცხუნვარებათა მიერ ზედა მოფენილთა; ვინაიდან ვორიოსა კერძოთ მყოფი და ყოვლითური განმარტოებით მდებარე უმეტეს ყოვლითა აღმოსავლეთისა სანახებთა, სიცხისა მიერ შეიწოვების, რომლისა ძლიერ და წყლისაგან ნაკლულევან არს და სხუათა ყოველთავე სხეულისა ნუგეშინის მცემელთა სახმართაგან“.

ამ უდაბნო მხარეში მონახეს გამოქვაბული და ბინა დაიდეს, არ აშინებდათ არც ხორშაკი, არც ქარი-ქარაშოტი და არც ელვა-ჭექა. ეს მღვიმე დაედო საფუძვლად იმ დიდ მონასტერს, რომელიც შემდეგში ლავრის სახელწოდებით გახდა ცნობილი. ამ ადგილას ქვიშა-ქვებში გამოიკვეთა მრავალი სენაკი, დარბაზი, სატრაპეზო და ტაძარი, შეიმკო და მოიხატა, დასახლდა მრავალი ასკეტი ბერი. პაწაწინა წყარო რას ეყოფოდათ, ამიტომ ნათლისცემის ქედის ერთი ნაწილი ლავრასთან მოაშიშვლეს, აყარეს მიწა, გააპრიალეს კლდე და ზედ გაავლეს ვიწრო ხაზები – რუები – წვიმის წყალშემკრები, რომელებიც თავს იყრიდნენ კლდის ძირას უზარმაზარ გამოქვაბულში. ვახუშტი რომ ამბობს: „არა არს აქა წყალი, არამედ იპყრობენ წვიმისაგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას“. სწორედ ასე „იპყრობდნენ“.

მაღე ისე გაიზარდა ლავრა, რომ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დავითის დროსვე შეიქმნა ლავრის ფილიალი – დ ო დ ო ს რ ქ ა. შემდეგ ნათლისცემლის მონასტერი, ნათლიცემის ქედის გადაღმა, ლავრის გასწვრივ დიდი სავანე – უდაბნო. შემდეგში ქედის გაგრძელებაზე ჩრდილოეთისაკენ აშენდა ჩიჩხიტურის მონასტერი, აღმოსავლეთით გარეჯის მთების დასასრულზე – ბერთუბანი. ამ მონასტრებს სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდათ – აღმოსავლეთ საზღვარს დარაჯობდნენ.

ეს მონასტრები ერთმანეთისაგან 20-25 კილომეტრითაა დაცილებული. შემდეგში, განსაკუთრებით, IX-XIII საუკუნეებში მთელი კომპლექსი უფრო მეტად გამშვენიერდა, აშენდა ახალი ეკლესიები, გამოიკვეთა მრავალი სენაკი, კლდის ტაძარი და დარბაზი მოიხატა ფრესკებით.

აყვავებას დაცემაც მოჰყვა. თემურ-ლენგის მიერ დანთებულმა ცეცხლმა და მმუსრავმა მახვილმა გაასწორა მიწასთან, რისი განადგურებაც შეიძლებოდა. მონასტრებს არც XVI-XVIII საუკუნეებში დააყარეს კარგი დღე. არის თქმულება, რომ შაჰ-აბასმა აღდგომის დამეს რამდენიმე ათასი ბერი ამოწყვიტა. იმ ბერებს იმჟამად სანთლის მაგივრად ხელში შუბი და მახვილი რომ აეღოთ, ქვეყნისათვის უფრო მეტს გააკეთებდნენ.

მტერი ცხენებზე ამხედრებული მოდიოდა, ბევრი ცხენი უბელო იყო, ცხადია, ფურაჟი მათ თან არ დაჰქონდათ. შემოესოდნენ საქართველოს ზაფხულში, აიკლებდნენ, დაანგრევდნენ და ზამთრისთვის უკანვე, ველებისა და ტრამალებისაკენ იხევდნენ.

აი, რას წერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი:

„და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვისპირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქვეყნათა მკვიდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთაისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქვეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსვლამდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვიტეს, თუ სადღა დარჩენილ იყო ტყუეთა“...

მეორე ადგილას ვკითხულობთ:

„და გაგრძელდა ესე ვითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა, რამე თუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა საქმეთაებრ იქმოდნენ, და ზამთრის წარვიდიან, და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა:

მოოხრდა ქვეყანა და ტყვედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა, მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა“...

შემდეგ კიდევ უფრო ნიშნობლივი ცნობაა:

„თურქნი ვედარა დაიზამთრებდეს ქართლს, რამეთუ ვიდრე აქამომდე ზამთრისა მოწვევისა თანა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალას და დილომს, ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგური“.

ცხადია, ეს მოზამთრენი კეთილს არ დაყრიდნენ არც ადმიანებს და არც ტაძრებს, მაგრამ მიუხედავად მრავალი შავბედობისა, მონასტერი მაინც არსებობდა და XX საუკუნის ოციან წლებამდე მოაღწია.

რასაკვირველია, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ამ მონასტერს ლოცვით კი არ მოჰქონდა „სარგებლობა“, აქაური ბერები ცვილის სათლით ხელში მარტო საგოდებელზე კი არ ავედრებდნენ უფალს წინაპართა სულს, არამედ აქ იკრიბებოდნენ და მოღვაწეობდნენ მწიგნობრები, მხატვრები, ფილოსოფოსები, იწერებოდა წიგნები და საგალობლები, იქმნებოდა არქიტექტურისა და მხატვრობის იშვიათი ძეგლები.

მარტო ის რად ღირს, რომ ამ უდაბნომ შემოგვინახა თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის პორტრეტები ბერთუბანში, დიმიტრი თავდადებულისა – უდაბნოს ეკლესიაში.

მთავარი მაინც ის იყო, რომ დავითგარეჯის მოხატულობა დიდ პერიოდს მოიცავს – X საუკუნიდან მოყოლებული XV საუკუნემდე.

X-XII საუკუნის სურათები ისე გამოიყურება, გეგონებათ, გუშინ დაუხატავთო. როგორ გაძლო ჟამთა სიავეში, ან ქარსა და ქარაშოტში ამ შესანიშნავ სურათთა ფერმა?!



### ქვასრილის დეტალი შავჯაგათი

უდაბნოს მონასტრებს დიდი ქონება ჰქონდათ გარე კახეთის, ქართლის, შიდა კახეთის სოფლებში, სახნავ-სათესი, ბაღ-ვენახი, წისქვილები. შემოსავალი მთლიანად გარეჯს ეკუთვნოდა.

საიდანღა მოდიოდა ბერთა ცვლა? ერთი გარეკახელი, უდაბნოში მყოფი ბერყოფილისაგან გამიგია:

„ობოლი ვიყავ პატარა,  
დედას გამოვეყე გერადო,  
დედამ რომ ყური არ მიგდო,  
უდაბნოს წაველ ბერადო“.

ბერებს მიჰყავდათ ობლები, გერები, ზოგი მშობელი კი თვითონ დათქვამდა, შვილს ბერად აღვკვეცავო. რასაკვირველია, მაშინდელი ეკლესია ძლიერი იყო და ძალდატანებასაც შეძლებდა.

– აი, ხედავთ ამ კედელს? – გადაიტანა სხვაზე საუბარი გიორგიმ, – კლდე ჩამონგრეულა, ეკლესია ნახევრად დანგრეულა, სურათები კი ისევ ბრდღვიალებს.

ვიწრო ხაზს გაჰყვინენ. გულისფანცქალით შესცქეროდნენ ყმაწვილები კლდეთა მოხატულობას. აქ ასახული იყო არა მარტო წმინდანთა ცხოვრება, არამედ ჩვენი წარსული ყოფაც, გაშლილი სუფრა – სერობა. მარტო ამ სურათებითაც კი შეიძლება კაცმა აღადგინოს წარსულში ეკონომიკის ერთ-ერთი მხარე. ამ სუფრას კაცმა თვალი რომ გადაავლოს, დარწმუნდება, იგი მაინცდამაინც დიდი ასკეტებისა არ უნდა ყოფილიყო.

ერთი გამოქვაბულის კარი თითქმის მთლიანად მიწით იყო ამოვსებული. გიორგი სწორედ მის წინ შედგა.

– ბა, ვახტანგ, მომეცი ბარულა, გადმოვყაროთ მიწა და შიგ შევიდეთ. კარი რაკი დახშულია, ფრესკები უფრო კარგად იქნება შემონახული.

გიორგი და შალვა ბარულით, ბიჭები წერაყინით თითქმის ორი საათი ებრძოდნენ მიწას და ბოლოს ისე მოასუფთავეს, რომ შიგ შესვლა შეიძლებოდა.

დახარა თუ არა გიორგიმ თავი და ელექტრონათურა აანთო, რაღაცამ შეიფრთხილა და კარს დაემგერა. გიორგი წაწვა, ბიჭები კედელს აეკვრნენ. ზარნაშო იყო, უზარმაზარი ბუ.

– წუხელის რომ თავზე გადმოგვიფრინა, ალბათ ზარნაშო იყო. ზარნაშო, ოლოლი, ჭოტი, ბუკანჭოტი, რამდენი ბუა ამქვეყანაზე, – ფიქრობდა ვახტანგი.

– უჰ, რა სილამაზეა! – წამოიძახა გიორგიმ, როდესაც შიგ შევიდა.

კარი და ვიწრო სარკმლები მშვენივრად ანათებდნენ ფრესკებს. მხატვარს სწორედ ეს ჰქონდა ალბათ გათვალისწინებული და ფერებიც ისეთი შეურჩევია, რომელიც ასეთ განათებას მოუხდებოდა. ერთ-ერთ კედელს ჩუქურთმასავით მიჰყვებოდა მტევნებით დახუნძლული ვაზი.

– ვინ იცის, ის ვაზია, დილას რომ ვნახეთ! – წამოიძახა ვახტანგმა.

ეცადნენ გადაედოთ, ჩაეხატათ.

მზე თითქმის გადაიხარა. ცხვირწამოწვდილი კლდის ძირში, ერთ ლოდზე ჩამოსხდნენ.



**დოდოს რქის გამოქვაბულები, ქედის გაყოლებით რამდენიმე ასეულია**

– მამა, დოდოს რქა სხვებს სჯობია, არა? – ჰკითხა ერეკლემ მამას.

– ყველა თავისებურია, მაგრამ ლავრა, უდაბნო და ბერთუბანი მაინც მთავარია. ერთი სიტყვით, ყველა ძვირფასია.

– მერედა, ასე უპატრონოდ რადაა მიტოვებული? ისეთ ხალხს, ვისაც ისტორია არა აქვს, მარტო გარეჯი შეუქმნის ისტორიას.

– მართალია. აი, ხვალ ლავრაში რომ ჩავალთ, დარწმუნდებით, არც ისე უპატრონოდაა მიტოვებული. ჩვენმა დიდმა მეცნიერმა გ. ჩუბინაშვილმა შეისწავლა გარეჯი. პირველად აქ 1921 წელს იყო, დიდი წიგნიც დაწერა. მართალია გვიან, 45 წლის შემდეგ, კულტურის სამინისტროს რესტავრაციის განყოფილება აღდგენით სამუშაოებს იწყებს, მაგრამ ამაზე – ხვალ.

– აი, ხომ ნახეთ, რამისხო ნუშები დაუჭრიათ, ალბათ ერთი ტყის ზოლი აქეთაც გაივლის. ეს გაგარეულებული ნუში და ჭერამი თვითონვე გვეუბნებიან, ახალ ტყის ზოლში, სხვებთან ერთად, ჩვენც მივიღებთ მონაწილეობასო, – თქვა გიორგიმ.

ამასობაში ჩვენი მკვლევარები ბინას მიადგნენ. ძია პავლეს ცეცხლი დაენტო და მის გარშემო ტრიალებდა. ბოლოს შალვაც მოვიდა. ჩანთა მცენარეებით აევსო.

– კაცო, სახლისაკენ აღარ უნდა მოიხედოთ? კინაღამ მდევარი დავიძახე, – შეუტია ღიმილით ძია პავლემ., – აბა, დაიბანეთ ხელ-პირი.

– კარგი, პავლე, ამოგვასუნთქე!

– ძია პავლე, მდევრის დამახება რაღაა?

– ლეკიანობას, როცა გაიტაცებდნენ რამეს, ჩვენი მამა-პაპა თურმე დაიძახებდა, აბა, ჩქარა, მდევარიო და ბიჭებს, ვისაც გული ერჩოდა, სახლში რა გააჩერებდა? ამაზე ამბობდნენ, მდევარი დაიძახესო.

ისადილეს, შეისვენეს და როცა აგრილდა, მასალები ჩაალაგეს, დღიურები შეავსეს და ამასობაში საღამოც წამოეპარათ.

**გასაფრენად ფრთააკრეფილი ანგელოზი**

„წუთისოფელმა დღე ჩემმა სიმწარე დამალევინა,

არც მომკლა, არც დამარჩინა, არც სული დამალევინა“ –

– წამოიმღერა ერეკლემ.

– ვერ შეამჩნიე, რომ ანგელოზებს ფრთები გასაფრენად აქვთ აკრეფილი?

– გაფრინდებიან, მაშ რას იზამენ, ან აქამდე როგორ გაჩერდნენ?

ბიჭებმა სთხოვეს მამას, უდაბნოს კომპლექსს მეტი დრო მოვანდომოთო (ორი დღე ჰქონდათ ნავარაუდევო), მამაც დათანხმდა. ნახეს ბერთუბანი და გადაწყვიტეს, ნათლისმცემელიც ენახათ. დათქვეს, ნათლიცემის ქედს



ჩრდილო-აღმოსავლეთიდან აპკოლოდნენ, იქ, სადაც გარეჯის მთა თეთრ უდაბნოს მთასთან ზეკარს<sup>8</sup> ქმნის. გადასულიყვნენ სამხრეთ-დასავლეთით, შეესვენათ ნათლისმცემელში, ენახათ ის ადგილი, სადაც ამოწყვეტილი ცხოველები აღმოაჩინეს, აქედან გადაეჭრათ ყარაის, ანუ შავი გაზაფხულის ველი, ჩასულიყვნენ ჭანდარის ტბაზე და პირი ჩრდილოეთით ექნათ, აეჭრათ უდაბნოს ქედი და კვლავ ლავრაში ჩასულიყვნენ. კაცმა რომ თქვას, ცოტა ძნელი მარშრუტი იყო.



**უდაბნოს ტაძრის ფრესკა**

დილით ადრე გავიდნენ.

– ვიდრე მზე დაგვაჭერდეს, ნათლისმცემელს შევუსწროთ, – გადაწყვიტა გიორგიმ.

ჩაუყვინნენ დავითგარეჯის ლავრის ბილიკს. მშრალ ხევში ჩასვლამდე ძველი ბაღების ნაშთები კიდევ ჩანდა: მაღალი, ჩვეულებრივი ნუში, ტაბაკა ლეღვი, რომელსაც რამდენიმე გაგა<sup>9</sup> ება. ნუშების უმრავლესობა გაეჩეხათ და მხოლოდ მსხვილი ძირის კუნძულები, ზოგი გალოპრილი, იყო წარსულის მოწმე.

უკანასკნელი ბერი – მცველი აქედან 1922 წელს წავიდა და მას მერე ეს უზარმაზარი საუნჯე უპატრონოდაა მიტოვებული. აი, უკვე 40 წელია, ანადგურებენ მგზავრები თუ მწყემსები, რომელთაც აქ საქონელი უყენიათ სექტემბრიდან მაისამდე. ტაძრები, სატრაპეზოები, სენაკები ბოსლებადაა ქცეული, ნეხვს ფრესკები ბევრგან მუხლამდე დაუფარავს.

ჩავიდნენ ხმელ ხევში და აპკვინნენ მას. მთის ფერდოს ძირში, წყაროსთან, შეისვენეს, წყარო ეთქმის, თორემ მლაშეა და მწარე.

– რა უცნაური გორაკებია! ზოგან მცენარე არც ხარობს აქ, თიხაა მხოლოდ.

– ხედავთ, თეთრ ზოლებსა და შრეებს ჩამოუდის წითელი შრე, ზოგი მოწყეულის ფერისაა.

– გეგონება, დაუჭრიათ და მკერდზე სისხლი ჩამოსდისო.

– და მერე განა დაჭრილი არაა? აი, XIII საუკუნიდან კლავენ, კლავენ, მაგრამ ჯერ ვერ მოკლეს. სულს კი ღაფავს, თუ ვინმემ ხელი შეაშველა, ისევ მოიხედავს და ძველი ხელოვნების შედეგები ახლებურად გაბრწყინდება.

– ხომ ნახე, სარესტავრაციო სამუშაოები დაუწყიათ. ამბობენ, ამ ორ წელში დავითის ლავრას აღადგენენო.

– ბერთუბანს, დოდოს რქას, უდაბნოს, ნათლისმცემელს როდისღა მიხედავენ?

– ბიჭებო, რაც თოთხმეტი საუკუნე ვაშენეთ და შვიდი საუკუნის მანძილზე ანგრეეს, ის ერთ-ორ წელიწადში ხომ ვერ გაკეთდება? – ჩაურთო გიორგიმ.

– უნდა გაკეთდეს...

– გზა განვაგრძოთ, ნათლისმცემელში გავაგრძელოთ საუბარი. ახლა მცენარეები შემაგროვებინეთ. არ დაგავიწყდეთ, რომ კოლექტორები ხართ.

მასალა აიღეს და ნელი ნაბიჯით შეუყვინნენ მშრალ ხევს. იქვე ბუჩქნარი იყო. დოდოს რქის მთის ძირში უძრახელა მძლავრობდა, ზოგან საკმაოდ დიდი ფართობი დაეფარა. როგორც ჩანს, იგი ლიოსისმაგვარ ღია თიხნარებზე ერთ-ერთი პირველი მოსახლეთაგანია.

ზოგან ქვყარილები იყო, ზოგან უზარმაზარი ლოდებისაგან შექმნილი პატარა გორაკები, ზოგან ლოდი 3-4 კუბომეტრი გამოვიდოდა. ამ გორაკების ძირის დიამეტრი 10-15 მეტრი იქნებოდა. ლოდებს შუა ლიხით დაფარული ნიადაგი ჩანდა. იშვიათი არ იყო მიწაზე გართხმული შავჯაგაც. ძეძვიანებში ნანახი შავჯაგასგან განსხვავებით, ის ლოდებზე იყო გართხმული. როგორც ჩანს, ასეთი ქვყარილების ერთ-ერთი პიონერი ბუჩქებიდან შავჯაგაა. შემდეგ შავჯაგაში საკმლის ხეც ჩნდება. საკმლის ხის გზის გამკვავი შავჯაგა უნდა იყოს, შემდეგ კი ჩნდება აკაკი, ქართული ნეკერჩხალი, თუთუბო, ბერყენა და ამრიალდება ნათელი ტყე!

– რაღა ქვებში ამოზრდილა საკმლის ხე. ამ გორაკის ირგვლივ უფრო სწორი ადგილი არ არის?

– ჯობია, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედო! ვაკის ნიადაგზე მარილის ხაშურია<sup>10</sup> (გლაუბერისა<sup>11</sup>), ასეთ ნიადაგზე მცენარეს უჭირს დასახლება. თუ სახლდება, ისიც თავისებური, მლაშნარი ბალახი ან ნახევარბუჩქი. მაგალითად:

ყარდანი, ხურხუმო, კალია. ასეთ მლაშნარზე საკმლის ხე, ნეკერჩხალი, ბერყენა ვერ ძლებს. გორაკებიდან კი მარილები წვიმას ჩაურეცხავს და შავჯაგა ადვილად ხარობს გორაკებზე. ასევე ადვილად სახლდება ისეთი მცენარეები, რომლებიც მარილებს ვერ იტანს.

მრავალმთა, გარეჯის ქედი, დოდოს რქის ქედი და, საერთოდ, იორ-ალაზნის წყალგამყოფი ზეგანი პლიოცენის სარმატის იარუსს მიუკუთვნება, რომელიც სარმატის ზღვის ტალღებისაგან გათავისუფლდა 6 მილიონი წლის წინ, დაიწყო ნელ-ნელა მცენარეებისგან ზღვის ნაფსკერალის „ათვისება“. მთები ძირითადად ქვიშაქვების, კირქვებისა და კონგლომერატებისგანაა შექმნილი. თავიდანვე ასე მომრგვალებული კი არ ყოფილა ამ მთის მწვერვალები. წვიმამ, მზემ, ყინვამ და ქარმა მოამრგვალეს და წაშალეს წახნაგები. ქარის მიერ მთის ქანების დაშლას ეოლიური ეროზია ეწოდება.

შემდეგში ის მცენარეებმა დაფარა. დასახლება კვლავ გრძელდება. შენ რომ თქვი, ერეკლე, თითქოს ვაჟკაცს მკერდზე სისხლი ჩამოსდისო, წითელი თიხა... აგერ ლურჯი, ყვითელი. ბევრი მათგანი დაუსახლებელია.

გიორგის საუბარი წკრიალამ შეაწყვეტინა.

ცხრატყავას ბუჩქიდან გნოლი ამოფრინდა და იქვე ჩაჯდა უროიანში, მერე ნელა წამოგოგმანდა. წკრიალა მისკენ გაქანდა. გნოლმა კვლავ შეიფრთხილა და კვლავ იქვე ახლოს ჩაჯდა.

– ან კრუხად ზის, ანდა წიწილები ჰყავს, ალბათ ბუდეს აარიდა წკრიალა. ნამდვილი გერგილი ძაღლია, ნამდვილი! – წამოიძახა მია პავლემ.

ერეკლე გაიქცა წკრიალასკენ, მოვაცილებო, მაგრამ მია პავლემ ურჩია, თავი დაენებებინა. წკრიალა გნოლს ვერას დააკლებს და შენც თელას ქერქი მაშინ შეხადე, როცა შეეხდებო. ეგრე გავარდნილ ძაღლს ვერ დააოკებო.

ცოტა ხნის შემდეგ ენაგადმოგდებული წკრიალა მია პავლესთან გაჩნდა და დამნაშავესავით შესცქეროდა თვალებში.

საურმე გზაზე გავიდნენ და ხმელხევი ძირს მოიტოვეს. მალე მხარმარცხნივ მიმავალ გზას ზურგი აქციეს და ნათლიცემის ქედს აყვნენ.

ქედი ერთგან ზეკარივით იყო ჩატეხილი (უღელტეხილი) და მას გაჰყვნენ. მხარმარჯვნივ თეთრი უდაბნოს ქედი იყო. ქედის ორივე ფერდო ნამდვილ უროს ბუსნარს<sup>12</sup> დაეფარა. ალაგ-ალაგ ძემძვი და შავჯაგა მოჩანდა მხოლოდ. სიცხემ იძალა და ბიჭებს ხის ჩრდილი მოანატრა.

– ცოტაც, ბიჭებო და ნათლისმცემელში გადავალთ, – დააიმედა ბიჭები პავლემ.

მართლაც, ოცი წუთის შემდეგ გადახედეს ყარაიას ველს. შორს მტკვრის ჭალა მოჩანდა, მის გადაღმა იაღლუჯი, ლიალვარი და თრიალეთი, ჩრდილოეთისაკენ კი კავკასიონი იწონებდა თავს.

ძირს, ყარაიას ველს ორი ხრამი გასდევდა, ფშატისა და მრავალწყლისა. წყალი არსად ჩანდა, თუმცა შეიძლება სადმე, ხევის ძირებში, ქვიშაში ფშა-ნაკადული მოწანწკარებდა.

მხარმარცხნივ ნათლისმცემლის კოშკი აიმართა, ის, რომელსაც სარტყელივით ზურმუხტოვანი ქაშანურის ფილები აქვს შემოვლებული. კოშკის ზურგს უკან კი გამოქვაბულები, სახლის ნანგრევები ჩანდა.

ვიწრო ბილიკს აუყვნენ და მალე ერთი ზღუდის შიგნით, კოშკის ძირას, ჩრდილში დაიდეს ბინა.

– მია პავლე, შენ შენს საქმეს შეუდექი. ბიჭებო, თქვენ კი ნაბადი გაიშალეთ და წამოწეკით. მე და შალვა მალე მოვალთ...

ერთი-ორი საათის შემდეგ გიორგი და შალვა დაბრუნდნენ. ჩანთები მცენარეებით ჰქონდათ სავსე. ორი ისეთ მცენარე ჭარბობდა, რომელიც დღემდე არ ენახათ.

– აბა ნახეთ, დამწვარი ფისის სუნი არ ასდის?

– გარეჯის სალბი ჰქვია ამ მცენარეს, პირველად ის ამ ორმოცი წლის წინ აღწერეს. ეს სალბი მხოლოდ აქ გვხვდება. ეს კი ჰალიმედენდრონია, ბუჩქი, პარკოსანთა ოჯახიდან. ამ პატარა ადგილის გარდა, საქართველოში სხვაგან ვერსად ნახავთ. ეს მცენარე შორეულია, არალ-კასპიის ზღვის მხარის ელემენტი. ჩვენში შორეულ წარსულში დასახლდა.

ბიჭები აღფრთოვანებული იყვნენ ნათლისმცემლის ტაძრით.

სადილის შემდეგ ისინი ქაშანურის აგურით მოოჭვილ, არშიაშემოვლებულ კოშკის ჩრდილში გულდასმით სინჯავდნენ გ. ჩუბინიშვილის „გამოკვლევას“.

ყველაზე დიდი ზიანი, როგორც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, გარეჯსაც მონგოლებმა და თემურ-ლენგმა, შემდეგ შაჰ-აბასმა, მიყენეს. მათ იავარყვეს ყველა მონასტერი, გადაწვეს და გადაბუგეს, ააოხრეს ისე, რომ მონღოლთა შემდეგ ბერთუბანი აღარ აღდგენილა. საკვირველია, რაც დარჩა, როგორ გადაურჩა ველურთა ურდოებს. ისინი წელიწადის დიდ დროს სწორედ ამ ველებში ატარებდნენ, მათი არვეები და რემები აქ ძოვდნენ.

დიმიტრი თავდადებულის დროს (1272 – 1286) გარეჯის ლავრა და ზოგიერთი მონასტერი კვლავ კეთილმოაწყვეს, მაგრამ თემურ-ლენგის შემოსევებმა XIV საუკუნის დასასრულს და XV საუკუნის დასაწყისში, კვლავ ააფორიაქა საქართველო; ცეცხლითა და მახვილით გადაიარა აღმოსავლეთ საქართველო, მოსპო და გაანადგურა სოფლები

და ქალაქები, კულტურის ცენტრები. გაბოროტებული იყო თემურ-ლენგი, რომ ვერ გატეხა ქართველები. ყოველი ახალი შემოსევა ახალი სისასტიკის ცეცხლს ანთებდა და, რასაკვირველია, არც დავითგარეჯის კომპლექსი დარჩა აუოხრებელი.

მონგოლთა შემდეგ ქართველი მეფეები გარეჯის მიწა-მამულს ხან მცხეთას უბოძებდნენ, ხან ნინოწმინდას. მონასტრებმა დიდხანს სული ვერ მოითქვეს. ჩაკვდა XII-XIII საუკუნეების მხატვრობის დიდი სკოლა, შემცირდა მწიგნობართა რიცხვიც, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისას აკეთებდა და XVII საუკუნის დასაწყისისათვის გარეჯი მოსულიერდა.

კვლავ დაცემა და XVIII საუკუნისათვის კვლავ შედარებით გამოცოცხლება ეტყობა გარეჯს. ჩვენი სულმნათი ლექსიკოგრაფი და დიდი პოლიტიკური მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი ხომ აქ შედგა ბერად და კარგა ხანს აქ მოღვაწეობდა. ალბათ, საბას ხშირი სტუმარი იყო მისი საყვარელი მოწაფე, მეფისწული ვახუშტი, დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

უკანასკნელმა ბერმა 1922 წელს დატოვა ლავრა.

– „ეჰ, გადამხდა გადასავალი, სხვა უარესა მოველიო“.

– ეგ რაზეა, მია პავლე, ნათქვამი?

– ერთი მთის წვერზე თავის ქალა ეგდო თურმე და ე მაგ სიტყვებს ის ამბობდა. შე უბედურო, მაგაზე უარესი რა უნდა მოგივიდესო? – უთხრა მელამ, რომელმაც გაიგონა და თათი წაჰკრა. თავის ქალა დაგორდა და მთის ძირას რომ საკირე გიზგიზებდა, შიგ ჩავარდა. აი, ესეც უარესი!

– ლავრა უნდა შეაკეთონ, გაამაგრონ...

– მე ბევრი არა მესმის რა, მაგრამ მაგ საქმეს უფრო მეტი ბეჯითობა სჭირდება, – ჩაურთო მორიდებით მია პავლემ.

– არც შენა ტყუი, ჩემო პავლე, მაგრამ, რაც შეგვიძლია, ყველამ ის გავაკეთოთ.

დავითგარეჯის მონასტერი გარეჯის ქედის უბეშია მოთავსებული, ამ უბის ორივე მხარეს გამოქვაბულების – სენაკების ორი სართულია გამოკვეთილი.

რკალის დასავლეთი ნაწილი შედარებით მაღალი ქედია, მის ძირში წყაროა – „დავითის ცრემლები“, ამ ფერდოს დაახლოებით 1000 კვ. მეტრი მოტიტვლებულია, ზედ ამოკვეთილია რუ-კვლები, რომლებიც თავს იყრის წყალსაცავში („არამედ იპყრობენ წვიმისაგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას“).

ლავრა შორიდან არ ჩანს. პატარა აღმართს აივლი თუ არა, მიაღებები დიდ კარიბჭეს, რომელიც ზემო ეზოში შეგიყვანს. კარიბჭე თლილი ქვითაა ნაგები და შუა ნაწილს დიდი წარწერა ამშვენებს. კარიბჭემდის ფერდოა მოშიშვლებული, „წვიმის წყლის შესაპყრობად“. ქვემო და ზემო ეზოში, ეტყობა, ბალი იყო გაშენებული. კაკალი, ხართუთა, ნუში, ლეღვი დგას. წყაროსთან ერთი-ორი ვაზიცაა, ისიც აკაკიზე ასული. 1923 წლის შემდეგ ამ ბალისათვის არავის მოუვლია, მხოლოდ აჩანაგებდნენ.

– აი, მეორე ვაზიც, – წამოიძახა გახარებულმა ერეკლემ.

– დავითის ცრემლის წყაროც აქ უნდა იყოს. ამ წყაროზე „წმინდანთა ცხოვრებაში“ შემდეგი წერია: „და ვითარცა მიიწვევნეს უდაბნოსა და ურწყულსა, მოეწყურად მათ ფრიად და პოვეს მცირე წყალი შეკრებული წვიმისაგან ნაპრალსა შინა კლდისასა და სუეს მისგან და დასხდეს განსასვენებლად ჩრდილისა რასმე კლდისასა“.

წყაროდან ბილიკი მიჰყვება ქედს, რომელიც მშრალი ადგილსამყოფელის ბუწუნართა და ჩირგვნართაა დაფარული. რასაკვირველია, აქ ძეძვია მთავარი, მაგრამ სირვაშლა, მენახირის ბალი, ხორციფერა, უძრახელა, ჯორისძუა, ცხრატყავა, შიშველ კლდეზე ამოსული და მიწას გართხმული ბერყენა, გლერმაც ბევრია. აქა-იქ ფომინის ზღარბაც ქმნის შედარებით თავისებურ ბალიშებს.

უდაბნოში რომ გადასულიყვნენ, ქედს აჰყვნენ. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, მაგრამ უკან მაინც არ იხედებოდნენ. ზედ ქედზე რომ ავიდნენ და ამოისუნთქეს, თვალწინ მშვენიერი სანახაობა გადაეშალათ. დასავლეთით მტკვრისა და ქციის ხეობა, ყარაიას ველი, იაღლუჯი და მარნეულის დაბლობი მოჩანდა, შორს კი თბილისი, გარეჯის ქედის გასწვრივ – ჩიჩხიტური, უკან ნათლისმცემლის მონასტრის კოშკი, დოდოს რქა. აღმოსავლეთით ბერთუბანიც უნდოდათ დაენახათ. მაგრამ ქედებს გადაღმა იყო და არ ჩანდა, სამაგიეროდ შორს, ჩრდილოეთით, ბურუსში ლურჯად ისახებოდა თოვლშემორჩენილი კახეთის ქედი...

როდესაც გაივალს, მათ წინ აღიმართა ადდგომის ტაძარი, ეს სწორედ ის ამაღლების ტაძარია, სადაც თქმულების მიხედვით, შაჰ-აბასის ურდომ ექვსი ათასი ბერი ამოწყვიტა. ამ ბერების სამარხი აკლდამები გამოკვეთილია დასავლეთსაკენ მიქცეულ კბოდეში. აკლდამებში დღემდე შემონახულია მრავალი ძვალი და თავის ქალა. აქ არის აგებული ტაძარი „მოწამეთა“.

უდაბნო, როგორც ჩვენი მკვლევარები ადასტურებენ, შაჰ-აბასის მოოხრების შემდეგ აღარ აღუდგენიათ და ასე იავარქმნილმა გამოიარა შემდგომი საუკუნეები. მიუხედავად ამისა, თავისი სიდიადე მაინც არ დაუკარგავს. აი, ერთი ტაძარი ჩამონგრეულა, კლდე, რომელშიც გამოკვეთილი ყოფილა ტაძარი, გარღვეულა და ნახევარი ძირს, მთის ძირას, ჩამოვარდნილა. მრავალი წლის განმავლობაში ფრესკებით დამშვენებულ კლდეებს ქარი და

ქარაზოტი სცემდა, თოვლი და წვიმა, ყინვა და ხორშაკი ებრძოდა, მაგრამ ფრესკებს ფერთა ელვარება დღემდე შემორჩენიათ.



**აღდგომის სახელობის ტაძარი**

კლდეები ათასნაირი წარწერითაა აჭრელებული. ზოგი თუ გუშინდელია და ვიღაც „გაიოზს“ სურს უკვდავყოს თავისი სახელი, ზოგიც XVI-XVIII საუკუნისაა: მლოცველები ავედრებენ უფალს თავის სულს. როგორც ჩანს, „უკვდავების“ მამიებლები წარსულშიც ბევრნი ყოფილან.

ნათლისმცემლის კლდეში ნაკვეთი ტაძრის სიგრძე დაახლოებით 16 მეტრია, სიგანე 8 მეტრი (გ. ჩუბინიშვილი მიხედვით 19X10 ნაბიჯი), როგორც ვხედავთ, ფართობი დიდი არაა, სამაგიეროდ, ტაძარი მაღალია, კლდეში გამოკვეთილი, ფანჯრებიდან სინათლე უხვად იღვრება. როდესაც დაბალი კარით ირაკლი და ვახტანგი შევიდნენ ტაძარში და წელში გაიმართნენ, გაოცდნენ სინათლით, სიმაღლით, თაღებით. დაავიწყდათ, რომ კლდეში გამოკვეთილ ტაძარში იყვნენ.

ვინ წარმოიდგენდა, რომ მღვიმეში სინათლისა და ჩრდილების ასეთი ჰარმონია შეიქმნებოდა. იფიქრებდით, უზარმაზარ თაღებიან დარბაზში ვიმყოფები, სადაც მაღლი ფანჯრებიდან დაუსრულებელი სინათლე იღვრებაო. ვახტანგმა თვალი დახუჭა და წარმოიდგინა ის დრო, როდესაც ტაძარი მოვლილი იყო და სუფთა კედლიდან ნაზი ფრესკები გადმოსაფრენად ემზადებოდნენ.

– ათასი წელის გაძლო, დღეს კი გველუპება!

– არც მასეა საქმე!

ბერთუბანი დავითგარეჯის მონასტრიდან, ცენტრიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთით, შუამთის ქედის ბოლოს მდებარეობს. დრეს ის აზერბაიჯანის საზღვრებშია მოქცეული.

ეს კომპლექსი სხვებზე მეტი თუ არა, ნაკლები არ არის. მისი ცენტრი უზარმაზარი, შესანიშნავად მოხატული ტაძარი და სატრაპეზოა, რომელთა ირგვლივ გამოკვეთილია მრავალი სენაკი.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც მხატვრობამ მოახდინა. რასაკვირველია, არქიტექტურა აქაც უნიკალურია: ტაძართა აღნაგობა, მასში სინათლის განაწილება საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს. მართლა საოცარია, ეს ფრესკები ღია ცის ქვეშ როგორ არ დაიღუპა.

ცალკეული ტაძრების მოხატულობა ერთი მთლიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩანს, მხატვრები გარკვეული გეგმით მუშაობდნენ.

ბერთუბანში სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე შემორჩენილია წმინდანთა და ანგელოზთა ფრესკები. ანგელოზებს ფრთები აქვთ გაშლილი, გეგონებათ, გარეთ სურთ განავარდებაო. ამ კომპოზიციის ქვემოთ დახატულია თამარ დედოფლისა და ლაშა გიორგის ორი ფიგურა. საქართველოში თამარ დედოფლის პორტრეტი ოთხ ტაძარში გვაქვს შემონახული: ვარძიაში, ყინწვისში, ბეთანიაში და ბერთუბანში.

თამარ დედოფალი პირმრგვალია, ნაზი, შუბლს გადასდევს გრძელი, მომშვილდული წვრილი წარბები. წინ ჩამოშვებული აქვს ხორბლისფერი კავები. კავებზე წარწერილია: „მეფეთა-მეფე თამარი“. მაშასადამე, დახატულია მამის, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მეფეთა-მეფის ტიტული მიენიჭა. ამ ტაძრის მხატვრის სიცოცხლე, გ. ჩუბინიშვილის აზრით, ტრაგიკულად დამთავრებულა, ამიტომ დასავლეთ ნაწილის დასრულება ვერ მოუხწრია. კონტურები მოუხაზავს, დახატვით კი ვეღარ დაუხატავს. ან მოკლეს, ან თვით გარდაიცვალა და მის ნახელავს სხვა აღარ მიჰკარებია.




**კოშკი და სამრეკლო**

„მთელი პოემა დაიწერება ამ ხელოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, – ფიქრობდა ერეკლე და შესცქეროდა დასავლეთ კედლის კონტურების მონახაზებს, – ალბათ მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. მხატვარი იყო, მაგრამ ხმალსაც კარგად იხმარდა“.

უდაბნოს ლავრის ტაძრის ფრესკები ხატვის მანერით ბერთუბნის სკოლას მოგვაგონებს, ხოლო საღებავები უფრო მუქია.

უდაბნოს ხარების ტაძარში ბევრია საინტერესო. აი, მაგალითად, ფრესკა – დავითის ლოცვის შედეგად იწვის გველეშაპი და ასევე სხვა ეპიზოდები წმინდანთა ცხოვრებისა.

ამ ტაძრის კედლებმა დღემდე შემოგვინახა დიმიტრი თავდადებულის პორტრეტიც. იგი სიგრძით თითქმის ორმეტრნახევრია. ტანსაცმელიც მდიდრული აცვია, თავზე თვალ-მარგალიტით შემკული გვირგვინი ადგას. ახალგაზრდაა, ქოჩორა, ჯან-დონით სავსე. XIX საუკუნის დასასრულს, თურმე კარგად ჩანდა წარწერა, ამჟამად დარჩენილი მარტო „დ...რე“.



**გარეჯის უდაბნოს საერთო ხედი**

უდაბნოს ტაძრისა და სატრაპეზოთა მოხატულობა ბერთუბნის მოხატულობაზე, მხატვრული თვალსაზრისით, ბევრად ჩამოუვარდება. ბერთუბანი თვალს იტაცებს კომპოზიციის სილაღით, ზომით, ჰაეროვნებით, აქ კი ყველაფერი თითქოს დამდაბლებულია, სამაგიეროდ, სიუჟეტთა სიუხვეა.

ყოველ შემთხვევაში, ყველა ამ ტაძრის ფრესკა XII-XIII საუკუნეების მაღალ კულტურაზე მეტყველებს.

– ბიჭო, რა უკან-უკან იხედები!

– „გული დარჩა ძველ ფრესკებთან“, ეს იყოს პირველი სტრიქონი იმ ლექსისა, რომელიც არ დაიწერება.

ძირს ყარაიას – „შავი გაზაფხულის“ ველი იყო გაწოლილი, ქეჩუთისა და თრიალეთის მთების დასალიერზე მზის ბურთი დაკიდებულიყო, ჩასვლას ლამობდა, ცა ათასფრად იღებოდა, მთები კი იისფრად კიაფობდნენ.

ცხელოდა, მაგრამ ოდნავი ნიავი მაინც ქროდა, იქნებ ამიტომ თქვა ვახუშტიმ, „ზაფხული გრილიო“, ან იქნებ ლავრის გრილ სატრაპეზოში იჯდა, როდესაც გარეჯის უდაბნოს ზაფხული ასე დაახასიათა.

ვგონებ, ეს კალმის შეცდომაა, მან ხომ ამისთანა ადგილებისათვის იცის თქმა, „ზამთარი ცივი, ზაფხული გაუსაძლისიო“, სწორეს ასეთი გაუსაძლისია აქაური ზაფხული.

### **მოგზაური თევზები და ქვესკნელის ზოოპარკი**

გიორგიმ და შალვამ საქმე რომ მოათავეს, მზე უკვე გადახრილიყო.

– თუ არ დაიღალეთ, ერთი თხუთმეტობდე კილომეტრი კიდევ გავიაროთ და „მოგზაურ თევზებსაც“ ვნახავთ.

– ვინ თქვა, დავიღალეთო? – იეშმაკა ვახტანგმა და ერეკლეს ხელი წამოჰკრა, – ადექი, ბიჭო, მოგზაურ თევზებს დავეწიოთ.

სახედრები დაბარგეს და ნათლიცემის ვიწრო ბილიკზე გამწვრივდნენ.



თითო-ორთა დაჩაგრული, ტოტემჩამომტკრეული და დაბეჩავებული ნუში, ლეღვი და თუთა კიდევ ჩანდა.

– თითქმის 50 წელია, პატრონებს ელიან, იქნება მოვიდეს ვინმე პატიოსანი კაცი, წყალი დაგვისხას, წელში გაგვმართოსო. ერთი ვაზიც ვნახე, არა, ვაზი კი არა, ვაზის ძირი – დედაწი, პატარა რქა ამოუტანია. წერაყინით მოვუჩიჩქნე მიწა, პატარა ყორეც შემოვავლე. რა დაგიმალა და, ცოტა წყალიც გავიმეტე, დავუსხი.

– კაცო, წყალი ისედაც ცოტა გვაქვს და...

–საქმე ის არის, ცოტა გაიმეტო, თორემ ბევრს რა გამეტება უნდა. ჩვენ წყალთან მივალთ, ვაზი კი დაბმულია, წყალთან ვერ მივა. ვაზი გაცოცხლდება, ყურძენს მოისხამს.

– მერე შენ რა?

– როგორ თუ რა? მაგის ნაყოფი რომ ვინმემ ნახოს, დაილოცება, ესეც კარგია. კაცი რომ სხვას ლოცავს, მაშინ კარგი გული აქვს და თუ ვინმეს გული გავახალისეთ, ცოტაა? თუ მაღალმა არ დაიწია და დაბალმა არ აიწია, ისე როგორ იქნება ქვეყნის საქმე? ვაზი ქართველი კაცის მშვენიერებაა, ჩემო გიორგი, აბა, შენ რა სწავლება გინდა?

უცბად რაღაცამ შეიფრთხილა და რუკრუკით თავზე გადაუფრინათ. კაკაბი იყო, აქ ხომ სწორედ საკაკაბე ხევებია. ბიჭებმა თვალი გააყოლეს, ხოხობზე ნაკლები სილამაზე არც კაკაბსა აქვსო, თქვეს.

ქარავანი ნელ-ნელა ეშვებოდა ძირს, ხევისკენ. წინ ქედანა მიჩაქჩაქებდა.

– აკი ქედანა ვედარ დადის, დავარდაო?

– „ფარა რომ მობრუნდება, კოჭლი ცხვარი წინ მოექცევო“. წინ მოჰყვა, დაღმართია, ბილიკი ვიწრო, რა ქნას? უნდა იაროს. ეგ მრავალწყალი ხომ არ არის? – პავლემ ხელი წინ გაიშვირა.

– მრავალი კი არა, ცოტაც არა ჩანს.

– ხომ იცი, ცოტაც ბევრად ჩანს იქ, სადაც არაფერია...

გაჰყვინენ უროიანს. აქ ურო ისე სქლად იყო, რომ ფეხქვეშ მისი ბუსნო ზამბარასავით იკეცებოდა და იშლებოდა. მალე ხირხატთან ფერდოს შეუყვინენ და უროც ძალიან შემცირდა. მისი ადგილი წივანიანმა დაიჭირა. წივანის პატარ-პატარა ქუჩები (ქუჩი) ერთმანეთისგან დაცილებული იყო 20-40 სანტიმეტრით და ამ თავისუფალ ადგილებში ახლა ურცი და ბეგქონდარა ყვაოდა, მის მოვარდისფრო ყვავილებს მხარს უმშვენიერებდა ქართული და მტკვრის საბეგველა, რომელთა მოწითალო ყვავილები მზის სხივებზე უფრო ელვარებდა, მაგრამ გაღმა ბექობზე რომ სპილოსძვლისფერ ყვავილებიანი საბეგველა მოჩანდა, მას მაინც ვერ შეედრებოდა.

– ამდენი ერთად?

– ეგ კახური საბეგველაა. ამ მხარისათვის, მშრალი ადგილებისათვის ტიპურია. ხრიოკებზე კარგად ხარობს და, როგორც ხედავთ, უფრო ადვილად მრავლდება. ხშირად ვაცისწვერასთანაც იზრდება.

გიორგიმ აპარატი მოიმარჯვა და აუყვა სერს. კახურსაბეგველიან, სამხრეთ ფერდობზე რომ გადაიხედა, ოთხი უზარმაზარი ბალახოვანი ბუჩქი შეამჩნია, მისი მრავალგზის დანაკვეთული ფოთლები ნახევარი მეტრის სიგრძის მაინც იქნებოდა, სიგანეც ნაკლები არ ჰქონდა. გაშლილიყო, ჩანდა, გვალვისა არ ემინოდა.

– აი, ეს ქარქვეტაა, მშვენივრად უძლებს გვალვას. ქარქვეტას ნორჩ ყლორტებს მწნილად დებენ, კარგი გემო და სუნი აქვს.

ბილიკს ქვევით ჩაუყვინენ. წინ გადაიშალა ყარაიას ველი. მარჯვნივ რუსთავის ქარხნების ბოლი მოჩანდა.

– ყარაია თურქული წარმოშობის სახელწოდებაა, ქართულად „შავ გაზაფხულს“ ნიშნავს. კაცი ვერ გაიგებს რატომ ჰქვია ასე, ალბათ, სანამ ბალახი გაიშლება, შავად ჩანს. ნაზამთრალ ჩარანასა და აბზინდას შავი ფერი გადაკრავს, სველი მიწაც შავია.

მალე მრავალწყლის ხეცს ჩაყვინენ. მართლაც, წყალი არსად ჩანდა, მაგრამ ალაგ-ალაგ ლელს დაეფარა კალაპოტის ძირი, ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ წყალი, თუნდაც გრუნტისა, ახლოს უნდა ყოფილიყო. აქა-იქ ქაცვი და ფშატიც მოჩანდა.

– ფშატიან ხევი ეს ხომ არაა?

– არა, ფშატიანი ხევი აგერ, გაღმაა. იქ ფშატი არც არის.

– ფშატიან ხევში ფშატი არ დგას?

– ვაზიანში ვაზი არ არის, კაკლიანში – კაკალი, მუხიანში – მუხა, მრავალწყალში – წყალი, – ჩაიღიმა პავლემ.

ნახევარი კილომეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ წყლის ჩხრიალი მოესმათ. კბოდეს ძირიდან ანკარა წყალი გადმოდიოდა და ქვიშაში მიიკვლევდა გზას.

– სახედრებს წყალი დავალევიანოთ! – და პავლემ მოათვალთვალა ხევში ჩასასვლელი ადგილი. მალე იპოვა კიდევ, წინა სახედარს აყაფმი<sup>13</sup> ხელი წაავლო და ჩაუძღვა. სახედრები ანკარა წყალს დაეწაფნენ. წყალი ცივი იყო, ოდნავ მომლაშო. პირზე შეისხეს, შეისვენეს და ხეცს გაყვინენ. უცბად მათ წინ ცუხცუხით მიმავალმა წკრიალამ ყურები ცქვიტა და გადახტა. ამ დროს ბუჩქებიდან ისკუპა მხარზე ყურებგადაწყობილმა კურდღელმა. ისე მიქროდა, რომ წკრიალა კი არა, გრძელკანჭა მწვევარიც ვერ დაეწეოდა.

ბიჭებმა ყიჟინა დასცეს. კურდღელი კბოდეს ქიმს მოეფარა. როდის-როდის გამოჩნდა ენაგადმოგდებული წკრიალაც.

მალე ხევის ძირში, ქვიშაზე ნაკადული გაქრა. მართალია, უდაბნოს დიდ მდინარესავით არ იკარგებოდა, მაგრამ როგორც უდაბნო იყო, ისეთი ხმელხევიც ჩანდა. სწორედ ამაზე იყო ზედგამოჭრილი: „რაც ტყე იყო, ის ნადირი გამოდიოდა“.

აზონდას ძირსა და ძირს შორის გამხმარ ეფემერს ფეხქვეშ ტკაცატკუცი გაჰქონდა და ილეწებოდა. ამ ეფემერებმა, ე. ი. ერთწლიანმა ბალახებმა, უკვე დაიყვავილეს და ჩააბნიეს თესლი.

ყველა ფიქრმა წაიღო. გადაწვერილი მზის სხივები გრძელ ჩრდილებს შლიდა ველზე, ნიავე ოდნავ ასისინდა. ისმოდა ნაბიჯების თანაბარი და მონოტონური ხმა, სახედრების ჩლიქების თრათქური. კორიანტელი დგებოდა, კარგა მანძილზე თვალს არაფერი ახარებდა. იცოდნენ, რომ მხარმარცხნივ იყო ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, უდაბნო, ლავრა და ეს ამაგრებდა მათ გულს ამ „შვ გაზაფხულზე“. შორს, დასავლეთით, მტკვრის გასწვრივ, ჭალა მოჩანდა.

– არ მომწონს, მართლა შავი გაზაფხულია! – წამოიძახა ერეკლემ.

– სამაგიეროდ, ეს ბალახები ზამთარშიც არ ჭკნება და ჩვენი ცხვრის საკვებიც ეს იყო; ერთი ზამთარი მეც გავატარე აქ ჩემს ახალგაზრდობაში. მოდის თოვლ-ჰყაპი, დაგდის თავზე და დგახარ ჯოხზე დაყრდნობილი, ხმის გამცემიც არ არის ახლომახლო. განა ახლანდელი დრო იყო, ახლა შერეკავ გამართულ ფარეხში ცხვარს და მიუჯდები რადიოს.

მზე უკვე გადაიწვერა, ლურჯ მთებს შეეხო და გამოჩნდა ლელიანი, მოშორებით კი რამდენიმე შენობა.

– ესეც ჯანდარის ტბა! ალბათ წინათ ჭანდარის ტბას ეძახოდნენ.

– რუსთავიდან გამოყვანილი ყარაიას არხი აქ ჩამოდის, წყალი აქ გროვდება, როდესაც სარწყავად არ იხარჯება.

– ძია არსენ, გამოიხედე კარში! – შესძახა გიორგიმ, როდესაც თევზმეურნეობის ერთ-ერთ სახლს მიუახლოვდნენ.

ძია არსენი გულმხურვალედ გამოეგება სტუმრებს.

– კაცო, ეგრე უნდა? რამდენი ხანია, აღარ გამოგივლია, ვთქვათ, ნადირობაზე აიღე ხელი, მებალახეობამ რაღა დაგიშავა? შენ კი, ჩემო პავლე, ეგ შენი ბედაურები მწვანეზე დააბი, შორს გაშვება არ იქნება, ლეკვებიანი მგელი დადის, ფშატანის ხევში უნდა ჰქონდეს ბინა.



**შოროქნის ცოცხი**

– მერედა, მახეების ოსტატი შენა ხარ და რაღას უცდი?

– მახე დავაგე და დილით ჩავყვეთ ერთი მაგ შენი ხირიმით.

ტბა საკმაოდ დიდი იყო, ნაპირის ნაწილი კი – ლელით შემოსილი. წყალს სადამოს სიო ოდნავ არხევდა.

ტბას თავზე იხვების გუნდმა გადაუფრინა, შემოავლო წრე და ჩაეშვა ლელიანების ძირში.

– აქ იხვები ბევრი იცის, ბატებიც მოდიან, ერთი-ორჯერ გედებიც მოფრინდნენ, მაგრამ ზამთარში უფრო იხვი და ბატია მრავლად. ჩრდილოეთიდან რომ მოფრინავენ, აქ ისვენებენ, აქ სხდებიან. ზოგი მთელი ზამთარი აქ რჩება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზამთარი თბილია.

თბილ ზამთარში ლელიანების ნაპირას წეროც ბევრი იცის, წერო ქციის ნაპირს და მტკვარსაც ეტანება. ბატი კი უფრო გარეულია. მართალია, ბევრია, მაგრამ მტერიც ბევრი ჰყავს: გარეული კატა, ლელის კატა, მელა, ქორი და მიმინო.

განა მარტო ბატი და იხვი რჩება ზამთარში აქ? აი, მწყერი თბილ ზამთარში უროიანებში, ან კიდევ ნაჩხატებში, ცოტა როდი გვხვდება ხოლმე. ბევრი იცის ღალღა, ჩიბუხა და სხვა, – უამბობდა არსენა, ჯანდარის წყალსატევის მეთვალყურე და თან ბადეს არჩევდა.

– ბიჭებო, გავიდეთ ტბაზე და ერთი-ორი კობრი დავიჭიროთ.

ბიჭები მაშინვე ნავში ჩასხდნენ, შალვამ და გიორგიმ კი მასალების ჩალაგება დაიწყეს. ის იყო დაამთავრეს თავისი საქმე, რომ ტბის ნაპირიდან მხიარული ხარხარი მოისმა. ვახტანგსა და ერეკლეს თითო უზარმაზარი კობრი ეჭირათ, არსენა კი ლოქოს მოათრევდა. მოიტანეს, მამის გვერდით დადეს.

– ძალიან ღონივრები ყოფილან, ბადე კინალამ გამოგვტაცეს ხელიდან. მია არსენამ ერთი 5-6 კობრი მაინც გადაუშვა წყალში, ამათ ჯერ აკლიათ გაზრდაო, თურმე ეს კობრი რუსეთიდანაა ჩამოყვანილი და აი, ამ შავი გაზაფხულის ველის ტბას კარგად შეჰგუებია, – უყვებოდა მამას ერეკლე.

მია პავლემ და არსენამ ამასობაში თევზები გაფხიკეს და დაჭრეს.

სალამო უკვე ჩამომდგარი იყო, როდესაც ვახტანგს შემოუსხდნენ.

– ნუ გეშინიათ, ამაღამ შინ დაგაწვენთ. ოთხი ოთახი ცარიელია, კოლო ვერას დაგაკლებთ, – დააიმედა არსენამ სტუმრები.

ამ დროს ერეკლემ კისერზე შემოიკრა ხელი, სილამ ტკაცანი გაიღო, ვახტანგს სიცილი წასკდა.

ბიჭები, მართალია, კოლომ შეაწუხა, მაგრამ მაინც კმაყოფილები იყვნენ. ბევრი რამ გაიგეს: ჯანდარის ტბა თბილისიდან 50 კილომეტრითაა დაშორებული. იგი საკმაოდ დიდია, სიგანე ორი კილომეტრი ექნება, სიგრძე – ხუთი. ჯანდარი ხელოვნური ტბაა, გარდაბნის მთავარი სარწყავი არხი აქ მთავრდება, გარეჯის მთის წინა კალთების ტაფობში, სადაც რწყვას გადარჩენილი წყალი გროვდება. გარე წრე 17- 18 კილომეტრს უდრის, საშუალო სიღრმე 4 მეტრია, მაქსიმალური – 9. ტბა მხოლოდ არხის წყლით იკვებება. წვიმის წყალი და თოვლის ნაჟური თუ მიემატება ხანდახან. ფსკერზე წყაროები არ არის.

დღევანდელ არხს, როგორც ჩანს, დიდი ისტორია აქვს. აბა ქალაქ რუსთავს ტყუილად ხომ არ ერქმევა რუსთავი. ვახტანგ VI გაიყვანა სარწყავი რუ: „ნაგებიდამ<sup>14</sup>გაიღო 94 მეფემან ვახტანგ რუ მტკვარისაგან“. ავბედობის დროს ის გაფუჭდა და მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში კვლავ აღადგინეს და მოქმედებს დღემდე. 1928/90 წ.წ. მოხდა სათავის რეკონსტრუქცია. ტბა თევზით მდიდარია, განსაკუთრებით კობრია მომრავლებული. ყოველწლიურად საშუალოდ 140 ცენტნერს იჭერენ. იყო შემთხვევა, 700 ცენტნერზე მეტი დაიჭირეს. კობრი ხელოვნურად მოაშენეს. მტკვრიდან გადმოსახლდა ლოქო, ჭანარი, ხრამული, წვერა, მურწა, შამაია, ჭერეხი, ჭრიტა. ჭერეხი და ჭრიტა მავნებელი თევზია, თურმე ქვირითსა და ლიფსიტას ანადგურებს.

ნაპირი ლერწმიანია. აქ მრავალი ფრინველი ბუდობს. ჩვენი ორნიტოლოგები ორმოცამდე ფრინველს ითვლიან.

დილაადრიან არსენა და მია პავლე კარში დაფაცურობდნენ.

– ასე ადრე რამ აგაყენათ? – გასძახა ერეკლემ ბადეაკრული ფანჯრიდან.

– ადრე ამდგომსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარიო, ხომ გაგიგონია?

ბიჭებმა სწრაფად გადაიცვეს ტანზე და გვერდში ამოუდგნენ.

ქვევით ჩაჰყვნენ ფშატთან ხევს, რომელიც ნათლისმცემლისა და უდაბნოს ქედს გასდევდა.

კარგა ხნის სიარულის შემდეგ არსენამ ხევში ჩაიხედა და გახარებულმა წამოიძახა:

– გაბმულა, მახეში გაბმულა!

ბიჭებმაც გადაიხედეს ხევში, მაგრამ თვალი ვერაფერს მოჰკრეს და მია არსენას მიუბრუნდნენ.

– საქმე ისაა, – დაიწყო მან, – მახე რკინისაა, კავიანი გრძელი ჯაჭვი აბია, როდესაც მახეში ცხოველი გაებმება, გაიწევის და მახეს აითრევს, მართალია, შორს ვერსად წავა, კავი და ჯაჭვი შეუშლის ხელს. მახე რომ არ აჰყვეს, ფეხს გადაიჭამს. აბა, პავლე, თოფი მოიმარჯვე.

კბოდის პირს გაჰყვნენ. მალე ერთ ფშატის ძირას დაინახეს გაბოროტებული, კბილებდაკრეჭილი ძუ მგელი.



ქარქვეტა

პავლემ აღარ დააყოვნა, თოფი დაუმიზნა.

– შენ გაატყავე, მე კი, ახლომახლო ბუნაგი იქნება, ლეკვებს ამოვსხამ.

– ლეკვებს რაღას ერჩით?

„თხას უთხრეს: მგელი მოკვდაო, თხამ კუნტრუში ქნა, გაიქცა, თხო! რა გაგხარებია, განა სამგელეთი დაიქცა? იმას რო დარჩა ლეკვები, ისინიც მგლებად მოიქცა“, – ჩაიმღერა მია პავლემ.

მართლაც, ბუნაგიდან მგლის ხუთი ლეკვი ამოსხეს. „მონადირეები“ მაშინვე უდაბნოს ქედისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ.

ჯერ ხურხუმოთი<sup>15</sup> დაფარული მინდორი გადაიარეს, შემდეგ ვრცელ ავშიანს შეუდგნენ. აქ ეფემერების გარდა ეფემეროიდებიც ბლომად იყო.

– ეფემეროიდები ბოლქვ-ტუბერ-ფესურიანი, ბალახოვანი მცენარეებია, რომლებიც ადრე ყვავიან და შემდეგ მთელ ზაფხულს მიწაში ატარებენ, – წამოიძახა ვახტანგმა, თუმცა მისთვის არავის უკითხავს.

მართლაც, გაზაფხულზე აქ ყვავის ენძელა, ზაფრანა, ყაზახა, ეიხლერის ტიტა, ბადიანა ზამბახი, ქართული ზამბახი (ესეც ჩვენი ქვეყნის ედემი), თეთრყვავილა, ძღწიორა, გარეული ხახვები, გაზაფხულის შოროქანი და კიდევ მრავალი სხვა. პირველად თუ მარტო მათი ყვავილი ჩანს, სამაგიეროდ, ერთ კვირაში უკვე მთელი თავისუფალი არე ტუბერიანი თივაქასრას ხასხასა მწვანე მოლით იფარება. გარდა ამისა, აქ იშვიათი არ არის შვრიელა და სხვა მისთანები. ყველა მათგანი სწრაფად ამთავრებს სიცოცხლეს, თესლი ითესება, იბნევა. მიწისქვეშა ნაწილებში, ბოლქვში (ძღწიორა, ტიტა, ენძელა, ყაზახა), ტუბერში (ტუბერიანი ნემსიწვერა), ფესურაში (ზამბახები) აგროვებენ საზრდოს, ამის შემდეგ უხმებათ მიწის ზედა ნაწილი, აბნევენ თესლებს და ისვენებენ მიწაში მომავალ გაზაფხულამდე.

ქარს შორს მიაქვს მცენარის გამხმარი ნაწილები და ჩნდება მუქი მიწა, ზოგჯერ ხაშურით დაფარული. ზაფხულში საქონელი ამ ადგილებს არ ეკარება, რადგან არ შეუძლია აბზინდის ჭამა, მის ღეროში და ფოთლებში ფრიად მკვეთრსუნიანი ეთეროვანი ზეთებია, სანამ მას ყინვა არ მოხვდება და ამ ეთერებს არ დაშლის, საქონელი პირს არ დააკარებს.

გადაჭრეს წყალმრავლის ხევი და აჰყვნენ უდაბნოს ოდნავ დახრილ ფერდს.

– ეს რაღაა? ორმოებია თუ წყალსაცავები? – იკითხეს ბიჭებმა.

მართლაც, აქა-იქ თითო მეტრის სიღრმის, სიგრძე-სიგანით ათმეტრიანი წყალსატევები ჩანდა. შემოდგომა-ზაფხულში წვიმისა და თოვლის ნაჟური წყალი აქ გროვდებოდა. რადგან ახლომახლო ცხვრის დასარწყლებელი სხვა არაფერი იყო, ამით იოლას გადიოდნენ.

მხარმარჯვნივ მოიტოვეს ძველი ბინები და ის იყო, უნდა შესდგომოდნენ დაკიდებულ ფერდოს, რომ გიორგი შეჩერდა.

– აბა, ბიჭებო, მოიმარჯვეთ თქვენი წერაყინები! – და ერთი კბოდესკენ გაუძღვა.

მალე მიადგნენ ფლატეებს. მამის რჩევით, ბიჭები ფრთხილად თხრიდნენ ფლატის კედელს, გიორგი და შალვა ნიჩბით მუშაობდნენ. მია პავლემ ბარგი მოხადა სახედრებს.

– აქ ალბათ განძი გაქვთ დამარხული, ჩემო გიორგი, არა? – ჰკითხა მია პავლემ გიორგის.

– ამბობენ, აქ ქვესკნელის ზოოპარკის კარიაო.

ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ მუშაობას. გიორგის ვარაუდით, ჩვენმა პალეონტოლოგებმა შორეული წარსულის ცხოველების ჩონჩხი სწორედ ამ ადგილებში ნახეს.

ერეკლეს წერაყინი რბილ თიხაში რაღაცას მოხვდა და დაიწვრიალა.

– ვიპოვე, განძი ვიპოვე! – და წერაყინი მაგრა მოიქნია.

– ფრთხილად! – გიორგიმ ერეკლე უკან დააყენა, მიწა ბარულათი გადმოჩიქნა და კარგა მოზრდილი თეთრი რაღაც გადმოაგდო.

– აი, ბედიც ამას ჰქვია! – გაუხარდა და „ლოდს“ გასუფთავება დაუწყო. ამ „ლოდის“ სიგრძე-სიგანე 15X35 სანტიმეტრი მაინც იქნებოდა.

– აბა, დააცქერდით, რას გავს?

– ეს ხომ კბილია?

– დიახ, კბილია. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი პალეონტოლოგებისათვის კარგი საჩუქარია.

– სწორედ აქ ნახეს ერთ-ერთი გადაშენებული ცხოველის, დინატორიას ჩონჩხი. შემდეგ უდაბნოსთან ლ. გაბუნიაძე იპოვა მეორე, უფრო კარგად შემონახული ამავე ცხოველის ჩონჩხი. ელდარში სპილო ნახეს. მისი ჩონჩხი ჩვენი მუზეუმის ეზოში არ დგას?

სპილოს კბილი კიდევ იპოვეს გორის მუზეუმის სამირკველის თხრის დროს. ეს კბილი გადაშენებული, ადრე იტალიის ნამარხებში ნანახი ჯუჯა სპილოსი უნდა იყოსო, – დაადასტურეს ნამარხების სპეციალისტებმა.

წინანდალში, ღვინის ქარხნის სამირკველის გათხრის დროს, აღმოჩნდა ნამარხი მარტორქას ჩონჩხი. ეტრუსკული მარტორქა ტიპური ცხოველია ზემო პლიოცენისა, იგი ამ ექვსიოდე მილიონი წლის წინათ დაეხეტებოდა აქ გარცელებულ სუბტროპიკულ ტყეებში. ამ მარტორქამ მეოთხეულის დასაწყისამდე მოაღწია.

დუშეთის მახლობლად იპოვეს თვისებური ჟირაფის ჩონჩხიც.

ერთი სიტყვით, ამ დღევანდელ ჩვენს უდაბნოებში გვხვდება ტროპიკული და სუბტროპიკული ტყეების ბინადარი, აგრეთვე ღია ლანდშაფტის გადაშენებული ცხოველები, აი, მაგალითად, ჟირაფი. რასაკვირველია, მაშინ მართო ის კი არ ცხოვრობდა, რომელთა ჩონჩხები იპოვეს, ბინადრობდნენ სხვებიც, რომელთა ჩონჩხები ჯერ კიდევ არ აღმოუჩენიათ.

პლიოცენი რომ გაცოცხლდეს თავისი მცენარეებით, მდინარეებით, ზღვისპირებით, აქ გვექნებოდა უზარმაზარი შესანიშნავი ზოოპარკი. გვეყოლებოდა სპილოები, მარტორქები, ბეჰემოტები, ჟირაფები, ნიანგები და ათასი სხვა. ჩვენში, საქართველოში, ეს პერიოდი ფრიად საინტერესო ჩანს, ტყეები ფერდობებზე იყო შეფენილი, ვაკეები კი უფრო ღია ლანდშაფტის იერს ატარებდა. – დაასრულა თხრობა გიორგიმ.

ჩვენმა მგზავრებმა სახედრები კვლავ დატვირთეს და ნელი ნაბიჯით შეუდგნენ უდაბნოს საკმაოდ შვეულად დაკიდულ ქედს. სახედრები ნელ-ნელა მიიწევდნენ მაღლა. გზადაგზა მასალებს აგროვებდნენ.

როგორც იქნა, გადაიარეს ქედი და მათ წინ გადაიშალა შესანიშნავი ვაციწვერიანი ველი.

### **უდაბნო უდაბნო არ ყოფილა**

„გარეჯის უდაბნო“, როგორც ჩანს, უფრო რელიგიური სახელწოდებაა, – ასკეტ ბერთა თავშესაფარი, ურწყული, „სადაც მზე ისე გზავნიდა სხივებს, რომ შიწოდა ყოველი“. სამხრეთ საქართველოში არსად ბუნებრივი უდაბნო არ არის. აი, რას წერს მემპტიანე: გიორგი II დროს რომ თურქობა იყო, მაშინ „და მესავე ერთსა დღესა დაწუეს ქუთაისი და არტანუჯი, და უდაბნონი კლრჯეთისანი“... ესე იგი მონასტერნიო... უდაბნო ანუ ბერთა თავშესაფარი.

გეოგრაფიული უდაბნო არის უწყლო მხარე, ქვიშითა და ქვით დაფარული. ტერიტორიის უდიდესი ნაწილზე მცენარეულობა არ გვხვდება და იქ, სადაც მცენარეა, ჯერ თანასაზოგადოება ჩამოყალიბებული არც არის. ნალექი მეტად მცირეა (50-150 მმ) და ისიც წლის განმავლობაში არათანაბრადაა განაწილებული. ხშირად ზაფხული და შემოდგომა უნალექოა, ტრიალებს ხვატის აღმური, არის პაპანაქება და ქვიშის კორიანტელს აყენებს ცხელი ქარი. ადამიანს სუნთქვა ეკვრის, გული ეხუთება.



**ქართული ზამბახი**

გარეჯის უდაბნოში კი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მცენარეებითაა დაფარული, ხევებში და ჩრდილიან ფერდობებზე ბუჩქები და ხეები გვხვდება. მართალია, ზოგი ბალახი და ბუჩქ-ხეები განსხვავდება საქართველოს სხვა ნაწილის მცენარეებისაგან, მათ უდაბნოსთან პირდაპირი გენეტიკური კავშირი აქვთ. აქა-იქ არის წყაროებიც, ბევრი მათგანი მლაშეა, მაგრამ არის მტკნარიც და მომლაშოც, რომელთა დალევა შეიძლება. ბევრგან კბოდების ძირში ნაწრეტიც მოჰყონავს. წყაროდან წყარომდე რამდენიმე დღის სავალი არაა, როგორც უდაბნოში.

როდესაც ფერდოდან ზეგანზე ავიდნენ, გაოცდნენ, მთელი ზეგანი დაფარული იყო უცნაური მცენარით, რომლის ვერცხლისფერი ულვაშები ნიავის ქროლვაზე ოდნავ ქანაობდა, თითქოს სამხრეთიდან აღმოსავლეთისკენ გარბისო.

– „რამ მოგკლა, უთანელაო,

– მზეკაბანთ ქანებაშაო“, – უპასუხა უთანელამ, რომელიც ყანის მკის შემდეგ ოფლში გახვითქული ჩრდილში ისვენებდა, – წამოიწყო მია პავლემ.

– რაო, რაო?

მზეკაბანი ნიავისა და ქარის მიერ ყანის ღელავა. როცა მკის დროს მზეკაბანი ყანას უვლის, თავთავი მკერდში სცემს მომკვლს. აი, ახლა ამ ვაციწვერასაც მზეკაბანი ურბენს. ხედავთ, როგორ ღელავს? თითქოს ტალღა ტალღას მისდევს, – განაგრძობდა მია პავლე.

მართლაც, ძალიან ლამაზი იყო ამ დროს ვაციწვერა. დასავლეთიდან ალმაცერი სხივი სცემდა, ნიავი სისინებდა და თავთავის გრძელი საფრენიანი ფხები აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა მიქცეული, იფიქრებდით, მთელი ველი აყრილა და გარბისო. ამ „გაქცევამ“ ბიჭებზე ისე იმოქმედა, რომ მიუხედავად დაღლილობისა, მოწყდნენ ადგილიდან და ვაციწვერას უღვაშით წაჰყვნიენ ნიავის ფრთებს.

როდესაც შემობრუნდნენ, სახედრებს ბარგი უკვე მოხდილი ჰქონდათ; გიორგი და შალვა ჩასჯდომოდნენ ვაციწვერიანს და იწერდნენ, ნიმუშებს იღებდნენ. ბიჭებიც სწრაფად ჩაებნენ მუშაობაში.

ვაციწვერა ბუჩქსა ქმნის, მას შარშანდელი ღეროფოთოლი, ბუსნო, ჯერ კიდევ შერჩენია, არ დამპალა. ქუჩის სიგანე 25-40 სმ-ა. ბუსნოში ამოზრდილია მრავალი წვრილი ღერო და ფოთოლი. ღერო ხშირად 50-75 სმ. სიგრძისაა, ზედ თავთავია და თავთავში მოთავსებული ყოველი ფხა გრძელი და წვრილი საფრენით თავდება. ფოთოლი და ღერო რაკი წვრილია, მცენარეც იქითკენ იხრება, საითკენაც ნიავი უბერავს და ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ველი „გარბის“ – თესლი, მარცვალი, ფხიანად წყდება თავთავს და ბუსუსიანი ფხის ბოლოს დახმარებით ნიავეს და ქარს შორს მიაქვს. ჩვენებური ვაციწვერას მარცვალი ისე მავნებელი არ არის, როგორც ამერიკული პრერიების ვაციწვერისა. როდესაც პრერიის ვაციწვერას მარცვალი პირუტყვის დაეცემა, სიცხის დროს ფხა იხრახნება და თანდათან კანში ჩადის, სიგრილის დროს იშლება, სიცხისას კვლავ იხრახნება და თანდათან ხვრეტს კანს, ამიტომ პრერიებში ნამოვები საქონლის ტყავი დიდად არ ფასობს, – მისგან დამზადებულ ლანჩაში წყალი შედის.

პავლემ და ვახტანგმა ორმოს თხრა დაიწყეს, ერეკლე მამას და შალვას ეშველებოდა. ქუჩსა და ქუჩს შორის ხარობდა ველის წივანას უფრო პატარა ქუჩები: კეწეწურა, ველის კბილანა თივაქასრა, მელისკუდა, ღერომრავალი კოფრჩხილა, ლურჯი იონჯა, მზიურა, ქარქვეტა, რომელთა შორის კენარი ღერო მაღლა აეწია თავქუჩქუჩა თეთრ და ფაფუკ ყვავილედთან ქაფუნას. აქა-იქ ჩანდა კახური საბეგველას სპილოსძვლისფერი და ქართული საბეგველას პირისფერი ლამაზი ყვავილებიც. აქ გვხვდება შედარებით მაღალი და მოშავოფოთლებიანი ძირტკბილა, ტანწერწეტა, მაღალი, ქარის ქროლვაზე ოდნავ მოქანავე ტუბერიანი ჯინჭარა და შედარებით დაბალი, ტოტმრავალი, ვაციწვერებში კრუხივით ფრთებგამილილი პირისფერყვავილიანი ეკლოვანი ჯინჭარა. მიწაზე გართხმულიყვნიენ ბეგქონდარა, ურცი, თეთრი ბამბიქულით შემოსილი ჭარელა, ყვითლყვავილა მუზარადა, შორიახლო წამოწეულიყო მწყემსის გამხარებელი ფამფარა.

– „მწყემსმა თქვაო, მენახირედ როცა დავდექი, ფამფარა მაშინ გაწყდაო“, – შეაშველა სიტყვა ძია პავლემ გიორგის, როდესაც მან ფამფარა ქაღალდებს შუა მოაქცია.

– აი, ესეც მეორე ფამფარა, – შალვამ ზევით ამოაგდო თვის ბოლოკის სიმსხო ძირი და გაფცქვანა, სუფთა ძირი მაშინვე რძით დაიფარა. მერე გემო გაუსინჯა და „არა უშავს რაო“, წაიდუღუნა. ბიჭებმაც მაშინვე გასინჯეს.

– გემრიელი ძირი თეროსაც აქვს. – ძია პავლემ მიათვალ-მოათვალიერა. მალე იპოვა კიდევ პირისფერყვავილა თერო და ამოთხარა. შავ ფესვებზე რამდენიმე მსხვილი, თხილისოდენა გორგალი ეკიდა. – მაჩიტას ძირი კიდევ უფრო გემრიელია! რძე იმასაც აქვს! – დაუმატა მან.

– „გაჭირვება მიჩვენე და გზას გიჩვენებო“, ამ გაგანია დღეს მარტო მწყემსმა რა აკეთოს, ხმის გამცემი არავინა ჰყავს. არც ხილი აქვს, ეძებს, არჩევს და პოულობს საჭმელ ბალახებს.

– ასე ეძებდა ჩვენი შორეული წინაპარც საკვებს. პირველად ადამიანმა პირუტყვის მოშინაურება დაიწყო. მინდორ-ველად საკვები ბალახების ძებნა და ამორჩევა მცენარეთა მოშინაურების სათავეა.



**კასრის წყლის ველები**

თითქოს ერთმანეთს ექიშებოდნენ სხვადასხვა მოსაზრებების გამოთქმაში.

– უჰ, რა შავია ეს მიწა... – წამოიძახა უცებ ერეკლემ.

– აი, სწორედ ამას ეძახიან შავმიწა ნიადაგს. ვაციწვერას სწორედ ასეთი ნიადაგი უყვარს. ურო კი წაბლა ნიადაგებს ეტანება, თუმცა ისეთი გამძლეა, რომ ყველანაირ ნიადაგზე ხარობს.

– ეს რამდენნაირი ვაციწვერა ყოფილა?! – გაუკვირდა ერეკლეს, როდესაც დახედა ხელეურებად დალაგებულ სხვადასხვა ვაციწვერას, რომლებიც შალვას საჭერბარიუმო ბადეში ჩასალაგებლად დაემზადებინა.



აქ იყო წვრილფოთოლა ვაციწვერა, რომელიც ყველაზე მეტადაა გავრცელებული. შავმიწებზე უმთავრესად ის ქმნის ვაციწვერიან ველებს. შოვიცის ვაციწვერა კლდის ქსეროფიტებში გვხვდება. ლამაზი ვაციწვერა წვრილფოთოლა ვაციწვერასთანაა აქა-იქ ჩათესლილი. ბეწვიანი ვაციწვერა უფრო ხშირია შედარებით სუსტად გამოსახულ შავმიწა ნიადაგზე. იოანის ვაციწვერა გვხვდება ხირხატთან ნიადაგებზე, მასთან ერთად გვხვდება აგრეთვე ბეწვიანი ვაციწვერა, ლესინგის ვაციწვერა, თითო-ოროლა წვრილფოთოლა ვაციწვერაც გამოერევა ხოლმე. სხვა მარცვლოვანებიდან ჩვეულებრივია: წივანა, კეწეწურა, ველის მელაკუდა; ნაირბალახეულობიდან გვხვდება ლამაზი მახათა მიხაკი, გერმანული მზიურა. ქართული ფსეფელუსი, კოფრჩხილა, ქარქვეტა, ლურჯი იონჯა, ბუნგეს გვლერმა, გვლერმა, კახური საბეგველა, ურცი, ბეგქონდარა, მუზარადა და სხვა მრავალი.


აქ, ამ პლატოებისთვის ჩვეულებრივია ძალიან მშრალი, ტიპური ქსეროფიტული ველიც. ამ ველის ნიადაგი ხირხატია, წვიმის წყლისაგან ადვილად იწრიტება. მარცვლოვანებიდან ხარობს ვაციწვერა, ურო, კეწეწურა. ნაირბალახეულობიდან კი ბევრია ბეგქონდარა, ურცი, მუზარადა, ქაფუნა, კოფრჩხილა, ბეგიაური, მიწას გართხმული ისლი. გაზაფხულზე ველი თავისი სილამაზით და ნაირფერობით არ ჩამოუვარდება მაღალმთის მდელოს.

ველი შინაარსით უფრო ღრმაა, თითქოს დაუსრულებელი. ვისაც ველი ამ დროს არ უნახავს, რასაკვირველია, ვერ იგრძნობს ვერც მის მშვენიერებას, ვერც იმ სურნელებს, რომელიც ამ დროს, განსაკუთრებით სადამო ხანს დგას. თითქოს საკმევლს წვავენ და ნაირ-ნაირ სურნელს აკმევენო. ველი, მაღალმთის მცენარეულობასთან შედარებით, იმითაცაა მდიდარი, რომ ზაფხულში აქ მცენარეულობა ხუთჯერ და შვიდეჯერ იცვლება, გაზაფხულის პირველ მახარობლებს მოსდევს ეფემერები. ეფემერები დაიყვავილებს და წამოვა ბაია და მისთანები. ისინი რომ დაიყვავილებს, მათ მოჰყვება პარკოსნები, ტუჩოსნები; ცოტა ხნის შემდეგ აყვავდება ველის ძირითადი მარცვლოვანები, აგვისტოსთვის ესენიც დაიყვავილებს, დარჩება რამდენიმე ნარი და ნარეკალა. შემოდგომაზე წვიმები დაიწყება და ველი კვლავ გაიღვიძებს. იძინებს მეორედ, გვიან ზამთარში.

სამხრეთის ფერდობზე, ხირხატთანზე იშვიათი არ არის წივანას მიერ შექმნილი ველი. ასეთ ადგილებში მძლავრობს ურცი, ბეგქონდარა, ქართული ესპარცეტი, მუზარადა. გვხვდება შუა აზიისა და ირანის ქსეროფიტები – ჩვენთან დამპყრობლებთან ერთად ხრიოკის მცენარეებიც მოდიოდნენ თურმე.

– ჰოდა, ტყის ზოლებით უნდა გადავუღობოთ გზა! – დაასკვნა გიორგიმ.

იქ, სადაც ფერდო ჩადაბლებულია და გრუნტის წყალი გამოდის, მდელოს მცენარეები იშვიათი არ არის. ასეთ ადგილებში ვიწროფოთლება მარცვლოვანები აღარ ჩანს, ან იშვიათია. გაბატონებულია ფართოფოთლოვანი მარცვლოვანები: მტრედისფერი ჭანგა, კაპუეტა ჭანგა, ციმბირული ჭანგა; ერევა ურო, აგრეთვე შორაქნის ცოცხი, კეთილშობილი ფარსმანდუკი, პატარა ფარსმანდუკი, ფამფარა, იონჯა, კოფრჩხილა, მოყვითალო მატიტელა და სხვ.



**ველებში ცხვრის ფარა**

ის იყო, მცენარეთა ჩალაგება დაამთავრეს, რომ ბეჭობიდან სამი მხედარი ამოვიდა. შორიდან ვერ იცნეს, მაგრამ რომ მოუახლოვდნენ, გიორგის სახეზე სასიამოვნო ღიმილმა გადაურბინა, მოსულები სწრაფად დაქვეითდნენ, ქუდები მოიხადეს ქუდები და გამარჯობა უსურვეს დამხვდურებს.

– სად არ გნახავთ კაცი, ბატონო გიორგი!

– „მწევარი კურდღლის გზაზეო“, – ჩაურთო სიტყვა პავლემ.

ყველას გაეღიმა, მოსულებმა ბიჭებს ხელი ჩამოართვეს, შალვას მიესალმნენ, პავლეს გაუღიმეს, ყველას თითო-ოროლა ტკბილი სიტყვა უთხრეს.

– რაზე გარჯილხარ, ლევან, რას დადიხარ ამ ჩვენს უდაბნოში? – ჰკითხა გიორგიმ.

– კაპუეტა ჭანგას შალდამები<sup>16</sup> მოვნიშნეთ, მალე შემოვა და თესლი უნდა შევავაროვოთ. გავერანებულ სამოვრებში ჩავთესავთ...

– ეგ მართლა კარგი საქმეა. ბეგის გადაღმა ხომ ნახეთ?

– იქიდან ამოვიარეთ სწორედ, ორი-სამი კვირის შემდეგ კაკაბელები ჩამოვლენ და შეაგროვებენ.

მალე სტუმრები ყარაიას ველს ჩაუყვანენ.

ზოგან ეს მდელი კაპუეტა ჭანგისგანაა შექმნილი. მასთან ერთად ხშირად მტრედისფერი ჭანგაც გვხვდება, მაგრამ ეს ჭანგა და მეთერის აზინდა უფრო ხშირად მშრალ და მლაშე ადგილებს ეტანება. ამ ადგილებში ამათ გარდა იშვიათი არ არის ურო, ლესინგის ვაციწვერა, იონჯა, მცირე ციურა და სხვა მშრალი ადგილების მცენარეები.

– ბიჭებო, ხომ არ დაიღალეთ? – იკითხა გიორგიმ.

– აჰ, არა. ბუჩქები აღარ ჩანს?

– ბუჩქები ხომ დოდოს რქის ძირას ვნახეთ, ხევებში.

– ნათლიცემის ქედზე ხეებიც იყო.

– მართალია, იყო. ხევის ძირებში გვხვდება თელა, აკაკი, ფშატი, საკმლის ხე, მაგრამ ეს მხარე მაინც ბალახის მხარეა. ძირს, ვაკეებზე მლაშობები სჭარბობს, ზეგნებზე კი – ვაციწვერას, უროს, წივანას ველები. ბუჩქებიც არის, მაგრამ ძირითადად მაინც მშრალი ადგილების ბუჩქებია: ღვიები, ჯორისძუა, გრძელმუხლა და მაღალი, ჯაგრცხილა, კვრინჩხი, კუნელი, ქართული კოწახური, ლეღვი, ხორციფერა, ჟასმინი, მენახირის ბალი, უძრახელა, ფუჭფუჭა, თრიმლი, თუთუბო, ქართული ცხრატყავა, გრაკლა.

– რა ვქნა, ე, ძეძვი, რას გავიწყდება.

– მე რომ დავივიწყო, ის არ დამავიწყებს თავს, ძეძვიანები ველის ფარგლებში ყველაზე მეტია მთის წინა კალთებზე. საკმარისია, ტყეს ნირი შეუცვალო, უთავბოლოდ გაჩეხო, საქონელი შეუშვა და მაშინვე ძეძვი წამოსკუპდება.

– ნეტა კაცმა რამეში გამოიყენოს. ერთი ეგაა, ღობედაა კარგი. „მინდორში ბალი ვაშენე, ღობე შევაველე ჯალჯითაო“.

ჯალჯი სწორედ ძეძვის და სხვა ეკლიანების კონაა.

– ძეძვი ცხვრის დიდი მტერია. როდესაც ცხვარი ძეძვიანში შედის, ნახევარი მატყლი ეკალზე რჩება, ცხვარი იღვერება...

მოდოდნენ და მოსაუბრობდნენ, დღევანდელი დღით კმაყოფილები.

მხარმარცხნივ დარჩა უდაბნოს მონასტერი.

– გადავიდეთ, ვნახოთ კიდეც!

– ხომ იყავით ამ ხუთიოდე დღის წინ?

– კიდეც ვნახოთ, რა დაშავდება!

– პავლე ძია, შენ შენი ქარავნით აღდგომის ტაძართან დაგვიცადე, სუფრაც იქ გაშალე.

საღამოვდებოდა, როდესაც ქედზე ავიდნენ. აღდგომის ტაძრის ჩრდილში ძია პავლეს სუფრა გაეწყო.

ცა ათასნაირი უცხო ფერით იმოსებოდა, ლურჯი, იისფერი, წითელი, ზანგელა, სოსანი ერთმანეთში არეულიყო. უცნაური ფერთა შეხამება, უცნაური სიჩუმე, სიწყნარე სუფევდა.

ყველა გარინდებული გასცქეროდა ხან აღმოსავლეთსა და ხან დასავლეთს.

– კაცო, გეყოფათ ცაში ყურება! მოდით, შენაყრდით, – შესძახა პავლემ.

ფერდოს ჩაჰყვანენ, ლავრის ეზოში ორი თუ სამი საბარგო მანქანა იდგა. ხალხი ირეოდა ზემო ეზოში.

– აგერ, ხედავ?

– იწყებენ! – და ყველას სიამის ღიმმა გადაჰკრა.

– გარეჯის უდაბნო უდაბნო არ ყოფილა! – დაასკვნა ერეკლემ.

– ჰო, უფრო ველია. გაზაფხულზე მწვანედ დაღანებს. დადგება ცხელი ზაფხული და გადაიხრუკება ყველაფერი. მცენარე თითქოს იძინებს, ელის უკეთეს დროს, ხოლო შემოდგომის პირას, როცა წვიმები დაიწყება, ველი კვლავ იღვიძებს, – წამოიწყო ვახტანგმა.

– ეგ საიდანღა იცი?

– შენს წიგნში წავიკითხე!

– გარეჯში ბევრია მეტად საინტერესო მცენარე, მაგალითად, მარტო გარეჯში გვხვდება კბილა თივაქასრა და გარეჯული სალბი. ესენი საქართველოს ენდემებიც არიან და გარეჯისაც. მარტო გარეჯში იზრდება არალ-კასპიის ოლქის ელემენტები – „ჰალიმა დედრონო“. საქართველოს და ამიერკავკასიის ენდემებიდან იზრდება ფომინის ზღარბა, სტევენის ფეოპაპუსი – ლამაზყვავილიანი, რთულყვავილოვანი; თურქესტანის ელემენტი – რქიანი ზუედა და სხვა მრავალი.

როგორც უკვე ვთქვით, ზუედა და სხვა მისთანები აქ იზრდებიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი შუა აზიის ცხელი ქარების დიდი გავლენის ქვეშაა მოქცეული და თუ ამას დაემატა ადამიანის უდიერი მოპყრობა ტყისადმი და, საერთოდ, ბუნებისადმი, ამით ხელს შევეუწყობთ ხრიოკი და უდაბნოს მცენარეების გამრავლებას; ასე ჩამოხრიოკდებიან ჩვენი ლამაზი მთის ფერდოები, უდაბნოდ გადაიქცევიან, მოისპობა ბალიცა და ვენახიც, პლანტაციებიცა და სახნავებიც.

- უნდა ვეცადოთ, ჩვენი აღმოსავლეთი შუა აზიის ცხელი ქარების გავლენის ქვეშ არ მოექცეს.
- ამიტომ ტყის ზოლები უნდა გავაშენოთ. რა ჯიშებია კარგი? – იკითხეს ბიჭებმა.
- აი, ჩვენ ხომ ვნახეთ თელა, აკაკი, კუნელი, საკმლის ხე, ღვია, თუთუბო, ფშატი. ამას დაემატება ისეთი ეგზოტიკურებიც, რომლებიც ასეთ ადგილებშია ნაცადი.
- იშრიალებენ ტყეები...
- დასახლებიან ჩიტები...

### გავარვარებული ზღვის პირას

ლავრის ეზოში ფუსფუსია, სახედრებს აბარებენ, გარეჯს ტოვებენ, ელდარისკენ უნდა ქნან პირი.

– მაინც საითკენ მივდივართ? – არ ისვენებდა ერეკლე.

– კასპიის ზღვისკენ! – მოკლედ უპასუხა გიორგიმ.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, იცოდნენ, რომ მამა ქარაგმებით ლაპარაკობდა.

– იყოს შენი ნება, კასპიის ზღვა ხომ აღმოსავლეთითაა. – არ ჩამორჩნენ მამას და ისევ შეკვრა-აკიდებას მიჰყვეს ხელი, სამაღლები<sup>17</sup> მაგრად გადაუჭირეს.

დღევანდლამდე შეგროვილი მასალა, ჰერბარიუმის 6-7 ბადე, პალეონტოლოგიური და ნიადაგის ნიმუშები გიორგიმ რესტავრატორ-ინჟინერს ჩააბარა, ხვალ თბილისში რომ ჩახვალთ, ინსტიტუტში მიიტანეთო.

მზე ჯერ არ ამოწვერილიყო, როდესაც ლავრიდან გამოვიდნენ და აღმოსავლეთისკენ გასწიეს, ჩავიდნენ მშრალ ხევში, დოდოს რქასა და გარეჯის ქედებს შუა რომ ჩაუდის. ეს ხევი ნამდვილი ხმელხევია, ლავრის ქვემოთ ნაწრეტიც იშვიათია.



მუზარადა

აქეთ-იქით ნაცნობი ბუჩქები მოჩანდა.

წვრიალა კვლავ წინ გარბოდა და აფრთხობდა ტოროლებსა და მწყერჩიტებს.

საიდანლაც გაბმული რუკრუკი მოისმა.

– ბიჭოს! კაკაბს ლაპები დაუჩევია და ემახის. შორს ნუ წახვალთ, წვრიალას ვერა ხედავთ? – გასმახა მია პავლემ ბიჭებს. წვრიალა ძემვის ბუჩქს უვლიდა გარშემო, შიგ ცხვირი ვერ შეეყო. ამ დროს ბუჩქიდან კაკაბი გამოენთო და გადაევლო ბუჩქს. წვრიალა შეხტა და კაკაბს დაედევნა.

– გადარჩა და ეგ არის! – თქვა მია პავლემ.

მზე საშუადღეოზე იყო წამოსული, როდესაც ჩვენმა მგზავრებმა ჩათავეს ალანდარის ხევი და მიადგნენ ალანდარის სამოვრებს. თვალწინ ივრის ჭალა გადაეშალათ, გაღმა იყო უკანა მხარის მინდორ-ნაომარი, ამბობენ, აქ გიორგი სააკაძე იბრძოდაო. ზოგნი იმასაც ამბობენ, ლაშა-გიორგიც აქ ებრძოდა მონღოლებსო. ნაომარს ქვევით ნაოლევი მოსდევს.

ალანდარა<sup>18</sup> ივრის პირისკენ გავაკებული იყო. ის მთის ფერდოსკენ უროიანით დაფარულიყო. გავაკებულზე უროიანს ძირტკბილა ერია. დიდი მინდვრები ცერცვეკალათი იყო დაფარული. ცერცვეკალა უცნაური მცენარეა, ფოთოლი თითქმის სულ არა აქვს, მთლიანად ეკლადაა ქვეული. ის ნახევარუდაბნოს ტიპური წარმომადგენელია. აქლემის ბალახსაც ემახიან, რადგან აქლემი თურმე სიამოვნებით აკნატუნებს. ჩვენი სახედრებიც ეტანებიან, იქნებ ამიტომ მას ვირცერცვაც ჰქვია.

ხაშურით დაფარული ადგილები მოჩანდა, შიგ შორაქანის ცოცხისა და ყარღანის დიდი ბუჩქებიც ერია. ჭალა დაინახეს და ნაბიჯს აუჩქარეს. გაღმა- გამოღმა ჭალისპირებზე კარგად ნაგები ფერმები თეთრად ელვარებდა.

– ფერმას რომ ვეწვიოთ, კამეჩის მაწვნით გაგვიმასპინძლებიან.

– ჩემო პავლე, „წასვლა სჯობს წამავალისა, არ დაყოვნება ხანისა“. აქ შეიძლება რწყილიც იყოს.

– აჰ, არა, ძველი დრო ხომ არ არის, კარ-მიდამოს უვლიან. მართალია, მაგრამ მაინც ჩვენი ბინა მოვნახოთ! – თქვა გიორგიმ და გეზი ორი ფერმის შუა აიღეს, საიდანაც ჭალა მოჩანდა.

ახლადგაყვანილ არხზე, რომელშიც მილები ჩაეწყოთ, სახედრები ძლივს გადაიყვანეს.

– ხედავთ? ალბათ ფერდას ფერმებში სასმელი წყალი გაჰყავთ, იქ ხომ წყაროები არ არის, – დასავლეთისკენ გაიშვირა ხელი მია პავლემ.

ოფლში გაიწურნენ, მაგრამ მაინც გადაიარეს ცერცვ-ეკლიანი, აბზინდიანი. ჭალაში ღრმად შევიდნენ. წინ გავარდნილი წვრიალა პირველმუხის ჩრდილში შედგა. პირი დაეღო და წითელი ენა გადმოეგდო, ქაქანებდა.

– მცხელა, აქ სადმე ჩავიმუხლოთო, გვევედრება.

– არა, ჭალაში უფრო ღრმად შევიდეთ და იქ სადმე ფშანის თვალთან შევისვენოთ.

ერთ დაბალ კბოდეტან შედგნენ. იქვე მიწიდან ანკარა ფშა გადმოდიოდა და ქვევითკენ მიექანებოდა. ცოტა ქვევით ფშის კალაპოტი იშლებოდა, აქა-იქ ლია და საფლობი ჩანდა, რომლის ნაპირები ლაქაშით, ჭილით, ჩალაყვავილათი და ისლით იყო დაფარული. წვრიალამ შიგ ტყაპანი მოადინა და ხარბად დაუწყო წყალს სვლეპა. სახედრებს სამაღლები<sup>19</sup> დახსნეს, ბარგი მოხადეს, წყალი დაალევინეს და ტყის მდელოზე გაუშვეს სამოვრად. ბიჭებმა ფეხზე გაიხადეს და დაიწყეს ტოპვა.

– ფრთხილად, წყლის მცურავი არსად იყოს.

– წყლის მცურავს შხამი არა აქვს.

– ჩემთვის სულ ერთია, „მგელი შემჭამს თუ მგლისფერი ტურა“, – ჩაურთო მია პავლემ, – ყველა მცურავისა მეშინია.

ჭალის ნაპირას უზარმაზარი მუხები და თელები იდგა. ალაგ-ალაგ ნეკერჩხალი, პანტა და მაჟალო ერია. კუნელი ხომ ყველგან წინ ხვდებოდა კაცს.

– ამსიმსხო და ამსიმალლე კოწახური ჯერ არსად მინახავს! – გაუკვირდა მია პავლეს.

მართლაც, იქვე 4-5 მეტრის სიმაღლის კოწახურის ბუჩქი იდგა. სამი-ოთხი ღერო მიწიდან ამოეხეთქა, თვითთეული ძირის სიმსხო 10-15 სანტიმეტრი იქნებოდა.

– ესაა კოწახური გიგანტი! – თქვა შალვამ.

– იმ კოწახურებისაგან, რომლებიც ზევით ვნახეთ, განსხვავდება, ქართული კოწახურია. ქართლში, დასავლეთით და მთაშიც ჩვეულებრივი კოწახური გვხვდება. ქართულ კოწახურს ფოთოლი გრძელი აქვს, უკბილო-უეკლო.

– აი, საკმილის ხეც, რამოდენაა! – მართლაც, მუხიანში რამდენიმე ძირი სარკმლის ხე იდგა, კაცს მუხა ეგონებოდა. მართალია, საკმლის ხე მშრალ ადგილებს ეტანება, მაგრამ ბევრგან ჭალაშიც გვხვდება. აქ მაღალი იზრდება, მსხვილდება კიდევ.

მუხიან-თელიანი ვერხვიანმა შეცვალა. ლიანებმა და ქაცვებმა იძალა. ბევრგან კაცი ვერ გაივლიდა, ცულით ან ხანჯლით თუ გაიკავადით გზას, ისიც გაჭირვებით. ბიჭები ბარდიანებთან იდგნენ და ინტერესით ათვალთვლებდნენ ღვედეკვას, მართლაც ღვედით გადახლართულ გრძელ ღეროებს.

მზე გადაიხარა, საღამო ახლოვდებოდა და გადაწყვიტეს, ღამე აქ გაეთიათ.

ღამე მშვიდად გაატარეს. ცხელოდა, მაგრამ დაქანცულებს ძილი არ გაკრთობიათ.

ძილით მია პავლე იორზე ჩავიდა, რომ ფონი მოენახა.

ისაუზმეს და აბარდნენ.

– აქ ყველგან ფონია. როგორც ჩანს, წყალი არხშია გადაშვებული. ზოგან, მთავარი არხის ქვემოთ, პატარა რუებია გაყვანილი.

ქაცვიანებში ვიწრო ბილიკი გადიოდა და მალე გავიდნენ ივრის პირას. ზოგან დიდ მინდორზე ხე არ ჩანდა; სამაგიეროდ, ალაგ-ალაგ უზარმაზარი, გიგანტური ლერწმის კორდები იყო. იმ ლერწმისა, რომლისგანაც სტვირებსა და სალამურებს თლიან. ბევრგან ეს კორდები ერთდებოდა და გაუვალ რაყას ქმნიდა.

– მიწის ზევითა ღერო ხომ ყოველწლიურად იზრდება?

– ყოველწლიურად. ერთი ჰექტარი ათას ტონამდე ლერწმის კაჭკჭს მოგვცემს.

– ეს ძალიან კარგი ლერწამია. შეიძლება ხელოვნურადაც მოვაშენოთ და ქალაქის წარმოებაში გამოვიყენოთ.

– არც ეგრეა საქმე. ჯერ ამას დადგენა უნდა, როგორ მოვაშენოთ!

– ეს ხომ გამოდგება? აგერ რამდენია! – მართლაც ივრის გაღმა-გამოღმა უტყეო ადგილები ლერწმიანებით იყო დაფარული.

წყალზე ადვილად გადავიდნენ და მარცხენა ნაპირს დაუყვნენ. წყლის ნაპირთან ჭალა ზოგან წყდებოდა და ტყისპირს პირდაპირ აბზინდიან-შორაქნიანი მისდევდა, რომელსაც ალაგ-ალაგ ლერწმიანი ცვლიდა. ლერწმიანების ირგვლივ კლანჭას გაედგა ფესვი და მკვრივ-კორდიანი მოლი შეექმნა.

ასეთ შიშველ ადგილს ატეხილი ჭალა მოსდევდა. ბევრგან ეს ჭალა ვერხვიანით მთავრდებოდა, ზოგან კი კვლავ მუხა, თელა და თითო-ოროლა საკმლის ხე ემიჯნებოდა ძეძვიანს ან პირდაპირ ავშიან-ცერცვ-ეკლიანს, ან შორაქნის ცოცხიანს. აქ-იქ ახლომახლო გორაკები უროთი იყო დაფარული. ძეძვებში ეულად მოჩანდა ბერყენაც.



### მდ. იორის ლერწმიანი კბოდე

კარგა ხანს იარეს, დაიღალნენ კიდეც, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდნენ.

გიორგი მზრუნველად გადახედავდა ხოლმე ხან ბიჭებს და ხან ჭალებს, თითქოს უნდოდა, ჭალისაკენ შეეხვია და კარავი დაედგა. ეს კი ერთი დღის დაკარგვას ნიშნავდა. მაშინ ელიარ-ოულის მთის დათვალეირებას ვედარ მოასწრებდნენ. მთის ძირთან უფრო ახლოს უნდა მისულიყვნენ და კარავი იქ დაეცათ.

წინ კი მანძილი კარგა გრძელი ჩანდა. უნდა გაევილოთ სათუმოს სამოვრების წინ, შემდეგ კოწახურის ქედის კალთებთან და შემდეგ ელდარის ველზე გავიდოდნენ.

– აბა, ბიჭებო, სიტყვა თქვენია, გზა განვაგრძოთ, თუ დავცეთ კარავი? – თქვა გიორგიმ და ბიჭებს გადახედა.

– კარავი რომ დავცეთ, მოვიგებთ თუ წავაგებთ?

– ერთი დღე დაგვეკარგება.

– მაშ, გზა განვაგრძოთ! ოღონდ ჯერ ვისაუზნოთ.

– ვისაუზნოთ თუ ვისადილოთ?

– რახან ვერ შევთანხმდით, ვისამხროთ.

ჩაუხვიეს ივრისკენ, ნახეს ფშანი, გაგრილდნენ, შეისვენეს და ისადილეს.

სახედრებმა ცოტა ფერდები ამოივსეს.

აღარ დააყოვნეს, ილღუნნიანები გაიარეს და შორაქნებში გავიდნენ.

– აგერ, იმ გორაკის ცხვირზე შევუხვევთ და ელდარზე გადავალთ.

– ეგ ცხვირი შორს არის.

– ესეც ელიას მთა, ახლა ხომ მას ელიარ-ოულს ემახიან.

ცის დასაღიერზე, შორს მოჩანდა საკმაოდ დაბალი ქედი.

– ის ხომ არაა ზღვისპირი?

გიორგიმ არაფერი უპასუხა. იგი დროდადრო ჩერდებოდა, უბის წიგნაკში რაღაცას ინიშნავდა, ბიჭები და შალვა კი მცენარეების და ნიადაგის ნიმუშებს იღებდნენ და ალაგებდნენ აბგაში, ზურგჩანთაში. ერეკლეს ლოკოკინების კოლექცია ხომ გაიზარდა და გაიზარდა. ბევრი სხვადასხვა მოყვანილობის ნიჟარის ნიმუში შეაგროვა.

მზე ელიარ-ოულის გადაღმა გადაიხარა.

– აქ გეოლოგები ბურღავდნენ, ნავთობს ეძებენ, – გაიხედა მარცხნივ გიორგიმ, იქიდან მოტორის მონოტონური გუგუნნი ისმოდა.

– ღამე სადმე ფშანის ახლოს გავათიოთ.

– მერე კოდო და მუმლი?

– ჯერ ერთი, კოდო ამ დროს ბევრი არ იცის, მეორეც, დავანთებ ცეცხლს. კარვები ცეცხლის შორიახლო დავდგათ და კარზე ფარდა ჩამოვაფაროთ.

– ვის დავუჯერო, თუ არა შენ! – თქვა გიორგიმ.

– „მთისა მეცხვარესა ჰკითხე, ბარისა – გუთნისდედასო“, – ჩაურთო პავლემ.

მალე მიაღწიეს აყრილ ჭალას. წინ მეჩხერი მუხნარი იყო, უკან, მდინარისაკენ კი ნამდვილი მალნარი ჩანდა. ალბათ „ნარჩიტაც ვერ შეფრინდებოდა კურკანტელას გამოსატანად“, ისეთი დაბურული იყო.

ერთი მუხის ძირას დაიდეს ბინა, ორი კარავი გამართეს, დააგეს ლოგინი და იქვე, ახლოს აანთეს ცეცხლიც აანთეს.

მერე, მია პავლეს რჩევით, დაგლიჯეს კაპუეტა და ჭანგა ბალახი და კარვის ახლოს პალოზე დაბმულ სახედრებს დაუყარეს. ჭალაში გაშვება საიმედო არ არისო, დაასკვნა მია პავლემ. შუაღამე გადასული იქნებოდა, როდესაც ბიჭები დაფეთებულები წამოცვივდნენ, გარეთ გამაყრუებელი ყროყინი, ღრიალი და წკრიალას წკაწკავი ისმოდა.

– ჰაი, შე ტიალა! – გაისმა მია პავლეს ომახიანი ხმა და იჭექა კიდეც თოფმა. ახლა კი გამოერკვნენ, გამოვიდნენ კარვიდან და პავლეს, გიორგისა და შალვასკენ გაქანდნენ.

მალა ორი ბრდღვიალა ნათურა ენთო, ეს მგლის თვალები იყო, იქვე, ახლოდან იცქირებოდა.

– მომეცი, პავლე, თოფი, მგელს ვესვრი, – გიორგიმ ამოარჩია მასრა, ჩადო და კარგა ხანს უმიზნებდა, ჩაუჩოქა კიდეც, ბოლოს, როგორც იქნა, იგრიალა თოფმა და სინათლეებიც გაქრა, როგორც ჩანს, მგელი გაიქცა, რადგან სერის თავზე ნათურებმა ერთხელ კიდეც გაიელვა.

– აბა, ერთი ამათაც მოვხედოთ! – და მია პავლე სახედრებისკენ წავიდა, – მოდით, თქვენც დაუყვავით!

სახედრები ერთ ადგილზე ტოკავდნენ, კანკალებდნენ, შიში ბავშვებსაც გადაედოთ. პავლემ ბიჭები სახედრებს მოაშორა.

– წამოდით, ივრის ტოტზე რა გაჩვენოთ...

წინ გაუძღვა მია პავლე და წყლის პირს ჩაიყვანა, ბიჭები უცხად გაშემდნენ, წყალში რაღაც ბრიალებდა, ბრწყინავდა, გეგონება ნაკვერცხალიაო... ბიჭებმა ხმა ვერ ამოიღეს, მია პავლე რომ გვერდით არ მდგარიყო, შეიძლება გაქცეულიყვნენ კიდეც.

– ე, მაგას ჩვენებურად კანთარო ჰქვია. ფუტურო ხეა, როცა წყალში დიდხანს გდია, ასე ანათებს.

ახლა კი შეტოპა ვახტანგმა წყალში, გამოიტანა ფუტურო და კარვის კართან დააგდო, ხვალისთვის იყოსო.

– აბა, წამოფრინდით, ბიჭებო.

– ადრე ამდგომსა კურდღელსა...

– მაინც კბილს გაჰკრავს მწევარიო, არა, მია პავლე? – შეეხმაურა ვახტანგი პავლეს.

– ეგ ნაკმაზი შენ წიწილებს დაუყარე. როგორც ხალხმა გადაწყვიტა, სწორი ისაა, – ვერ დაეწევა მწევარიო.

დილით ჩაიცივს, ისაუზმეს, აიკიდეს ზურგჩანთები, მოიმარჯვეს წერაყინები და გაჰყვნენ იორის ნაპირს, ლერწმიანები გაიარეს და ჭალას მიადგნენ, აქ ჭალა ილღუნით იყო დაფარული, გადაკვეთეს იორი და პირდაპირ მათ წინ ამართული გაშიშვლებული მთის კალთებისკენ გასწიეს.

ელთარ-ოულის ქედი კუზივითაა ამოჩრილი ივრის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც აზერბაიჯანის დიდი ვაკის გაგრძელებაა.

ჭალიდანვე დაიწყო აბზინდიანი და ხურხუმიანი-ყარადანიანი, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ. ქედსა და იორს შორის მდებარე ვიწრო ვაკე მალე გადაკვეთეს და მიადგნენ ქედის ძირს. აქედან იწყებოდა დამრეცი ფერდობები, პირველ ფერდობთა დაქანება 40-45° იქნებოდა. მათი ქანები თიხოვანია, სხვადასხვა ფერის, სჭარბობს თეთრი და ლურჯი, ხშირად ერევა წითელი და ზანგელა ზოლებიც. თიხოვანი ფერდო ტიპური ნახევარუდახნაა. მასზე დასახლებული მცენარეები ერთმანეთისგან დაცილებულია საკმაო მანძილით. ყველაზე მეტად გავრცელებულია ხურხუმი. ადგილ-ადგილ მას ცვლის ყარადანი, ჩარანი, წითელწვერა, მაგრამ მთავარი მაინც ხურხუმი. მიწაზე გართხმული კაპარის ორი მეტრის სიგრძის ტოტები ხშირად დამშვენებულია თეთრფურცლება წითელმტვრიანა ყვავილებით. უმზერ ამ მწვანეფოთლებიან მაგარ ტოტებს და ფიქრობ: „საიდან იღებს ეს დალოცვილი საკმაო წყალს“?

ეს ის კაპარია, რომლის კოკორს გაზაფხულზე კრეფენ და მწნილად დებენ. გარდა ამისა, აქ გვხვდება კრაზანა, ალაგ-ალაგ შავჯაგაც, საერთოდ, ეს ფერდები მოსაწყენი და უხალისია.

– განიერი შარვლები ჩაიცვით, წაღებში ჩაიკეცეთ, წერაყინები მარჯვედ გეჭიროთ. – ურჩია ბიჭებს მამამ.

ნელ-ნელა შეუდგნენ ვიწრო ხეობას, ის-ის იყო, ელდარის გაღმა ამართული ალესილებიდან მზემაც ამოანათა.

თიხოვანი ქვიშაქვის კლდის ნაპრაღში ქართულ კოწახურს ეპოვა ბინა. მისთვის სურათის გადაღებაც არ დავიწყებიათ. ერეკლემ კლდის ნიშუში შეახვია და აბგაში ჩადო. მართალია, მთელი დღე უნდა ეტარებინა, მაგრამ მამას რამდენიმეჯერ უთქვამს: „პირველი ნიშუში აიღე, ვინ იცის, შემდეგ შეგხვდება კიო“?

– ამ დამრეც ფერდობს აყვავით! – თქვა გიორგიმ.

მალე ძეძვი, შავჯაგა, თრიმლი, თუთუბო, ხორციფერა, ჯორისძუა შემოხვდათ, მათ შორის ერია ურო, წივანა, წითელწვერა და ბეწვიანი ვაციწვერა, ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ქვიშაქვები გაჩნდა, ნიადაგიც სწორედ ქვიშაქვებზე იყო. აქ შეუხვითეს და ვიწრო ხევში გავიდნენ, სამხრეთის ფერდო ჩამოზვავებული იყო, მცენარე არსად ჩანდა, სამაგიეროდ, ჩრდილოეთის ფერდო ბუჩქს დაეფარა. ხევის სიღრმეში მწვერვალი აიმართა, აქ კი ხეებიც ჩანდა.





### ელდარის ფიჭვი სამშობლოში

– აბა, არ შეშინდეთ, ბიჭებო! – შეეხმაურა მამა.

ჯერ ისევ გრილოდა, მაგრამ ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ. უჭირდათ სიარული. თიხის ფენები გაქვავებულიყო, ფეხსაცმელი პირს ვერ იკიდებდა.

აიარეს ფერდო და ავიდნენ მთის ზურგზე, რომელიც ქვიშაქვებისა და ნიჟარიანი კლდისგან შედგებოდა.

– აბა, ერეკლე, ესეც შენი ნიჟარები!

ნიჟარიან კლდეს 1,5-2 მეტრი სისქე ექნებოდა, რომელიც 50-60° დახრილიყო სამხრეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

– ქიმ-ქიმ იარეთ ფრთხილად...

– აი, ესეც ელდარის ფიჭვი!

მართლაც, ქიმის გადაღმა იდგა ერთი ტანდაბრეცილი ფიჭვი, ღერო დაკორმებული ჰქონდა, თითქოს ბებერები გასჩენიაო, ვარჯი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადახროდა. ამ ფიჭვის უკან კიდევ მრავალი ფიჭვი იდგა. ნიჟარიან კლდეებზე აქა-იქ მოჩანდა ვარჯმრგვალი და ხშირად ცალმხრივი ფიჭვები. ისინი არ ჰგავდნენ არც ერთ იმ ფიჭვს, რომელიც დღემდე ენახათ. თვით ფიჭვნარი მართლაც რაღაც რელიქტური, შორეული იერის მატარებელი იყო.

ფიჭვებს ცვლიდა ხემაგვარი ღვიები, განსაკუთრებით კი მრავალნაყოფა, მყრალი, წითელნაყოფა და სხვ.

ამ ხემაგვარი ღვიების გამო მთელი ელიას ქედის ზოგი ფერდო შორიდან ისე მოჩანს, გეგონებათ, მთლიანად ფიჭვნართაა დაფარულიო. ნამდვილად კი ელდარის ფიჭვი ნიჟარიან და ქვიშაქვიან კლდეებზე და მის ნაპრალებშია ამოზრდილი. დარწმუნდნენ მამის ნათქვამში, რომ ეს კორომი ნაშთია იმ კორომისა, რომელიც სარმატის ზღვის პირას იყო გავრცელებული, სწორედ ისე, როგორც დღეს ანაპასა და ბიჭვინთას შორის ბიჭვინთის ფიჭვია შემორჩენილი. შავმა ზღვამ რომ უკან დაიხიოს, ბიჭვინთის ფიჭვი გაგრის ქედის კირქვებზე ისე დარჩება, როგორც დღეს ელდარის ფიჭვია ამ ქედის მწვერვალზე. ასეა გადარჩენილი ხმელთაშუა ზღვის პირებზე ჰალეპის ფიჭვი, ყირიმში – სტანკევიჩის ფიჭვი, თუმცა ზოგი ამ უკანასკნელს ბიჭვინთის ფიჭვისგან არც კი განასხვავებს. ყველა ეს ფიჭვი ხმელთაშუაზღვისეულია, ამას ადასტურებს ისიც, რომ აზერბაიჯანის ველებში ხეპილიპილაც კი ნახეს, ხმელთაშუაზღვისეული ტიპური ბუჩქი. ესეც იმის მაჩვენებელი, რომ შორეულ წარსულში კავკასიასა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს შორის რაღაც კავშირი არსებობდა.

გიორგი ერთ დაქანებულ ფერდოზე წამოწოლილიყო და ისე იღებდა სურათს. ბიჭებმა მამასთან ჩაირბინეს.

– გამეფებული იყო აზრი, რომ ელდარის ფიჭვი მომაკვდავი რელიქტია. ბუნებაში მისი აღდგენა არ ხდება, ან ძალიან ძნელად. აი, ხომ ხედავთ, ამ ადგილებში საქონელს აღარ ამოვებენ და ფიჭვიც მშვენივრად მრავლდება, – თქვა გიორგიმ და ფეხზე წამოდგა.

ზევით ავიდნენ და ერთი დიდი ფიჭვის ძირში ჩამოსხდნენ.

– აბა, გაიხედეთ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

– დაცემული ველი მოჩანს.

– ეგაა სწორედ სარმატის ზღვის ფსკერი. სადაც ჩვენ ვსხედვართ, ეს კი ოდესღაც ამ ზღვის ნაპირი ყოფილა.

– ესეც ხომ თავის დროზე ზღვის ფსკერი იყო.

– რასაკვირველია, აი, სწორედ ამ ყურეში იზრდებოდა ელდარის ფიჭვი. მაშ ტყუილად კი არ იზრდება დღეს ნიჟარიან შრეზე.

ჩვენს ნამარხებში, სარმატის ქანებში, ნანახია ფიჭვის გირჩა, რომელიც ალიკვალა დღევანდელი ელდარის ფიჭვისა. მას სარმატული ფიჭვი უწოდეს. ის, როგორც ჩანს, ელდარის ფიჭვისა და ბიჭვინთის ფიჭვის წინაპარია, ზღვისპირული.

– ბორჯომის ფიჭვი?

– ის ჩრდილოეთიდანაა შემოჭრილი გამყინვარების დროს. ძალიან აგრესიულია, ახალ-ახალ ადგილებში ადვილად სახლდება. ამ ფიჭვნარებში ხშირად ისეთი ბუჩქი და ბალახი გვხვდება, როგორც ვოლგის ნაპირებზე ხარობს, მაგალითად, ჩრდილოეთის მოცვი, კურდღლის მჟაუნა და ჩრდილოეთის ხავსი.

ჩვენი კავკასიური ფიჭვი ბევრით მაინცდამაინც არც განსხვავდება ვოლგისპირეთის ფიჭვისაგან.

– მაშ ეს ზღვაა...

ერეკლემ წარმოიდგინა აბობოქრებული ზღვა. ამ ზღვის ნაპირას იზრდებოდა ტანმაღალი ფიჭვი, ფიჭვნარში დააბოტებდნენ: მარტორქა, ჟირაფი, ჯუჯა სპილო, მრავალნაირი ირემი, ქურციკი და ვინ იცის, კიდევ რა...

სიჩუმე ჩამოვარდა, ისმოდა შორს გაფრენილი მწერის ბზუილი. ცის კიდეზე მოჩანდა მინგეკაურის ხელოვნური ზღვა, შექმნილი ალაზნის, ივრისა და მტკვრის შესაყარზე. ამ ზღვამ დაფარა სამუხეს დიდი ჭალა და ელდარის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, ალაზნისა და მტკვრის მიერ შექმნილი სამკუთხედი.

– იყო დრო, როდესაც სარმატის ზღვა სწორედ მაგ მანძილით იყო დაცილებული და უკან დახევას ალბათ მილიონი წლები მოუნდა.

– ახლა კი შევწყვიტოთ ცოტა ხანს „ზღვაში ბანაობა“, შევწყვიტოთ და შემდეგ განვაგრძოთ, – ურჩია მამამ ბიჭებს.

მართლაც, წაიხემეს, დაისვენეს და კვლავ გიორგის მიუჩოჩდნენ. გიორგიმ განაგრძო:

– ფიჭვნარი შემორჩენილია სხვადასხვა მწვერვალების ფერდობებზე და ერთი მწვერვალიდან მეორეზე გადასვლას დიდი დრო სჭირდება. მწვერვალი მწვერვალისაგან დიდი ხრანცივითა და ხრამითაა დაცილებული. ნალექი თიხები ისეა გამაგრებული, წრიაპითაც ვერ მოიკიდებ ფეხს. მით უმეტეს, რომ ხშირად, მცენარეც არ ხარობს.

ფიჭვები უმეტესად ნუჟრიანები, ტანდაბრეცილები და ტანმორჩილები არიან, სიმაღლით 16-12 მეტრს არ სცილდება. ეტყობათ, რა ხრიოკზე, რა გვალვასა და პაპანაქებაში, ხორშაკსა და ქარაშოტშიც მოხვედრილან. 40 სმ. სიმაღლეზე 200 წელს ძლივს აღწევს. ან ამას როგორ ახერხებს, ისიც გასაკვირია. იშვიათად გვხვდება ტანსწორი და კარგი ქორბუდიანი ხე, ის ქედის გასწვრივ 3-4 კმ-ზე ძლივს ვრცელდება. უმთავრესად გვხვდება ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზე, იქ, სადაც გადარჩენილია ნიჟარიანი ფენა.

ხეები ერთმანეთისაგან დაცილებული არიან 10-15 მეტრით, მაგრამ ზოგან შეკრული კორომებიცაა, ჯგუფად ზრდა ემჩნევა შიმალს. ბევრგან, საკმაოდ დამრეც ქვეიშაქვებზე წამოსულია 8-10 წლის შიმალი, თან ისე მრავლად, გეგონებათ, ბორჯომის ხეობის ფიჭვნარებიაო.

თუ ძველი მკვლევარები ამბობდნენ, ფიჭვნარის აღდგენა არ ხდებაო, ელდარის ფიჭვი მომაკვდავიაო, ეს იმიტომ, რომ მაშინ აქ საქონელი ძოვდა, შიმალს არ აყენებდა, არა მარტო ნეკერს ჭამდა, არამედ ძირიანად კვნეტდა. ასე რომ, ნაკრძალად გამოცხადებამ კეთილი საქმე გააკეთა.

ელიარ-ოულის ქედი იორმა შუაზე გაკვეთა, ივრის მარცხენა ნაპირის ქედები ელიარ-ოულის გაგრძელებაა, ივრისკენ ფიჭვი არ გვხვდება, მაგრამ შიშველი ქედების გადაღმა, ღრანტეებში, ღრმად მივარდნილ ხევხუვებში, შეიძლება კაცმა მოიძიოს ერთ-ორი კორომი ელდარის ფიჭვისა. ბიჭვინთის ფიჭვის მსგავსად, ელდარის ფიჭვიც ალბათ ვაკეზეც იზრდებოდა, მაგრამ მოსპეს და გაანადგურეს.



ცალმხრივი კრონა

ამასობაში დამრეცი ქედის ფერდი აათავეს, კბილებივით აშვერილ ნიჟარიან კლდეს მიადგნენ. ვახტანგი წინ მიიწევდა, ერთ აშვერილ კბილზე რომ ავიდა, მოუბრუნდა თანამგზავრებს და ყრუდ ჩამოსძახა:

– ჩუმად!

როდესაც სხვებიც ავიდნენ, ხელი ღვისკენ გაიშვირა:

– აგერ!

ბუჩქიდან ორი ქურციკი გამოვარდა, გამოვარდნენ და კამარა შეკრეს, გასროლილი ისარივით ავარდნენ ქედის ფხაზე და გაფრინდნენ, თავდაღმართში გაუჩინარდნენ.

ვახტანგიც ქურციკით გაიქცა და მალე ისიც თავდაღმართში ჩაიმალა.

– ქურციკი ამ ღვიანებშია? – გაუკვირდა შალვას.

– ველიდან შემოხიზნულა, აქ ხალხი არ აწუხებს, ეს ხომ ნაკრძალია. შეიძლება ასეთმა ნაკრძალებმა კიდევ შემოგვინახოს ათიოდე ქურციკი. ქურციკი ჩვენში ბევრი იყო: „არს ველი დიდი ყარაიისა, სავსე ქურციკითა“...



**დაკოჟრებული ცალი**

– ვახუშტი რად გინდა, ჯერ კიდევ ამ 30-40 წლის წინ ქურციკი აზერბაიჯანის ველებში არვეებად დადიოდა. 1940 წლამდე შირაქშიც ბევრი იყო.

ქურციკი ველის ულამაზესი ცხოველია. მას შემდეგ, რაც ავტომანქანები მომრავლდა, ქურციკის მზე ჩაესვენა. ბრაკონიერებიც შეუგნებლად ჟლეტენ ამ მშვენიერ ნადირს. ახლა აკრძალულია ქურციკის მოკვლა, მაგრამ გვიანდაა. საქართველოში ქურციკი შეიძლება ორიოდ იყო სადმე ღრმა ხევში შეხიზნული, აზერბაიჯანში კი ერთი-ორი ათეულიაა. ქურციკი მათში ბადებს ერთ-ორ თიკანს, შემოდგომისათვის თიკანი უკვე დედისხელაა.

როდის-როდის დაბრუნდა ვახტანგი. ძლივს წაიბურღლუნა, გაღმა ფერდზელა მოკვარი თვალიო.

– ცოდო კია მაგათი ამოწყვეტა, რა ლამაზებია!

მზე გადაიხარა, დაღლილებმა ბინისკენ იბრუნეს პირი. მუხლი ისე აღარ უჭრიდათ, როგორც დილას.

ივრის კბოდეზე რომ ამოვიდნენ, თვალი მოჰკრეს სავათს, რომელმაც ზანტად აიქნია ფრთები, თითქოს სვავიაო და როდის-როდის ავიდა ზევით, მას მიჰყვა მეორე, მარჯვნიდან კი სარსარაკმაც შეიფრთხილა.

– სავათი უზარმაზარია, კარგ მამალ ინდაურზე უფრო დიდი, სარსარაკი კი ყვერულისოდენაა.

იქვე ლერწმიდან ძია პავლე გამოვიდა.

– წინათ უფრო მეტიც იყო, ჩემო გიორგი, რაც ეს ატომობილი ვილისი გაჩნდა, მამ შემდეგ მაგათ ხეირი აღარ დაადგათ.

სავათ ფრთების ტყლაშუნით ნაცრისფერ გორას გადაეფარა.

– ზამთარი თუ თბილი დაიჭირა, ბატისა არ იყოს, ზოგი წერო, სავათი და სარსარაკი ზამთარშიც აქ რჩება.

პავლე გამოუძღვა დაღლილ-დაქანცულ მგზავრებს და მოკლე ბილიკით კარავთან მოიყვანა.

– აბა, სანამ სუფრას გავშლიდე, სული მოითქვით, წყურვილი მოიკალით, – უთხრა ძია პავლემ და ურმის მორგვისოდენა საზამთრო ოთხად გაჭრა და ნამგზავრებს ჩამოურთხა, – აგერ, გაღმა აზერბაიჯანის სოფელია, ქიანლი-ქენდი. ბალი გამოღმა აქვთ. რომ ჩავედი, გაიხარეს, ფული არც კი გამომართვეს, „გურჯები ძმები ხართ ჩვენიო“, ცხენით ამომიტანეს ოთხი საზამთრო.

ბიჭებმა ხელ-პირი დაიბანეს და ცხვირი საზამთროს დიდ ნაჭრებში ჩარგეს.

– საზამთროზე უკეთესი ხილი არ მეგულება.

– მოდიხარ ასეთ უდაბნოში დაღლილი, დაქანცული, თვალი გიბნელდება, პირი გიშრება, თან ოფლის ღვარი ჩამოგდის... და ამ დროს ცივი, ტკბილი საზამთრო ნამდვილი ღვთის წყალობაა.

– ცხონდები კაცი.

– მართალია, შვილებო, ვისაც ასეთ ადგილებში არ უვლია პაპანაქება დღეს, ის საზამთროს გემოს ხეირიანად ვერც გაიგებს.

ჩვენი გულმართალი პავლე წყნარად შლიდა სუფრას.

ელდარის ქედიდან კი თანდათან საღამო მოიპარებოდა.

### საუკუნეების წინანდელი ბოტანიკური ბაღი

მზის ამოვლისას სახედრები უკვე ელდარის ველზე მიბაკუნობდნენ. ამ ელდარის ველს ჩვენი ბოტანიკოსები ნახევარუდაბნოს უწოდებენ. სიგრძე 30 კილომეტრი ექნება, სიგანე – 10-15. ელდარის ვაკეს ორმხრივი დაქანება აქვს. ჩრდილოეთიდან სამხრეთით – ივრისკენ და დასავლეთიდან ალაზნის მოსაბრუნისკენ. დაქანება თვალისთვის შეუმჩნეველია.

ელდარის ველის ძირითადი მცენარე მეიერის აბზინდაა. საკმაოდ დიდი ფართობი ჩადაბლებულია და მოჩანს ჩარანი, ყარლანი, შოროქნის ცოცხი, ზოგან კი, სადაც ნიადაგი ოდნავ ამობურცულია, ურო ბალახი ჭარბობს. დღეს ის ყომრალ ვერცხლისფერ ფონზე ხასხასა მწვანედ მოჩანს, ტყის პირებისაკენ მტრედისფერი ჭანგა, მელიკუდა და მათი მსგავსები ფარავენ მიწას.

ელდარს, როგორც ვნახეთ, დასავლეთით იორი ჩაუდის თავისი ვერხვისა და მუხის ჭალებით. აი, აქ ყველაზე კარგადაა გამოსახული ჭალის ტყე. ამ ტყეში კვეის ხეც ხარობს.

ამ ვაკეს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სწორი ხაზით გასდევს შირაქის დიდი დეპრესია თავისი შესანიშნავი ფრიალო ალესილებით, რომლებიც მინგეჩაურის „ზღვასთან“, იორ-ალაზნის შესართავთან, წყდება.

ზოგი ალესილის სიმაღლე 200-300 მეტრია. ელდარის ვაკე ზღვის დონიდან 200-250 მ. მდებარეობს, შირაქის ზეგანი კი 600-700 მ. დროთა განმავლობაში ქარსა და ქარაშოტს, წვიმასა და სეტყვას უზარმაზარი კბოდეს კედელი გამოუქარია, გაუღესავს და ხალხსაც ალესილები დაურქმევია.

ალესილების მაღალ კედლებზე კარგად ჩანს სხვადასხვა დროის დანალექი ქანები. განსაკუთრებით იქ, სადაც ლევის წყალი გამოდის, ღია ფერის ლოსისმაგვარ 60-100 მეტრი სისქის თიხებს აწევს ამავე სისქის მუქი თიხები. ეს ალესილები შირაქისკენ დაღარულია ხევებითა და ხრამებით, ხრანცვებითა და უფსკრულებით. ასეთი დერეფანი მიხვეულ-მოხვეულია, სავალადაც სახიფათოა, რადგან ზევიდან ალესილის ნაშალი ცვივა და ჩამოდის. ზოგან ასეთი ხრამი მოულოდნელად მთავრდება და გადიხართ ტაფობისმაგვარ განიერ, მაგრამ მოკლე ხეობაში, რომელიც კარგად შენახული ნათელი ტყით არის დაფარული.

ერთი-ორი საათის აღმა სიარულის შემდეგ, საკმლის ხე შეხვდათ. ხეები ივრიდან პირდაპირ ალესილებისაკენ მიემართებოდა.

პანტიშარის ხევიდან ალესილებში ვაკისკენ ნიაღვარი ეშვება. ამ ნიაღვარს მოაქვს ღორღი, ხრეში, ქვიშა, თიხა; ნიაღვარი ვაკეზე თანდათან იშლება. დროთა განმავლობაში ხრემისა და თიხა-ქვიშის ახალი ნალექი ძველს ეფარება და იქმნება გამოტანის კონუსი. ხშირად ეს კონუსი სწორი სამკუთხედიანია. წვერი ალესილების კართან აქვს, ხევის გამოსასვლელში. ხევის დასაწყისში კონუსი უფრო მაღალია, ქვევით ვაკისკენ კი დაბლდება. ხშირად კონუსების სიგრძე 5-7 კილომეტრია, ქვედა ნაწილის სიგანეც ამდენივეა. კონუსის ნიადაგი ვაკის ძირითადი ნიადაგისაგან, მლაშნარებისაგან განსხვავდება. ის ხომ ხევის გამოტანილია, ამიტომ რა გასაკვირია, ელდარის ვაკის მცენარეული საფარი კონუსის მცენარეულობისაგან რომ განსხვავდებოდეს. კონუსზე ხშირად ნათელი ტყის წარმომადგენლებიც გვხვდება.

ვაკე სწორია, მაგრამ ბიჭები გრძნობდნენ, ალესილებისაკენ აღმართი რომ დაიწყებოდა. სიცხეში აღმართი უფრო შეიმჩნევა.

ალესილების ახლოს ქვითკირის ფერმები იდგა. რამდენიმე ასეთი ფერმა ივრის პირებზეც იყო.

ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს პანტიშარის კარს. გვერდი აუარეს ბინას და პანტიშარის ნაკრძალის დარაჯის ქობთან შეჩერდნენ.

– გიორგი, შენ ხომ დაქსელე და დაქსელე ჩვენი მხარე, ახლა ბალებიც აიყოლიე? – მიმართა ხანში შესულმა ჭარმაგმა დარაჯმა.

სიმონმა სახედრებს ბარგის ახსნა დაუწყო. ცოტა შეისვენეთ, მუხლში ქარი ამოიღეთო, მიმართა ბავშვებს.

დარაჯმა ქობიდან ორი საზამთრო გამოიტანა. ხონჩაც მოაყოლა.

– აბა, ყმაწვილებო, მიირთვით, ნუ გერიდებათ. აგერ აქ მითესია, ეს პირველი მოსავალია. თქვენზე კარგს ვის დავაჭაშნიკებინებ, – უთხრა მან ბავშვებს, მერე გიორგის მიუბრუნდა:

– უნდა გითხრა, ჩემო გიორგი, ნაკრძალის ყადრი ხალხმა როგორც იქნა, გაიგო.

– როგორ?

– როგორ და, შარშან თუ ოც ბრაკონიერს მაინც წავაწყდი, წელს ხუთის მეტი არ მინახავს.

– აგაშენა ღმერთმა!

– შენც იცოცხლე!

– შეისვენეს თუ არა, გზა განაგრძეს. მალე ნათელტყიან ხეობაში შევიდნენ. პანტიშარის მარცხენა ნაპირი ჩრდილიანი იყო და ჩვენი მგზავრებიც ამ ნაპირს გაჰყვნენ. ხევის ძირში კოწახური და ქაცვი ჩანდა. ცოტა

შემადლებულზე ბროწეული მომრავლებულიყო. ალისფრად ელავდა მისი ყვავილი, თუმცა ზოგი ყვავილი კარგა მსხვილ ნაყოფად გამონასკვულიყო.



### ალესილები

მალე ხეობა გაიშალა, სიგანე ერთგან თითქმის ორ კილომეტრს უდრის, დაფარულია ღვით, რომელშიც მრავალნაყოფა და მყარა ღვია ჭარბობს. ზოგიერთი ღვიის ტანის სისქე 40-60 სანტიმეტრია. ღვიას მოსდევს საკმლის ხე, ალაგ-ალაგ ქართული ნეკერჩხალი, ტირიფფოთოლა, ბერყენაც გვხვდება. ძეძვის, შავჯაგას, ცხრატყავას, უძრახელის ბუჩქები აქ ჩვეულებრივია, მაგრამ ყველას მაინც ბროწეული ჭარბობს. შემოდგომაზე წითელწყაროდან და სიღნაღიდან ჩამოდინ და მის ნაყოფს საკონსერვო ქარხნისთვის კრეფენ. მალე ჩვენს მოგზაურებს ცხენდაცხენ სიმონი წამოეწია. როდესაც დაუპირისპირდა, დაქვეითდა, აღვირი ცხენს კისერზე გადასდო და წინ, სახედრებისკენ გაიგდო, თვითონ გიორგის ამოუდგა გვერდში.

– კასრის წყალზე ავალ, ცოტაოდენი საქმე მაქვს.

ამასობაში წკრიალამ მოასწრო რამდენიმე კაკბისა და ერთი გნოლის აფრენა.

– დურაჯი ერთი-ორიღა გვხვდება, ისიც ივრის პირებზე, აქ აღარ არის, ამოწყვიტეს.

ცოტა ხნის შემდეგ სიმონი ისევ დაწინაურდა, მოახტა ცხენს და ხევებში გაუჩინარდა.

მარჯვნიდან პანტიშარას ხევი შეუერთდა და ხეობა ისევ შევიწროვდა. ერთი საათის სიარულის შემდეგ მხარმარცხნიდან მგზავრებს ალესილები წამოადგათ თავზე, ის რამდენიმე მწვერვალად იყოფოდა და ერთი მთლიანი კედლის იერი არ ჰქონდა.

– უჰ! ეს რამდენი მერცხლის ბუდეა!

მერცხლებს პანტიშარის ერთ-ერთ ალესილზე რამდენიმე ათასი ბუდე ჰქონდათ. ბუდე ტალახით იყო ნაშენი, ერთმანეთზე მიკრული და მიწებებული. მერცხლები წიოდნენ, ჭიკჭიკებდნენ, ჰაერში ირეოდნენ ფუტკრის ნაყარივით, იდგა ერთი გნისა და ორომტრიალი. ველის მერცხალი სოფლებში და ქალაქებში მობინადრე მერცხლებისაგან განსხვავდება, ზომით უფრო პატარაა.

– აი, ესაა ჩვენი დათვის ხევი, აქ მოგვიხდება ღამის გათევა, – დადგა ჩრდილში გიორგი.

სახედრები თვითონ შეჩერდნენ.

– გიორგი, მზე იკბინება, წვიმა არ წამოვიდეს! – გააფრთხილა პავლემ.

– თუ იწვიმებს, კარავი და მისი ჯანი.

– თქვენ იცით.

– დათვის ხევი პანტიშარას მარჯვენა მხრიდან ერთვის და 10-12 კილომეტრი აქვს სიგრძე, ისიც ხმელ ხევშია. მხოლოდ დიდი წვიმების შემდეგ ახმაურდება წყლით. პატარა ნაკადული კი ქვიშაშივე იკარგება. აქ ბევრია დაკარგული მდინარე. მოწანწკარებს, მოლივლივებს და უცბად ქრება, მხოლოდ 2-3 კილომეტრის მერე იჩენს თავს, ისიც მხოლოდ წვიმების შემდეგ.

ბიჭები გაშლილ ნაბდებზე წამოწვნენ, მაგრამ ძია პავლემ წამოყარა, შუშა მოიტანეთო. მალე ცეცხლიც აგიზგიზდა და პავლე თავის საქმეს შეუდგა.

უცბად მანქანის გრიალი გაისმა.

– მიხო, მიხო!.. აქ რას ეძებ? – შემოეხვივნენ ბიჭები. მიხო მათი ძველი ნაცნობი იყო.

– აი, არტემმა ჩამომიყვანა...

გიორგი არტემს ესაუბრებოდა.

– ამაღამ წვიმა მოვა, ავიდეთ ზევით კასრის წყალზე და თუ დარი იქნება, ხვალ ჩამოვიდეთ.

– ჩემო არტემ, კარში გასულ კაცს ან წვიმა მოუსწრებს, ან თოვლი.

– კარავი აქ არ დაიდგმება! – არტემმა მარცხენა ნაპირის ბექზე აირბინა და ჩამოსძახა:

– ამოდით ზევით, აქ ადგილი ბევრია.

მალე ზევით, მეორე ტერასაზე დაბარგდნენ. პავლემ სახედრები ალალა და დააბა ღვიებზე, მერე ცეცხლი აიტანა, მანქანაც ზევით ააცოცეს.

– სიფრთხილეს თავი არ სტკივავო. დღეს მზე იკბინებოდა, ლიალვარზე ღრუბელი მოჩანდა და ღამით შეიძლება თქემი იყოს, – ჩაილაპარაკა არტემმა.

სადილის შემდეგ ბიჭები ნაზადზე წამოწვენენ, თითქოს ჩათვლიმეს კიდევ, მაგრამ ერეკლემ თავი წამოყო და დაინახა, რომ მამა, არტემი და შალვა ალესილის ძირში რაღაცას ჩაჰკირკიტებდნენ.

აქ რაღაც ამბავიაო, იფიქრეს ბიჭებმა და მამისკენ გაქანდნენ. ლოდებზე დალაგებულ ნატეხებს დააცქერდნენ. გეგონებოდათ, ვიღაცას ლითონის ბეჭდით ამოუტვიფრავს ხის ფოთლებიო.

– აი, ტირიფის ფოთოლი.

– ეგ მოწეული ტირიფი უნდა იყოს. ეს ტირიფი დღესაც ცოცხალია, აგერ ხევში, ოფის ძირში დგას, – მიუთითა არტემმა.

– აი, ესეც ბოყვია, ბოყვი დიდებული მცენარეა, ლაგოდების ტყეებში გვხვდება, კავკასიონის ქედზე.

– მართალია, დათვის ხევის ნამარხი მცენარეულობა ამ ორმოციოდე წლის წინ შეისწავლა ცნობილმა მკვლევარმა ი. პალიბინმა, მაგრამ ხელს რა გვიშლის, მასალა ჩვენც შევაგროვოთ, – მიმართა ბიჭებს მამამ.

მართლაც, მალე განლაგდა უროიანის მოლზე ძელქვის, პანტის, ხერკინის, წიფლის, კაკლისა და სხვათა ფოთლის ანაბეჭდები.

ყველა გულდასმით მუშაობდა.

– მე რომ თქვენ გიყურებთ, კარვებისთვის არა გცალიათ, – თქვა პავლემ და კარვების გამართვა დაიწყო, პავლეს მიხოც წაეშველა. ამასობაში ხევში ჩრდილები წამოწვა, თუმცა ფლატის ძირიდან ისევ ისმოდა:

– ეს წიფელს გავს.

– ეს ხომ იფანია!

– არა, ეგ ლაფანია. შემორჩენილია კოლხეთში და ცოტა ალაზანზეც.

– აი, ბიჭებო, ესეც წყავი.

იპოვეს შინდი, ჯახველა, უზანი. ამ ნამარხებში სხვადასხვა დროს ნაპოვნია ბიჭვინთის ფიჭვი, სექვოია. ჩვენი მკვლევარების აზრით, ჰოლოცენის ბოლოს, ე. წ. აგზაგლის პერიოდში, ზღვამ ისევ დაფარა კახეთი და დამარხა ის ტყე, რომელიც აქ იყო გაშენებული. შირაქის მხარე ზღვის თხელი ყურე იყო და ალბათ, ამიტომ გადარჩა სხვადასხვა ფოთლისა და ნაყოფის ანაბეჭდი, თვით ნაყოფიც კი.

მცენარეების ანაბეჭდებით დასტურდება, რომ აქ საკმაოდ ნესტიანი და თბილი ჰავის ტყე ყოფილა, ისეთი, როგორც დღეს კოლხეთშია. თუმც ალაგ-ალაგ, ალბათ სამხრეთის ვერდობებზე, უფრო მშრალი ტყე იყო, ან შეიძლება მშრალმა პერიოდმა შეცვალა უფრო ტენიანი პერიოდი. ამის მიხედვით იცვლებოდა მცენარეულობა – ერთ ტიპს ცვლიდა მეორე.

ერეკლე ღიმილით უცქერდა ვახტანგს, რომელიც ხევში დააბოტებდა.

– რას ბურტყუნებ, ბიჭო?

– რასა და მცენარის სახელწოდებებს ვკითხულობ.

– რა სახელწოდებებს, რამ გაგაგოჟა?

– ვერა ხედავ? ეს სარმატისდროინდელი ბოტანიკური ბაღია! აგერ, ცამდე ასულა სექვოია, ტანწერწეტი ძელქვა, აგერ კაკალი, ტოტებგაშლილი ლაფანი, წყავი, შქერი, მოცვი, იელი, ყველას თავისი სახელი აქვს.

ამ დროს ალესილებიდან ყრუ გრუხუნი მოისმა. ბიჭები ხევიდან ამოცვივდნენ. არტემმა ცას ახედა, – მოწმენდილი იყო.

გრუხუნი ახლა ზევიდან მოისმა.

– აჰ, ეს კი არ არის კარგი!

წამოდგა არტემი და მანქანიდან ნესვი, საზამთრო და ადრეულა ხილი გადმოიღო.

– სანამ წვიმა მოვიდოდეს...

და გაიბა მხიარული საუბარი.

– აქ ბევრი დათვი იცის, – წამოიწყო არტემმა, – მგელი, ტურა, გარეული ღორი, ხანდახან ვნადირობ კიდევ. ერთხელ დათვის ჩავუსაფრდით. ლეში დავაგდეთ. ვზივართ მე და მოსე ღვიებში და ველით. ხომლი კარგა მალა წამოვიდა. ვხედავთ, უფრო კი ვიგრძენით, ღვიის ბუჩქის ტოტები შეირხა, შეირხა და რაღაც უზარმაზარი გადმოვიდა ლემისკენ. ხელეპაკანკალებულმა დავუმიზნე თოფი. მოსე სულ გაინაბა. მეც ვერაფერი ვუთხარი, გაიგონებს დათვი და უკან გაბრუნდება-მეთქი. თოფს ვერაფერი მოვუხერხე. ბოლოს, როგორც იქნა, იგრილა ჩემმა თოფმა და ეს უშველებელი ცხოველი ძირს დაენარცხა. მივცვივდით და რას ვხედავთ, რაღაც ჭრელი მიწაზე გაგორებულია. ჯერ ვეფხვი მეგონა, როდის-როდის წავატანე უკანა ფეხებში ხელი და მოვწიე, რაღაც უცნაურად დაიღმეულა და წამოიწია.


წამოიწიაო!..



მე და მოსემ ერთმანეთს თვალი ბუჩქებშიდა შევავლეთ. ხმას ვერ ვიღებთ. გავიტვრინეთ. ჩამიჩუმი არსაიდან ისმის. ძლივს მოვითქვით სული, გამოვძვერით ღვიიდან და გავხედეთ ნადირს. ისევ ისე გდია. ფეხაკრეფით მივუახლოვდი და დავახალე ორჯერ ჟაკანის ტყვია.

თურმე აფთარი იყო, შავთეთრზოლებიანი აფთარი. ზურგზე ჯაგარი დაჰყვებოდა. მას ხალხში მეღელვაცასაც ეძახიან. წინათ ჩვენში ბევრი იყო, სწორედ შირაქ-ელდარში, სამგორ-გარეჯში და ასეთ უდაბურ ადგილებში. ახლა საკმაოდ შემცირდა.

ლაპარაკში გართულებს თავზე ღრუბელი ისე წამოადგათ, ვერც კი გაიგეს, გაიელვა და დაიჭექა, სახეზე წვიმის მსხვილი წვეთები მოხვდათ. სწრაფად წამოცვივდნენ და კარავში შერგეს თავი.



### მერცხლის ბუდეები

გეგონებოდათ, ცა ჩამოქცაო, ისეთი კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ამ ორომტრიალში მკაფიოდ გაისმა ლურჯა სახედრების გამაყრუებელი ყროყინი.

ხანდახან გაიელვებდა ხოლმე და ელვას გამაყრუებელი გრუხუნი მოსდევდა. ერეკლემ ველარ მოითმინა და კარი ჩამოხსნა. ელვის დროს მთები ერთი-ორად მაღლები ჩანდა, თითქოს დევეები წამომსხდარიყვნენ ცეცხლზე შემომდგარი ქვების ირგვლივ. გრიალებდა ცა, შხუოდა წვიმა და მოდიოდა დელგმა.

წვიმა უცხად შეწყდა, ბიჭები გარეთ გამოვარდნენ. ღრუბლის ნაფლეთები სადღაც გარბოდნენ, ვარსკვლავები კი უფრო მეტად ბრწყინავდნენ.

ხევის სიღრმიდან შემზარავი გრუხუნი მოისმა, რაღაც ბრდღვინავდა და წინ მოიწევდა.

– ღვარცოფი წამოვიდა, ჩვენ მაღლა ვართ, აქ წყალი ვერ ამოვა, მიხო, გაგვინათე ხევი!

მიხომ ჩართო სინათლეები და მიანათა ხევს, წყალი ცოტა მოდიოდა, მაგრამ, უცებ მოსახვევიდან, თითქოს ურჩხულიაო, გამოვარდა თითქმის ორი მეტრის სიმაღლის ღვარცოფის ენა და გაექანა ქვევით, ეძგერა მარჯვენა ფლატეს და ჩამოგლიჯა მიწის უზარმაზარი ბელტი, რომელიც ტალღებში ჩადგაფუნდა და შთაინთქა. აქაფებულმა ნიაღვარმა ელვასავით ხრიალით ჩაირბინა მათ წინ და გაიჭრა პანტიშარისკენ.

– ჩემს მტერს შეხვდა წინ!

– ორი წლის წინ ლეკისწყალმა ხარ-კამეჩი და ორი მეურმე დაახრჩო. წვიმა არ მოდიოდა და თურმე მშვიდად დაიძინეს. აბა, რას იფიქრებდნენ, რომ ზევით მოსული წვიმისაგან ხევი ასე ადიდდებოდა.

მათ წინ დათვის ხევი ბრდღვინავდა და ღრიალებდა, გლეჯდა კბოდეს, მიწას და მიაქანებდა ქვევით.

– აბა, კარვებში! – გასცა განკარგულება გიორგიმ.

ბიჭები შეიშმუშნენ, მაგრამ დაემორჩილნენ. კარავში შესულებს დიდხანს ესმოდათ დათვის ხევის გრგვინვა და ღრიალი.

დილით, გარეთ რომ გამოვიდნენ, პავლე ცეცხლს უმარჯვებდა. გადაიხედეს ხევში და წყლის ხსენებაც აღარ იყო. ზოგი ქვა გამშრალიყო კიდეც.

### ვაშლოვანი უვაშლოდ

მშვიდი დილა გათენდა. ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც არ ჩანდა.


– პანტიშარას აღმართს მხოლოდ შუადღის შემდეგ ავივლით თავისუფლად.

– მანამდე კი დათვის ხევს აყვევთ!

– ძია არტემ, რაც წუხელი გვიამბეთ, მართლა მოხდა?

– მართლა მოხდა კი არა, ყველა რომ მართალი იყოს, მაშინ მონადირედაც ვერ გამოვდგებოდი, – უპასუხა ბიჭებს არტემმა.

ამ პასუხს მხიარული სიცილი მოჰყვა.



**ზღარბა**

ძია არტემი ახლა უკვე ნამდვილ ამბავს მოუყვა ბიჭებს. ერთხელ თურმე არტემი ვაშლოვანში თესლს აგროვებდა, მუშაობაში გართულს ისე შემოაღამდა, ვერც კი გაიგო. ზის არტემი ერთ ტოტებგაშლილ საკმლის ხეზე და კრეფს ნაყოფს. კრეფს და ერთი მსხმოიარე ტოტისკენ გაწვდილი ხელი უცებ გაუშეშდა: მეორე მხარეს უზარმაზარი დათვი ზის და არტემს შესცქერის. არც აცია, არც აცხელა, არტემმა ტყაპანი მოადინა ძირს. მის უკან ბრაგვანი მოისმა. ეს ალბათ დათვი იყო, გულში გაივლო და მოცოცხა. გარბის, მაგრამ რას გარბის! მდევერის ფეხის ხმა სულაც არ ესმის. ბოლოს და ბოლოს მიიხედა უკან და რას ხედავს! – დათვს მეორე მხარეს გაუქუსლია, თურმე ერთმანეთისა შეეშინდათ.

ასე ლაპარაკ-ლაპარაკით აუყვნენ დათვის ხევს. ძია პავლე კი თავისი სახედრებით კასრის წყლისაკენ გაისტუმრეს, ინსტიტუტის ბაზაზე ძია გიგო დაგხვდება და ის დაგაბინავებსო.

– ერთი რამე იცოდეთ, კარში გასული ქართველის მასპინძელი მთელი საქართველოა, მოვახერხებ დაბინავებას, – უპასუხა ძია პავლემ.

წერაყინები და ზურგჩანთები დაიტოვეს. ბარგი მანქანაში ჩააწყვეს, სახედრები ტყუილად რად დავტვირთო.

ცოტა ხნის სიარულის შემდეგ, მშრალ ხევში პატარა კუნძულს მიადგნენ, რომელსაც უზარმაზარი წითელღეროანი მარცვლოვანის ქუჩი მოსდებოდა, ხუთიოდე მარცვლოვანის ღერო სიმაღლით სამი მეტრიც კი იქნებოდა, მთავრდებოდა 40-50 სანტიმეტრის სიგრძის ლამაზი საგველათი. ღეროს მოწეულის ფერი გადაჰკრავდა.

– ეს ბალახი საინტერესოა. ის შორეულია, შუა აზიის ელემენტი, მოწეული ეირანთუსი ეწოდება, – თქვა გიორგიმ.

– აი, ესეც არანაკლებ საინტერესოა. ცილინდრული იმპერატა ჰქვია, არც ესაა ჩვენი მცენარეულობის პირმშო, ისიც შორეულია!

– ეგ არაფერი, ახლა რასაც გიჩვენებთ, ხეა, შუა აზიის ელემენტი და ამ ჩვენს დათვის ხევშია შემოხიზნული, – დაამატა არტემმა.

გიორგიმ ეჭვის თვალით შეხედა არტემს.

– კი, ბატონო გიორგი, ტურანგაა აქ.

– ტურანგა?!

ტურანგა ანუ თურანულა, შუა აზიის მდინარეთა ჭალის ვერხვია. ამიერკავკასიაში არეზისა და მტკვრის ქვედა ნაწილის ჭალებში გვხვდება, ისიც იშვიათად, მაგალითად, ალიჯა-ჩაის ჭალებში, იქ, სადაც მისთვის ხელსაყრელი პირობებია. საქართველოში კი ჯერ არ ყოფილა აღნიშნული და გიორგის ამიტომ გაუკვირდა.

მართლაც, მალე გამოჩნდა ნაცრისფერფოთლება თურანულა, ზოგი ფოთოლი თუ ვერხვს მიუგავდა, ზოგი ტიპიური ტირიფისა ჰქონდა, ზოგი კი ევკალიპტისა. სულ ნახევარ კილომეტრზე იყო გავრცელებული მშრალ ხევში, ფესვის ამონაყარით გამრავლებულა. ზოგი ხის დიამეტრი 75 სანტიმეტრს უდრიდა. გამოირკვა, რომ ყველა ხე მამრობითი იყო, წვრილი ნაბარტყი შიშალის გარდა. დიდი და პატარა თურანულა სულ ორასამდე დაითვლებოდა.

ესეც ერთ-ერთი რელიქტია, სარმატისდროინდელი, ზღვის უკან დახვევისა და წინ წამოწევის დროიდან უნდა იყოს აქ შემორჩენილი. მასთან ერთად მოსულა ეირანთუსი, იმპერატა, აპოცინუმი, ესენიც ხომ შუა აზიიდან არიან და იქაური ჭალებისთვისაა დამახასიათებელი. ამ ხევის უბეში შემოხიზნული თურანულა რატომღაც აქამდე ვერ შეამჩნიეს. არეზის თურანულას ამიერკავკასიის თურანულა დაარქვეს, მაგრამ ნამდვილი თურანულასაგან თითქმის არაფრით განსხვავდება.

– შენ გაიხარე, ჩემო არტემ, ეს რა მცენარე გვაპოვნინე, – მიმართა გახარებულმა გიორგიმ.

– თურანულა პირველად ზურაბ ქებაძემ ნახა, ვაშლოვანში რომ მუშაობს. მანვე აღწერა კიდევ.

– თურანულას ახალი გარემოსთან შეგუების უნარიც ჰქონია. დათვის ხევი, რომელსაც ასე შეეგუა თურანულა, ხეცხმელია, წყალი მხოლოდ წვიმების შემდეგ ახმაურდება ხოლმე. თურანულა აქაც გვხვდება და იქაც, სადაც კბოდების ძირიდან წყალი მოჟონავს, სადაც სინესტე მეტია.

თურანულას უშუალოდ ეკვრის ფერდობები, რომელიც დაფარულია გვალვის გამძლე ბუჩქნარით (ქსეროფიტებით). აქ ბევრია თრიმლი, თამელი, ძეძვი, უძრახელა, ხორციფერა, სირვამლა, გლერმა, ქართული კოწახური, ქართული ცხრატყავა, ბროწეული, ხემაგვარი ღვიები, საკმლის ხე, ჟასმინი და სხვ.

ბალახეულობით მდიდარია იფნურა (ეს უკანასკნელი უკვე მუხიანი ტყის ელემენტია და, მამასადამე, ნათელ ტყესთან მუხიანს წარსულში მაინც ჰქონია კავშირი, თითო-ოროლა მუხა აქა-იქ ახლაც შეიმჩნევა), სათითურა, ენდრო. თვით თურანულას კორომს შორის და მის ახლომახლო მიდამოებში აღინიშნება ჯაგრცხილა, შინდანწლა, ღვედკეცი, კავკასიური ურო, იმპერატა, ერიანთუსი და სხვა.

თურანულა ფრიად საინტერესო მცენარეა და სხვა ვერხვებთან ერთად შესაფერ ადგილას გასატყევებლად უნდა გამოვიყენოთ. მით უმეტეს, რომ კალმით კარგად მრავლდება, საკმაოდ ლამაზიცაა, პარკების დასამშვენებლად გამოდგება, – დაამთავრა თხრობა გიორგიმ.

– მაგრამ ბევრი რომ არ არის?

– რას იზამ, სხვაგან საქართველოში ის აღარ შეგვხვდება და რაც სათქმელია, აქ ვთქვათ – წახეხარა მასწავლებელს შალვა.

ჩამობრუნდნენ ნაბინავართან და მიხომ ააგუგუნა თავისი მანქანა, – აბა, ახლა ჩემი სახედარი გასინჯეთო.

გზა, ორ ხევს შუა ჩამოწოლილი ქიმის ზურგზე გადიოდა. მართალია, ზევიდან მიწა მშრალი ჩანდა, მაგრამ ქვეშ კიდევ სველი იყო და მანქანას გაუჭირდა სვლა. ბოლოს მაინც აივაკა.



საკმლის ხე

– პავლე აქ რომ იყოს, მაშინვე ანდაზას გეტყოდა.

– რას იტყოდა? „ადგილის კურდღელს, ადგილის მწევარიო“, – წამოიძახა ვახტანგმა.

ერთი ქიმის ზურგზე გიორგიმ მანქანა გააჩერებინა.

გადმოვიდნენ და რამდენიმე სურათი გადაიღეს მაღლიდან. ძეძვში ამოსული საკმლის ხის შიმალი, თუმცა უკვე თხუთმეტოდე წლისა იქნებოდა, შუა ბუჩქში იყო ამოზრდილი, ვარჯი გაეშალა.

– ახლა მაგას ძეძვი აღარ სჭირდება, საქონელი ვერაფერს დააკლებს, გაშლის ვარჯს და ძეძვი ხელში შემოაკვდება. ძეძვი ხომ ჩრდილში ვერ ხარობს.

– გააჩერე მანქანა! – წამოიძახეს ვახტანგმა და ერეკლემ ერთად.

მათ წინ გადაიშალა შირაქის გორაკები. შორს მოჩანდა ლარივით გაჭიმული კახეთის კავკასიონი. მართალია, კავკასიონის ამ ნაწილში, მარადთოვლიანი მწვერვალი არ არის, მაგრამ გაზაფხულის ბოლომდე მწვერვალები თოვლით არის ხოლმე „შევერცხლილი“. ლურჯი მთა, თეთრი მწვერვალი, კამკამა ცა, თეთრი, ბამბისქულა ღრუბლები თვალისმომჭრელი იყო.

– კასრისთავის წვერიდან ან შუამთიდან უფრო ლამაზია. აქედან კახეთის ვაკე არ ჩანს, არც ალაზანი, – უხსნიდა არტემი.

მანქანა ნელ-ნელა მიჰყვებოდა მინდვრის გზას სამხრეთისაკენ.

მარჯვნივ მოჩანდა ხრამები და ღრანტეები, ვიწრო ხეხევი, ალესილები. იქ, სადაც ეროზიული პროცესი მიმდინარეობს, ღვიის ტყეა. ეროზიის ბაზისებზე, ამ ფერდოთა ძირებზე, სადაც ნიადაგი დამშვიდებულია, საკმლის ხეა გაბატონებული.

– განა ამათი მოხელვა მყინვარწვერის მოხელვაზე ადვილია? – გაიშვირა ერეკლემ ხელი ღვიიან-ღრანტეებისაკენ.

– იქ თუ ჰაერია ცოტა, აქ სიცხეა გაუსადმისი.

– მაგრამ ხომ თავისებურად ლამაზია, უფრო შინაარსიანიც.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მანქანა ვააშლოვანის ნაკრძალის ეზოში შეგერიალდა.

– ოჰ, ილიას გაუმარჯოს! – მიესალმა არტემი ნაკრძალის ჩასასვლელთან მჯდომ მცველს. გიორგიმაც გულითადად მოიკითხა.

– ხომ კარგად გაქვთ საქმე?

– მეტი რაღა მაბარია. ზურაბ, ჰა, ზურაბ! – გასძახა.

აივანზე ზანტად გამოვიდა ახალგაზრდა კაცი. თავისი მასწავლებელი რომ იცნო, სწრაფად ჩამოირბინა კიბე.

ვახტანგი და ერეკლე ზემოდან გასცქეროდნენ ნაკრძალს და აღტაცებას ვერ მალავდნენ. ხეები ერთიმეორისაგან 10-20 მეტრით იყო დაცილებული, ყოველი ხის ჩრდილი მიწაზე გაწოლილიყო.

– უზარმაზარ ბაღს ჰგავს.

– ვაშლოვანიც იმიტომ ჰქვია. მთელი ნაკრძალის ტერიტორიაზე, რომელსაც 6000 ჰექტარი უჭირავს, ერთი მაჟალოც არ დგას. ზევიდან რომ გადაიხედო, ვაშლის ბაღი გეგონება.

– ნათელიც ალბათ ამიტომ ჰქვია, რომ ხეებს შორის სინათლე თავისუფლად ჩადის.

– საქართველოში ნათელი ტყეები გავრცელებულია აღმოსავლეთ ნაწილში, – დაიწყო გიორგიმ, – ტიპური ნათელი ტყეები გვხვდება ჩვენი ველებისა და ნახევარუდაბნოების გაბატონების არეში: შირაქში, ელდარში, გარეჯში, გარდაბნის მხარეში, იაღლუჯაზე. გარდა ამისა, ნათელი ტყის პატარა ნაკვეთები, ზოგჯერ მისი შედარებით მეზოფილური ვარიანტები, აღნიშნულია ველების პერიფერიებზე, მთების წინა კალთების, ტყეების (მუხნარების) არეში, ბოლნისსა და სოფელ დმანისს შორის, მაშავერას მარცხენა ნაპირას, შულავერის მიდამოებში, მდინარე ფოლადაურის გორაკებზე, მდინარე ქციის ხრამის კანიონებზე, ქალაქ სამშვილდეც ნანგრევთა მიდამოებში. ნათელი ტყის ელემენტები გვხვდება მდინარე ვერეს ხევშიც, თბილისის მახლობლად და სხვ. ეულად გამოიყურება მდინარე არაგვსა (მცხეთასთან) და მდინარე ქსანს (სადგური ქსანი) შორის მდებარე სარკინეთის მთის სამხრეთი ფერდობებისა და არმაზის ქედის, განსაკუთრებით სამხრეთის ფერდობის, ნათელი ტყეები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნათელი ტყეების თანამედროვე კერებიდან დაცილებულია, ძირითადი ელემენტებით მაინც წააგავს მათ. ქალაქ გორის დასავლეთით ნათელი ტყის ნაკვეთი აღნიშნული არ არის.



**ღვიანი ხრანცევი**

ამ ტყეების ბუნებრივი პირობების მაჩვენებლები ბევრით არაფრით განსხვავდება ველის ბუნებრივი პირობებისგან. ნათელი ტყის ნიადაგი ფრიად მრავალფეროვანია. ნათელი ტყის ელემენტები გვხვდება როგორც წაბლა და კარბონატთან-შავმიწა ნიადაგებზე, ისე ვეძიანზე, ხირხატანზე და სხვ.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ჩვენი ნათელი ტყეები ტყე-ველის ზონაა, მაგრამ სამხრეთ რუსეთის ტყე-ველის, ანდა სავანების მსგავსი ჩვენში არ არის, ამიტომ თუ ჩვენს ნათელ ტყეებს ტყე-ველს მივაკუთვნებთ, მაშინ ამ ტერმინში სხვა, ახალი აზრი, ასე ვთქვათ, ჩვენებური აზრი უნდა ჩავდოთ, რადგან ჩვენს ნათელ ტყეებს რუსეთის „ტყე-ველთან“ არავითარი კავშირი არა აქვს. ტიპური ნათელი ტყეები ნახევარუდაბნოსა და ტიპური ველების ფარგლებშია გავრცელებული. წარსულში და დღესაც ის პერიფერიებით ბევრგან მთების წინა კალთების ტყეებს (მუხნარებს) ესაზღვრებოდა (სარკინეთი, მცხეთა-არმაზი).

ნათელი ტყეებისათვის დამახასიათებელია „სინათლე“. ხეები, ჩვეულებრივად, ერთმანეთისაგან საკმაოდ დიდი მანძილითაა დაცილებული, რის გამოც უხეო, ღია, განათებული არე ბევრია; ბევრგან ხეებით დაფარულია ამ ტყის მხოლოდ მესამედი, მეოთხედი. სწორედ ამის გამო, ნათელი ტყეების შემქმნელი ხემცენარეები გარეგნულად განსხვავდება ნამდვილ ტყეში გაზრდილი ხეებისაგან. ნათელი ტყეების შემქმნელი ხეების ქორბუდი, უმეტეს შემთხვევაში, მრგვალია, ბურთისებური, ლაღად გაზრდილი. ხშირად ნათელი ტყის ხეები ოლეებს, ჯგუფებს,

პატარა კორომებს ქმნის, რომელშიც შეიძლება 10-12 ცალი ხე დაითვალოს, მაგრამ შორიდან ეს კორომებიც ერთი უზარმაზარი ხის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ხეები ერთმანეთისაგან შორი-შორს დგას. ამის მთავარი მიზეზი ნიადაგში წყლის მარაგის სიმცირე უნდა იყოს. წყლის ეს მარაგი მეტ ხეს ვეღარ უზრუნველყოფდა. ბალახეული საფარი ამ ტყეში ჩვეულებრივად იმ ფორმაციის მცენარეებისგან შედგება, რომლის არეშიც არის გავრცელებული (ვაციწვერიანი ველი, უროიანი ველი, აზინდიანი, ხურხუმოიანი, ჩარანიანი თუ სხვ.).

ბოტანიკოსების მიერ აღნიშნულია, რომ საკმლის ხის შედარებით ხშირი ქორბუდის ქვეშ არსებობის განსაკუთრებული პირობები იქმნება. ამიტომ ღია ადგილების მცენარეულობა ქორბუდის ქვეშ მოქცეული მცენარეულობისაგან რამდენადმე განსხვავდება.

დაბალტანიან საკმლისხიანში, სადაც ხის ტანი ერთ-ორ მეტრს არ აღემატება, ეს მოვლენა შედარებით მკვეთრია, მაღალტანიან და უფრო ნათელ ჯგუფებში ხის ქორბუდისქვეშა და ღია ადგილის ბალახეულობა ერთმანეთისაგან უკვე ნაკლებად განსხვავდება.

ნათელი ტყის შემქმნელი მთავარი ჯიშებია: საკმლის ხე, აკაკი, ქართული ნეკერჩხალი, ჭალის თელა, საქართველოს თელა, მაღალმოზარდი ღვიები, ელდარის ფიჭვი, ბერყენები, ტირიფფოთოლა ბერყენა, ქართული ბერყენა, დემეტრეს ბერყენა, სახოკიას ბერყენა, ელდარის ბერყენა, კეცხოველის ბერყენა და სხვ. აგრეთვე, ისეთი ჯიშები, რომლებიც სხვა ტიპის ტყეების შემქმნაში მონაწილეობას არ იღებენ.

ამჟამად ნამდვილი ნათელი ტყე შექმნილია ფოთოლმცვივანებიდან – კევის ხისაგან და წიწვიანებიდან – ელდარის ფიჭვისა და ღვიებისაგან. აკაკის, ქართულ ნეკერჩხალსა და თელას დიდი ფართობები თითქმის აღარ უჭირავთ.

ფოთლოვანი ნათელი ტყე, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს იმის მიხედვით, თუ სად რომელია წამყვანი ხე. მაგალითად, აქ გვაქვს საკმლისხიანი.

ქართული თელიანი აღნიშნულია ერთი ფრაგმენტით.

წიწვიანი ნათელი ტყე, თავის მხრივ, ორ ჯგუფს შეიცავს: ფიჭვნარს, რომელიც ელდარის ფიჭვნარისგან არის შექმნილი და ღვიანს.



**ვაშლოვანის საერთო ხედი**

სარკინეთისა და არმაზის ქედზე გავრცელებულია ღვიანი და კევისხიანი, რომლის ჩამოყალიბებაში, გარდა ნათელი ტყის ტიპური თანამყოლებისა, ხშირად მონაწილეობას იღებს ქართული მუხის ტყის ელემენტები.

ნათელი ტყეები ამ ახლო წარსულში საქართველოში უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ გავრცელების არის თავისებურებამ თავისი დალი დაასვა, – ძლიერ შემცირდა. ეს ტყეები გარცელებულია საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც ზამთრის სამოვრებად იყო და ახლაც არის გამოყენებული, ანდა უშუალოდ ესაზღვრება ინტენსიური სოფლის მეურნეობის სოფელ-დაბებს. ვაშლოვანის ტყის არეში ძოვდა ცხვარი, მროწლე, რომელიც ტყის ნორჩ ამონაყარს ან ფესვს ყელამდე ჭამდა, ან ფეხით თელავდა და ანადგურებდა, რითაც ხელს უშლიდა ტყის აღდგენას. ამჟამად, თუ ზოგან ნორჩნარი მაინც გვხვდება, ესაა შედეგი თავისებური „ცრუ სიმბიოზისა“ კევის ხესა და ეკლიან ბუჩქებს (შავჯაგა, ძეძვი, გლერმა) შორის. ვაშლოვანში დროებით დართეს ნება, რომ საქონელი ემოვებინათ. ნათქვამია: „ბატონს ძღვენს ნუ მიუტან, თორემ ბეგარად დაგადებსო“, შემდეგ ძლივს ავადებინეთ ხელი საქონლის მოვებაზე.

მეცხვარეებს ზამთრის საწვავს სწორედ ნათელი ტყე ამლევდა. საწვავი გაჰქონდათ ახლომახლო სოფლებსაც, ჩეხდნენ უდიერად.

თბილისში მრავალი ოქრომჭედელი მუშაობდა XX საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულამდე. ოქრომჭედლებისთვის ძვირად ფასობდა საკმლის ხის ნახშირი, რადგან სხვა ხის ნახშირზე უფრო მხურვალეა. ამ ოციოდე წლის წინ ჩვენმა არქეოლოგებმა, მცხეთის მახლობლად, სარკინეთის მთის სამხრეთისაკენ მიქცეულ ფერდობზე, შიო მღვიმის მონასტრის წინ, მინდორზე, აღმოაჩინეს ლითონის სადნობი ღუმელები, აგრეთვე

სხვადასხვა პატარ-პატარა სხმულები, უფრო სასახლის მორთულობანი. როგორც ჩანს, აქ იყო დედაქალაქ მცხეთის სახელოსნოები და, ალბათ ეს იმიტომ, რომ აქ იყო საკმლის ხე, რომელიც მაგარ ნახშირს იძლევა.

ნათელ ტყეს ბევრგან უშუალოდ ესაზღვრება ჭალის, ვაკის, მთების წინა კალთების ტყეები, ველები და ნახევარუდაბნოები, ამიტომ ეს თავისებურ დაღს ასვამს ნათელი ტყის ფლორისტულ შემადგენლობას, უმთავრესად კი ბალახეულ საფარს.

საკმლის ხის ტყე ნათელი ტყის ფოტოლმცვივან ტყეთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული და თავისთავადია. ეს ტიპი, განსაკუთრებით ამჟამად, კარგადაა განვითარებული და შენახული შირაქ-ელდარში (ვაშლოვანი, პანტიშარა, ღორისწყალი, ლეკის წყალი, ბუღათ-მოედანი და სხვ.), იორ-ალაზნის ქვედა მიმდინარეობაზე, სადაც ჭალის ტყეს ემეზობლება და სხვ. ამის გარდა საკმლის ხის კორომების ნაშთები გვხვდება გარეჯის უდაბნოში, ტიპური ველების დაჯგუფებათა შორის, გარდაბნის ველის მშრალ ფერდობებზე, იაღლუჯზე და სხვაგან. ბევრგან ძეძვიანებში გადარჩენილია თითო-ოროლა ხე ან ხის ძველი ძირის ტანბრეცილი ნაბარტყი.

საკმლის ხის გავრცელების არეში გვხვდება აკაკიც, თელაც, ფშატიც. ეს ორი უკანასკნელი სახეობა ხშირია ხევებში, ალესილების ძირში. მართალია, ხევები მშრალია და მხოლოდ იშვიათი წვიმების დროს ახმაურდება ხოლმე, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა ადგილსამყოფელზე უფრო მეზოფილურია, ნათელ ტყეში ბუჩქი იმდენია, რომ ნიადაგს ფარავას. ასეთ ადგილებში ბუჩქებში ბევრია ლეღვი, ბროწეული, თრიმლი, თუთბო და სხვ.



**ვაშლოვანის ერთ-ერთი კუთხე**

ნათელი ტყის ნიადაგები საკმაოდ მრავალფეროვანია. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საკმლის ხის არეში გავრცელებულია ბალახეულის მრავალნაირი ჯგუფი. სახელდობრ: უროიანი, უროიან-აბზინდიანი, აბზინდიანი, ყარღანიანი, ხურხუმოანი და სხვა. თუ ჭალის ტყეს ესაზღვრება, მაშინ ნათელი ტყის ვარიანტი იშვიათი არ არის ჭალის ტყის ბალახეულიც.

ამ ტყეების თავისუფალ ადგილებში აღინიშნება: ურო, ველის წივანა, კეწეწურა, ბოლქვიანი თივაქასრა, ჰანსენის აბზინდა, ხურხუმო, ჩარანი, წითელწვერა, შორაქნის ცოცხი, კოფრჩხილა, კაპარი, ბუნგეს გვლერმა, კახური საბეგველა და სხვა მრავალი. ამ მცენარეთა ნუსხიდან ჩანს, რომ თვით ცენოზებიც, რომლებშიც ისინი იღებენ მონაწილეობას, ნაირ-ნაირია.

მრავალფეროვანია ბუჩქნართა სიაც.

ვაშლოვანის საკმლის ხის ნათელი ტყე ერთ-ერთი კი არა და, ვფიქრობთ, უკვე ერთადერთია საბჭოთა კავშირში, სადაც საკმლის ხე ასე კარგადაა შემონახული. როდესაც კასრის წყალს კარგა მანძლით გასცდებით (კასრის წყლიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ 9-10 კილომეტრია) და უცბად მაღლიდან გადახედავთ ვაშლოვანის ჩანასხლეთს, გაოცდებით. ვაშლოვანამდე სრულიად გადატრუსული, გადახრუკული ველებია, ზოგან ფერდობები ვერცხლისფრად ბრწყინავს ოქრო-ცოცხასაგან და უცბად ძირს, ღრანტეების ქვევით, საკმაოდ ვრცელ, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაქანებულ ვაკეზე, რომლის სიგანე 2-3 კმ. იქნება და სიგრძე – 6-8 კმ., ნაკრძალს 5952 ჰექტარი უჭირავს. მოჩანს უზარმაზარი შავი ბურთისებრი საკმლის ხის ქორბუდები, თითქოს ნესვ-საზამთროს მინდორზე მარტო ნაყოფილა დარჩენილაო, ან ხელოვნურად გაშენებული ბაღიაო.

ზოგი ხე უზარმაზარია. დიამეტრი 50-90 სანტიმეტრს აღწევს, ქორბუდი ისე დაბლა იწყება, რომ ტოტები მიწაზეა დაყრდნობილი.

ამ ხეობის აკუმულაციის არეში საკმლის ხეა გავრცელებული, ხოლო ეროზიულ ფერდობებზე – ღვია. ამ ტყის ფართობი ვაშლოვანში 2000 ჰექტარზე მეტი უნდა იყოს. ბალახეული საფარის ფლორისტული შემადგენლობა მდიდარია და მრავალფეროვანია. სხვადასხვა ადგილას თავისებური, ერთმანეთისაგან განსხვავებული ცენოზი იქმნება, რადგან საკმარისად მრავალფეროვანია ნიადაგიც.



ალესილების ძირში სჭარბობს თელა, ლეღვი, ღვია; პანტი-შარაში ღვია და საკმლის ხე ერთმანეთშია არეული. რიყიანებზე სჭარბობს ღვია, შედარებით ღრმა ნიადაგზე – საკმლის ხე.

ოქტომბერში ბალახეული მცენარეების უმრავლესობა გადამხმარია (გარდა ჩარანისა, წითელწვერასი და მისთანების); რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სავეგეტაციო პერიოდში მრავალმა (არანაკლებ 3-4) ასპექტმა შეცვალა ერთმანეთი. ზემოთ მოყვანილი სიები ნაკრები სიებია, ისევე, როგორც ვაშლოვანის ტყეში, პანტი-შარაშიც სხვადასხვა დაჯგუფებები გვაქვს. ისინი ერთმანეთს ცვლიან.

ვაშლოვანში (და არა მარტო ვაშლოვანში, არამედ ლევის წყალზე, ბულათ- მოედანზე და სხვაგან) ყურადღებას იპყრობს მიწას გართხმული ბუჩქნარი, რომელიც უფრო ბალახეულის ჯგუფების მონაწილეა, ვიდრე ტიპური, შედარებით მაღალი ბუჩქნარისა. ესენია, უძრახელიანი – დიდფოთოლა უძრახელისაგან შექმნილი, ჟასმინიანი – შექმნილი ჩვეულებრივი ჟასმინისაგან. ამ დაჯგუფებაში განსაკუთრებით ჩვეულებრივია ველის წივანა. რაც შეეხება შავჯაგასა და ძეძვს, ესენი ხომ ჩვეულებრივ, მახასიათებელი და მთავარია.



**ვაშლოვანი. საკმლის ხე გორაკზე**

მართალია, კვეის ხე ნიადაგის მარილებს უძლებს, მაგრამ ამ „გაძლებასაც“ აქვს საზღვარი. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ შირაქის ალესილებსა და ივრის ჭალის შუა მდებარე ელდარის ველზე კვეის ხე არ იზრდება, მაგრამ ზოგან ეს დარღვეულია, კვეის ხე გაჭრილია ელდარის შუა წელისაკენ გამოტანის კონუსის შორს გაჭრით. ეს ხომ ვნახეთ კიდევ, მრავალ დიდსა და პატარა ხეებს ეროზიული მოვლენების პროდუქტები ელდარის გულისკენ გააქვს და ქმნის კონუსებს. ზოგჯერ კონუსის სიგრძე საკმაოდ დიდია, თუ ივრის პირამდე ყოველთვის ვერ აღწევს, არც ბევრი აკლია. ხშირად ამ კონუსის სიგრძე 5-10 კმ-ა, სიგანე კონუსის წელს ქვევით 2-3 კმ. კონუსის ასეთი სიგრძე შედეგია ამ მხარის კლიმატური და ოროგრაფიული მოვლენებისა. ქარების შედეგად ალესილების კედლები იშლება და დაშლის პროდუქტი გროვდება ხეებისა და ხრამების ძირზე. ამ მხარეში კოკისპირული წვიმები იცის. წვიმის წყალი მიწაში მცირე რაოდენობით იჟონება, რის გამოც ხეები წვიმების დროს თითქოს „ცოფდებიან“. ხევი წყლით ივსება. წყალი ქვევით მოექანება და მოაქვს ეროზიის პროდუქტი. ის ნიაღვარს შორს მიაქვს, ამიტომ გამოტანის კონუსი გრძელდება. მართალია, კონუსის სისქე ველის შუა წელში და მის ქვევით ზოგჯერ მცირეა, მაგრამ მაინც შექმნილია ძირითად მასივთან შედარებით სრულიად განსხვავებული საცხოვრებელი პირობები. სუბსტრატი უმთავრესად იმ ფერდოთა ნაშალებსგან შედგება, სადაც დგას კვეის ხე. ორგანული ნივთიერებები (ჩამორეცხილი და მოტანილი ნიადაგი) ღრმად არის. ამავე დროს, იგივე კონუსი ნიაღვრებით ყოველწლიურად მდიდრდება. ასეთ ნიადაგებზე კვეის ხეს უკვე აღარ უჭირს დასახლება.

ალესილები, როგორც უკვე ვიცით, დეპრესიის შედეგად გაჩენილი მაღალი კედლებია. შირაქის მიდამოებში უმთავრესად ორი ზოლია – პირველი ვაშლოვანის აღმოსავლეთ საზღვარზე, მეორე – დასავლეთით, ელდარის საზღვართან. პირველი ზოლი შედარებით დაბალია, ხოლო მეორე – საკმაოდ მაღალი, 100=200 მეტრი და მეტი სიმაღლისა. ამავე დროს, ალესილების კედლები ქმნიან ვიწრო დერეფნებს, ხრამებს, სადაც მზის სხივი ძნელად ატანს. ალესილების კედლებიდან ცვივა თიხა და კენჭი, რომელიც მათ ძირს მიწაყრილივით გასდევს. აქ ძირიდან ბევრგან წყალიც ჟონავს (სწორედ რომ ჟონავს. წყაროს, ისიც მცირეწყლიანს, მხოლოდ ერთი-ორგან მიაგავს). ალესილის ძირში გაყოლებულ „ხელოვნურ“ მიწაყრილზე გვხვდება თელა, ლეღვი, ქართული ნეკერჩხალი, ბროწეული, ფშატი და სხვ. ნათელი ტყის ეს დაჯგუფება, უეჭველად, უფრო მეზოფილური ვარიანტია.

აკაკიანის დაჯგუფებები შექმნილია კავკასიური აკაკისაგან. საკმლის ხის არეალთან შედარებით, აკაკის არეალი უფრო ფართოა. აკაკი გვხვდება ვაკის ტყის, მთების წინაკალთების ტყის მშრალ ვარიანტებში, სოფ. შაქრიანი – კახეთში, სოფ. თეზი – ლამისყანაში (ქართლი).

აკაკი უფრო სიცოცხლისუნარიანი ჩანს, ვიდრე ნათელი ტყის სხვა ჯიშები. პიტალო კლდეში ჩაზრდილი ეგზემპლარების ნახვა შეიძლება ქციის, მაშავერას, ფოლადურის ხრამის კანიონებზე, ლეღვთა ხეში და სხვაგან. ის ასეთ ადგილებში თავისებურ ზღაპრულ კორომებს ქმნის, განსაკუთრებით, როდესაც უსიცოცხლო კლდეებზე,

ან ქვების უზარმაზარ ხროვებზე ამოზრდილა მშვენიერი, ტოტებგანიერი, ლამაზქორბუდიანი ხე, რომლის გამოჩენილ ფესვებს ჩაუხვევია და ჩაუბლუჯავს უზარმაზარი ლოდები და მერე გულდამშვიდებული კვლავ მიწაში ჩაბრუნებულა. თითქოს კლდეებთან უდიდესი და მძაფრი ბრძოლა გაუმართავსო. არც ერთი ჩვენებური ხე ასეთი ძალით არ ებრძვის და არ შლის კლდეს, როგორც აკაკი. ამის მაგალითია ძველი სამშვილდე, რომლის სასახლეების ნანგრევებს ასწლოვანი აკაკის ფესვები შემოხვევია.

შირაქში აკაკიანები ფართოდ ყოფილა გავრცელებული, მაგრამ თანდათან მოუსპიათ. ხშირად გვხვდება მუხიან-აკაკიანები მთების წინა კალთებზე.

ნეკერჩხლიანები ქართული ნეკერჩხლისგანაა შექმნილი.

ჭალის საკმლისხიანი გავრცელებულია ჭალის ტყეების ნაპირებში.

თელიანებიც არ ქმნიან დიდ კორომებს.

ბერყენიანი ნათელი ტყის თავისებური ჯგუფია. ის შექმნილია რამდენიმე სახეობისაგან. ეს სახეობები დღემდე კავკასიის ფლორის მკვლევართა მიერ გაერთიანებული იყო ტირიფფოთოლა ბერყენაში. ახლა უკვე ბერყენებში დადგენილია: ტირიფფოთოლა, ქართული, ელდარის, სოსნოვსკის, დემეტრეს, ფედოროვის, კეცხოველის, სახოკიას და სხვა ბერყენები, – სულ ცხრა. როგორც ჩანს, ბერყენიანი ფართოდ იყო გავრცელებული, ამას ადასტურებს აღმოსავლეთ საქართველოს ბარში (1000 მეტრამდე) ცალკე, ეულად მდგომი ბერყენები.

ნათელი ტყეების გავრცელების არეში, ან იმ ფარგლებში, რომელიც მას წარსულში ეჭირა, გვხვდება თავისებური ბუჩქნარი, რომელიც აშკარად ნათელი ტყის ნაშთია.

ამ ბუჩქნარების მცენარეულობის სიიდან ნათლად ჩანს, რომ ე. წ. ქსეროფიტული ბუჩქნარი, რომელიც აღმოსავლეთში ველების ფარგლებშია გავრცელებული, ძირითადად მეორადია, ნათელი ტყის შემდეგ წარმოშობილი და შემდგომი ცვალებადობის შედეგად თავისებურ ტიპად ჩამოყალიბებული.

წიწვიანი ნათელი ტყეები ორი ტიპისაა: ფიჭვნარები და ღვიანიები. ფიჭვნარები უკვე ნანახი გვაქვს და ამიტომ ღვიანიებზე ვიტყვით ერთ-ორ სიტყვას.

ღვიანიები განსაკუთრებით კარგად არის გამოსახული ელიარ-ოულის ქედზე, ვაშლოვანში, შემადლებულ ჩამორეცხილ ფერდობებზე, პანტიშარაზე, შირაქის ქედების ჩამორეცხილ ფერდობებზე, ალაგ-ალაგ გარეჯის უდაბნოში, აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, სარკინეთის ქედზე, არმაზის ქედზე და სხვაგან. ესენი მკვეთრად განსხვავდება ველების ფარგლებში გავრცელებული ღვიანიებისაგან. ამ ღვიანიებში დიდ მონაწილეობას იღებს ვაკეთა და მთების შუა სარტყლის ტყის ელემენტები, მაშინ როდესაც შირაქ-ელდარის ღვიანიები გამდიდრებულია ველისა და ქსეროფიტულ დაჯგუფებათა ელემენტებით.

ბევრ ადგილას წმინდა ღვიანიები აქაც არაფრით განსხვავდება იმ ღვიანიებისაგან, რომლებიც ელდარის ფიჭვნარებში გვხვდება.

ამჟამად ჩვენში ნათელი ტყე ძალზე შემცირებულია. შირაქის ნათელ ტყეებსა და გომბორის ქედს შორის მდებარე გარეჯის, შირაქის, სამგორის ველი (უროიან-წივანიანი, ვაციწვერიანი, ძეძვიანი) ძირითადად წარმოშობილია ვაკისა და ნათელი ტყის ხარჯზე. გარეჯში, შირაქში, გარდაბნის ველზე და სხვაგან გორაკებზე შემორჩენილი ე. წ. ქსეროფიტული ბუჩქნარი, უმეტეს შემთხვევაში, დერივატია (დანაშთი) ნათელი ტყისა. ასევე სარკინეთისა და არმაზის ნათელი ტყე უეჭველად დაკავშირებული იყო ვაკეების ნათელ ტყეებთან, ეს ნათელი ტყეები, ერთი მხრივ, უახლოვდებოდა თბილისს – იალღუჯით, კუმისით და მეორე მხრივ – გარდაბნით. ნათელ ტყეთა და ჭალის ტყეთა შორის გადაჭიმული იყო ნახევარუდაბნო (მაგ. ელდარისა), მაგრამ ამ ნახევარუდაბნოს ნათელი ტყეები უკავშირდებოდა გამონატანის კონუსით.

ნათელი ტყე არის თავისთავადი, მშრალი ტყე, რომელიც ბევრგან ველის ზონას ენაცვლება.

ველებსა და ტყეს შორის თავისებური, მართალია მეორადი, მაგრამ მაინც თავისთავადი ცენოზი – ჯაგ-ეკლიანი ველია. სწორედ ეს ატარებს ამჟამად ტყე-ველის ელემენტს. თუმცა აქ ვხედავთ არა ტყის წინ წამოწევის პროცესს, არამედ ველის წინ წამოწევისა, თუნდაც ადამიანის ჩარევის შედეგად.

ტყისა და ამ ზონის კონტაქტის საზღვრები, როგორც ტყესთან, ისე ველთან, მოძრავია. ამ საზღვრის ვერტიკალურად აწევა დამოკიდებულია მთის ტყეების უკან დახევაზე, ჩეხვით იქნება ის გამოწვეული, გადაჭარბებული ძოვებით თუ მოუვლელობით.

მაინც დაისვა საკითხი: რატომ არის ტყე მეჩხერი, ან ველის ნიადაგებზე რატომ ხარობს? შეუძლია თუ არა ნათელი ტყის ძირითად ჯიშებს შეკრულ-კალთიანი ტყე შექმნას? ადამიანის ჩარევის გარეშე, ბუნებრივად იზრდება, თუ მცირდება ამ ტყის გავრცელების არეალი?

კალთაშეკრულობა და ტყის დიდი სიმეჩხერე გამოწვეულია ამ ტყის გავრცელების არეში ბუნებრივი საწარმოო ძალების, ნიადაგში მცენარისათვის საჭირო წყლის (უმთავრესად), ჰაერისა და საკვები ნივთიერებების სიმცირით, ამ შემთხვევაში ისეთ ნივთიერებათა სიჭარბით, რასაც ყველა მცენარე ვერ ეგუება და ვერ უძლებს.

შირაქ-ელდარში, ნათელი ტყეების გავრცელების ყველაზე აღმოსავლეთ, ნაკლებად ნალექიან არეში, ციური ნალექები 300-400 მმ არ აღემატება, ზამთარი თბილია, მცირეთოვლიანი. ციური ნალექი უმთავრესად გაზაფხულზე მოდის თქემის სახით. წვიმის წყალი ნიადაგის ზედაპირს უცბად გადაირბენს ხოლმე, რის გამოც ნიადაგში წყალი ძალიან ცოტა ჩადის. ზაფხული „ცხელი და გაუსაძლისია“, ივლის- აგვისტოში საშუალო ტემპერატურა 27<sup>0</sup> უდრის, ამიტომ ნიადაგის წყლის მარაგიდან აორთქლება ინტენსიურად ხდება, დარჩენილი წყალი მრავალი ხე-მცენარისათვის საკმარისი არ არის, რჩება იმდენი ხე, რამდენისთვისაც საკმარისია წყალი. ყოველ მცენარეს უკავია წყლით მომარაგების ოპტიმალური არე. სწორედ ამის მიზეზი უნდა იყოს ისიც, რომ საკმლის ხის (ამ ტყის ძირითადი შემქმნელი) ფესვი, ერთი მხრივ, ძლიერ ღრმადაა წასული და, მეორე მხრივ, – ძლიერ განზე, ისიც დიდ ფართობზე. თუ მიწის ზევით კალთა არაა შეკრული, სამაგიეროდ, მიწის ქვეშ საკმლის ხის ფესვთა სისტემა ძალიან ხშირად ერთმანეთშია გადახლართული. ამას ადასტურებს ვაშლოვანის ხეების ფლატეებზე ზევით ამოჩრილი ფესვები.

გარდა ამისა, იქ, სადაც ნიადაგში მარილები ჭარბად არ არის (წაბლანიადაგები, შავმიწამინაგვარი ნიადაგები), საკმლის ხე კარგად გრძნობს თავს. იქ კი, სადაც ბიცი და ბიცობი ნიადაგებია, საკმლის ხე იშვითია, მაგრამ თუ სახლდება, ისიც ისეთ ნიადაგზე, სადაც მარილები შემცირებულია და ჩარეცხილია. მაშასადამე, ნიადაგში მცენარისათვის გამოუყენებელი მარილების ჭარბი რაოდენობა, საზრდოსა და წყლის საერთო მარაგი განსაზღვრავს ნათელი ტყის შემადგენელი ჯიშების ისეთ გავრცელებას, რომელიც საშუალებას მისცემს ერთმანეთზე მიჯრილობებიანი კალთაშეკრული ტყე შექმნას.

ნახევარუდაბნოს თავისებურმა ეკოლოგიურმა პირობებმა, რაც ათასეულ საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, დადი დააჩნია ნათელი ტყის ხე-მცენარეთა ბიოლოგიას. ისინი უკვე მზის მოყვარული მცენარეებია, აქვთ მიდრეკილება ცალ- ცალკე განვითარებისა, თუმცა, თუ შესაფერის პირობებში ჩავარდნენ, კალთაშეკრულ ტყესაც ქმნიან.

ამჟამად ცალკე დგომის ერთ-ერთი მიზეზი (არა – გადამწყვეტი და არა – მნიშვნელოვანი) ისიც არის, რომ თანამედროვე ისტორიულ პერიოდში საკმლის ხე იზრდებოდა მხოლოდ ეკოლოგანი ბუჩქების დახმარებით, მის შიგნით. ამის გამო, ნორჩნარს, შიმალს, ცხვარი და სხვა პირუტყვი ვეღარ სწვდება, ვეღარ ჭამს და ხეც „კარგად“ იზრდება, ღია ადგილას კი საქონელი ჭამს. ისიც ცნობილია, რომ ძეძვის, შავჯაგას და მათი მსგავსი ბუჩქები, უფრო სწორად, მათი ჯგუფები ერთმანეთისაგან, ჩვეულებრივ, საკმაოდ დიდი მანძლით არისდაცილებული.

საკმლის ხეს რომ შეკრული ცენოზის შექმნა შეუძლია, ამის ნახვა ზოგან თვით ნათელი ტყის გავრცელების კლასიკურ ადგილსამყოფელში (ვაშლოვანი, ლეკის წყალი, პანტიმარა და სხვა) და იმ ხეებში შეიძლება, რომლებიც შირაქის ზეგნიდან ალაზნისაკენ გადიან (ჭადრის წყაროს ხევი, ნავის წყლის ხევი, უფადარის ხევი და სხვ.). ამ ხეებში გვაქვს თავისებური ტყის ნაკვეთები, რომელსაც არ შეიძლება, ნათელი ტყე ეწოდოს. თავისი შემადგენლობით უკვე განსხვავებულია ზეგანზე გავრცელებული კლასიკური ნათელი ტყისგან: ამ ხეების ფერდობებზე კალთაშეკრული ტყეა, რომელშიც მონაწილეობს საკმლის ხე და აკაკი, ზოგან ქართული ნეკერჩხალი, აგრეთვე ქართული მუხა, ჯაგრცხილა. ხევში აღინიშნება უკვე სხვა ტიპის ტყე, რომელშიც ჩვეულებრივია თელა, ქართული ნეკერჩხალი, იშვიათად ჭალის მუხა, იფანი. ამ ხევში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ველების კლასიკური გავრცელების არეშია, მაინც ველისაგან განსხვავებული ეკოლოგიური გარემოა. ველის ნიადაგის ნაჟური წყალი აქ იწრითება. აქაა ნანახი მლოკოსევიჩის პეონია, ეს ტიპური ტყის მცენარე. ესეც ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია იმისა, რომ ახლო წარსულში აქ მეზოფილური ტყე იყო გავრცელებული. ზოგან მარტო საკმლის ხე ქმნის შეკრულ ცენოზს. მაშასადამე, ზეგანზე და სხვაგან ნათელი ტყის არსებობა გამოწვეულია არა თვით კვეის ხის დაუძლეველი ბიოლოგიური თვისებებით, არამედ ეკოლოგიური გარემოსაგან. ნათელი ტყის გავრცელების ყველაზე განაპირა არეებში, მაგალითად, თრიალეთის კალთებზე (ფოლადაურის ხეობა) ან ქართლისკენ (სარკინეთი), სადაც ნიადაგში წყალიც მეტია, საკმლის ხე და ქართული ნეკერჩხალი შეკრულ ცენოზს არ გაურბის. საკმლის ხის უზარმაზარი ეგზემპლარები ტიპური ტყის შეკრულ ცენოზში ხვდებიან.

ნათელი ტყის ნიადაგები მოზაიკურია და ფრიად ჭრელი, რატომ? მიზეზი წარსულში უნდა ვეძებოთ. შირაქ-ელდარის დაბლობი და საერთოდ, ის მხარე, სადაც ნათელი ტყეა გავრცელებული, წარსულში ზღვით იყო დაფარული.

მესამეულ პერიოდში კავკასიაში ტყის ქსეროფიტული კომპლექსების არსებობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნანახია ფლორა, რომელიც ოლიგოცენის ბოლოს ეკუთვნის. ის შეიცავს ისეთ სახეობას და გვარებს, რომლებიც კავკასიის თანამედროვე ფლორაში არ მოიპოვება.

ეს ნამარხები ნანახია სამხრეთ კავკასიონზე (თორსა და ახალციხის მიდამოებში), ე. ი. ისეთ მხარეში, რომელიც ამჟამად, საქართველოს სხვა მთიან მხარეებთან შედარებით, უფრო მდიდარია ქსეროფიტული მცენარეულობით.

შემდეგ ეპოქებში ეს ქსეროფიტული ფლორა უეჭველად ძალიან შეიცვალა და გადარიბდა. ჰოლოცენის დროს მისი არეალი ხან მცირდებოდა და ხან იზრდებოდა. საფიქრებელია, რომ ეს ფლორა, რომელიც სამხრეთ კავკასიონზე წარმოიშვა, გავრცელდა კავკასიონზეც.

კავკასიამ თავისი კუნძულისებრი იერი დაკარგა ოლიგოცენის ბოლოს და ამ დროიდან მას სამხრეთიდან შეუერთდა ის ტერიტორია, რომელიც წარმოიშვა ხმელთაშუა ზღვის ძველ ადგილას. ხმელთაშუა ზღვის ქსეროფიტული მცენარეებიც და მათ შორის ხე-მცენარეებიც სწორედ იმ დროიდან, ე. ი. მიოცენიდან უნდა შემოჭრილიყვნენ და დასახლებულიყვნენ ამ ადგილებში. მიოცენისა და პლიოცენის პერიოდებში ნათელი ტყის კომპლექსებში იჭრებოდა მეზოფილური ტყის ელემენტებიც. ნათელი ტყეების დღევანდელი გეოგრაფია იმის მაჩვენებელია, რომ კავკასიაში და მცირე აზიაში ნათელ ტყეებს უფრო ფართო ტერიტორია ეჭირათ. ბევრგან იგი განკვეთა ველისა და შესაფერ გარემოცვაში მეზოფილური ტყის ელემენტებმა, ბევრგან ამ ელემენტებმა კვლავ უკან დაიხია და ნათელ ტყეში დატოვა თავისი კვალი (ქართული მუხა, ვაზი და სხვ.). ამგვარად, ნათელი ტყე რელიქტია ძველად გავრცელებული ტყისა, რომლის განვითარება (არეალის შემცირება ან ზრდა) მთელი პლიოცენის პერიოდის შემდეგ გრძელდებოდა და გრძელდება დღესაც.

ზღვისგან განთავისუფლებული ტერიტორიის დაკავება, რასაკვირველია, უცბად არ ხდებოდა. ხე-მცენარეებს წინ უსწრებდა მარილების ამტანი ბალახეული მცენარეულობა.

როცა ზღვამ უკან დაიხია, განთავისუფლდა უზარმაზარი ფართობი. ამავე დროს, ფსკერი თანდათანობით იწევდა და გაჩნდა ეროზიის კერა. მარილების ჩარეცხვა უფრო ადრე დაიწყო შემადლებული ადგილიდან. ბორცვ-გორაკებიდან ეს მარილები ძირს, ვაკე ადგილებზე ჩაჰქონდა წვიმას თუ სხვა წყალს. მცენარეულობით პირველად სწორედ ეს შემადლებული ადგილები დაიფარა. ზღვის უკან დახევის შემდეგ ამ მხარეში გაჩნდა ტბებიც, ნატბური ადგილების დასახლებაც თანდათან ხდებოდა, მცენარეულობა წყალს მისდევდა. თანდათან ხდებოდა ცენოზის ცვალებადობაც. ნათელი ტყის გავრცელების ძირითადი არე აგებულია ქვიშაქვებისა, კონგლომერატებისა და ფერადი თიხებისაგან. ნიადაგები მუქი ყავისფერია, რომლებიც ხშირად ტყის მურა-ყავისფერ ნიადაგებს ცვლის.

რასაკვირველია, მცენარეთა დასახლება კლიმატისა და ნიადაგის ცვალებადობასთან განსაზღვრულ რიტმში იმყოფებოდა. ზღვის თუ ტბის ნაფსკერალი მარილებით ჭარბად უნდა ყოფილიყო მდიდარი, რომელიც ბიცობი და ბიცი ნიადაგის მცენარეულობით თანდათან იფარებოდა, დაახლოებით ისეთი ტიპის მცენარეულობით, როგორიც გვაქვს ამჟამად კასპიის ზღვის სანაპიროზე, მაგალითად, სალიანთან. ცხადია, მთის ფერდობებზე უფრო ადრე ხდებოდა მარილების ჩარეცხვა. თვით მლაშნარი მცენარეულობის მიერ ნიადაგების გარდაქმნის ბიოლოგიური პროცესი ხელს უწყობდა მლაშნარი მცენარეულობის უკან დახევას და, სამაგიეროდ, უფრო ნეიტრალური ადგილსამყოფელის მცენარეულობის დასახლებას. ეს მცენარეულობა კი უნდა ყოფილიყო ან მშრალი ტყის მცენარეულობა, მუხნარი ან საკმლისხიანი, ან ველის მცენარეულობა. შედარებით ჩადაბლებულ ადგილებში, სადაც მთის ფერდოდან ჩარეცხილი მარილები გროვდებოდა, მლაშნარი მცენარეულობის წარმომადგენლები – აბზინდიანი, ჩარანაიანი, ხურხუმოანი მრავლდებოდა. ესენი დღემდე შემორჩნენ და მათი ცვალებადობა ამჟამადც მიმდინარეობს, ერთი ცენოზი მეორით იცვლება.

მცენარეთა შენაცვლება განსაკუთრებით მკვეთრია მთის ფერდობებზე და იმ გორაკებზე, რომლითაც ასე მდიდარია დასახლებული მხარეები. ამ გორაკებზეა აღნიშნული ე. წ. კლდეთა ქსეროფიტები. ასეთი შენაცვლება გარეჯშიც ვნახეთ.

წინწამოწევის დამადასტურებელი ფაქტები შეგვხვდება ჩვენი ველების აღმოსავლეთ ნაწილში (ბულათმოედანი, ელდარი, ლეკის წყალი, პანტიშარა, გარეჯი, ბერთუბანი და სხვ.). ეს ცვალებადობა შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ხურხუმოანს ცვლის აბზინდიანი, აბზინდიანს – უროიანი, ხოლო უროიანს შავჯაგაიანი და შვჯაგაიანს კი საკმლისხიანი. შემდეგ საკმლისხიანი შეიძლება გადავიდეს ძეძვიანში. ეს უკანასკნელი შედეგია საკმლისხიანის დეგრადაციისა, რაც შედარებით ახლო წარსულშია დაწყებული ჩეხვის შედეგად და რაც, სამწუხაროდ, უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ტყის ზრდა.

მართალია, ნათელი ტყის დასახლება ნახევარუდაბნოში და ველში წარსულ გეოლოგიურ პერიოდებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ისტორიულ წარსულში მომხდარი ცვალებადობაც შეიძლება გავითვალისწინოთ. ზოგიერთი ადგილების შესახებ წერილობითი წყაროებიც კი მოგვეპოვება, რომლითაც დასტურდება სრულიად უტყეო მხარის ნათელი ტყის ელემენტებით დასახლება.

ამის ნიმუში ბევრია ჩვენს ბუნებაში. მაგალითად, გარეჯში ქვყარილებზე საკმლის ხის გაჩენა.

არის ისეთი ვარიანტებიც, სადაც ბუჩქნარებში ჯერ დასახლდნენ ნათელი ტყის წარმომადგენლები (საკმლის ხე, აკაკი, ქართული ნეკრჩხალი, ბერყენა) და შექმნეს ნათელი ტყე; შემდეგ ამოიჩეხა ხე-მცენარე, სხვადასხვა მიზეზთა გამო ველარ წამოიზარდა და დარჩა ჯაგეკლიანი ველის მრავალნაირი ვარიანტი. თავდაპირველად ეს ვარიანტი ხშირად წააგავს პირველად ქსეროფიტულ ბუჩქნარს. როგორც აღვნიშნე, ადამიანის სამეურნეო, არაგეგმიური

მოქმედების შედეგად ნათელი ტყის უკან დახვევის პროცესი და მის ნიადაგებზე მეორადი ფორმაციების წარმოშობა უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე საკმლის ხის და მისი თანმომყოლების წინ წამოწევა, ახალ ადგილებზე დასახლება. ამიტომ, რომ თუ პასტორალური დეგრადაცია გაგრძელდა, ის (ნათელი ტყე) თანდათან მოისპობა. თუ ეს უკანასკნელი შენელდა, მაშინ ნათელი ტყის ელემენტების ახალ ადგილებში დასახლება გამორიცხული არ არის. ამის ნიშნები გვაქვს რუსთავსა და გარდაბანს შორის მდებარე ქედის აღმოსავლეთ ფერდობებზე, თვით გარეჯში, ბოლნისის მიდამოებში და სხვაგან.

იმ ადგილებში, სადაც ქართული მუხის ტყე ემიჯნება საკმლისხიანს, ქართული მუხის ტყის ელემენტები წინ მოიწევენ და საკმლის ხე მუხნარი ტყის მონაწილე ხდება (სარკინეთი – შიომღვიმის მიდამოები, შირაქი – ნავისწყალის ხევი, ფოლადაურის ნაპირები, შულავერის მიდამოები და სხვ.), ან ხშირად თვით საკმლის ხე მიიწევენ წინ და გამეჩხერებულ მუხნარში სახლდება.

ამგვარად, ნათელი ტყის დასახლება და შემდეგ მისი დეგრადაცია შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ხურხუმოანი – ჩირანიანი – აბზინდიანი – უროიანი – შავჯაგიანი – საკმლისხიანი; ადამიანის ზეგავლენით – ძემვიან კლდეთა ქსეროფიტები.

ამიტომ ყოველ ხესა და ბუჩქს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ აი, ის, რაც ამ ტყეების შესახებ მინდოდა მეთქვა. ხომ არ მოიწყინეთ? – იკითხა გიორგიმ, ცოტა არ იყოს, ეშმაკურად.



**ქართული ნეკერჩხალი**

დაღლილები ამოვიდნენ ზევით. ზურაბს მადლობა გადაუხადეს და გასწიეს პანტიშარისაკენ. მიხა მანქანას ხე-ხუვებში თავისუფლად მიაქროლებდა.

– შარაზე ათასი დამთხვეული დადის და მეშინია. აქ კი არაფერია საშიში.

გზა ახალი ტყის საფარ ზოლს გაუყვა. ტყე ჯერ სულ ნორჩი იყო.

– აქ ის ხეებია დარგული, რომელსაც, ოც წელზე მეტია, ვცდით ბოტანიკის ინსტიტუტის შირაქის ბაზაზე. აი, ნუში, იფანი, აკაკი, ქართული ნეკერჩხალი, მინდვრის ნეკერჩხალი – სულმოუთქმელად ყვებოდა არტემი და სახეზე სიამე ეფინებოდა.

ბაზაზე გოგია დახვდათ.

ბიჭებმა ერთი ყვირილ-ხივილი ატეხეს.

ძია პავლეს სახედრები ჩრდილში თივას ახრამუნებდნენ. საჭერბარიუმო ბადეები მზეზე იყო გამოფენილი.

– დღევანდელი და ხვალინდელი დღე ამოსუნთქვისა იყოს! – გამოაცხადა გიორგიმ.

– დღეს რაღაა, დაღამდა უკვე! – გაეპასუხა ერეკლე.

– „მოვიდა საღამოელი, მზესა დაედო ფერია“. თიბვაში თუ ყანის მკაში მზე რომ გადაიხრებოდა, ამ სიმღერას დავაგუგუნებდით.

### **მოშუშებული და მოშუშებული იარა**

მეორე დღეს კოლექციების დალაგება-გადალაგებას დიდხანს მოუნდნენ. დღიურები შეავასეს, შეამოწმეს და უკან მოხედვა ვერც კი მოასწრეს, რომ დღე ხელში შემოადნათ.

საღამოს სიამოვნებით გასცქეროდნენ ჩამავალი მზის სხივებით აელვარებულ კავკასიონის ქედს. ველად უცბად იცის ჩამოხნელება. ცაზე ვარსკვლავნი აენთნენ, მთები ჩამუქდნენ.

ხმას არავინ იღებდა.

სადღაც ჭრიჭინამ გააბა ჭრიჭინი.

„კანონი კანონია“, ათი საათისათვის ყველას ლოგინი უნდა მოენახა, – „ჩიტმაც იცის თავისი ბუდე“.

არტემმა დილით გამოაცხადა: წვიმას აპირებს, თუ არფადარას ყელი ძალიან დაასველა, ვეღარ ჩავალთ და ამიტომ დილითვე მოვითაოთო.

არფადარას ხევე ჩაჰყენენ. ის ალაზნის ერთვის. ამჟამად ხევი მშრალია, მაგრამ წვიმის დროს ხევი სიღრმე სამ მეტრამდე აღწევს. ამაზე ნათლად მეტყველებს ხევის პირზე ნარიყი და ხის ტანზე მღვრიე წყლის ნაშთი.

როდესაც ხევ-ხევ მიმავალმა მანქანამ გზა გაივკა, ძირს ჩამოვიდნენ და ქართული თელის ადგილსამყოფელისკენ გასწიეს. აქ რამდენიმე ქართული თელა იდგა. მისი ფოთოლი ტირიფივით გრძელია და ჩვეულებრივი თელის ფოთლისაგან განსხვავდება. ის პირველად აღწერეს ამ თხუთმეტი წლის წინ და ჯერჯერობით ამ ათიოდე ხის მეტი არსად არ არის ნანახი.

ცხადია, საჭერბარიუმო ბადეში ისიც მოჰყვა.

– მამი, რამდენი ბროწეულია! – იყვირა ერეკლემ.

– იქ ნასოფლარია, – თქვა არტემმა. ყველანი ერეკლესკენ წავიდნენ.

ბროწეულის ყვავილი წითლად ღლოდა. ბიჭებმა ნასოფლარის ნიშნები ვერ ნახეს.

– აბა, აქ მოდი! – არტემმა ვახტანგი ერთი ბროწეულის ძირთან მიიყვანა. რომელიღაც ცხოველის სოროდან მიწა იყო გადმოყრილი. არტემმა წერაყინით ნაყარი გადათხარა, თიხის ჭუჭლის ნატეხები ზევით ამოცვივდა. ზოგი მათგანი მოვარაყებულად კი იყო.

– აქ არქეოლოგიური გათხრებია საჭირო!

– აბა, აქედან გახედე მიწას, ხედავ, როგორ ამობურცულია, ეს კედლის ყორე უნდა იყოს. მიხო, ბარი მომაწოდე.

მართლაც, ერთი მეტრი რომ გათხარეს, მათ წინ ნამდვილი კედელი აღიმართა.

– ყმაწვილებო, იცით, რომ უმრავლესობა ბალის ბროწეულია? მსხვილი და ლამაზი, გვხვდება ტკბილი, მარახოში, მჟავე... საიდან? სოფელი მოოხრდა, ბროწეული კი შემოგვრჩა, როგორც წარსულის ცოცხალი მოწმე. მრავალი საუკუნე იცოცხლა, ბერდებოდა და ითესებოდა, ან ნაბარტყს იჩენდა, მოაღწია ჩვენამდე, XIII-XIV საუკუნის ამბებს გვიამბობს ახლა.

ყველა გართული იყო ნიმუშების აღებით, უცბად არტემმა ჩამოსძახათ:

– მიხო, მიხო, კეტი გამოჭერი და მომაწოდე.

– ახლავე, – ცულით ევა ერთ ნეკერჩხალს მიხო, მერე კბოდებზე ავიდა და შორიდან გაუწოდა ჯოხი. არტემმა ერთი-ორჯერ დასცხო რაღაცას და წელში გასწორდა.

ბიჭები ზევით აცვივდნენ. მიწაზე ეგდო ყველაზე შხამიანი გველი გიურზა. ის ბევრია შუა აზიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში თბილისამდე მოდის, ერთხელ ბოტანიკურ ბაღშიც ნახეს.

– გიურზა ძლიან შხამიანია.

გაოცებულები დასცქეროდნენ უზარმაზარ გველს.

– რომ დამინახა, გაიტრუნა. ალბათ დავიძალეო, ეგონა. თუ ფეხი არ დაადგი, თვითონ არ გეცემა.

დარჩენილი გზა ფეხით გაიარეს. ერთგან ჭალის მუხა ნახეს. ხევის პირას კი ქართული მუხა იდგა.

ძირს, ხევი, სინესტეა, ცოტა მაღლა, ფლატეს ზევით, გვერდზე კი სიმშრალე. ორივე მუხას თავისი ადგილი მოუნახავს. ზოგჯერ ტოტებითაც ეხებიან ერთმანეთს. ცოტა ქვევით ვერხვიც შეხვდათ. ალაზანი ახლოს იქნებაო და ფეხს აუჩქარეს. მართლაც, მალე გავიდნენ ალაზნის პირას.

ქერის ხევი (არფადარა) ალაზანთან ვიწროვდება, მანქანა ვერც კი გაეტევა. ამიტომ აქ დამრეც ნაპირს აჰყენენ და ისე გადავიდნენ ჭალაში.

ფშანი მონახეს და ხელ-პირი დაიბანეს, გაღმა შექის ზეგანი მოჩნდა.

– შექის ხანი აქ იყო?

– სწორედ მაგის წინააღმდეგ იდგა გიორგი XIII ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს. საქართველოს ავის მოსურნეებმა კი ხმა გაავრცელეს, გიორგიმ მამას უღალატაო. ერეკლემ იცოდა, შექის ხანი კახეთით წამოვიდოდა და ამიტომ გიორგი აქ დააყენა თავისი ქიზიყელებით, რომელნიც, ვახუშტის თქმით: „არამედ არიან კაცნი მებრძოლნი, მხნენი, ახოვანნი, შემართებელნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა“.

იცოდა შექის ხანმა, ვისთან ექნებოდა საქმე და ვერ გაბედა წინ წამოსვლა.

– აბა, სანამდე სუფრა გაიშლებოდეს, ვახუშტი მოვნახოთ. – აბგიდან ამოაძვრინა გიორგიმ ლურჯყდიანი წიგნი, გადაშალა და წაიკითხა: „ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინაიდგან აღმოვლენან რუნი, და ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი. და დასდევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწამოვან-ჩალიანი, და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს ხოხობნი. გარნა იყო ალაზნის შესართავამდე და ვიდრე სამგორამდე შენობაი დიდი ფრიად, არამედ მოოხრდა გამოსლვასა ბერქასა<sup>20</sup>. და შემდგომად ლანგ-თემურისაგან, რომელნი ჩანან დღესაც. შემდგომად დასხდნენ ელნი ამათ ადგილასა



აწინდელასა მეპატრონეთა, ვითარცა ბატონმან თეიმურაზ და ხანუმან, დასთესდნენ ესენი ყოველასავე. ესენიცა წარიყვანა შანადირ და დასხნა ხორასანს. ხოლო იორს არარაი ვითარი მდინარე ერთვის ანუ საგარეჯომდე. და არს მუნამდე ალაზნიდან ველი. და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალახიანი, მცირე თოვლიანი, ნადირ-ფრინველიანი, ჰავითა მშვენი, ხოლო ზაფხულს ცხელი, ხაშმიანი, გაუსაძლისი. იორის პირას ყოფილა სასახლე დამპალოს, აწინდელთა კახთა მეპატრონეთა საზამთრო ნადირობისათვის, არჩილ მეფესადმე, კეთილ ადგილს, მშვენიერს, წყაროანსა“...

– აბა, ახლა ალაზანზე:

„კვლავად ხორნაბუჯის ჩრდილოეთით არს ხისრას მონასტერი<sup>21</sup>, რომელი ჰყო იგი მამითაგან მან წმინდანმან სტეფანემ, დიდ კეთილშენი. დაფლულ არს მუნვე წმინდა სტეფანე. არამედ საქვაბე – ასანურამდე, არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთიდან ჩამოსულა. ამას ეწოდა პირველ კამბეჩოვანი, კამბეჩთა სიმრავლისათვის, შემდგომად ქისიყი ..... და უძეს ქისიყსა აღმოსავლეთ ველი შირაქი ალაზნამდე, სამხრით უფადარი წინამინდორი ხარანთა-იორამდე. ჩრდილთ მთა ჰერეთისა“. „ხოლო ბოეთნის პირისპირ და ალაზნის დასავლეთი არს ყარაღაჯი, სასახლე, რომელ ყვეს ხანთა, ვითარცა მცირე ქალაქი, და შემდგომად ოსმალთა ამჟამად ჰყვეს ციხე, და ამ ჯერეთ ოხერ არს. კვალად ყარაღაჯის სამხრით, ალაზნის კიდურთა ზედა, ასტყედების კბოდე და მივალს ვიდრე ხორანთამდე, და არს ალაზნისაკენ მცირე ტყიანი და ბალახიანი და აღვსილი ნადირითა დიდ-მცირეთი. და კბოდეს ზეით არს ველი ხორანთი დამ ქისიყამდე, წოდებული კბოდეს ქვეით, ალაზნისაკენ წინა მინდორი ხოლო ზეითს, ყარაღაჯითურთ, უფადარი და არს ესე სანადირო კეთილი ყოველ არცა და ძველად შენობა დაბნებთა, არამედ შემდგომად ბერქას გამოსვლისა ოხერ არს კვალად ყოფილ არიან ალაზნის მოსაბრუნთა შინა ძველად შენობა ქრისტიანეთა, და შემდგომად დასხეს ელნი და უმეტეს ხანთა – ელი ფადარი, დიდი, მრავალი. გარნა იგი აჰყარა შანადირ იორის პირის ელითურთ“.



**მსხმოიარე ბროწეული**

„ხოლო ყარაღაჯის სამხრით, სადაც დასწყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა. მუნ არს ხორნაბუჯი და აწ უწოდებენ ჭოეთს აქ კლდესა ზედა, შენი არს ციხე მაგარი, და იყო ცა ქალაქი კარგი, ესეცა ბერქას გამოსვლასა მოოხრდა. ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბისხევი პირველ წოდებული ბოდა, გამომდინარე ცივის მთასა“...

– ამ გვერდსაც გადავავლოთ თვალი:

„კვლავ იაღლუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი, ხოლო აწ ნაგები ესე აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან ციხე-ქალაქი. შემდგომად მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია კეთილი. გორგასალ დასვა აქა ეპისკოპოზი და იყო მეფისა დავითისადმე, არამედ გამოსლვასა ბერქა ყეენისასა მოოხრდა და აწცა არს ოხერ“.

უფრო კონკრეტულად, ლაკონურად წერია ქართლის ცხოვრებაში:

„ხოლო შემოვლო კახეთი, შაჰ აბაზ, მოვიდა ქართლად და დასვა მუნ ქართლში ბატონად მმისწული მეფის სვიმონისა ბაგრატ, მაშინ ქრისტეს აქათ ჩლიქთ ნაშობი კახის ბატონის გვარის ქალისგან“.

„მაშინ ეზრახა შაჰ აბაზ ლეკთა და გაუგზავნა კაცი და შეუთვალა ესრეთ, ვითარმედ მნებავს წარმოტყვევნა და იავარ-ყოფა სრულიად სანახებისა ამის, კახეთს მე ავერი და, რაც მანდ ხიზანი კაცი და ქალი შემოვიდეს, დაატყვევეთო. და წარვიდა და ჩავლო კახეთი და ამოსწყვიტა. და წარვიდა და მოაოხრა, და სხვანი აჰყარნა და თან წასხნა. და რომელიმე ლეკთა ამოსწყვიტეს და დაატყვევეს და რომელიმე მორჩეს თუშეთს, ფშავს და ხევსურეთს და სხვანი აოხრეს და ამოსწყვიტეს და რაც ოდენნი შეიპყრეს ცოლშვილიანად აჰყარეს და წასხეს, რომელიმე ფერიასა, რომელიმე ახლანან თანა აწცა წინამძღოლ-მეთოფედ და არიან დღეინდელად დღემდე მეთოფედ. წინა უძღვებიან ყაენსა. მაშინ შემუსრა და დამტვრია, რაოდენნი დაუშთა პირველ ხატნი და ჯვარნი და წარმოილო ნაცარცვი და ნატყუენავი მისი“.

„მას ჟამსა გამოვიდა დიდი ყაენი ბერქა გზასა დარუბანდისასა აურაცხელითა ლაშქრითა შურის გებად სუთარეს, ბალაღას და ყულის საქმისათვის. ცნა ესე აბაღა ყაენმან და მოუწოდა სპათა თვისთა და მეფესა დავითს, და წარემართა. ხოლო ვითარ აგრძნა ძლიერება და სიდიდე სპათა ბერქასათა, არღარა, გავიდა მტკვარსა, არამედ შეიარა ნაპირი და განსავალი ყოველი, და აღიღო ზომი ყოველგან, და დააყენა ლაშქარი, სადა შეკრებებიან მტკვარი რახსი და მუნითგან ვიდრე მცხეთამდე ბერქამან მოაოხრა ქვეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე და მრავალი სული ქრისტიანე მოსწყვიდეს, ხოლო ბერქა ყაენი დადგა მათათა შინა გარეჯისათა. მაშინ მოხედნა ღმერთმან ქუეყანასა ამას წყალობით და ყაენსა აბაღას, შეედევა საღმობა რამე ბერქას და მოკუდა“.

კიდევ კარგი, ბერქა გარეჯის ბანაკში მომკვდარა, მის სპას მკვდარი წაუღია. „განვლეს კარი დარუბანდისა, ესრეთ დამშვიდდა ქვეყანა ესე“.

მაგრამ ის, რაც ჟამთა აღმწერლის დროს „გამოსვლასა ბერქა ყაენისა“ მოოხრდა, „აწცა ოხერ არს“ (1725 წ. ვახუშტი წავიდა საქართველოდან).

გავიდა ხანი და დღეს კვლავ აყვავდა ეს მხარე. რამდენიმე წელიწადში აშენდა შესანიშნავი ქალაქი რუსთავი, ჩვენი მეტალურგიის ერთ-ერთი ბარაქიანი ბუდე. აბა, დაუკვირდით ამ ძუნწ ფრაზებს: „არამედ მოოხრდა გამოსვლასა ბერქასა და შემდგომად ლანგ-თემურისაგან... შემოდგომად დახსნეს ელნი... ესენიცა წამოიყვანა შნადირ და დასხნა ხოროსანს“.

ან კიდევ „რომელ არს რუსთავი... გამოსვლასა ბერქა ყუენისასა მოოხრდა და აწცა არს ოხერ“.

ასევეა ნათქვამი ივრისპირა ქალაქებზეც.

ისტორიაში ძუნწად არის აღწერილი პროვინციების მოოხრება, ხალხის ამოჟლეტა და ლტოლვილად ქცევა. რაც ბერქა ყაენს გადაურჩა XIII საუკუნეში, ის თემურ-ლენგმა და შაჰ-აბასმა გაატიალეს, შედეგ აქ „დასხეს ელნი“, მომთაბარე ტომები, მაგრამ შაჰ-ნადირმა ისინიც გაასახლა. მთელ ამ მხარეს დაპყრობილ საფურაჟირო ბაზად იტოვებდნენ, საიდანაც ცხენოსანი რაზმები ესხმოდნენ ქართლ-კახეთის პროვინციებს და აოხრებდნენ მათ.

კახეთი ისე ამოწყდა, რომ ბარად ხალხი აღარ იყო, სახლიდან კვამლი არ ამოდიოდა, ძალი არ ყფდა, ვენახში ვაზი არ ყვავდა. გადარჩენილი ხალხი მთებს და ტყეებს შეეხიზნა, ზოგმა თუმ-ფშავ-ხევსურეთს შეაფარა თავი, საზრდო არ ჰქონდათ, მაგრამ ხმაღს მაინც ჰქედავდნენ, ლესავდნენ...

ალაზნის ნამდვილი ჭალის უზარმაზარი ვერხვები შრიალებდნენ. ჩრდილში მოქცეულიყო ქაცვი, ფშატი, ქართული კოწახური და მრავალი სხვა. ხეები გადაბარდული იყო მრავალნაირი ლიანით, რომელთა შორის ჩანდა ნამდვილი სურო, პასტუხოვის სურო, ეკალიჭი, ღვედკეცი და, რაც მთავარია, ვაზის, კრიკინის ძირები. ზოგიერთი მათგანი 40 მეტრის სიმაღლის ვერხვსა და მუხას კენწეროზე მოქცეოდა. კარგად ესხა, მსხმოიარე რქა ზოგჯერ ათ მეტრამდე აღწევდა, 15-20 მტევანი ება.

ღია ადგილებზე ძოწეული ეირანთუსის უზარმაზარი ქუჩები იდგა, მათ შუა ამოზრდილიყო სამ-ოთხ მეტრიანი 4-5 ღერო, ასეთი ლამაზი, ასეთი წერწეტა არსად მინახავს და ალბათ ჩვენში არც არის.

არტემი ალაზნის პირას რეზინის ნავს მართავდა, მან გრძელი თოკი ჩააბა ნავს, ის და ვახტანგი ჩასხდნენ, თვითონ ძელი დაიჭირა ხელში, ვახტანგს კი ნიჩაბი მისცა, თან ასწავლა, როგორ მოესვა. თოკი ვერხვს გამოაბა, მიხას სთხოვა, თანდათანობით მოეშვა. ძელს ფსკერზე აჭერდა. ალაზანი ღრმა გამოდგა, ძელი თითქმის იმალებოდა და ნავი წყალს ქვევით მიჰქონდა. წყალმა იძალა და ნავი ისევ მარჯვენა ნაპირზე მოაგდო.

უფრო გრძელი ჭოლოკი გამოჭრეს და კვლავ სცადეს ბედი. ნავი მარცხენა ნაპირს მიადგა და ვახტანგმა ორივე ხელი მაღლა ასწია.

თოკით ნავი ისევ მარჯვნივ გამოიტანეს და ახლა შალვა და ერეკლე გადავიდნენ.

ალაზანი აქ წყალმრავალია. ის 130 კილომეტრის სიგრძისაა, იორის გარდა, ყველა მდინარე ჩახუტებული ჰყავს: მარჯვენა ნაპირიდან უერთდება ბაწარა, ილტო, მატნის წყალი, თურდო, კისისხევი, მარცხნიდან კი სტორი, ლოპოტა, დურუჯი, ჩელტი, ინწობა, ბურსა, კაბალი, ლაგოდებურა; საინგილოში – გიშის წყალი, ქურმუხის წყალი, ბელქანის წყალი და სხვ. ამიტომ დევგმირივით მიქუხს და მიბუყბუყებს, იქნებ დარდობს, რომ საქართველოს ლამაზ კუთხეს ტოვებს.

„ხოლო არს ქვეყანასა ამას შინა უდიდესი მდინარენი ალაზანი და მეორე მცირე ალაზანი ანუ იორი<sup>22</sup>, რომელთა მოიგეს სახელნი ალონის გამო, არამედ იორი გაორებისათვის. ვინაიდგან აქვთ სახელი ერთი – „იორა ამ მდინარემ“. ხოლო გამოსდის ალაზანი თუმ-ფშავსა და მურძუკს შორის კავკასსა და დის ჩრდილო დასავლეთიდან აღმოსავლეთის სამხრეთ შუა, და მიერთვის მტკვარს განჯის<sup>23</sup> ბოლოს, აქ მტკვრისა და ალაზნის შესართავ შორის არის მოვაკანი, რომელიც აღაშენა მოვაკანოს და ამისა გამო ეწოდა წილსა მისსა მოვაკანი, ვითარცა აღაშენა ბარდა ბარდოს და უწოდა სახელითა თვისითა წილსა თვისსა. ხოლო მტკვრისა და ალაზნის შესართავ ზევით, ჩრდილოთკენ, მოერთვის ალაზანს მცირე ალაზანი ანუ იორი, და ამათ შესართავ შორის არს ჰერეთი, რომელი აღაშენა ჰეროს, ქალაქი თავისი სახელისა და ამის გამო ისახელა ქვეყანაცა ესე და აწ უწოდებენ

ამას ადგილსა ხორანთას და იყო ქალაქ და ციხე ყრუდმდე და ბერქამდე, შემდგომად მოიხრდა და აწცა ოხერ არს“.

– ბარემ შევუყვით შაქის აღმართს.

– მამ ესაა შაქის სახანო? ამ საკმლის ხის ჩრდილებში, ვინ იცის, ის ჯარი იდგა, რომელიც 1795 წელს დაუპირისპირდა გიორგი XIII ქიზიყის ჯარს და ალაზანი ვერ გადალახა? – ბუტბუტებდა ერეკლე. შაქის ზეგანისკენ ალაზნის პირიდან საკმაოდ მაღალი ფერდო იწევა, რომელშიც კარგადაა გამოსახული ალესილები. გავაკებულზე საკმლისხიანია. მეორდება პანტიშარის, ლეკისწყლის თუ ვაშლოვანის სურათი.

ზოგი საკმლის ხე და ღვია 70-80 სმ. სისქისაა. ისე რომ, ერეკლეს მოსაზრება, „ამ ხეების ჩრდილში 170 წლის წინათ შეიძლება შექის ხანის ჯარი იდგაო“, – საფუძველს არაა მოკლებული. 80 სმ. სიმსხო საკმლის ხე 300-400 წლის მაინცაა, ის ნელა იზრდება, წლიური ზოლები ერთმანეთის ახლოს აქვს. მერქანი ძალიან მკვრივი და მაგარია, მძიმეა, წყალში იძირება. სწორედ ამიტომ აფასებენ მას დურგალ-ხარატები, მისგან აკეთებენ შალაშინს, პატარ-პატარა ყუთებს, ზანდუკებს, ტაბიკებს და სხვ. მერქანი ამავე დროს ლამაზიცაა, ყავისფერი. ოქრომჭედლები მის ნახშირს ხმარობენ, მხურვალე ნაკვერჩხალი იცის.

– არანაკლებ მაგარია ღვია. მისი სარი და ჭიგო ვენახში დიდხანს ძლებს.

– გამიგონია, უთხოვარისა და ღვიის ჭიგოს სარს ქალს მზითევეში ატანდნენო, – ჩაერია არტემი.

– ხის პირველი დანიშნულება ჩვენში მაინც ისაა, რომ ის ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, – ჩაერია ვახტანგი და მამას გადახედა.

ამ დროს შეიფრთხილა უცნაურმა ფრინველმა, არც კაკაბი იყო, არც გნოლი.

– ეს ხომ დურაჯია!

დურაჯი კაკბისა და გნოლის მონათესავე ქათმისნაირთა ჯგუფის ფრინველია. ძალიან ლამაზია: მკერდზე შავ ბუმბულში თეთრი ბუმბული ურევია, ყელზე მიხაკისებრი არშია აქვს შემოვლებული, მთელი ტანი კი თეთრბუმბულნარევი მუქი ყვითელი ბუმბულით აქვს დაფარული, წითელფეხებაა.

ჩვენში დურაჯი ბევრი იყო ჭალის ბარდიანებში, მეძვიანებში. აქვე ბინადრობდა და მრავლდებოდა. მაისის ბოლოსათვის 10-15 წიწილს ჩეკდა. მაგრამ დურაჯი მისმა გემრიელმა ხორცმა დაღუპა. საქართველოში ამ ოცი წლის წინ ამოწყდა. ახლა ივრის პირებზე მოაშენეს ხელოვნურად, ალამდარაზე.

მასალები დიდი რაოდენობით აიღეს და ავიდნენ ზეგანზე. ძირს აღმოსავლეთ კავკასიის ნახევარუდაბნო იყო გადაჭიმული. დიდხანს იდგნენ და ტკებოდნენ ამ მშვენიერი სანახაობით. ბოლოს დაღმართი ჩალიეს. ბინაზე ორი უცნობი ვაჟკაცი დახვდათ. ქიზიყელები არიანო, სათიბის მეველეები, აქვე ბალიც აქვთო, – თქვა მიხამ.

– ბოდიში, თქვენი ჭირიმეთ, საზამთროთი გაგიმასპინძლებით, მეტი არაფერი გვაქვს. – გადახტდნენ ფშანისკენ და უზარმაზარი საზამთროები ამოათრიეს.

– ეს კი ამ ყმაწვილებს, – პაწაწინა ნესვები გაუწოდეს, ვაშლისოდენები.

– აი, ესაა პუმპულა. სასიამოვნო სუნი აქვს.

– ჩვენ კი დასტამბოს ვეძახით.

მართლაც, ნესვი მეტად სურნელოვანი იყო. ცივმა საზამთრომ სული და გული გაუნათა ყველას.



**ერთიანთუსი ალაზნის მოსაბრუნთან**

– აგაშენათ ღმერთმა, ორი კვირაა, კაცისთვის თვალი არ მოგვიკრავს. ამას წინათ მოტორიანი ნავით მოადგა ვიღაცა გაღმა ნაპირს, გაშალა ბადე (ისეთი ბადით თევზაობა აკრძალულია). მოდი ვცდი, იქნებ გაჭრას-მეთქი,

ვთქვი და ჩემი ხირიმი გავუშვილე. უნდა გენახათ, როგორ მოცოცხეს. ისე კი, აქ ძალიან მსხვილი ლოქო ამოსდევს ხოლმე ჩანგალს, ამბობენ, ორაგულიც იცოდა, მაგრამ მინგეჩაურმა გზა გადაუკეტაო.

კიდევ ბევრი რამ თქვეს ამ მთისა, იმ მთისა.

– შემოდგომაზე ჩამობრძანდით, ეგ ბალები ჩამოიყვანეთ. კარგი სათევზაო ნაპირები აქვს, ლოქოებს დავიჭერთ, თუ ნებართვას აიღებთ, სანადიროც კარგია...

მზე ჩასასველად ემზადებოდა, როდესაც მიხამ ავტომობილი ბაზის ეზოს მიაყენა. მგზავრობამ მშვიდობით ჩაიარა.

– „წასვლა სჯობს წამავალისა. არ დახანება ხანისაო“. ხომ არ აჯობებს, რომ შენი ქარავანით გაუდგე გზას სართიჭალისკენ? სამი დღე მაინც მოუნდები... მხარზე ხელი დაჰკრა გიორგიმ პავლეს.

– ჰო, მართალი ხარ, მართალი, – დაეთანხმა პავლე.

– ჩვენც ოთხიოდე დღის შემდეგ ჩამოვალთ...

მართლაც, მეორე დღეს, დილით, ძია პავლემ უბარგო სახედრებით გასწია გარე კახეთისაკენ.

### შირაქის ოაზისი

კასრის წყლის ხევის თავზე მწვანედ დაღანებს მშვენიერი ბაღნარი, ეს ბოტანიკის ინსტიტუტის საცდელი ნაკვეთია. საძირკველი მეორე მსოფლიო ომის წინ ჩაეყარა. ძირითადი მიზანი იყო: შეესწავლათ შირაქის, ჩვენი ველებისა და ნახევარუდაბნოების მცენარეები, გამოეცადათ ახალი, ისეთი მცენარე, რომელიც მკაცრ უწყლობას გაუმღებდა. ამ საქმეს არტემი ჩაუდგა სათავეში. ჩაყარეს სხვადასხვა ჯიშის ხე, ჩვენებური და უცხოური. მალე აქ ხეხილის გამოცდაზეც დაიწყო მუშაობა.

– ყმაწვილო, ეს თხელნაჭუჭა ნუშია, ეს კიდევ ნუშ-ატამი! ნუშისა და ატმის შეჯვარების შედეგად მიღებული.

– ეს უამრავი ბუდე რილასია? – წინ გაუსწრო არტემს ერეკლემ.



კრინის ლერწი, ალაზნის მოსაბრუნთან

ნუშის ვარჯი შეხონხლილი იყო ბუდეებით. ნუშის ძირებში, მიწაზე, კიდევ მეტი ეყარა.

– მოგვკლა და გაგვათავა ამ ტიალმა. გადამფრენი ბელურები ერთად აშენებენ ბუდეს, აგერ იმ ხეზე...

– ოცდათერთმეტი ბუდეა! – დაასწრო არტემს ერეკლემ.

– ვშლით, ვწვავთ და მეორე-მესამე დღეს გაიხედავ და ისევ ისეა.

– სწორედ აქ რად აშენებენ?

– იმიტომ, რომ ხეებია.

– ხეები ვაშლოვანშიც იყო, პანტიშრაზეც, მაგრამ...

– ჰოო... ეგ მართალია. ალბათ, მოსახლეობა იზიდავს. ჩვენებური, შინაური ბელურა ზაფხულ-ზამთარ აქ რჩება. გადამფრენი ბელურა კი, დავიტვირთვს ხეებს ბუდით, გამოჩეკავს ბარტყებს, შეგვიჭამს ბალს, ალუბალს და მიფრინავს აღმოსავლეთით თუ სამხრეთით. სხვა ხეებს არ ეტანება, მარტო ნუში უყვარს, ვერ გავიგეთ, რატომ.

– ნუშ-ატმის ძირითადი მიზანია, ორივე ნაყოფის თვისება ჰქონდეს, კურკა – ნუშისა, სირბილე – ატმისა.

– მერე, გემრიელია? არ სჯობს ან ერთ იყოს, ან მეორე?

– ნუშიც გვაქვს და ატამიც, მაგრამ, – გაუმნელდა არტემს, მიიხედა-მოიხედა, – ნიკო ხომ არსად არისო, – ჰკითხა ვახტანგს ხუმრობით. ვახტანგმა თავისებურად ჩაიღიმა. ერთ კვირის შემდეგ ჩამოვალ, – მაგრამ?..

– მაგრამ რა? – არ მოეშვა ვახტანგი.

– მაგრამ ისა, რომ მე ცალკე ატამი და ცალკე ნუში უფრო მიყვარს.

– ვითომ რადა?

– ასეთ ატამს ცოტა სიმწარე მაინც დაჰკრავს. კიდევ კარგი, ატმები რამდენიც გნებავთ, იმდენი გვაქვს. აი, ეს წითელყლორტება შესანიშნავი ჯიშია, მსხვილი, ლამაზი, გემრიელი, ხედავთ? წლებადელი ნაზარდი თითქმის უკვე ერთი მეტრია. კარგადაც ასხია. აგერ რუხყლორტება – ესეც ძალიან გემრიელია, გვიან შემოდგომაზე მოდის. წელს გვალვიანი წელიწადია და ნაზარდი მაინც კარგი აქვს, მაშასადამე, გვალვაგამძლეობა გადაწყვეტილია.

– ხომ კარგია ბაკურიანის მთაზე ბოტანიკური ბაღი, აი, ნახეთ, არანაკლებს აქ გავაშენეთ. ამ მცხუნვარე ველებში ხალხს წამოსვლა უნდა უხაროდეს.

– აგერ ბუჩქების გორაკიც!

მართლაც, უძრახელა, ხორციფერა, ფუჭფუჭა, თრიმლი, ქართული ცხრატყავა, ორივე ჩვენებური ჯორის ძუა, ღვიები, შავჯაგა, გრაკლა, თუთუბო და ბევრი სხვა, უკვე გახარებულყო.

ხეების ნაკვეთისკენ გასწიეს, წინ კურდღელი შეეფეთათ. ბიჭებმა დასჭყვივლეს, კურდღელმა ყურები მხარზე გადაიწყო და ღობეს გადაეველო.

კურდღლის დანახვა არავის გაჰკვირვებია. ამ ბოლო დროს კურდღელი ძალიან შემცირდა, ამიტომ 1958 წლიდან კურდღელზე ნადირობა აიკრძალა. ის გვხვდება მთაშიც და ბარშიც, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოშიც, ველებშიც და ბუჩქნარებშიც. უღრან ტყეში კურდღელს ვერ ნახავთ. ალბათ იმიტომ, რომ იქ გაქცევით თავს ვერ უშვებთ.

კურდღელი ზაფხულის განმავლობაში სამ თაობას იძლევა. ძუძუმს ბაჭიას რამდენიმე დღე აწოვებს. თქმულებაა: „ბაჭიას ჰკითხა დედა კურდღელმა: რამდენი დღე გაწოვო ძუძუო, საამი (გააგრძელა) დღე თუ ერთი თვეო. სულელ ბაჭიას ეგონა, სამი დღე უფრო მეტი იყო და ამოსძახა: სამიო და მის შემდეგ თურმე სამ დღეს აწოვებს“.

კურდღელი უვნებელი ცხოველია, მაგრამ ზამთარში, როდესაც საკვები გამოელევა, ხეხილს ქერქს უღრღნის და ქერქშემოცლილი ხეხილიც იღუპება. ამიტომ ბაღში არ აჭაჭანებენ.

ახლა ხეების კოლექციას გაჰყვნენ, რომელიც უფრო ნაირფერი ჩანდა. ნათლი ტყის ყველა წარმომადგენელს თავი აქ მოეყარა: საკმლის ხე, აკაკი, ქართული ნეკერჩხალი, ბერყენა, ჭალის თელა, ქართული თელა, ივანი, ელდარის ფიჭვი, მინდვრის ნეკერჩხალი, ბროწეული, პანტა, კოწახური, თამელი, თრიმლი, წითელნაყოფა ღვია, ხემაგვარი ღვია და სხვები ყელყელობდნენ. აქ იყო ახალგაზრდა და „მოხუცი“ – ოციოდე წლის ხე, მათ გარდა ჩანდა ეგზოტებიც: ცრუ აკაცია, მაკლურა, კვიპაროსი, კედარი და სხვ.

– ეს კი, საკვები ბალახების კოლექციაა!

– ძია გიგო, მგელი შემოგვჩვევია!

– მგელი?

მგლის განიერ ნაფეხურებს გაჰყვნენ, ერთგან ღობეს ემჩნეოდა, რომ მგელი მავთულქვეშ გამომძვრალიყო.

– კიდევ მოვა, ჩემო გიგო, საღამოზე ხაფანგი გამართე.

– ცხვარი წავიდა და მგელი სოფელს მიუახლოვდა. კასრისწყალში ხომ თუმების დიდი მეურნეობაა, ცხვრის ნაწილი აქა ჰყავთ ზამთრობით. ეს მგელი ჩამორჩენილია.

მგელი ჩვენში ყველაზე მავნებელი მტაცებელია, ვერაგი და ბოროტი. საქართველოში 3000 მგელს ითვლიან.

მგელი სად არ შეგვხვედრია, მაღალ მთაშიც, თოვლის ხაზთან, ველის ჭალებშიც, მაგრამ ის მაინც ტყის ცხოველია. მგელს 5-6 ლეკვი უჩნდება. ორ თვეს ძუძუთი იკვებებიან, მერე კი დედა უზიდავს ხორცს, სწორედ ამ დროსაა მგელი განსაკუთრებით საშიში. 5-6 თვის ლეკვი თვითონ ეხმარება დედას. ზამთარს ხროვაში ატარებენ, გაზაფხულზე კი წყვილებად იშლებიან. ყოველწლიურად მგელი ჩვენში 3-4 ათას ცხვარს ანადგურებს, ხუთასამდე ხბო-ძროხას, ახლა ფრინველს – რამდენს?

– საზამთრო? საზამთრო არა გაქვთ შეჯვარებული?

– ჩვენ არა, მაგრამ კასრისწყალში მიწათმოქმედების ინსტიტუტის სადგურია, ისინი საზამთროს ჯიშებზეც მუშაობენ.

– ვანო ბამოშვილი კი ჩვენი ცხვრის გაუმჯობესებაზე მუშაობს. მან გამოიყვანა ცხვარი, რომელსაც დუმა ჩვენი ცხვრისა აქვს, მატყლი – მერინოსისა.

– მართალია, ახალი ჯიშების გამოყვანა კარგია, მაგრამ ათასი წლის ნაცადს უდიერად არ უნდა მოვექცეთ. შევინახოთ, მოვუაროთ. თუშური ცხვარი ზედგამოჭრილია ჩვენი მაღალი მთებისთვის, გრძელ გზაზე სიარულისთვის, მომთაბარე ცხოვრებისთვის.

გულისყურით დაათვალიერეს ქლიაგების კოლექციაც.

არტემმა სტუმრები მიიყვანა ხელოვნურ პატარა ბორცვებთან. ამ ბორცვებზე შეკრებილი იყო: ორნაირი ზღარბა, ჩვეულებრივი წვრილეკალა და ფომინისა, მიწას გართხმული ჩარანი, ყარდანი, ხურხუმო, შორაქნის ცოცხი, ორივე ურო, ჩვეულებრივი და კავკასიისა, ხუთნაირი ჭანგა, იონჯები, ექვსნაირი ესპარცეტი და სხვა მრავალი.



## ჩიტის ბუდეები ნუშებზე

– არტემ, – დაუმახა გიგომ არტემს და რაღაც ჩუმიად ჩაულაპარაკა, თან ხელი აღმოსავლეთ ნაპირისაკენ გაიშვირა. არტემს გაელიმა და თავის სტუმრებს მიმართა:

– აი, იქ თურმე ნაადრევი ატამი შეთვალულა, მაგრამ ნიკოს რა გადაურჩება!

ჩვენი მგზავრები გარს შემოეხვივნენ ერთ კოპწია ატამს, რომელსაც გვერდშეწითლებული ნაყოფები ისე შეხუნძვლოდნენ, თითქოს ძალით აუსხამთო.

არტემმა ხელი გაიწოდა მოსაწყვეტად, მაგრამ გიორგიმ დაუშალა, ნიკოს მოსვლამდე ნუ მოწყვეტო.

– ასეთი ძირი ხუთია. ხედავთ, რა კარგად ასხია. ნიკო გამოიჯავრდება, რომ ხილი გაჩვენეთ და არ გახილეთ.

ნაყოფი მხოლოდ შეთვალულიყო, მაგრამ სურნელება მაინც ჰქონდა. გზას ზევით აჰყვნენ, რამდენიმე კვალში საზამთრო ეთესა. არტემმა უეცრად გადაუხვია, ძირს დაიხედა, რაღაცას დააკვირდა.

ყოველ ცალკეულ სახეობას ორი-სამი კვადრატული მეტრი ეჭირა. ზოლები კოხტად იყო ჩამწკრივებული.

– კაპუეტა ჭანგას არც მორწყვა უნდა, არც სასუქი. კარგ მოსავალს იძლევა. წითელწვერა ხომ არის და არის, მტრედისფერა ჭანგას კი ვერაფერი შეედრება, – აღფრთოვანებით ლაპარაკობდა არტემი.

ნელ-ნელა გაუყვნენ გზას.

არც ერთი ხმას არ იღებდა. რა დიდი საქმე გააკეთეს! ვინ იფიქრებდა, რომ აქ ხესა და ხეხილს მოაშენებდნენ. მაგრამ აი, შრომამ რა ქნა. არა, მარტო შრომამ კი არა, – რწმენამ, შრომამ და ცოდნამ.


## მართალი კაცი

მეორე დღეს გადაწყვიტეს, შავ ტყეში წასულიყვნენ. ეს შავი ტყე შორს, ქედზე მოჩანდა, უფრო სწორად, იმ გორაკებზე, რომლითაც გომბორის ქედი შირაქის ბოლოებზე, ალაზნის მოსაბრუნთან, ჯეირნის ველებთან ბოლოვდება. აქ კოპწია, ტყით შემოსილი მწვერვალი წამომართულა. ამ მწვერვალიდან ხელისგულივით მოჩანს კავკასიონი, – ალაზნის ველი კახ-ბელაქანით, შექის პლატო და აზერბაიჯანის შორეული ველები, მთლი შირაქი და შორს ლიაღვარი და თრიალეთი. გომბორის ამ ბოლოების გორაკების ფერდობები შავად მოჩანს, ამიტომ უწოდეს შავი ტყე. სხვაგან ამ სიშორეზე მდებარე ტყეები ლურჯად კიაფობენ. ესეც ატმოსფეროში გაბნეული სხივების თავისებურება უნდა იყოს.

კასრის წყალსა და შავ ტყეს შორის გადაჭიმულია უზარმაზარი ველი, რომელსაც ამ ოციოდე წლის წინ მხოლოდ ზამთრის სამოვრად იყენებდნენ. დღეს ის ახალ ცხოვრებას იწყებს.

მიხამ იძლა, მასპინძელი მე ვარ და ჩემი მანქანით უნდა წავიდე. მანქანა განიერ შარაგზაზე მოქროდა. გზის ორივე მხარეს უზარმაზარი ზვრები იყო გადაჭიმული. მანქანა არტეზიულ ჭასთან გააჩერეს. მიწიდან წყალუხვი შადრევანი სცემდა, მის გარშემო ხალხი ირეოდა, წელზევით გამიშვლებული ჭაბუკები ბროლის წყლით გრილდებოდნენ, მიხამ კასრები გადმოიღო და წყლით გაავსო, ქვევით, ყანებში დაგვჭირდებაო.





ჯინჯარი

– ეს ზილიჩას ვენახების ჯადოქარია, – გააცნო ჩვენს მგზავრებს არტემმა ერთი ჭადარაშერეული ვაჟკაცი.

– ფშაველი ხარ და ვენახის ყადრი საიდან იცი?

– „სიღარიბემ დიბის კაბა მაცვეთინაო“, ან კიდევ „გაჭირვებამ ცხრა მთა გადამატარაო“, ხომ გაგიგონიათ? – გაიღიმა ზვრის „ჯადოქარმა“, – მეტი რა ჯანია. მერე სადაური ფშაველი ვარ. ვაჟამ რომ ზემო ქედი დაასახლა, ორიოდ წლის ბალდი ვიყავი, ზემო ქედში გავიზარდე და დავბერდი, ბევრი დარდი და ჭირი გადამხდა, მარტო მე კი არა, ყველა აქ ჩამოსახლებულს. ვაჟა რომ გარდაიცვალა, ქომაგი აღარ გვყავდა. მაგრამ აი, დღეს უკვე სხვაა, ხედავთ?

სიამოვნებით გადახედა ვენახებს.

– არც ზემო ქედი იყო დიდი ვენახის პატრონი, როცა დასახლდით. მაშინ ხომ ეს მხარეც „უვენახ-უხილო“ იყო. არც ფშავი ყოფილა დიდად ზვრიანი.

– „წამწყმიდა წახედულეზამაო“, ხომ გაგიგონია. მთელი კახეთი ვენახია და ჩვენც ხომ კახეთის ბოლო ვართ.

პირველად ზემო ქედელები ვაჟა-ფშაველას დაჟინებით გადმოსახლდნენ ამ ველებში და დასახლდნენ შირაქის განაპირას. მხარმარცხნივ მას ალაზანი და მისი გაღმა-გამოღმა ვაკეები ეკრა, მარჯვნივ – შირაქის დაბალი ქედები. ბევრი ჭირი გადახდა ვაჟას, ცალკე მეფის ჩინოვნიკობა, ცალკე ადგილობრივი მტერ-მოყვარე საშუალებას არ აძლევდა, ფშავლების დასახლების საქმე კეთილად დაეგვირგვინებინა. არანაკლებ ეწინააღმდეგებოდნენ თუში მეცხვარეებიც, რომლებიც შირაქს სათუშოდ თვლიდნენ. მათ ჯერ კიდევ ქართველმა მეფეებმა დაულოცეს შირაქი ქვეყნის დიდი სამსახურისათვის. თუშები ხომ ჩრდილოეთის საზღვრის გაუტეხელი გუშაგები იყვნენ. გარდა ამისა, ბარსაც ხშირად ჩამოეშველებოდნენ ხოლმე. ბოლოს კეთილმა საქმემ მაინც გაიმარჯვა და დასახლდნენ ფშავლები აქ, სადაც დღეს სამი უზარმაზარი სოფელია – ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოს კალო. პირველად თუ მარტო ფშაველები გადმოვიდნენ საცხოვრებლად. ახლა აქ სახლობს: ფშავი, თუში, ხევსური, ქაზიყელი, კახელი. სუფთა ქუჩებს ორსართულიანი სახლები გასდევს ბაღ-ვარდნართა და ვაზის ხეივანებით დამშვენებული. წყალი ალაზნის გაღმიდან, საინგილოს მთებიდან გამოიყვანეს. სოფელს ამშვენებს სკოლები, საავადმყოფოები, სამკითხველოები, კულტურის სახლები. ყოველ ოჯახშია რადიო, ტელევიზორი.

მანქანა ვენახებს გასცდა და შავი მთის ქედს შეუდგა.

ჩვენმა მგზავრებმა უროიანი ველი გადაიარეს, ერთი გორაკის ჩრდილოეთის ფერდო ნორჩი თელნარით იყო შემოსილი, შესეოდა ძროხების დიდი ნახირი და ნეკერს ახრამუნებდნენ.

– დალოცვილები, აქ ბუნებრივ ტყეს ანადგურებდნენ, ქვემოთ კი ტყის ზოლებს აშენებენ.

მანქანა ტყეში შეიჭრა.

ბერყენების დიდ ჯგუფს შეეჩხენენ.

– აი, სწორედ ესაა სახოკიას ბერყენა. მარტო აქ შეგვრჩა, სხვაგან ამოიძირკვა ყამირის გატეხის დროს, – უხსნიდა არტემი, – სულ ოციოდე ძირილა იქნება.

– განიერი ფოთლები აქვს, მართლაც არ ჰგავს ჩვეულებრივ ბერყენას, ტირიფფოთოლას...

ტყე ამ მხარისათვის თითქოს უჩვეულოა – მუხნარ-რცხილნარი, გომბორის წინა კალთების ტყე. თავს იწონებს ქართული მუხა, რცხილა, ჯაგრცხილა, პანტა, თამელი, ივანი, ნეკერჩხალი, ნამდვილი მუხნარ-რცხილნარია.

ხოლო ნაპირისაკენ დასახლებულია ნათელი ტყის წარმომადგენლები: ქართული ნეკერჩხალი (ეს შუაგულ ტყეშიც იღებს მონაწილეობას), აკაკი, საკმლის ხე, ღვია და სხვები.

ბილიკს გაჰყენენ და მალე მწვერვალს თავზე მოექცნენ.

წინ გადაეშალათ ალაზნის ველი, გაღმა საინგილო, ალაზნის მარცხენა ნაპირი ჭალის ტყეს დაეფარა. ალაზანი აქ უზარმაზარ მინდვრებს ქმნის, გიგანტურ ყულფებს. ბევრგან ყულფის ბოლოები ერთმანეთს უახლოვდება, ალაზანი გადაკვეთავს ხოლმე მას და დიდი ნაკვეთები ხან აზერბაიჯანში ჰყვება, ხან საქართველოში (ამ ადგილებში ალაზანია აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარი). ამ ორიოდე წლის წინ ალაზანმა ეს ყულფი, რომელშიც ველური კაკლიანი ხარობს, აზერბაიჯანში მოაქცია. ამ ველური კაკლიანის საცხოვრისის ანალიზი, დათვის ხევის ნამარხებში აღმოჩენილი ჩვენებური კაკალი, სართიჭალის მახლობლად ჰოლოცენის შრეებში (8-9 ათასი წლის ხნისა) კაკლის მტერის საკმაო რაოდენობით აღმოჩენა ამტკიცებს, რომ კაკალი კავკასიის ფლორის აბორიგენია.

– აქეთ, აქეთ! ციხის ნანგრევებია, – მოისმა ტყის სიღრმიდან ერეკლეს ხმა. ყველა იქითკენ გაეშურა. ერეკლე თავისი წერაყინით ტრიალებდა, ქვითკირით ნაშენი რაღაც კედლის ნაწილი ჩანდა.

– ეს ციხის კედელია ალბათ!

გიორგის გაეღიმა, მოიმარჯვა წერაყინი და ერთი აგური ამოაბრუნა, აიღო, გაფხიკა და გაუწოდა ერეკლეს. ერეკლემ დახედა. ზედ გამოყვანილი იყო „1914 წ.“ აგური გადააგდო, ეწყინა, რომ მის „აღმოჩენას“ ასე მოკლე ფეხები ჰქონდა.

– სატრიანგულაციო ნიშანი ყოფილა აქ, კახეთის აგეგმვის დროს აუშენებიათ ალბათ...

კვლავ გადავიდნენ აღმოსავლეთი ფერდოზე. გამოჩნდა ჯერ კიდევ თოვლით შემოსილი კავკასიონის ქედი.

ფერდოს მარჯვნივ ღრმა ხევი ჩასდევდა და სწორედ ამ ხევში, ერთი უზარმაზარი, ტოტებგამლილი მუხის წვეროდან მოისმა ყაშყაში.

– შეხედეთ, არწივის ბუდე.

ტოტზე ნახევრად ფრთებგამლილი მტაცებელი იჯდა და ბუდეს ჩასცქეროდა.

– ეტყობა, ბარტყებს საზრდო მოუტანა, – დაასკვნა მიხამ.

– ძერას უფრო ჰგავს. ძერა ჩვენში აპრილში მოფრინდება, დადებს 2-3 კვერცხს, გამოჩეკავს ბარტყებს, გაზრდის. ის სოფელს დიდ ზიანს აყენებს, იტაცებს ქათმებს, იხვს, ბატს, ინდაურს, მინდვრად კურდღელს და სხვა პატარა ნადირს, გარეულ ფრინველს გასაქანს არ აძლევს. შემოდგომაზე დიდ გუნდებად იკრიბებიან და ისევ თბილი ქვეყნებისკენ მიფრინავენ. ხშირად მთელი ხნული გაივსება ხოლმე, როდესაც ძერები დასასვენებლად დასხდებიან.

მანქანასთან რომ მივიდნენ, 70-ოდე წლის, ხმელ-ხმელი, ჭადარაშერთული კაცი დახვდათ, ხელში ალვირი ეჭირა, ცხენი ოფლში გახვითქულიყო. თვითონაც დაღლილი ჩანდა, მძიმედ სუნთქავდა, ეტყობა, შორიდან მოდიოდა.

– კაცო, მოგდევდით, როგორც ტყის მტერს და ტყის მეგობრები კი შემრჩით ხელში!

– ეგ როგორ გავიგო?



**ბუჩქიანი ფერდო**

– თქვენი მანქანა რომ დავინახე, ძირს ვიყავ, აგერ, იმ ფერმაში, – გაიშვირა ხელი ალაზნის დაბლობისაკენ, – მოვახტი ამ ჩემს თავლას და გამოვქუსლე. არხილოელები მეგონეთ. ალბათ შეშისათვის ამოვიდნენ-მეთქი... გამარჯობათ, ალექსი შახხელიშვილი ვარ, ტყის მცველი, – მიესალმა ჩვენს მგზავრებს.

– თუში მეგონე, წოვა ყოფილხარ! – გიორგის გაეღიმა.

– შენ ჩვენი ამბავი კარგად გცოდნია. ჩაღმა თუშები და წოვა თუშები ერთმანეთს ვაჯავრებთ, თუშები თქვენ კი არა ხართ, ჩვენა ვართო.

– შენ ჩვენშიც იქნები ნამყოფი.

– როგორ არა, სპეროზა, იტურ-ხინჩო, საქისტო, ალაზნის თავი, საჯინჭვლე, ქვა-ხიდი, ვესტმო დავლილი მაქვს, – მიუგო გიორგიმ.

– პა, პა, პა. დიდგვერდიც?!

– დიდგვერდიც, ფურთკალოც, მელთკუდაც, საყორნეც, ალატოვანიც, – ჩამოთვალა გიორგიმ მთათუშეთის სამოვრების სახელები.

– აბა ერთი დაჯექ და მიაშზე, – სთხოვა ალექსიმ და თვითონ ბალახზე დაჯდა, – 15 წელია, საქისტო წყარო აღარ დამილევა. იტყვი, სად თუში, სად მეტყვევო. აგერ, ალაზნის მოსაბრუნში ცხვარი გვეყენა, – გაიშვირა ხელი ალაზნისაკენ, – მაშინ ტყე მეტიც იყო. ერთხელ ჩამოვიდა მწყემსებში ერთ კაცი, თქვეს, მთავარი მეტყვევაო; ბიჭებო, ტყეს გაუფრთხილდითო, – გვითხრა და ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ტყის მცველად დავდექ. მას შემდეგ თავი ვეღარ დამინებებია, ვაითუ ხე მომიჭრან-მეთქი, ცოლ-შვილი დამენატრა, წელიწადში ერთი-ორჯერ თუ ვნახავ და ისევ აქეთ გამოვრბივარ. ქედებიდან რომ გადმოვიხედავ და შავი ტყე ისევ შავია, გული მინათდება. აქაურები ტყეს არ უფრთხილდებიან. ეს კი არ იცინა: „მნა იწოდა, ულო იცინოდაო“, მაგათზეა ნათქვამი.

– მერედა განა ზედ უნდა შეაკვდე, – ჩაუგდო სიტყვა მიხამ.

– „განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს“.

– ქვევით რომ თელის შიმაღში ძროხა ძოვს, ვერ ნახე?

– რა ვქნა, ეგ მიწა იმათია, კოლმეურნეობისა, არ უფრთხილდებიან. რომ გავრეკე, მწყემსმა შემომიტია, მაგრამ ცხენი ჯიქურ მივადგე, მაშინ კი იკადრა და უკან დაიხია, ვერ გავაგებინე, რომ ბაყილა ხედ იქცევა, – სიტყვა შეწყვიტა, წამოხტა და ცხენი ჩრდილში გადაიყვანა, მზე მისდგომოდა.

– ნამდვილი აღვირის გაკეთება ვერ მოვასწარ, აყაფით წამოვიყვანე. თუშური ცხენია, მკერდგანიერი, ფეხმაგარი, მებარგული, ჩვენმა მთებმა გამოზარდეს.

– ცოდოა, ცოტალაა, არ უფრთხილდებით. ძველი ქართული ცხენისა არ იყოს, მაგასაც დავკარგავთ, შენ რაც თქვი, გელიქეშად<sup>24</sup> მოგივიდა, მაგრამ სწორადა თქვი.

– ქვეყანაზე მართალ კაცს გაუმარჯოს, – ასწია პატარა ყანწი გიორგიმ.

– კეთილი, გაუმარჯოს! – დაეთანხმა ალექსი.

– ახლა შენ გაგიმარჯოს, ალექსი!

– ვითომ მე რათაო?

– ვისაც ტყე უყვარს და უფრთხილდება, ის ყოველთვის მართალი კაცია.

– „მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამოგილევს სინათლესაო!“ მე მარტო რას გავხდები, გალივით<sup>25</sup> ვარ ამ უდაბნოში.

– ეგ მრუდე კაცის მოგონილი ანდაზაა, მარტო ვარო, სიმართლე მარტო არასდროს არ იქნება. თუ გინდათ, ფეხით ჩავყვეთ ფერდოს, ხოხბებს გაჩვენებთ, – მიუბრუნდა გიორგი ბიჭებს.

სიხარულით დათანხმდნენ.

მიხას სთხოვეს: ქვემოთ, ფერდოს ვაკეზე დაგვიცადეო და ჩაჰყვენენ ფერდოს.

– ლიხიანს გამოჰყვევით, იქ იცის ხოხბები, – მიაძახა მიხამ.

ტყიდან რომ გამოვიდნენ, ლიხიანის ნაპირას აუარება გულწითელა ფრინველის ჟივილ-ხივილი შემოესმათ.

– ერიჰა! კალია გაჩენილა, – თქვა შალვამ.

– კალია კი არა, ჩიტია!

– კალია რომ გაჩნდება, ტარბიც მაშინ მოფრინდება. აბა, გახედეთ, როგორ იჭერენ კალიებს, აგერ რომ მიფრინავს, პირი სავსე აქვს კალიებით.

შოშიასოდენა, შავქოჩორა, გულწითელა და შავფრთიანი ფრინველები ჟივილ-ხივილით შესეოდნენ მინდორს. მიუახლოვდნენ. ჩიტებმა შეიფრთხიალეს, მაგრამ შორს არ გაფრენილან, იქვე დასხდნენ და განაგრძეს თავისი საქმე. ძირს უამრავი კალია ეყარა.

– იცოდეთ, ტარბი კალიას ხეირს არ დააყრის.

ტარბი ჩვენში შემომფრენია, მაგრამ ბუდესაც იკეთებს. ირანის, სირია– პალესტინის, ერაყისა და არაბეთის უდაბნოებშია მათი სამშობლო, ის, ჩვეულებრივ, კალიის გუნდებს დასდევს.

ვაჟა-ფშაველა რომ გორის საოსტატო სემინარიაში სწავლობდა, მაშინ ქართლის მინდვრებს სპარსეთიდან გამოფრენილი აუარებელი კალია შეესია, მთელი სოფლები გამოვიდა საბრძოლველად, ხოცავდნენ ნიჩბებით, ბარებით, ცოცხებით, გუთნით კვლებს ავლებდნენ და კვალში რომ გროვდებოდნენ, მიწას აყრიდნენ. კალია წინ მიიწევიდა, ჯეჯილს ისე ძოვდა, ხარ-კამეჩის ნამოვარი გეგონებოდათ. მაგრამ აი, გამოჩნდა ტარბი და ხალხმა პირჯვარი გადაისახა, საყდრებში ზარები ჩამოჰკრეს.

მართლაც, დატრიალდა ტარბი, ისე იბრძოდა, როგორც ვაჟკაცი. ხალხი ამბობს, ტარბი რომ გულწითელია, ეს ომშია სისხლით შეღებლიო.

ბიჭებმა ფოტოაპარატები მოიმარჯვეს, მაგრამ პირველად ამოფრენილ ხოხობს მაინც პირდაღებულნი უცქეროდნენ დამისი სილამაზით ტკბებოდნენ.

– ნუ გეშინიათ, კიდევ ამოფრინდება!

მართლაც, მაღალლიხიანიდან ამოენთო ორი ხოხობი. თითქმის ერთად გაისმა ოთხი აპარატის ჩხაკუნის.

– რამ გაამრავლა აქ ასე?

– ხნულები შორს არის, მოწამლულ ხორბალს არ ჭამენ, მეორეც, აქ არ ვუშვებ ადვილად არავის.

### კამეჩის მეხრე

მთის კალთები ნათელი ტყითა და ძეძვიანით იყო დაფარული. უფრო ძეძვიანი მრავლობდა, აქა-იქ ერია საკმლის ხე, აკაკი, ხევებში – ქართული ნეკერჩხალი, ბერყენიანსაც საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა. როგორც ჩანს, ბერყენისათვის ხელი არ ეხლოთ, მწყემსები უფრთხილდებიან, ზამთარში ხილად გამოდგებაო.

ბერყენიანებში და მის გარეთ აქა-იქ იდგა ბროწეულის უზარმაზარი ბუჩქები. ზოგს ნაყოფი ჰქონდა გამონასკვული. ალექსიმ მოწყვიტა ერთი ნაყოფი და თქვა:

– ბროწეული ბატკნის ბლავილს რომ გაიგონებს, მაშინ დალპებაო, მარტამდე კარგად ინახება.

საკმლის ხეები ნაჩეხი იყო, ბევრგან ძირკვებილა მოჩანდა.

– მეცხვარეები ზამთარში ჩეხავენ და შემდ ხმარობენ.

ალექსის გამოემშვიდობნენ და მანქანა გაგორდა ძეძვით დაფარულ ველზე. ალაგ-ალაგ 100-200 ჰექტარიც კი იყო შიშველი, ბუჩქებს მოკლებული, უმთავრესად აბზინდა, ზოგან კი ხურხუმო მოჩანდა, მიწაზე ხაშური გართხმულიყო, მიწას მარილის ლაქები ემჩნეოდა. ჩანდა, მიწა მეტად ალქატი<sup>26</sup> იყო, მაგრამ ასეთი მიწების გაკეთილშობილება შეიძლება. თავისებური რწყვით მარილები შეიძლება ჩაირეცხოს და ზემო ფენაში დარჩეს იმდენი, რამდენსაც შინაური მცენარე აიტანს. ალბათ, ალაზნის დიდი არხი თავის დროზე ამასაც გააკეთებს. მაშინ ეს მხარეც დაიფარება ბალ-ვენახითა და ბოსტნით, სახნავითა და სათიბით. აქ გაიხარებს მშრალი სუბტროპიკების მცენარეები: ბროწეული, ნუში, ფსტა, კაკალი, ატამი, გარგარი, უნაბი, ყველანაირი ვაზი და სხვა მრავალი. ზოგადად კი რჩება შთაბეჭდილება, რომ მთელი ეს ვაკე ეროზიის ბაზისი ყოფილა შირაქის ზეგანის ფერდობებისათვის, სადაც ნათელი ტყე იყო გავრცელებული. ამ ტყეს უშუალო კონტაქტი ჰქონდა და ზოგან დღესაც აქვს ალაზნის ქალის ტყესთან. ამ ადგილებში ალაზნის ქალა საინტერესოა იმითაც, რომ ერთგან წმინდა კაკლიანია.

უცხად მანქანა გაჩერდა და მგზავრები ერთმანეთს მიეჯახნენ.

– წინ წყალია, უნდა შევჩერდეთ, – თქვა მიხამ და მანქანიდან გადმოხტა.

– რა იყო, მიხა? – თავი გამოყო მანქანიდან გიორგიმ.

– აგე! – გაიშვირა ხელი.

გიორგიმ გაიხედა, ხელი მოიჩრდილა და გაიღიმა:

– ბიჭებო, გადმოდით, აფრიკაში წასვლა აღარ გინდათ, აი, ნამდვილი მირაჟი!

გადმოხტნენ, გაიხედეს წინ, მილარის ველისკენ, მათ ფეხებთან ტალღები ქანაობდა და წყლის ზედაპირს ლივლივი გაჰქონდა, შორს ორი იალქნიანი ნავი მოჩანდა, ნაპირზე რამდენიმე თეთრი სახლი იდგა.

– მინგეჩაურია, – განმარტა არტემმა.

– მაშ, არ მეჩვენება? – შეეკითხა მიხო გიორგის.

– როგორ თუ გეჩვენება!

– თუ ყველა ვხედავთ, მოჩვენებაც არ ყოფილა, – და გიორგიმ ერთი-ორი სიტყვა მირაჟზეც თქვა.

განსაკუთრებული ოპტიკური მოვლენის გამო უდაბნოებში, ნახევრად უდაბნოებში და ველებში, ატმოსფეროში შეიძლება გაჩნდეს მირაჟი. მირაჟი მაშინ ჩნდება, როდესაც მიწისპირა ატმოსფეროში ერთმანეთზე განლაგებულია ცხელი და ცივი ჰაერის შრეები. იმ ზედაპირზე, რომელიც ასეთ შრეებს ყოფს, გადატეხის მაჩვენებელი მკვეთრად იცვლება. სინათლის სხივები ამ დროს ასეთ ზედაპირს ალმაცერად ეცემა და ეს სხივები მთლიან შინაგან ასახვას განიცდის. ჰაერში სარკისებრი შრე ჩნდება, რომელშიც სხვადასხვა სხეულები აირეკლება.

უდაბნოში და ველებში, ნახევარუდაბნოებში ზედაპირული მირაჟი იცის სიცხის დროს, როდესაც მიწის ცხელ ზედაპირზე ჩნდება მკვეთრად განსაზღვრული ფრიად ცხელი და თხელი ჰაერის შრე. ამ დროს ცხელი ჰაერის შრე არეკლავს სხვადასხვა საგანს და მიწაზე ჩნდება არეკლილი მიწის მთელი ნაკვეთი, ესაა ზედაპირული მირაჟი, არის ციურიც, სიმაღლოვანიც.

ალბათ კიდევ დიდხანს ისაუბრებდნენ, მაგრამ ამ დროს სიომ დაუბერა და მირაჟიც გაქრა.

– აი, დიდება შენდა, ღმერთო...

– ამ ხნის კაცი ვარ და ასეთ რამეს პირველად ვხედავ, – მხოლოდ ამის თქმა მოახერხა მიხამ.

- ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენში მირაჟი იშვიათია. ჩვენ ბედი გვექონია.
- ცოტა ხნის შემდეგ მანქანა მისრიალდა ქვითკირის გალავანთან. ეს გალავანი ერთი ასობით კვადრატულ მეტრ მიწას. შუაში იდგა მსხვილი საკმლის ხე, რომელზეც ათასფერი ნაჭრები ეკიდა. ბიჭები გადაევიდნენ გალავანს (გალავანი ერთი ადლის სიმაღლისა), ქვებზე ვერცხლის წვრილი ფულიც ეყარა.
- ეს გაღმა მხარის ინგილოების სალოცავია.
- როგორც ჩანს, ჩვენი ხის კულტის კოლექციას საკმლის ხეც მოემატა.
- მუხა მაინც უფრო ხშირია (რკონი, ჭყონი, ცხრა მუხა...).
- ურთხელიც არ არის იშვიათი!
- იქ, სადაც ეს ხეები არ გვხვდება, განა ნაკლები პატივისცემით სარგებლობს კაკალი, ვერხვი და ცაცხვი?..
- ფულებისა და ნაჭრების გარდა ხის ტოტემშუა რიყის ქვასაც მოკრავდით თვალს. ზოგი მათგანი დიდი ხნის ჩატანებული იყო. ეტყობა, ხის ტოტს ჩახვეოდა, გადაზრდოდა, შესდუღებოდა.
- აქა-იქ ზამთრის სამოვრების ბინებიც ჩანდა. უცბად ქედების პირდაპირ გამოჩნდა პატარა სოფელი თავისი წყაროთი, პატარა რუთი, ვენახით, ბოსტნით, ფეხშიშველა და ტარღალა ბაღებით.
- იგილოები არიან, გაღმიდან გადმოსულები, ქედის კოლმეურნეობის წევრი მეზვრეებია, აგერ, მათი ზვარი. მართლაც, სოფლის ბოლოს მოჩანდა უზარმაზარი ზვარი.
- მოსავალი ძლიან კარგი იცის, ღვინო მაგარი და ტკბილი.
- სიცხე არ გაწუხებთ? - შეეკითხა გიორგი ერთ ინგილოს.
- სამაგიეროდ ჩვენს მძებთან ვართ...

მანქანა გასცდა სოფელს და ალაზნისკენ გაუხვია. შვიდიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ ერთი ვერხვის ძირას გაჩერდა. მარცხენა ნაპირი უღრანი ტყით იყო შემოსილი, მარჯვნივ კი თითო-ორთა ვერხვი და მუხა იდგა, ალაგ-ალაგ კუნელის, ტყემლის, ჩიტავაშლას, ულლუნის, ბიას, მაქალოს, პანტის ბუჩქები იწონებდა თავს. ჩანდა, რომ აქეთ ჭალა პატარა იყო, უკანასკნელ ხანში საკმაოდ შეემცირებინათ.

ბიჭებმა ერთი ჟივილ-ხივილი ატეხეს. ალაზნის მდორე წყალში კამეჩის თავები მოჩანდა. ნაპირთან ახლოს ორმოციოდე ზაქი ჩაწოლილიყო, ზემო ტუჩები აეწიათ. გეგონებოდათ, ახალმოსულებს სიცილით ესაღმებოდნენ, ნაპირას კი რამდენიმე ლოლი<sup>27</sup> ნებვირობდა.

- „კამეჩი წვეს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია. ლაფში ჩაფლული ურემი, შინ მიტანილი ჰგონია!“

სწრაფად უპასუხა ერეკლემ:

„კამეჩმა ზაქი მოიგო, ურქო, უკუდო, უყურო, ეს რომ გუთანში შეაბა, უნდა დაჯდე და უყურო“.

ხის ჩრდილიდან შავტუხა ჭაბუკი გამოვიდა, მიესალმა და:

„კამეჩო, ღონიერი ხარ, უღელი გეცოდინება!“



**ალაზანი ყაშებში**

- თქვა ახლად მოსულმა ღიმილით, ეტყობოდა, ბიჭების შაირობას ყური მოჰკრა და თავადაც წამოიწყო:
- „მე ღონიერი არა ვარ, უღელი მეჩოთირება“.
- უპასუხა მიხამ, რაკი დაატყო ბიჭები შეფერხდნენ.
- ჩვენში „მუხრანელი ხარო“ - იციან.
- ეგრეც შეიძლება, - დაუდასტურა მწყემსმა.

– „კამეჩი ღონიერია, უღელს ატარებს ხისასა, გაუჭირდება, წაიღებს თავისასა და სხვისასა“.

არ ჩამორჩა გოდერძი, ასე ერქვა ახლადგაცნობილს.

– ვისია ეს კამეჩები? – ჰკითხა შალვამ მწყემსს.

– ჩვენი კოლმეურნეობისაა, კამეჩები ზაფხულშიც აქა გვყავს. სიცხისა ეშინიათ, მაგრამ ალაზანი აქ არ არის? მახანაველებს უფრო დიდი ჯოგი ჰყავთ კამეჩებისა, მათი კამეჩობა იორზეა, ტარიზანის ბოლოებზე, იქაც ბევრია დუბე<sup>28</sup> ადგილები, ალაზნის დუბიანების არ იყოს. კამეჩი ასეთი ადგილის საქონელია.

– კამეჩოვანია ეს მხარე? – იკითხა ერეკლემ.

– სწორედ კამეჩოვანია, – უპასუხა მამამ, – გახსოვს, ვახუშტი წერს: „არამედ საქვაბე-ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთიდან ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კამეჩოვანი. კამეჩთა სიმრავლისა გამო“.

– რიონის დაბლობიც ცნობილია კამეჩით.

– გოდერძი, შენ მთელი დღეები აქა ხარ?

– აბა, სად ვიქნები, კამეჩები რომ წყალში ლაღობენ, მე მაშინ თუ წავიკითხავ რასმე.

– რას კითხულობ?

– დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტი ვარ.

– ალბათ ზოოვეტერინალური ინსტიტუტისა, არა?

– არა, ფილოლოგიური ფაკულტეტისა, უნივერსიტეტში.

– ?!!

– შემოდგომაზე მესამე კურსს დავამთავრებ.

ბიჭები კიდევ უფრო გაცოდნენ.

– აი, ამან უნდა თქვას:

„კამეჩის მეხრე ვიყავი, მეში მეცვა და მეხვია, ასი მომიკლავს ურჯულო, ორასი ამიჩხვია“.

ამ დროს შამბიანიდან გამოვიდა ლამაზი ხარ-კამეჩი მკერდგანიერი, კოჭმაღალი, შავი ბეწვი გიშერივით უბზინავდა, რქები ირემივით უკან გადაეწია, უზარმაზარ შავსა და ღრმა თვალებს ატრიალებდა. მოლზე შედგა და გამოხედა ხალხს.

– ირმა, მოხვედი? მოდი, მოდი! – გაუწოდა ხელი გოდერძიმ.

ირმამ რაკი დაინახა, გოდერძის ხელში არაფერი ეჭირა, დაიქნია თავი, დაიყოყინა და ისევ ბარდებში გაუჩინარდა.

– აი, ეგრეა გააზატებული. მოვა, დაგვხედავს და წავა. გათამამდა ძალიან, შარშან მარტოდ იზამთრა კიდევ. არც მგლისა ეშინია, არც აფთრისა, ასე იცის კარში გასვლა და გათამამება ურწანმაც, უზაქოდ დარჩენილმა ფურკამეჩმა.

გოდერძიმ სტუმრები ბინაში შეიპატიჟა:

– წამობრძანდით, შეისვენეთ.

სიამოვნებით გაჰყვინენ, უფრო იმიტომ, რომ ენახათ, გოდერძი როგორ ცხოვრობდა.

გაიარეს ბარდიანი ჭალის ბილიკი და ერთ მინდორზე გავიდნენ. მინდვრის ბოლოს თეთრი გრძელი ბოსელი იდგა. ამ ბოსელს ახლა „ფერმას“ ეძახიან, ფერმის ქვემო მხარეს ბაკი იყო, რამდენიმე საჩხეად დანაწილებული. ფერმის გვერდით სარდაფიანი პატარა სახლი იდგა. სახურავზე ანკეტენებს ამოეყო თავი, გოდერძიმ კიბე აირბინა და სტუმრებს ოთახის კარი გაუღო.

ფერმის ქვევით, მოშორებით, დაბალი ხუხულები მოჩანდა.

– ესენი იშელებია<sup>29</sup>. აქ ჩვენი ღორის კოლტი დგას ხოლმე.

– ბოდიში, თუ ისე ვერ დაგხვდით, – და კარში გავარდა.

ოთახი კოხტა იყო, ორი ტახტი იდგა, მაგიდა, 4-5 სკამი, კუთხეში რადიომიმღები, თაროზე – წიგნები, კედელზე ვაჟას, აკაკის სურათები ეკიდა, კუთხეში სველი კუტალი<sup>30</sup> იდგა.

გოდერძი შემოვიდა და სპილენძის ქვაბით მაწონი შემოიტანა.


– აქ ასე ვიცით, სპილენძის ქვაბში ვადელებთ. ხშირად ვხმარობთ, რადგან ადვილად არ ობდება. თურმე ძველად ჩვენი ჯარი ომში რომ მიდიოდა, თან მიჰქონდა ხშიადი, ჩურჩხელა, სულგუნი და ხალი<sup>31</sup>. ყველა ეს დიდხანს ინახება, არ ფუჭდება, ყუათიანიცაა.

ციცხვით დაჭრა, კამეჩის მაწონი ხომ ძალიან სქელია, ახალი ყველივითაა, მერე ჯამებზე და პინებზე<sup>32</sup> გადმოიღო. მოათავეს ჭამა, დღეს სხვაც ჰქონდათ სანახავი, ნელ-ნელა გამოუყვინენ კამეჩის საყრელისაკენ. ვერხვის ჩრდილიდან ჭიხვინი შემოესმათ, შავი ულაყი ფლოქვებს სცემდა და ხალხს გასცქეროდა.




– რაო, ყორანა, მოგწყინდა? ეგ ჩემი ცხენია, თუ კამეჩი აგვცდა, მოვახტები ზურგზე და მივდივარ საძებნელად.  
– ამდენ კამეჩში როგორ ამჩნევ, რომელი დაგაკლდა?  
– რა ვიცი, ვამჩნევ კია და. ზოგი ნიშაა. ზოდი დოლა<sup>33</sup>, ზოგი ლომა, ზოგი კოჭდაბალი, ზოგი ქორბუდიანი.  
გამოემშვიდობნენ თავის ახალ მეგობარს და გაჰყვნენ თავის გზას.  
ალაზნის პირი ამ ადგილას ზღვის დონიდან 250 მეტრს არ აღემატება. შირაქის გული 600 მეტრია, ქედები თითქმის 700 მეტრის, ზოგიერთი მწვერვალი შირაქში წამოწეულია, 800-900 მეტრის სიმაღლისაც კი.  
შირაქი ტახტივითაა ამართული ვაკეზე. ესაზღვრება: ჩრდილო-აღმოსავლეთით – ალაზანი და ალაზნის ველი, სამხრეთ-დასავლეთით – იორი და ივრის დაბლობი, ან ნაომარ-ტარიზანა ელდარად წოდებული. აღმოსავლეთით პირდაპირ ადგება ალაზნის მოსაბრუნს და ზოგან კბოდესა და ალესილებს ქმნის.

მანქანა დააყენეს. აზინდიანი ველის ზედაპირიდან მეტრანახევრით იყო ამოწეული მიწა, დაახლოებით 1000 კვ. მეტრი იქნებოდა. ბაქანზე უკვე სხვა მცენარეები, ურო და წივანა, იზრდებოდა.  
გაიარ-გამოიარეს, ერთ ნათავურთან მივიდნენ, მიწა გადათხარეს, თიხის ჭურჭლის ნამტვრევები იპოვეს.  
– აბა, თუ არ გეზარებათ, ერთი მეტრის სიღრმის ორმო ამოთხარეთ.  
ბიჭები სწრაფად ეცნენ და ნახევარი საათის შემდეგ ბარულას სურის ყური ამოჰყვა, მერე შავად მოხარატებული ნატეხი, ერთი ცალი მძივის მარცვალაც იპოვეს.  
– აი, ასეთ ადგილებს გარე კახეთში ნატახტარებს უწოდებენ. ნ. ბერძენიშვილმა მოიარა ბევრი ასეთი „ნატახტარი“ და დაასკვნა, ეს „ნატახტარები“ სამოსახლო ადგილები უნდა იყოსო. კ. ფიცხელაურმა დაზვერა, ზოგი ნაწილობრივ გათხარა და დაადასტურა, რომ ნატახტარები უმთავრესად ბრინჯაოს ხანის სამოსახლოებია. უმრავლესობა სწორედ ამ მხარეშია. აი, ზევით, ქვემო ქედს რომ ჩავცდებით, გულის შირაქში ქედელებს ნატახტარზე ამჟამად კალოც გაუმართავთ.



**საკმლის ხე ყაშებში**

ასეთი ნატახტარები ყარაიაში, სამგორში, უკანა მხარეში, ნაომარზე, ალაზნის ველზე, შირაქშიც ბევრია.  
ამ ნამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ხშირად წააგავს იმ ჭურჭელს, რომელსაც დღეს აკეთებენ კახელი მეთუნეები მელაანში, რუისპირში, ვარდისუბანში და სხვაგან. ამგვარად, დღევანდელი მეთუნე 4-5 ათასი წლის წინათ მცხოვრები მეთუნის მემკვიდრეა.  
აი, კიაზო ფიცხელაური რას წერს:  
„იორ-ალაზანის ტერიტორიაზე აღნიშნული ხანის ნასახლარი გორები აღმოჩნდა ჩალაუბანთან („ტინის სერი“, „რცხილის სერი“), ნუკრიანთან (ნაქალაქარის, ოთხი ნამოსახლარი ბორცვი), მელაანთან („მოჭრილი გორა“, „სამგლესები“, „ნასაყდარი გორა“) და სხვა მრავალი. ალაზნის ველზე – წნორ-ყარალაჯს შუა, წითელ წყაროსთან, სოფ. ჯაფარიძესთან და სხვაგან“.  
გარდა თიხის ჭურჭლისა, ამ ადგილებში ნაპოვნია ბრინჯაოს იარაღებიც: ცულები, შუბები, ხმლები; სამკაულებიდან ბევრია სამაჯურები, კაცისა და ქალის მინიატურული ქანდაკებები და ვინ იცის, კიდევ რა.



**საკმლის ხის ძირკვი იქ, სადაც დღეს საკმლის ხე აღარ არის**

მანქანამ ქედისაკენ იბრუნა პირი. მალე ტყეს მიადგნენ. ტყის პირას დახვდათ უზარმაზარი ჭადარი, ხევის კართან მარტოდმარტო, ეულად მდგარი. ეს ჭადარი ზევიდან გადასცქეროდა ალაზნის ველს. ალაზნის ჩრდილში საყრელა იყო. ძროხები ზანტად იცოხნებოდნენ.

– ის 400– 500 წლის, შეიძლება მეტისაც კი არის, აქ ახლოს ნასოფლარი იქნება სადმე.



**საკმლის ხე, ნიში**

– არის კიდევ, ამ ტყეში, ქვევითაც, ამ ხევის ნავის წყლის ხევი ჰქვია, – შეეხმაურა პატარა მწყემსი.

ქართული ნეკერჩხლის ჩრდილებში, ფლატეს ძირიდან გადმოჩუხჩუხებდა წყარო.

– ეს შირაქში მოსული წვიმების ნაშიერია ალბათ, – დაასკვნა ერეკლემ.

მანქანა აღმართს აუყვია, ტყე ისეთივე იყო, როგორც ხორანთის გადასახედზე ნახეს.

მხარმარჯვნივ ძეძვიანები დაიწყო. სწორედ აქ, ამ ძეძვიანებში ნახეს თეთრ-ყვითლად გადაპენტილი მლოკოსევიჩის იორდასალში. მისი ადგილსამყოფელი ლაგოდებია. აქ, შირაქის ძირში, არა, თითქმის შირაქში, ამ ტიპური ტყის მცენარეს რა უნდა?! როგორც უკვე ვთქვით, ესაა კიდევ ერთი საუკეთესო დასაბუთება იმისა, რომ ჩვენი ველების უდიდესი ნაწილი ტყით იყო დაფარული და ტყის უკან დახევის შედეგად (ბუნებრივად თუ ადამიანის ჩარევის შედეგად) განთავისუფლებული ადგილსამყოფელი ველმა დაიჭირა. რასაკვირველია, ბიჭები სწრაფად ჩამოხტნენ ძირს, მასალა შეაგროვეს და აბგებში ჩაალაგეს.

მანქანა უცხად ავიდა მაღლა, არხილოს კალოსა და ქვემო ქედის დასავლეთისაკენ გაიშალა გულის შირაქი. დღევანდელი საქართველოს პურის ბეღელი ურწყავია, მაგრამ ჰექტარზე 20-30 ცენტნერი ხორბალი მაინც მოდის, ასეთივე დოვლათის დახვავება იცის მზესუმზირამ, ასევე, თუ ძალიან გვალვიანი წელი არაა, – სიმინდმა, ფეტვმა.

– საზამთრო და ნესვი კიდევ უკეთესი მოდის, – დაუმატა არტემმა.

შირაქის მიწა ნოყიერია, შავმიწანიადაგიანი. სანამდე გადახნავდნენ, ვაციწვერიან ველს თვალს ვერ გაუწვდნენდი. ისედაც ნოყიერი ნიადაგი ცხვრისა და სხვა პირუტყვის დრემლათი მდიდრდებოდა. აქ ხომ საძოვარი იყო. უმთავრესად თუში მეცხვარეები ამოვებდნენ პირუტყვს. პირველად შირაქი 1925 წელს გაიხსნა. გულის შირაქი კი, საერთოდ, ნატბუერი უნდა იყოს, იქნებ იმ ზღვის ნაშთიც, რომელიც აქ ბობოქრობდა.

– ხუთ წელიწადში ერთხელ გვალვა მაინც გამოერევა ხოლმე და მაშინ თესლსაც ძლივს იღებენ, – ჩაურთო არტემმა.

– სწორედ ამიტომ დაიგემა ალაზნის დიდი არხი.

მანქანა არხილოს კალოდან დაეშვა კასრის წყლის ქედის გასწვრივ. ყამირის გზა ყანებზე გაჭრილ გზაზე მიდიოდა. თავთუხი და დოლის პური იდგა კედელივით. მარცვალს რძე ჩასდგომოდა. ჩვენში რომ იტყვიან, ნაყრი, გული ჩაიდგაო, სწორედ ისე იყო ზოგი. ოდომღერში იყო შესული. ერთ ათიოდე დღე და ყანა გაიჭრებოდა კიდევ. ყანის პატრონს საბმელ-კალო მზად უნდა ჰქონდეს. აკი კოლმეურნეობის ეზოში, ქედებში, კომბაინების ჯარი ჩაემწკრივებინათ. განზე მდგომ კომბაინებს შავტუხა ბიჭები ურბენდნენ გარშემო. მათ არც კევრი უნდოდათ, არც კაბადო არნადი.

მზე გადაწვერილი იყო და არც ცხელოდა, ჩრდილოეთიდან ნიავი ქროდა, ოდომღერში შესულ ყანას თავთავი ძირს დაეხარა, მაგრამ მზეკაბანი მაინც გადაურბენდა ხოლმე.

### ცრემლით სასვე სურა

მეორე დღეს დაისვენეს, მასალები ჩაალაგეს. დრო კიდევ ბევრი დარჩა.

– აი, იმ მთის წვერზე ხე ჩანს...

– ეგ მთა, შუამთაა, კასრის წყალსა და გულ შირაქს შორისაა, ეს ხე კი აკაკია, – წყნარად თქვა არტემმა.

– ფეხით რამდენ ხანს მოვუნდებით?

– ფეხით? ორ საათს მაინც.

ბიჭებმა გადაიკიდეს მათარა, მოიმარჯვეს წერაყინები და გაჰყვნენ გზას.

მთელი ეს მხარე ერთმანეთზე მიწყობილი გორებისაგან შედგებოდა. ერთ გორაკს რომ გადაივლიდნენ, მაშინვე მეორეს ფერდო იწყებოდა. ფერდოები ველის მცენარეულობით იყო შემოსილი, ნიადაგი ხირხატი ჩანდა, ბალახებიდან ძირითადად ურო, ოქროცოცხას ვერცხლისფერი ფოთოლი და უკვდავას პირისფერი ყვავილები ელავდა.

ზოგიერთი გორაკი უკვე ვერცხლისფრად ბზინავდა. ჯერ მთლიანი ყვავილობა არ დაწყებულა. ძლიერ ლამაზია ვერცხლისფერი ბზინვა, მაგრამ უფრო ლამაზია და თვალწარმტაცი მაშინ, როდესაც ოქროცოცხა ყვავის, გორაკები პირისფრად ელვარებს.

სამი გორაკი რომ გადაიარეს, რაღაც მოწყენილობა იგრძნეს. ხმა არსაიდან ისმოდა და თვითონაც ჩუმად იყვნენ.

მეოთხე გორაკის წვერზე რომ ავიდნენ, წინ ძია გიგო დახვდათ. ბიჭები გაოცდნენ.

– ზოგან ბინის ძალღია დარჩენილი და ვაითუ შეგაშინოთ. მე გამოგყვებით.

გზაში ძია გიგომ უამბო ბიჭებს, რომ 1925 წელს დაარსდა მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა კასრის წყალზე და დაარქვეს ელდარის მეურნეობა. ალბათ იმიტომ, რომ ძირითადი ფერმები ივრისკენ იყო – ელდარში. ამის შემდეგ რატომღაც კასრის წყალს ელდარს ეძახიანო.

– კასრისწყალი კასრისწყალია, ელდარი კი ელდარი! – დაამთავრა მან.

შუამთის ფერდოს შეუდგნენ თუ არა, გზა დახვდათ. ამ გზამ შუამთას ჩრდილოეთისკენ მოუარა და ბიჭების წინ კვლავ გადაიშალა შირაქის ველი და მისი თვალუწვდენი ყანები.

მთის წვერზე მართლაც აკაკი იდგა, ოდესღაც უზარმაზარი ხის ძირკვიდან ნაბარტყი ამოყრილიყო. ეტყობა, ვიღაცის დაუნდობელ ხელს მოეჭრა რამდენიმე წლის წინ. ამ ტრიალ მინდორზე, საუკუნეთა მანძილზე იდგა ერთი მშვენიერი ხე და ისიც მოჭრილი.

– არც გული ჰქონია იმის მომჭრელს და არც სინდისი.

– ალბათ, არც ჭკუა.

დიდხანს უმზერდნენ თვალწინ გადაშლილ გულის შირაქს, მარცხნივ პატარა შირაქს, მის დასავლეთით – ალიარ-ოულს, შორს – თრიალეთს, რომელიც ისე ჩანდა, გეგონება, პირბადე ჩამოუფარებიაო. შირაქის გადაღმა გომბორის ქედი მიიწევდა მაღლა-მაღლა კავკასიონისკენ. მარჯვნივ – ზემო და ქვემო ქედები და კავკასიონის ჭაღარა მწვერვალები აზიდულიყო.

გადაიღეს სურათები და პირი იბრუნეს კასრის წყლისაკენ. აი, აქედან გამოჩნდა პატარ-პატარა გორაკები, ქარული ეროზიით თავმომრგვალებულიები.

– დღეს ძია პავლეს ვნახავთ, ბიჭებო! – უთხრა გიორგიმ ბიჭებს მეორე დღეს.

მანქანა დატვირთეს მასალით, ბარგით და უნდოდათ, არტემს გულმხურვალედ გამოთხოვებოდნენ, მაგრამ მან მოულოდნელად გამოაცხადა: თბილისში მეც მოვდივარ, ბაზისათვის მასალა მაქვს ჩამოსატანიო.

მანქანამ გეზი ჩრდილო-დასავლეთისკენ აიღო, აიარეს ოლეს ხევი და გაივკა. აქ წითელ მინდორზე აუარებელი პატარ-პატარა სახლი იდგა.

– ფუტკარი ამოუყვანიათ საბეგველას მინდორში. საბეგველა დაიყვავილებს და მერე ფუტკარს თრიალეთზე წაიყვანენ.

მანქანა გორაკებს შორის, ტრაქტორების მიერ გაკვალულ გზაზე თავისუფლად მისრიალებდა და მტვრის კორიანტელს აყენებდა.

აქა-იქ მოჩანდა ეული ბერყენა, ძველი დიდების ნაშთი. მანქანამ ერთ ყელში შეუხვია და ქვევით დაქანდა.

– ესეც სათუშოს სამოვრებია, – თქვა არტემმა.

– სათუშო?

– ასე ემახიან. თორემ დღეს აქ ქიზიყელების, გარე-კახელებისა და თუშების ცხვარიც დგას.

სათუშო ნათელი ტყიდან განთავისუფლებულს ჰგავდა, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალ ადგილას ჩანდა კარგი საკმლის ხე, განიერვარჯიანი, მრგვალი. ხევის ძირას ნეკერჩხალი და თელა ხვდებოდათ. ძემვის ბუჩქი ბევრი იყო! მათ შორის თავისუფალი ადგილი უროს ეჭირა.

– ასე წმინდა, ამ სიმაღლის (წელზე წვდებოდა) არსად სხვაგან არ მინახავს, – თქვა შალვამ და უროიანში ძებნა დაუწყო სხვა ბალახს, ერთგან ქარქვეტა ნახა, რამდენიმე კოფრჩხილა, ბეწვიანი ვაციწვერა. ჩამოხრიოკებულ ფერდოს თრიმლი შეჰფენოდა.

– შემოდგომაზე გაუწითლდება ფოთოლი და მაშინ შირაქის ამ ღარტაფების და ხრამების ნახვას არაფერი ჯობს.

– „რაც თრიმლს თხამ უყო, ის თრიმლმა თხის ტყავსაო“. თრიმლს საქონელი ვერ ჭამს, წამლავეს, თხას კი არას აკლებს, სამაგიეროდ, თრიმლის ფოთოლი 25 პროცენტამდე შეიცავს ტყავის მოსაქნელ ნივთიერებას და თხის ტყავს რა ხეირს დააყრის?

ვახტანგმა ესეც ჩაიწერა.

– მცენარეებზე თქმულებათა შეკრება დიდი საქმეა, – დაასკვნა გიორგიმ.

მანქანა ივრის ნაპირას გავიდა. აქ დიდი წყალსაქაჩი შენდებოდა. ის მოამარაგებს წყლით მთელ ელდარს და შირაქის სხვა სამოვრებს.

ივრის პირას ჭალას პირადმა აჰყვნენ. მხარმარცხნივ ივრის ჭალა იყო. გაღმა, კოწახურის ქედის მოპირდაპირედ, მოჩანდა ელიარ-ოულის ქედი, კარგად ისახებოდა სადარაჯო კომპის სილუეტიც, რომელიც ნაპირზე აეგოთ აღმოსავლეთის მხრიდან წამოსული მტრის სათვალთვალოდ.

კოწახურის ქედის ივრისკენ დაქანებული ფერდოები სხვადასხვა თიხით იყო აგებული: თეთრი, ლურჯი, რუხი, მოწითალო, მის ზედაპირზე კარში მარილებიც იყო გამოტანილი. სამხრეთისკენ დაქანებული ფერდოები ყარღანსა და ჩარანს დაემშვენებინა, იფიქრებდით, ჯადოქრის ხელს შიშველი ქედი მოუჩითავსო. კოწახურის ქედი უკვე საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ ეს კი არა, ქ. გორსა და კასპს შორის რომ მდებარეობს კოწახურის ქედი, სწორედ ის – ცნობილი თავისებური გეოლოგიური ფენით, რომელსაც კოწახურის ფენა ეწოდება, ისე როგორც არსებობს აფშერონის ფენა, აგჩაგლის ფენა და სხვ.

კასპის კოწახურის ქედის ფენებში აღმოჩნდა თავისებური ცხოველების ფენა (ლოკოკინები). ამის შემდეგ, თუ სხვაგან აღმოჩნდა კოწახურის ქედში აღმოჩენილი ფაუნის მსგავსი, ამ შრესაც კოწახურის ჰორიზონტს უწოდებენ.

გოგიმ მანქანა შეაჩერა.

– ხედავთ, კაკბები მოფრინავენ, ეტყობა, შემოდგომაზე ბევრი იქნება.

– ახლა, ჩემო მიხა, ტარიბანაზე ავიაროთ, თვალი გადავაავლოთ ვენახებს და ავჭრათ ნაზარლების ქედი, – თქვა არტემმა.

– ძია არტემ, მართლა საქმე გაქვთ თბილისში თუ...

– ველებში გზას ასე ადვილად ვერ გააგნებ. აი, მარცხნივ ამ გზას რომ გაყვე, ივლი, ივლი და ისევე აქ მოხვალ...

გაცდნენ შირაქის კოწახურის ქედს და მხარმარჯვნივ აუხვიეს. გაიარეს ერთი შიშველი გორაკის ძირი და უცბად ტიპურ ნახევარუდაბნოებში ამოყვეს თავი. თვალში ეცათ მხოლოდ თეთრი თიხა. თითო-ოროლა აბზინდა, ჩარანი და ყარღანიც მოჩანდა, არც ერთი ელდარში ნანახს არ მიაგავდა.

– გადაჭარბებული მოვების ბრალია ასე გატიალება.


და თითქოს მიწიდან ამოიმართაო, მათ წინ უზარმაზარი ზვარი გადაიშლა.

– ამ უდაბნოში?

– აბა რა, „არც წყალო და არც წყაროვ“ და სოფელ ჯაფარიძელებმა ვენახი ჩაყარეს. ჩაყარეს და გაახარეს. ასეთი რქაწითელი კახეთში არ მინახავს. ჯაფარიძელებს წითელწყარომ და არბოშიკმა მიბაძა და ახლა ვენახი ამ მხარეში ბევრია.

– ღვინო ისეთი სასიამოვნო დასალევი არ იქნება, როგორც წინანდალია.

– ხალისიანიც არის და გემრიელიც, არტეზიულმა ჭამაც იფეთქა და გაიჩარხა საქმე.



ნაზარდების წვერის აკაკი

ზვარში გახურებული მუშობა იყო, მოცლილი კაცი ვერ ნახეს, რომ ესაუბრათ, გადაწყვიტეს, აღარ შეყოვნებულიყვნენ და ტარიბანიდან ნაზარდებში ასულიყვნენ.

გზა მხარმარჯვნივ ხეობას აჰყვდა და მალე შევიდა ისეთ ველებში, რომელიც სათუმოს წააგავდა. გათავდა ნახევარუდაბნო და დაიწყო ძეძვით მოჩითული უროიანი. გორაკების ჩრდილო და დასავლეთის ფერდობები შემოსილი იყო თრიმლით, ერია თუთუბო, უძრახელა, ცხრატყავა და სხვები. აქა-იქ ბერყენა წამომართულიყო დარაჯივით. იშვიათად გამოჩნდებოდა საკმლის ხეც, მაგრამ ისეთი დიდი ხეები, როგორც დღემდე ენახათ, არსად ჩანდა.

ვიწრო ხევში შევიდნენ, თითქმის კბოდეს გვერდს გასდევდა გზა, ავიდნენ ზეგანზე და, აქოდა გავივაკეთო, ყანების კედელშუა გასრიალდა მანქანა. ზეგანი პატარა მწვერვალივით მოჩანდა, გიორგი გადაიხარა და მიხოს მწვერვალი დაანახა. მწვერვალზე 2-3 აკაკი იდგა. შუამთის აკაკისა არ იყოს, ესეც ნაზარტყი ჩანდა, 2-3 მეტრი სიმაღლის თუ იქნებოდა თვითეული.

– ახლა გავიაროთ მირზაანი, წითელწყარო და ჰერი სახლისკენ.

ნაზარდების წვერიდან გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღეს. მალე მირზაანის ნავთის სარეწებს მიადგნენ. უამრავი საქაჩი მუშაობდა ავტომატურად და წიალიდან იღებდა ნავთობს, მთის ფერდობზე კი მთლი ქალაქი გაემშენებიათ.

– ვითომ დადგება ახლანდელ შირაქში ქურციკი?!

– არა, არ დადგება. შეიძლება პანტიშარის ან ღორისწყლის ხევის მიერუებულ ღრანტეში იყოს კიდევ სადმე.

ისაუზმეს წითელწყაროს თავზე, აკაციებში.

წითელწყაროს გადაბმოდა სოფელი ჯაფარიძე.

წითელწყაროს თავზე, გორაკის ფერდზე, ქარხანა შენდებოდა. კირქვიანი ქედის დიდი ნაწილი უკვე მოენგრიათ, ბევრი მანქანა ეზიდებოდა კირქვას.

– რუსთავში ეზიდებიან. იქ იყენებენ, ცემენტის ქარხანაში.

– მალე მთის პროფილი შეიცვლება!

– როგორც ჩანს, ამას ბევრი დრო არ დასჭრდება, სულ 5-6 წელი.

– მაგ მთის ძირში ერთი ენდემური მცენარეა, კახეთის მაჩიტა. ისიც რომ მოანგრიონ, გაქრება კიდევ ერთი ფრიად საინტერესო ენდემი, – თქვა ბოლოს დანანებით გიორგიმ.

– ამ სოფელში იდგა ნიჟეგოროდის პოლკი, რომლის სარდალი ჩვენი პოეტი, ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო თავის დროზე. არზრუმში მიმავალმა დიდმა რუსმა პოეტმა ალექსანდრე პუშკინმა გზად საქართველო გაიარა და სტუმრად ეწვია ამ პოლკს. აქ იყო გადასახლებაში მყოფი მიხეილ ლერმონტოვი, ამავე პოლკში მუშაობდნენ რუსეთიდან გადმოსახლებული დეკაბრისტები, პოლონელი პატრიოტები.

მზე გადაიხარა. გომბორის წვერიდან ნიავმა დაუბერა.

მხიარულად გასცქეროდნენ ცივგომბორის ქედს და იალნოს შორის საგურამოს ქედს. იქ, სადღაც, თბილისი იყო.

აიარეს სოფელი გამარჯვება, გაჰყვნენ ქედს და ჩასრიალდნენ ქიზიყის უდიდეს სოფელში, ბოდბეში. ვერც კი შეამჩნიეს, როგორ გავიდნენ მაღაროში, მერე ულიანოვკაში, კვლავ მაღაროში. მაინც რა უცნაურია: შირაქიდან მომავალი პირველად ბოდბეს გაივლი და სოფელ მაღაროში შედიხარ, გაივლი მაღაროს და ულიანოვკა მასზე მიბმული, ტიპური რუსული სოფელი, რუსებით დასახლებული, გაივლი ამას და კვლავ მაღაროა, ზემო მაღარო მაინც დაერქმიათ ამისთვის. გზა გაივავკეს, მელანისკენ მიმავალ რკინიგზასთან ქიზიყის გზა შეუერთდა კახეთის გზას. აქედან კი თბილისამდე 96 კილომეტრიღა იყო დარჩენილი.

მალე მანქანა რკინიგზის ხიდის ქვეშ გაძვრა. კაბინაზე დააბრაზუნეს. მანქანა გაჩერდა, გიორგიმ საათს დახედა და გიგოს მხარმარცხნივ მიმდგრის გზა უჩვენა.

მართლაც, სულ მალე მანქანა მიადგა ერთ ბანაკს. საკოლმეურნეო ტყის ზოლიდან ახალგაზრდა ვაჟკაცი გამოვიდა, გიორგი რომ დაინახა, სახე გაეზადრა.

მისალმნენ, გაიხარეს, გიორგიმ ბიჭები გააცნო.

– აი, ეს ის კიაზოა, გუშინ რომ გაგაცანით, გაქვს რამე ახალი? – ახლა კიაზოს მიმართა გიორგიმ.

– როგორ არა, წავიდეთ და ვნახოთ.

მიწა 40 მეტრზე იყო მოთხრილი, ასე 75 სანტიმეტრის სიმაღლეზე. მთელი ფართობი მოფენილი იყო სხვადასხვა მოყვანილობის სურით და ლარნაკით. დიდი სურა პატარა ჭინჭილისოდენა თუ იქნებოდა, პატარა კი – სათითისოდენა, უფრო სწორად, სათითეს რომ ყელი გაუკეთოთ, იმხელა. გარდა სურებისა, იმ სახით, როგორც აღმოაჩინეს, მიწაზე ეწყო ქალის პაწაწინა ქანდაკებები (პაწაწინა-მეთქი ვამბობ, რადგან უდიდესი შუა თითისოდენა იყო), მიძევები, ობსიდიანის ისრის წვერები, ქალის ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, ბრინჯაოს ფრიად ორიგინალური ხმლები, შუბები, ისრის წვერები, მაგრამ ობსიდიანის ისრის წვერთა სიმრავლემ გააოცა ყველა – გროვა-გროვად ეყარა.

– მაგრამ ჯერ არნახული მაინც ესაა. აბა, შიო, მორწყეთ!

შიომ მორწყო ამ თავისებური კალოს შუაგული.

– აბა, დააკვირდით!

მართლაც, შავ ფონზე მოჩანდა თეთრად დახატული სამი მეტრის სიმაღლის მონადირე, მას წინ მშვილდ-ისარი ედო, უკან კი ქურციკი მოჩანდა.

– მოსახატი მასალა – დანაყილი ძვალი და ნაცარი. ჩვენში ასეთი ჯერ არსად არ არის აღნიშნული.

– იმ საგანთა მიხედვით, რომელიც აქაა ნაპოვნი, ეს 3500-4000 წლის წინანდელი ძეგლი უნდა იყოს, – დაამთავრა კიაზომ.

მზე გადაიხარა და მანქანამ თბილისისკენ აიღო გეზი.

კირკიტა ჰაერში გაჩერებულიყო, ფრთებს აფარფატებდა და წონასწორობას იცავდა, ძირს იცქირებოდა დაჟინებით, იქნებ თავი გამოძვრეს სადმეო.

– მე კი ბალღობაში ქვებს ვესროდი, თურმე რა დიდ საქმეს აკეთებს.

გაიარეს კაჭრეთის ბოლო, მხარმარცხნივ დარჩა ბადიურის მლაშნარი ველი, უკან მოიტოვეს საგარეჯო, პატარძეული და სართიქალაში ძია პავლეს ეზოს წინ გაჩერეს მანქანა.

აივანზე ქალები და ბავშვები ისხდნენ.

– დედაა... – დაიღრიალეს ბიჭებმა, თავპირისმტვრევით გადმოხტნენ მანქანიდან და გაქანდნენ დედისკენ.

– აი, თქვე თათრებო, თქვენა, სად დაიკარგეთ აქამდე? – დედა თვალეზგაბრწყინებული შეეგება შვილებს.

– ლელაც აქა ყოფილა! – და ლელასკენ გაქანდნენ, რომელიც მამას ჩახუტებოდა და რაღაცას ეტიტინებოდა.

– აქ რამ მოგიყვანათ, ადამიანო? – ესლა უთხრა გიორგიმ თავის მეუღლეს.

– როგორ თუ რამ მომიყვანა. მე და ლელამ „მდევარიო“, დავიძახეთ. აი, ხვალ დილით უნდა შევმსხდარიყავით თქვენს ბედაურებზე და გვეძებნეთ მთელ კახეთში.

– მოდით, კაცო, შეისვენეთ. ხომ შერიგდით. „მაღალმა დაიწიოს, დაბალმა აიწიოს და საქმეს ეშველებო“, ნათქვამია. ზოგი შენ აპატიე, ზოგი შენ და საქმე გაიჩარხება, – ეს თქვა ძია პავლემ და თავის მეგობრებს აუძღვა ფართო აივანზე.

### ხეკორბულას წყალი მისვამს...

– სოფელი კარსანი აიარე, სოფლის თავში სადმე ჩრდილში დადექი და დაგველოდე, – უთხრა გოგია მძღოლს გიორგიმ, როდესაც ზაჰესის წყალსაცავთან მანქანიდან გადმოხტნენ ერეკლე, ვახტანგი და შალვა.

ზაჰესის წყალსაცავში ყვოდა ჭაობიანი ადგილების ყვითელყვავილა ზამბახი, წყლის ზედაპირზე კი თეთრი ბაიას ყვავილები, ლურჯ კაბაზე მოფანტული სპილოს ძვლის პრიალა ღილებივით იცქირებოდნენ. საერთოდ, წყალსაცავის დიდი ნაწილი ლაქაშითაა დაფარული. აქაა წვრილფოთლეზა, ფართოფოთლეზა და პაწაწინა ლაქაშები, ლერწამი, ისლი, ჭილი. აღმოსავლეთ-სამხრეთი ნაწილი კი ტირიფიანს უჭირავს. ტირიფი 30 წლისაა. ბევრი უკვე გამხმარა. ზაჰესი 1930 წელს ააშენეს. ეს იყო ჩვენი ჰიდროსადგურების პირველი პირმშო. ფიქრობდნენ, რომ არაგვ-მტკვრის დატბორილი შესართავი სანაოსნოდ გამოდგებოდა, მაგრამ კალაპოტის ნაპირები სამ წელიწადში ლამაზ ამოავსო და ჭაობის მცენარეულობით დაიფარა.

მართლა, დამავიწყდა მეთქვა, ბიჭებმა მამას მოსვენება არ მისცეს, ვაკე ადგილების ველები რომ გვანახე, ჩვენი მთის ველებმა რაღა დააშავა, ახლა ის გვანახე, თუ ნახვავა, ნახვა იყოსო. მამა დაეთანხმა, მით უმეტეს, თვითონაც იქით ჰქონდა საქმე. გადაწყვიტა, ჯერ მცხეთის ნათელი ტყე ენახათ, შემდეგ ქვათახევიდან გადაეკვეთათ თრიალეთი, ასულიყვნენ შამბიან-ზურტაკეტში, გომარეთიდან – წალკაზე და თემამის ხეობით ჩამოსულიყვნენ ქართლის შუა გულში – კასპში.

კარსანის ქედს შეუდგნენ თუ არა, ნაცნობი მცენარეები შემოხვდათ.



– ცოტათი გარეჯის კლდეების მცენარეებს წააგავს, – აღნიშნა ერეკლემ.

– ეგ სამხრეთის ფერდოზე, აბა ჩრდილოეთისას გახედე.

მართლაც, ჩრდილო ფერდო კარგად წამოზრდილი მუხიანით იყო დაფარული. მხოლოდ მთის წვერზე მოჩანდა ხშირი გრაკლიანი.

– გრაკალს ძველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისრის ტარები გრაკლისა კეთდებოდა; საუკეთესო, სწორი, გლუვი ტარი ისრისა, სწორედ გრაკლისა იყო. იქნება „გრაკალი“, „სამშვილდე“ სწორედ მშვილდე-ისრის კეთებასთან იყოს დაკავშირებული. ასევეა „მანგლისი“, „ფარცხისი“, „თონეთი“, მაგრამ ამაზე – ხვალ, – ესაუბრებოდა გიორგი ბეჭებს.

კარსანის გზა ნაკეთებია, მაგრამ ჭირკვალს უფრო ჰგავს. მალე, ერთი მუხლის მოსახვევში, გიორგი შედგა და მხარმარჯვნივ გაიხედა.

– აი, ესეც ბაგნითი, ზოგი ბაგინეთს ეძახის.

– ბაგინეთი ძველი ციხე-ქალაქია.

– აბა, ჩავიდეთ და ვნახოთ.

– ბაგინეთი, ბაგნითი. ბაგ... ვერ გავარკვეე.

– „ბაგინი იგივე ბოგონი – სვეტია, ხატისა ანუ კერასა ზედა აღმართონ“. – ამბობს საბა, მამასადაძმე, ეს ადგილი თავის დროზე საკერპე ყოფილა. აგერ იქ, მთის წვერზე, არმაზის ოქროს ქანდაკება მდგარა.

ამ ლაპარაკში მიადგნენ ე. წ. სვეტებიან დარბაზს, სადაც ექვსი სვეტის საფუძველი და სამირკვლის კედელი იდგა. ჩანს, ეს ერთ-ერთი სასახლის დარბაზი იყო, დარბაზის კედლები უდუღაბოდაა ნაშენი. კირით და, საერთოდ, დუღაბით შენება საქართველოში ჩვენს ერამდე III საუკუნეში დაიწყო. ასევე უდუღაბოდ, თლილი ქვითაა ნაშენი ფართო, სამი მეტრის სიგანის კედელი, რომელიც ბაგინეთს ბაქნიდან მწვერვალამდე ასდევს. ბაგინეთში სამი ციხე ყოფილა: არამაზ ციხე პირველი, არამაზ ციხე მეორე, არამაზ ციხე მესამე.

„ბაგინეთის მალლობზე გათხრილ ნაგებობათა უმეტესი ნაწილი, როგორც ჩანს, კრამიტით ყოფილა გადახურული, გათხრისას აღმოჩენილი კრამიტები ადასტურებს, რომ კრამიტით გადახურული ყოფილა არა მარტო შიდაციხეში მოთავსებული სამეფო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი, არამედ, თვითონ შიდაციხის გალავნის კოშკებიც კი.

აქ აღმოჩენილია ორი ტიპის კრამიტი; ბრტყელი და ღარიანი, ანუ ღარისებრი“. (ანდრო აფაქიძე).

მცხეთაში რომ სახლები კრამიტით იყო დახურული, სტრაბონიც ამბობს, მაგრამ ეს ცნობა მხოლოდ წერილობითი წყაროა. კრამიტის მოყვანილობა, განსაკუთრებით ღარისებრისა, თანამედროვე კრამიტის მაგვარია, სწორედ ისეთი, როგორსაც დღეს აკეთებენ კახელი მეკრამიტეები. აი, ასე ეხმარება 2000 წლის წინანდელი ხელოსანი დღევანდელ ქართველ მეთუნეს.

– ეს კრამიტი სწორედ სამუზეუმოა...

სვეტებიან დარბაზში ოქროს ფულის ნაჭრები, ბრინჯაო, მძივი ნახეს.



**ზამზახი და ჯვარი**

– ცხადია, სასახლეა... დაქცეულა კატასტროფის დროს.

– ჰო, ეს ნახშირიც თითქოს ამას გვეუბნება.

ნელ-ნელა მიიწევდნენ მწვერვალისაკენ. ჯაგრცხილას მუხა ცვლიდა, მუხას – მოწითალო და მყრალი ღვია, ალაგ-ალაგ კლდეებში ჯორისძუაც ჩანდა. ძეძვი და შავჯაგა ხომ ყველგან იყო წამოჭიმული.

წვერზე რომ ავიდნენ, ძლიერ გაოცდნენ – მწვერვალი ფილაქვებით იყო მოგებული.

– აი, ეს უნდა ყოფილიყო არმაზის კერპის ბალავარი.

– იცოდნენ, სადაც დგამდნენ, აბა, გახედეთ.

მართლაც, თვალწინ გადაეშალათ: ჩრდილოეთით – არაგვის ხეობა, რომელშიც ლეჩაქივით გამჭვირვალე ნისლი ჩამდგარიყო, დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაჭიმული იყო მტკვრის ხეობა, წინ საგურამო, იალნო, ცივგომბორი, შორს, არაგვის სათავეებისკენ – თოვლიანი მთები. კაცი არმაზს მარტო ამ დიდებული სურათისათვის იწამებდა.

– არმაზის მოპირდაპირედაა აგებული ჯვრის მონასტერი. მართლაც დიდებული სანახაობა იშლებს.

– ჯვრის მონასტერი ხომ VII საუკუნის დასაწყისშია აგებული?

– მერე შენ გგონია, რომ ყველა ქართველმა ერთ დროს მიიღო ახალი რელიგია? ბრძოლა ალბათ დიდხანს გრძელდებოდა.

– აბა, ამის ამგებს ჰქონია დიდი გემოვნება.

– დიდი, უაღრესად ნიჭიერი ხუროთმოძღვარი ყოფილა – შენობა ისეა შერწყმული მთასთან, ერთიანი გგონია.

წინ დიდებული ჯვარი, ძირს – სვეტიცხოველი, სამთავრო, ბელტის ციხე.

– არმაზი, ჯვარი, ზაჰესი...

ჯვარის არქიტექტურაში ჩამოყალიბდა ის ჰარმონიული შეთანაწყობა ტაძრის ნაწილებისა, რომელიც ასე დამახასიათებელია ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. ჯვარი და შემდეგ ფშავის ციხე საუკეთესო ნიმუშია ბუნებისა და არქიტექტურის ძეგლის შერწყმისა. მცხეთის სვეტიცხოველის შენობა დამთავრებულა XI საუკუნის დასაწყისში, 1021 წელს, ხუროთმოძღვარ არსაკიძის მიერ, რომელთანაც დაკავშირებულია ლამაზი ლეგენდა მკლავის მოჭრის შესახებ. ეს ლეგენდა ქართველმა ხალხმა ოთხსტრიქონიან ლექსში გამოხატა:

*„ხეკორძულას წყალი მისვამს,  
მცხეთა ისე ამიგია,  
დამიჭირეს, მკლავი მომჭირეს,  
რატომ კარგი აგიგია“.*

ტაძარი გრანდიოზულია, მშვენიერი, მიუხედავად ბუმბერაზობისა, კენარი და მწყაზარია.

XIV საუკუნის დასასრულს, თემურ-ლენგის ურდოებმა არც მცხეთის ტაძარი დაინდეს, შერყვნეს და დააზიანეს. ალექსანდრე მეფემ კვლავ აღადგინა. თემურ-ლენგისა თუ სხვათა ურდოების ნაშუბარი დღესაც ატყვია მცხეთის ფრესკებს.

მცხეთის ჩრდილოეთით მოჩანს სამთავროს კოპწია ტაძარი-მონასტერი, ესეც XI საუკუნის შესანიშნავი ძეგლია.

მცხეთის ტაძარი, როგორც ჩანს, აგებულია ძველ ნატაძრალზე. აქ უნდა ყოფილიყო პირველი საქრისტიანო საკულტო სახლი, რომელიც ქრისტიანობის მიღების უმაღლეს აშენდა „სვეტიცხოვლის“ ალაგას.

დიდხანს სულგანაბული უმზერდნენ ქართული არქიტექტურის შედევრს. მართლაც, ვისაც უნდა, რომ დატკბეს ჯვრის არქიტექტურის სიმფონიით, სწორედ არმაზის კვარცხლბეკიდან უნდა უმზიროს მას.

– ძია პავლე რომ აქ იყოს, გვეტყოდა, წასვლა სჯობს წამავალისაო, – დაარღვია სიჩუმე ვახტანგმა.

– მცხეთის მშვენიერება სრული არ იქნება, თუ მიხვილ მამულაშვილიც არ ვახსენეთ. ხელოვნებისადმი მის სიყვარულზე ბევრი თქმულა. ის განსახიერებაა ჩვენი ხალხის უკვდავი სულისა. იგი მეზღვობაში ბექა ოპიზარია, არსაკიძე, გუდიაშვილი.

ბავშვები სიამოვნებით უსმენდნენ შალვას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ შეუდარებელ ხელოვანზე ლაპარაკობდა და მეორეც იმიტომ, შალვა ასე მჭევრმეტყველი ჯერ არ ენახათ.

მალე კარსანის ქედის ფხიან მწვერვალს გაჰყვნენ. საკვირველი ის იყო, რომ ორივე მხარეზე, სამხრეთის და ჩრდილოეთის ფერდოზე, ჩანდა ღვია. რასაკვირველია, სამხრეთისაზე მეტი იყო, ფერდოს იერიც საკმაოდ ქსეროფიტული ჰქონდა, ჩრდილო ფერდოზე ღვიის გარდა, მუხა და ჯაგრცხილა იდგა. მტკვარგადაღმა კოდმანისა და სარკინეთის მთის სამხრეთის ფერდოები ჩანდა. წინა ქედზე ბაზილიკისმაგვარი ტაძრები იყო თლილი ქვით ნაგები. სწორედ ეს კარსანის ხევი და სარკინეთია უკანასკნელი ავანგარდი ნათელი ტყეებისა. შიომღვიმის მონასტრის მიდამოებში საკმლის ხეც საკმაოდ გვხვდება. თვითონ ქედის ნაწილიც ჩამორღვეულა და შირაქის ალესილებივით გამოიყურება. შვეულ კედლებზე ჩანს მღვიმეები, ალბათ ძველი მონასტრის სამალავები, ახლა იქ ჩასვლა მხოლოდ ალპინისტის თოკით შეიძლება.

მტკვარი აქ ვიწრო კალაპოტში მოდის და მობუტბუტებს, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან თრიალეთის კალთები აწვება, ჩრდილოეთიდან – მთიულეთის ქედი, მაგრამ ის თავის გზას მაინც აგრძელებს.

თან მასალას აგროვებდნენ, თან ტკბილად საუბრობდნენ. ასე მიაღწიეს სოფელ კარსანს, სადაც ღვიათი უკვე მუხიანში გადადიოდა. ერთი ღვიის ძირში ერეკლემ უცნობი მცენარე იპოვა, გიორგიმ მაშინვე იცნო თავისი. აი, სწორედ ის მცენარე, ღერო ფოთოლივით რომ აქვს გაბრტყელებული.

– არ მეგონა, თავისიარას აქ თუ ვნახავდი, – თქვა გიორგიმ – აგერ, გაღმა საგურამოს ქედი კოლხური ელემენტებით საკმაოდ მდიდარია, აქ წიფლის ტყეში გვხვდება წყავი, მოცვი, ბაძგი; საქმე ისაა, რომ აღმოსავლეთიდან ცხელი ქარები უბერავს, თან ანაორთქლიც მოაქვს, მისი კონდენსაცია-დაგროვება საგურამოსთან ხდება. წარსულში კარსნის ხევიც ასევე მდიდარი იყო კოლხური ელემენტებით. მტკვრის ვიწრო ხეობაში უბერავს გამჭოლი ქარი და სამხრეთისაკენ მოქცეულ ფერდობზე ნიადაგი კარგად შრება. კარსნის ქედის შესაფერისი ექსპოზიციები დაიჭირა ნათელმა ტყემ (ღვია, საკმლის ხე) და მშრალმა მუხიანმა, მაგრამ დარჩა ზოგი კოლხური ელემენტიც, მაგ. თავისიარა. ალბათ სხვებიც მოინახება, მაგრამ სიცოცხლე დიდხანს არ უწერიათ. ამგვარად, ჩვენ მოწმენი ვართ ბუნებაში დიდი ცვალებადობისა – ერთი ფორმაციის მეორეთი შეცვლის.

გიორგი მანქანასთან შედგა.

– გოგი, ჩაბრუნდი და არმაზის ხევთან მოგვიცადე, აი, იქ, არქეოლოგიურ გათხრებს რომ აწარმოებენ.

აუყვანენ მოშიშვლებულ ადგილებს და ქედს თავზე მოექცნენ. აქ შიშველ ადგილებს ენაცვლებოდა მუხიანი ტყე, ძირითადად ქართული მუხისგან შექმნილი. მხარმარცხნივ პატარა ტაძარი, – წმინდა ნინოს ტაძარი ჩანდა. სწორედ იქითკენ გასწიეს. ეს პატარა საყდარი მთის წვერზე წამოსკუპებულიყო, ძირს ღრმა, ვიწრო ხეობა მოჩანდა. ტაძრის ეზოდან ბილივი ჩადიოდა, მაგრამ მას განზრახ აუარეს გვერდი. დასავლეთისაკენ იარეს და იქ ერთ ფერდოს წვრილიანს ჩაჰყვნენ. მცენარეებიდან ჯაგრცხილა და მუხა ჭარბობდა, შეკრიბეს არმაზის შვინდანწლა, არმაზის ჭანჭყატა და არმაზის მაჩიტა – ამ მხარის ენდემები, რომლებიც ჩვენმა ბოტანიკოსმა ქალებმა აღწერეს.

ფერდო დამრეცი იყო, ფეხი უსხლტებოდათ და ძირს ენარცხებოდნენ, წვრილიანში ღვია სახეს და ხელებს უფხაჭნიდათ.

ფერდოები ნაჩეხი იყო, განსაკუთრებით შინდი. ნეტა რას ერჩიან? შინდს საკონსერვო ქარხნები კარგ ფასად იძენენ. აქ შინდის მშვენიერი პლანტაციებია. ისე უნდა გავუფრთხილდეთ ასეთ შინდიან ტყეს, როგორც კარგი მეზვრე ვაზს უფრთხილდება.

როგორც იქნა, ჩამოაღწიეს მშრალ ხევამდე, რომელიც კლდის ნამტვრევებით იყო სავსე. წყაროს ლიკლივი შემოესმა ვახტანგს, მიიხედა-მოიხედა, მაგრამ წყარო ვერსად დაინახა. განაგრძეს გზა, რაკრაკი კვლავ მოესმათ.



**მცხეთა დილით**

– აბა, გადათხარე ქვაყრილი, – ურჩია მამამ.

გადაყარ-გადმოყარეს ქვები. მართლაც, იქვე ნაკადული მოწანწკარებდა. ვახტანგს უნდოდა გული გაეგრილებინა, მაგრამ მამამ გააჩერა, „ნეშომპალას სუნი და გემო ექნებაო“.

ცოტა შეისვენეს, სული მოითქვეს და ჩაჰყვნენ ხევს. ციკაბო ფერდოზეც მოუხდათ ცოცვა, რადგან ხევის ფსკერი ზოგან წყალვარდნილებს ქმნიდა, ზოგან უარყოფით დამრეცს.

როგორც იქნა, გავიდნენ შარაგზაზე. თელუბის ჩრდილში გოგია იდგა და ვიღაც მოხუც კაცს ესაუბრებოდა. ეს კაცი არმაზის ხევის არქეოლოგიური ძეგლების მცველი იყო. მან ზღუდის კარი გამოაღო და მგზავრებს შიგ შეუძღვა. აქ, არმაზის ხევის მარჯვენა ნაპირზე, მტკვრის შესართავთან, 1941 წელს აღმოაჩინეს ინვენტარი, ოქროს

სამკაულები, ასპარუგ ერისთავის საფლავი და წარწერებიანი ბეჭედი, ცხრამეტი წლის სერაფიტას ოქროს ყელსაბამი, რომელშიც თავისი პირმშოს ქერა კულული და წინა კბილი იდო.

აქვე აღმოჩნდა არაბული და ბერძნული ორენოვანი წარწერა; ანტიკური აბანო, სადაც ცალკე იყო ცხელი, ნელთბილი და გრილი წყლის განყოფილებები.

ამ ნივთთა უმრავლესობა აქ ყოფილა დამზადებული. ამას ადასტურებს კარსნის ხევის შუშის ქარხანა, რომელიც ჩვენს ერამდე მოქმედებდა. ამ ქარხანაში აღმოჩენილია სამარხებში ნაპოვნი ანალოგიური ჭურჭლები. ამასვე ადასტურებს სარკინეთის მთის კალთაზე, შიომღვიმის მონასტრის წინა მინდორზე აღმოჩენილი რკინის სადნობი ქურები, სამჭედლოები, რაც დაახლოებით იმ ხნისაა, რა ხნისაც არის არმაზის ხევის სამარხები. ბევრ ასეთ ნივთს დღესაც ამზადებენ ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი მგზავრები გამოეთხოვნენ მცველს და მანქანით გასწიეს ხეკორძულასკენ. გზა მტკვრის პირს მისდევდა. გაღმა, ნახევრადშიშველ სარკინეთის ქედზე, ღვიის ბუჩქები შავად მოჩანდა.

მალე პატარა ხევს მიადგნენ.

– ესეც ხეკორძულა! ზევით სოფელი ხეკორძია. ხევეღმა კი ძეგვია.

ნიაღვარს უზარმაზარი ლოდები ჩამოეტანა, ვახტანგი გადახტა, ჩაქუჩით ნაპირი ჩამოამტვრია.

– მგონი, სვეტიცხოვლის კედლის ქვაა...

– ეს გეოლოგებმა გადაწყვიტონ. არსაკიძეს აქ წყალი ტყუილად არ უსვამს! ქვა აქედან უზიდა.

გაიარეს ძეგვი და გადაიხედეს გაღმა. იქ, მოფარებულში, შიომღვიმის მონასტერი იდგა, მონასტერი, რომელიც მეხუთე საუკუნეში ერთ-ერთმა სირიელმა მქადაგებელმა, შიომ დააარსა, შემდეგში მღვიმელად წოდებულმა. ალბათ, პირველად ისეთივე მღვიმეს შეეკედლა, როგორიც დღესაც ჩანს ფლატეებსა და ალესილებზე. ჩვენამდე მოღწეული პირველი ბაზილიკა მეექვსე საუკუნეში უნდა იყოს აშენებული.

შიომღვიმის მიდამოები ჩვენს ერამდე დიდი მცხეთის ფარგლებში შედიოდა.

საცხოვრისს მიუახლოვდნენ და გზის ნაპირას ფიქალით ამოგებული საფლავები დაინახეს.

ვინ იცის, რამდენი შრეა სამარხებისა და სამაროვნებისა საქართველოში. ჩაუარეს კენჭისროლია გორას, სოფელ თელეთგორის ვენახებს და მალე მდინარე კავთურას მიადგნენ. გადასასვლელი უზარმაზარი ქვებით იყო ჩახერგილი.

მარცხნივ აუხვიეს და კავთურას მარცხენა ნაპირს აუყვანენ. მარჯვნივ სოფელი თვალადი დარჩა.

გიორგის წყალი მოსწყურდა და ფიქალით ამოშენებულ წყაროსთან დააყენა მანქანა. წყაროს უკან ლამაზი, ჯალჯის ღობემომოვლებული ბაღი იყო. გიორგი ჭიშკართან შედგა. ბოსტანში შავმანდილიანი ქალი ფუსფუსებდა, კვლებიდან ზედმეტ ხახვს იღებდა.

– გამარჯობა დაო, შეიძლება თქვენი ბაღის დათვალიერება?

– მობრძანდით, მობრძანდით, მაგრამ რაა დასათვალიერებელი?

ღობის ძირში უზარმაზარი სამი თუ ოთხი ბაღი იდგა, მის ქვეშ ტოტები გაეშალა კალოსა და გოხა მსხალს, პირველი საადრეოა, კალოობას შემოდის, მეორე კი საზამთროა. მსხლებზე უფრო დაბალი იყო ჭანჭური, დამასხი, არახილი, ღოღნოშო, ერთი-ორი ძირი შინდი. შემდეგ ჯონჯოლი იყო. გოხა მსხალს აყოლოდა ბაბილო, სულ ძირში ხუნწი და ხურტკმელი იყო ჩარიგებული.

გგონიათ ღობეაო, მაგრამ კარგა ბარაქიანი ბაღია. ამას ჰქვია მიწისზედა სივრცის გონივრული გამოყენება. აი, თვითონ ბაღსაც გახედეთ, ხეებს შორის გორულასა და ჩინურის ხეივანია. ბოსტანში კვლების ბაზოებიც კი არ რჩება გამოუყენებელი. ესაა ჩვენი ქართული ბაღის თავისებურება, ღრმა შინაარსი, რომელიც კარგად უნდა შევისწავლოთ.

– ახლა ჩემი თენგოს დაკრეფილი მსხალი მიირთვით, – მიმართა სტუმრებს ქალმა. მართლაც, მსხლის ტოტებზე ეშმაკივით წამოსკუპებულიყო 8-9 წლის ბიჭი.

– რად სწუხდებით?

– ეგ რა შეწუხებაა, ჩემო ძმაო, ხილი უნდა ვიხილოთ. ნათქვამია, „ხილს რომ პირი ჰქონდეს, თავისთავს თვითონ შეჭამდაო“.

ბოსტანშიც იგივე პრინციპი იყო გამოყენებული: კვლებს თავსა და ბოლოში ფიჩხის ლობიო გასდევდა, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, ერთ მწკრივად, რომ ჩრდილი სხვას არ მისდგომოდა. კვლებს შემოვლებული ჰქონდა სათესლე ხახვი, ჭარხალი და მისთანები. არც ამათი ჩრდილი დააკლებდა მწვანის რამეს. ცალკე ეთესა წიწვკა, წიწვატი, ოხრახუმი, ნიახური, ქინძი, ღობისკენ ჩამორიგებული იყო პომიდორი, ბადრიჯანი, კომბოსტო...

შალვამ ჯონჯოლზე შეაჩერა მზერა. დიასახლისი მიუხვდა:

– ჯონჯოლი ტყიდანაა ჩამოტანილი. ჩემს ბიჭს ჰქონდა შეგულებული კაი მსხმოიარე ძირები და სწორედ იმის ნაბარტყი ჩამოიტანა ამ ათი წლის წინ. მეზობლებმა კი ამის ნაბარტყი წაიღეს, ლამისაა, სულ დამიობლონ ეს ძირები.

– აი, ესეც ერთ-ერთი გზა მცენარის მოშინაურებისა. ის შორეულ წარსულს ეხმაურება, – კვლავ განაგრძო გიორგიმ, – მე ერთხელ უკვე გითხარით, მთაში ბოსტნეული და ხილი ცოტაა-მეთქი. ხალხი სხვადასხვა ველურ ბალახს ხმარობს საჭმელად. ასეთი ბალახია დუცი და დიყი. ისინი ტყის პირზე იზრდება მაღალ მთაში. ადრე გაზაფხულზე, როდესაც მცენარე, ის-ის არის, ამოიკვირტება, ბალები მარგლიან. ერთი-ორი კვირის შემდეგ კი, როცა დუცი და დიყი კარგად აყოჩდება, მიდიან და კრეფენ. ალბათ ჩვენი შორეული წინაპრებიც პირველად ასე უვლიდნენ იმ მცენარეებს, რომლებიც შემდეგ მოიშინაურეს.

მასპინძელს მაღლი მოახსენეს და ორღობეს გაუყვინ. ჯალჯის ღობის იქით ვენახს ვენახი ცვლიდა, „შვილივით ნაზარდი ვაზი“ ჩამწკრივებულიყო.

ჩრდილოეთისკენ დაქანებულ ფერდობზე ვენახი იყო გაშენებული. მეზვრეს იმგვარად გაემართა ცალფეხა ხეივანი, რომ ხეივნის ფერდი სამხრეთს უცქერდა. ჩრდილოეთის ფერდობზე თავისებური მიკრო რაიონი შექმნილიყო. აქ ვაზი იღებდა მზის სხივების მაქსიმუმს.

– ბუნების პირობების გენიალური გამოყენებაა, – აღნიშნა გიორგიმ, – ვენახი ხომ ჩვენი ხალხის საქმიანობის უპირველესი დარგია და გასაკვირი არ არის, თუ იგი ცდილობს, ვაზისგან მიიღოს ყოველივე ის, რისი მიღებაცაა შესაძლებელი.

არც ერთ მცენარეზე იმდენი ლექსი, გამოცანა და ანდაზა არ არის, რამდენიც ვაზზე.

საუბრობდნენ და ტკბებოდნენ ვენახებში ჩარიგებული ვაზების ცქერით.

როგორც იქნა, ტყის დაფარულ გზას მიაღწიეს და ცოტა ხნის შემდეგ მთის ქიმების უბეში, წყალგაღმა აიშართა იშვიათი ხელოვნების გალავანშემოვლებული ტაძარი. მას წინა მხარეს კოშკი-ბურჯი აქვს დატანებული, მაგრამ უყურადღებოდ კია მიტოვებული. ქვათახევის ტაძარი XII-XIII საუკუნის ერთი-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. იშვიათი სილამაზის ჩუქურთმებითაა მორთული ყველა სარკმელი. XIV საუკუნეში მონღოლთა ურდოებმა გადაწვეს მონასტერი და ამოჟუჟეს ბერ-მონაზვნები.

შემდეგ საუკუნეებში იგს ადადგინეს და კვლავ მონასტრობდა. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ბერი სწორედ ქვათახეველი იყო.

სამწუხაროდ, XIX საუკუნეში რესტავრაციის დროს შიგნითა კედლები შეათეთრეს და ფრესკები გაანადგურეს.

მიუხედავად ამისა, ქვათახევი მაინც თვალს იტაცებს თავისი სილამაზით. შეიძლება წმინდა აბრეშუმის ძაფით ვერ ამოიქარგოს ის იშვიათი სურათი, რომელიც ქვით-ხუროს თავისი ჩაქუჩითა და საჭრელით გამოუყვანია.

– დაბანაკების დროა!

გაიშალა კარვები, გადმოიღეს ბარგის ნაწილი.

– გოგი, ხვალ დილით სოფელ ნიჩბისში მანგლისის გზა იკითხე. ქედ-ქედ გადის ეს გზა, აგიყვანს სოფელ დრესთან, მანგლის-თბილისის გზაზე. ჯობია, ჯერ თბილისში ჩახვიდე და მანგლისში მერე ამოხვიდე. ხვალ იქ დაგვიცადე, ძველ ტაძართან.

როდესაც ინათა, გოგიმ აახშიანა მოტორი და ციხის ქონგურებში და გუმბათზე შეხიზნული დამურები შეაფრთხო.

ჩვენი მგზავრები ფიქრობდნენ, მანგლისამდე 6-7 საათში ავალთ, თან მასალებსაც შევკრებთო.

გზა ჩრდილიანში მიდიოდა, მუხა – რცხილამ, რცხილა წიფლის მშვენიერმა ტყემ შეცვალა. ალაგ-ალაგ ტყის მდელოები თეთრი გვირილით იყო დამშვენებული.

გზად ფშვლების პატარა სოფლები შეხვდათ, ამ 60 წლის წინ წამოსულან უკანა ფშავიდან და აქ დასახლებულან.

ერთგან გზა აერიათ კიდეც და ბრმა ხევში შევიდნენ. გიორგიმ მალე აიღო ალღო:

– არა, ბიჭებო, ამ ცივაბოს რომ ავუყვეთ, თემამზე გადავალთ.

ცოტა შეისვენეს. ამ დროს გიორგიმ თვალი მოჰკრა ფერდობზე გარდიგარდმო მიყოლებით განლაგებულ ახოებს.

– ზოგი ჭირი მარგებელიაო, აბა, გადახედეთ იმ ახოებს. ეგაა ჩვენი ძველი მეურნეობის ერთ-ერთი ძვირფასი მემკვიდრეობა. ეგ ახოები 100-200 წლის მაინც იქნება. არ ჩამორეცხილა. ხედავთ ამ ახოს, ოცდაათი ნაბიჯის სიგანე მაინც იქნებოდა, მერე დატოვებულია 5-10 ნაბიჯის სიგანე ტყე, მას მოსდევს მეორე ახო, მასაც დატოვებული აქვს ტყე და, ამგვარად, ვიღებთ ოთხ ახოს. ტყის ზოლი ჩამორეცხვის საშუალებას არ იძლეოდა.

– მამ რატომ ამბობენ, ახო ტყეს აფუჭებსო?

– აფუჭებს ისეთი ახო, რომელსაც არ უვლიან, ან უვიცად აკეთებენ. მაგალითად, XIX საუკუნეში ხიზნობა რომ დაიწყო, თავადების მამულებს უსახლკაროები შეეხიზნენ, მათ ახოების ძველი წესით მოვლა არ იცოდნენ.

მალე მივიდნენ ძველ გზასთან, სადაც ცხენოსანი ფშაველი მამუკა ბებერ ცხენს მიაჩაქჩაქებდა. მანგლისის გზა ჰკითხეს.

– მეც იქით გეახლებით, ერთად ვიაროთ, – თქვა და ცხენიდან ჩამოხტა.

– რატომ წუხდებით.

– რა შეწუხებაა, მე ცხენით, თქვენ ქვეითად? – არც აცია, არც აცხელა, სამივეს აბა და ჩანთები ჩამოართვა თავის ცხენს აჰკიდა.



მის. მამულაშვილი

ისე აიარეს ტყიანი და გაშლილ უტყეოზე ისე ავიდნენ, ვერც კი გაიგეს.

მამუკას ნათქვამიდან განსაკუთრებით ერთმა ლექსმა მოახდინა შთაბეჭდილება:

*რა ვენაის ციხე ავაგე, დარდი შევაბი კარადა;*

*საიქიოდან მოვიდნენ ამ ციხის სანახავადა.*

*ბევრი უარეს გარშემო, კარი ვერ შეხსნეს ძალადა,*

*ბოლოს თქვეს: დროი მოვალის, კარ შაიხსნება თავადა.*

– ასეა, დროს თავისი მიაქვს, დიდი დარდის კარიც თავად იღება, – დაასკვნა მამუკამ, – ჩვენ კი არ დავივიწყეთ ჩვენი „დარდის ციხე“?

– რომელი?

– შენც კარგად იცი, რომელი აგერ მუხისიც, – გაიშვირა ხელი და პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

სოფელი მუხისი გაიარეს და გადახედეს ალგეთის ხეობას, წინ გადაიშალა ფიჭვნარში ჩაფლული თეთრსახლებიანი მანგლისი.

– ნამგალი – მანგალი – მანგლისი. ნამგლებს აკეთებენ აქ? – იკითხა ვახტანგმა.

– წინათ მართლაც ნამგლებს აკეთებდნენ, – უპასუხა გიორგიმ.

ხან ამ მთისა ითქვა, ხან იმ მთისა და ძველი მანგლისის ტამართან მივიდნენ, სადაც პირლიმილიანი გოგია იცდიდა.

– კაცო, სადა ხართ აქამდე, თვალეზი დამაწყდა თქვენი ლოდინით!

მამუკა აღარ გაუშვეს.

– მობრძანდით, პური ერთად გავტეხოთ.

– ახლა ქართველებს სადღა აქვთ გასატეხი პური, საჭრელ პურსა სჭამენ.

– რადა, ჩემო მამუკა, ისიც გვაქვს და ისიც.

ტამრის ეზოში, იფნის ჩრდილში, გოგიმ სუფრის გაწყობა დაიწყო.

ბიჭების ყურადღება მიიპყრო ტამრის კარიბჭესთან მიწაში ჩასულმა საფლავის ქვამ, რომელზეც გუთანი იყო ამოკვეთილი, თავისი რვა უღლით.


– ეგ რა არის, ახლა ნახეთ, რას გაჩვენებთ, – შემოესმათ ხმა, აიხედეს და მღვდელი შერჩათ ხელში.

წელში გაიმართნენ, მიესალმნენ. მღვდელი ერთი იფნის ძირში მივიდა და საფლავის ქვაზე მიუთითა. ზედ ვაჟკაცი იყო ამოკვეთილი, თოფი, ხმალი, გვერდით დუქარდი<sup>34</sup>, კომბალი, მეორე მხარეს საღვინე და ყანწი, ფერხთით ცხვარი, საფლავის ქვის გვერდებზეც ცხვარი.

– მეცხვარეც ყოფილა!

– გომართის ძველი სასაფლაოები რომ ნახოთ, პირდაპირ გაცოდებით: საფლავის ქვაზე პროფესიას ამოიკითხავთ: ზოგზე გუთნისდედაა ამოკვეთილი, ზოგზე მეცხვარე, კირითხურო, ხითხურო, მჭედელი, ნალბანდი, ფეიქარი, მეწისქვილე და კიდევ, ვინ იცის, ვინ არა.





## გუთანი საფლავის ქვაზე

მღვდელი ჩუმად იყო და ყურს უგდებდა საუბარს.

– სხვა თუ არა, ამ ტაძარს მაინც ვუვლი, აი, რა სუფთა ეზოა! – თქვა ბოლოს მან.

მართლაც, ეზო კარგად მოვლილი იყო, ასწლოვანი იფნებიდან ტაძარი კეკლუცად იმზირებოდა.

მანგლისის ტაძარი VI საუკუნეში ააგეს. XI საუკუნეში კი ძირეულად გადააკეთეს. პერანგი სრულიად ახალი ჩააცვეს და მორთეს ჩუქურთმებით. XVIII საუკუნის ავბედობამ ეს ტაძარიც არ დაინდო. XIX საუკუნეში მანგლისში დაბანაკებულმა სამხედრო ნაწილებმა შეაკეთეს, მაგრამ უცოდინრობით თუ განზრახ, ბევრი შეცდომა დაუშვეს, განსაკუთრებით მორთულობაში.

მანგლისის ფიჭვნარის დათვალიერების შემდეგ, მანქანამ გეზი წალკისკენ აიღო. გზად ალგეთს ჩაუარეს.

მხარმარჯვნივ თითო-ოროლა ტანაყრილი ნაძვი მოჩანდა.

ალგეთის ხეობა ამ 50-60 წლის წინ დაფარული იყო ნაძვნარით, მაგრამ ჯერ ძველ დროში პოლკმა აუღო პირი, შემდეგ კი ხალხმა არ დააყარა ხეირი.

ტყეები მოისპო, განსაკუთრებით სოფელ არხოტის მიდამოებში. სათავეებში კიდევ დარჩა კარგი ტყე. ნატყევარზე კი დასახლდა ქსეროფიტული მცენარეულობა, სომხეთის ხრიოკის რქიანი საბეგველაც იშვიათი არ არის. მოვლის შედეგად ტყემ კვლავ წამოიწია.

მხარმარცხნივ ერთმანეთს ცვლის ფიჭვნარი და ნაძვნარი, მუხნარი და რცხილნარი, რცხილნარი და წიფლნარი, ყოველივე ამას მორიგეობს ხრიოკის მცენარეულობა, გვლერძიანი...


– ავიდეთ გოხნარზე, ღამე იქ გავათიოთ და გავყვეთ ალგეთს – გავიდეთ ფარცხისზე. იქაც ხომ შარაა, – თქვა გიორგიმ.

ცოტა ხნის შემდეგ მანქანამ გადაუხვია გზიდან და იქვე ახლოს ბაზილიკის ტიპის ტაძრის ნანგრევებთან შეჩერდა. გოგიმ ხევში ჩაირბინა, წყაროზე. ბიჭებმა ჩინჩხვარი მოაგროვეს და ცეცხლი გააჩაღეს.

### ქვის მხედარი და გუთნისდედა

გოხნარის ტაძრის აღმოსავლეთ კედელი მზის პირველ სხივს შეეწითლებინა, როდესაც ბიჭებმა თვალი გაახილეს. სწრაფად ჩაიცივეს და ჩაირბინეს წყაროზე, ხელები გაშალეს, ერთმანეთს მუჯლუგუნის წაჰკრეს – ბოჩოლებივით წაეკიდნენ.

მცირე ხნის შემდეგ მანქანა ალგეთის მარცხენა ნაპირს მისდევდა. გაიარეს პატარა სოფელი ალგეთი და კვლავ ხრიოკები, ჩამორეცხილი ფერდოები, ხორბლისა და სიმინდის მინდვრები ცვლიდა ერთმანეთს. ეს მინდვრები ტყის ახლები იყო, ამ განიერ ოროკოთა<sup>35</sup> შუბლზე იდგა ძველი ტყის წარმომადგენლები: ქართული მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, თამელი, უხრაგი, პანტა, მაქალო, ბალამწარა და სხვა. ოროკო დიდი ხნისა უნდა ყოფილიყო, რადგან თითქმის მთლიანად მოსწორებულიყო, შუბლი კი 40 გრადუსით ჰქონდა დაქანებული. ბოლოს, როგორც ჩანს, ხელი მიეშვათ, შუბლის ხეები ნაჩეხი ჩანდა. ადგილ-ადგილ ხილნარიც მოეშენებინათ: ვაშლი, მსხალი, ქლიავი. ალგეთის მარჯვენა ნაპირის ქედებს ტყე მოსდებოდა. სოფლები არსად ჩანდა. მალე მათ წინ აიშართა მშვენიერი, ტანწერწეტი ნაძვნარი; იქვე, გზის პირას, ქვეტყეში კავკასიური მოცვი ხარობდა. ამ მოცვიდან რამდენიმე ნაბიჯის დაცილებით, მოტიტვლებულ ადგილას, წამომჯდარიყვნენ ძეძვი, შავჯაგა და კოწახური. კოწახურს მეტად გრძელი ნაყოფი ჰქონდა. საერთოდ, გიორგი ამ ბოლო დროს კოწახურებს უკირკიტებდა და აღნიშნავდა კიდევ, უდიდესი მრავალფეროვნებაა ჩვენს კოწახურებშიო.



### საფლავის ქვა სამშვილდეში

ნაძვნარის გადაღმა ფიჭვნარი იყო, რომელიც მალე წიფელმა შეცვალა. მარცხენა ქედები და ნაქალაქევის ქედი მუხნართა და ალაგ-ალაგ ფიჭვნართ იყო დაფარული. ბევრგან მოშიშვლებული კლდე ჩანდა, რომელსაც შორეული ირანის უდაბნოს მცენარეებიც შეეხამებინა – ნამდვილი კონგლომერატი იყო. ასეთ მცირე ტერიტორიაზე ამდენ სხვადასხვა ჯგუფის მცენარეს ვერსად ნახავთ, მით უმეტეს, თუ ალგეთის ნაპირის მურყნებსაც დაუმატებს კაცი. და აი, ეს უცნაურობა ბუნებისა, თითქმის სოფელ ტბისამდე გრძელდება. იქვე ფარცხისია, რომელსაც ველები ზედ კარზე მოსდგომია. გარდა ამისა, თვალში საცემია ციხეების, კოშკურების, ტაძრების ნანგრევები. იყო სოფლები, ქალაქები და აღარ არის.

აი, თვალწინ გადაეშალათ საწყისი იმ დიდი ტრაგედიისა, რომელიც აქ დაწყებულა ამ ცოტა ხნის წინ. ნაძვნარ-ფიჭვნართ დაფარული ხეობა განადგურების კარამდეა მისული. მრავალ ადგილას მოუსპიათ მშვენიერი ნაძვნარი, უთხოვრიანი, წიფლნარი, მუხნარი. რაკი ეს ხეობა ღიაა აღმოსავლეთისკენ, ველებისაკენ, ადვილად იქარება, იფიტება, სახლდება ველისა და ხრიოკის მცენარეულობა. ქვემოდან თუ მას აღმოსავლეთის ველი ესაზღვრება, ზემოდან, წალკიდან – მაღალმთის ველი. ტყის ჩეხვის შემდეგ გრძელდება საქონლის მოვება და ტყის აღდგენის ნაცვლად სახლდება ქსეროფიტები.

ალგეთის ხეობა კი, ძველად პატრონი რომ ჰყოლოდა, ერთ-ერთ მაღალმთიან კურორტად გადაიქცეოდა.

ფაცხისში ციხის ნანგრევებზე აირბინეს.

– ეს ხომ ნაშთია ძველი ციხისა. ალბათ შიდა ციხის ნანგრევებია!

ფარცხისის წისქვილიდან შარაგზაზე გავიდნენ. უკან მოიტოვეს ფარცხისი, გადაკვეთეს ალგეთი, აიარეს ჩხიკვთა აღმართი, დაუპირისპირდნენ მაწევანს და მალე კვლავ შარას დაადგნენ. გზაზე შეხვდათ ნასოფლარები, ბაზილიკები, იქვე იყო თეთრიწყაროც. თითქმის მთელი თეთრიწყარო გაიარეს, მერე მხარმარცხნივ გადაუხვიეს და კარგა ხნის სიარულის შემდეგ სოფელ სამშვილდეს მიადგნენ. ახლა სამშვილდეში პასკევიჩის მიერ 1826-1830 წწ. ოსმალეთთან გადმოსახლებული სომხები ცხოვრობენ.

მანქანა აუყვა ქვიან და დამრეც აღმართს. ხრამის კედელზე, მდინარე ჭივჭივას მარჯვენა ნაპირას, ალაგ-ალაგ ნარუალი ჩანდა. სამშვილდის ეს არხი X-XI საუკუნისაა.

– აქ სადმე დავაყენოთ მანქანა! – თქვა გოგიამ.

ასეც მოიქცნენ. ზურგჩანთები, საჭერბარიუმო აბგები მოიკიდეს, ხელში წერაყინები მოიმარჯვეს და აღმართი სწრაფად აიარეს.

ორ უზარმაზარ, ტოტებგაშლილ აკაკის ძირში საფლავის ქვა – გამოქანდაკებული, შეკაზმული ცხენი იდო. ზედ ამოეკვეთათ ვაჟკაცი და ქართველი ვაჟკაცისათვის დამახასიათებელი სამუშაო და საომარი იარაღი: თოფი, ხმალი, ხანჯალი, მწყემსის კომბალი; ჭურჭელი: ყანწი, კულა, საღვინე და სხვ. ასეთი საფლავის ქვები ტიპური ყოფილა სამხრეთ საქართველოსთვის. სამშვილდელების ბაღ-ბოსტანს ყორეები არტყია გარშემო, წინათ კი, XIV-XV საუკუნემდე, სანამ ამ ქალაქს დაანგრევდნენ, მთელი სამშვილდეს სახლის კედლები ქვით იყო ნაშენი.

ყორეებზე ვეებერთელა აკაკის ხეები იზრდებოდა, ფესვებს ჩაებლუჯათ, ზღაპრული ურჩხულებივით ჩაეხვიათ უზარმაზარი ლოდები.

მალე ღია ადგილას გავიდნენ. მთავარი ტაძრის კათედრალს მხოლოდ ერთი კედელია შერჩენოდა, ზედ რამდენიმე შავჯაგას ბურქს მოეკალათებინა. ამ კედლის ხაზები ისეთი ნარნარი და ნატიფი იყო, რომ კაცი წარმოიდგენდა, რა დიდებული კათედრალი იდგა ქალაქ სამშვილდეს შუაგულში. ფორი, როგორც ჩანს, ნათალი ქვისა ეგო, მისი საკმაოდ დიდი ფრაგმენტები მრავალ ადგილას ჩანდა. ფორის გადაღმა სახლის ნანგრევებია, იქვე ძველი აბანო. სამშვილდე ჯერ დავით აღმაშენებელმა გაანთავისუფლა არაბთაგან, გიორგი მესამემ და თამარმა დაამშვენა, გააბრწყინა, შემდეგ „მოისრა გამოსვლასა ბერქასა და მონგოლთა“.

„... არს ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამშვილდე, აღაშენა ქართლის და პირველმა მეფემან ფარნაოზ ჰყო საერისთაოდ და ქალაქი. არამედ იყო პ გ მეფის სვიმონისადმი ქალაქი. არს ფრიად მაგარი. სამხრით უდის ქცია, ჩრდილოეთ უდის ჭივჭივა, საშორისსა ზედა არს გადავლებული ხრამით ხრამამდე ზღუდე განიერი და მაღალი. კვალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდავლებული, აგრეთვე დიდროვანითა ლოდითა. ციხესა შიგნით აღაშენა ეკლესია გუმბათიანი ლზ მეფემან მირდატ. შემუსრა ლენგ-თემურ, მერმე ოსმალთა. ზაფხულ არს ცხელი, ზამთარი ცივი, არამედ მშვენი და კეთილ ჰაოვანი... ხოლო ქციის ხრამი აქ არის სიმაღლით ს მხარი და მეტიცა და განით მხარი, და ჭივჭივას ხრამი ს მხარი“. (ვახუშტი).



**საფლავის ქვა (ვაჟკაცი ხმალ-ხანჯლით), ცხვარი, დუქარდი, კომბალი, თოფი, ფიალა, საღვინე და სხვ.**

მართლაც, იდგნენ აღმოსავლეთის ბურჯზე და ქციის ხრამისთვის თვალი ვერ ჩაეწვდინათ, ქარაფების ძირში მიიკლაკნებოდა ქცია ვიწრო ზოლად.

– ერთი ამ ბილიკს ჩავეყვით, – თქვა გიორგიმ. ფრთხილად დაემუნენ. ლოდებში ამოზრდილიყო საკმლის ხე, აკაკი, მუხა, ჯაგრცხილა, ძეძვი, გრაკლა.

ერთი ამ ბილიკს ჩავეყვით, – თქვა გიორგიმ. ფრთხილად დაემუნენ. ლოდებში ამოზრდილიყო საკმლის ხე, აკაკი, მუხა, ჯაგრცხილა, ძეძვი, გრაკლა...

– ეს ხომ ნათელი ტყეა! – წამოიძახა ირაკლიმ.

– თავისებური, ქციის ხრამის კანიონისა-კედლისა.

– მამა, ქციას „ხრამს“ რად ეძახიან? – იკითხა ვახტანგმა.

– აბა, რა ვიცი, რად ეძახიან, ხრამში არის ვიწრო ხეობა, არსებობს ჭივჭივას ხრამი, მაშავერას ხრამი... ალბათ ერთხელ ვიღაცამ ქციასაც ხრამი უწოდა და აჰყვა სხვაც.

ტირიფისა და ვერხვის ჭალაში ჩავიდნენ. ზევიდან ორასი მეტრის სიმაღლის ხრამის კედელი დასცქეროდათ. გაღმა, ჩრდილოეთს კედელი უფრო მეზოფილური ჩანდა, მუხნართა და რცხილით დაფარული, ხოლო რომლითაც ჩამოვიდნენ – ნათელტყიანი იყო.

ნაპირს აჰყვნენ და გამოქვაბულ კედლებთან მივიდნენ.

„ამ ხევზე (ქციის, ნ.კ) საღმერთეს ზევით, გვიანას, არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის ამარ. მის ქვემოთ მონასტერი ქციის ხრამსა შინა პირღებულს კლდე გამოკვეთილი, დიდითა შენობითა და ყოვლით შემკული, ზის არქიმანდრატი. იტყვიან თამარ მეფის ქმნულსა“ (ვახუშტი).

სამშვილდეს პლატო და სამხრეთით, მისი დასავლეთის მხარე ლავითაა დაფარული. ეს ლავა ზოგან 200 მეტრის სისქეა, ზოგან კი მეტის. ლავის გაცივების დროს ბევრგან გროვდება აირები და ამის გამო ჩნდებოდა ცარიელი ადგილები. შემდეგ, როდესაც მდინარეებმა გაკვეთა პლატოები, ეს ადგილები დარჩა, როგორც გამოქვაბული. ასეთი ბუნებრივი გამოქვაბულები ბევრია ქციის, ჭივჭივას, მაშავერას, ზურტაკეტის, საფიქლის, ჯავახეთის მტკვრის, არსიანის მტკვრის ხრამებზე და სხვაგან. შემდეგ იგი ადამიანმა გამოიყენა საცხოვრებლად, ამ გამოქვაბულში პოულობენ ნეოლითის მცხოვრებთა ინვენტარს. უფრო მოგვიანებით კი სამალავად და სახიზრად იყო გამოყენებული, აქვე შეიქმნა გამოქვაბულთა მონასტრებიც: მაგ. დავითის უბანი, პირდაღებული და სხვები.

სამალავები და სახიზრები ხომ ამ კანიონებზე მრავალია. მონღოლები ისარს მენძს ახვევდნენ, კუპრში ავლებდნენ და ცეცხლმოდებულს ესროდნენ გამოქვაბულებში შეხიზნულებს, მაგრამ მაინც ვერ გატყეს. მრავალჯერ გადაქელა საქართველო თემურ-ლენგის ურდომ, მაგრამ ვერ გატყეს ვერც ქვეყანა, ვერც ხალხის უკვდავი სული და აი, დღეს იმ სახიზარში შეხიზნულთა შთამომავლები იგონებდნენ ძველ ავბედობას.

ისინი ნელი ნაბიჯით ამოჰყვნენ დაკიდებული აღმართის ჭირკვალს.

თეთრწყაროში რომ ამობრუნდნენ, გიორგიმ ბაზარში იკითხა, ფიტარეთელი ხომ არავინ არისო. მალე იპოვა ერთი ხანშიშესული კაცი.

– შენ აგაშენა ღმერთმა! მუხლი აღარ მიჭრის და რით ჩავსულიყავ, აღარ ვიცოდი, – გაუხარდა ახალ ნაცნობს.

გოგიას მოუსვენს გვერდით, გზას გვასწავლისო. საქმე ისაა, რომ სოფელ სამღერეთთან ტყეში გზა იკარგება, ხან სამხრეთით მიდის, ხან ჩრდილოეთით და, თუ კარგად არ იცი, შეიძლება ისეთ ბრმა ხევში შეხვიდე, უკან გამოსვლა გაგიჭირდეს. გიორგიმ ეს იცოდა.

მცირე ხნის შემდეგ გზიდან გადაუხვიეს და შეერივნენ მშვენიერ თავისებურ ტყეს – წიფელი, რცხილა და ქართული მუხა ერთმანეთში იყო არეული. ეს სამი ზონის სხვადასხვა წარმომადგენელი, ასე მკაფიოდ ერთმანეთში არეული, იშვიათად თუ გვხვდება სადმე, გარდა თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებისა.



ფიტარეთი

ამ ტყის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ პანტა, მაჟალო, ზღმარტლი, ბალამწარა, ტყემალი, შინდი კაცის ხელით გაშენებულსა ჰგავს. განსაკუთრებით თვალში საცემია შინდი, მაჟალო და პანტა. ყოველი ხე თავისებურ ჯიშს წარმოადგენს: მაჟალო ყვითელი, წითელი, გვერდწითელა, ხაზოვანი, მრგვალი, გრძელი, დაკუთხული, ტკბილი, მწარე, მწკლარტე, მჟავე და სხვა.

„აქ ერთვის ქციას ხევი ძველ-გომარეთსა, გამოსდის კვირიკეთის მთას. ესეც არს უვენახო, უხილო, მას ქვევით არს დაბა ქცია მდინარის ქციის პირს. აქ არს მონასტერი კეთილი და აწ ხუცის სამარად. ქვემორ მისა არს მონასტერი ფიტარეთს. მშვენიერ ნაშენი, გუმბათიანი, მშვენიერ ადგილას, ზის წინამძღვარი. მის ქვევით ერთვის ქციას ფოცხვერიანის ხევი, ვენახიანი, ხილიანი, ქვევით მისა ქციის კიდესა ზედა ციხე ხულუტისა. მის ქვევით, სამხრეთ, არხ ციხე ბერი ქალისა“ (ვახუშტი).

მართლაც, მათ წინ აღიმართა თეთრი გედივით ყელმოღერებული ფიტარეთის ტაძარი, ორბელიანთა საგვარეულოს სამკალე.

– ასე შორს მოჰყავდათ გარდაცვლილი?

– იქნებ ორბელიანთა რეზიდენცია არც ისე შორს იყო, – უპასუხა მამამ.

ფიტარეთი XIII საუკუნის დასაწყისშია ნაგები. ჩუქურთმებით მდიდარია, შეიძლება ნიკორწმინდას გაუტოლდეს, მაგრამ, არა, ბეთანიას უფრო წააგავს. ბეთანიაც ხომ ორბელიანთა სამკალეა.

სოსემ, გამყოლმა, სახლში შეიპატიჟა მგზავრები. დრო არა გვაქვსო, მოიმიზეზეს. მაშინ სოსემ თავისი შვილიშვილი, ტარიელი გააყოლა, ხულუტამდე ჩაგყვებათო.

მანქანა ქციის ნაპირს, ვერხვნარ ჭალას გაჰყვა. ამ ჭალას ორბელიანთ ჭალას ეძახდნენ და დღესაც ასე ეძახიან, ძველი სახელი დღემდე შემორჩა. ხულუტის ციხე ქციის მარცხენა ნაპირზეა აგებული, პირდაპირ ხევის პირას. მისი ლამაზი ქონგურები, ბურჯები დღესაც ამაყად იცქირება, ესეც ორბელიანთა ციხესიმაგრეა, ალბათ სახიზრად ააშენეს.

ხულუტის ციხის ქვემოთ ქციაში უნდა გასულიყვნენ, მაგრამ შუადღის შემდეგ ხრამჭკისის წალკის წყალსატევი წყალს უშვებს ხოლმე და ახლა ქცია მომატებული იყო.

არც აციეს, არც აცხელეს, ადგნენ და მანქანა მდინარეში შეაგრიალეს. როგორც იქნა, შუამდე მიაღწიეს, გაჩერდა თუ არა მანქანა, გიორგიმ გაიხადა შარვალი, ფეხსაცმელი და ჩავიდა წყალში.

– აბა, თქვენც ჩამოდით, მივეშველოთ მანქანას.

გოგიას კაპოტი აეხადა და მოტორს ჩასცქეროდა. ცოტა ხნის შემდეგ საჭეს მიუჯდა.

– აბა, თქვენც ეცადეთ, – მაგრამ მოტორი არ ემორჩილებოდა.

უცებ მანქანა გავარდა წინ, ვახტანგს ხელი დაუცდა და წყალში ჩაიყურყუმელავა. მოშორებით წამოდგა ფეხზე, წყალი წელზევით სცემდა და ეძალეზობდა. წამოუწვა და მოუსვა. ნაპირთან მივიდა. მამა და ერეკლე კი ხელიხელჩაკიდებული მოიწევდნენ წინ. მანქანა ეცა ნაპირს და მოტორიც ჩაქრა.

– ახლა არა უშავს. ხომ უნდა ვისაუზმოთ? ამასობაში სანთლები გაშრება და მოტორიც ადვილად ამუშავდება.

მარჯვენა ნაპირზე გლახკაცი რაღაცას ატყავებდა. ჯოხებზე გაკრული კვერნის ტყავი იქვე მზეზე შრებოდა.

– რა დროს კვერნა ახლა?

– რა ვქნა? სიმინდში ხალთა შემომეჩვია, ხაფანგი დავუგე, შიგ კვერნა მოხვდა, დღეს კი ფოცხვერი. შველი მაინც ყოფილიყო, მწვადებით გაგიმასპინძლებოდით.

მწვანეზე გაშალეს სუფრა, ახლადგაცნობილი „მონადირეც“ მოიპატიჟეს და გემრიელად შეექცნენ. ცოტა ხნის შემდეგ აღმართს აუყვნენ და სოფელ ტანძიაში შევიდნენ, საბა ორბელიანის სოფელში. მალე გეზი ზურტაკეტისაკენ აიღეს.

სოფელ ქვეშეში ამართულ ფრიალო კლდეზე ნაშენ ორბელიანთა ციხეს შორიდან დიდხანს უმზირეს, მერე სოფელ დუმანისთან აუხვიეს და ზურტაკეტისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. გაიარეს სოფელი ყალამშა, რაიონის ცენტრი დმანისი, რომელსაც ბაშკირეთს უწოდებდნენ. დმანისში არ შეჩერებულან, ჩრდილოეთისაკენ აიღეს გეზი და სოფელ ყარაბულალთან გადალახეს ზურტაკეტის ცნობილი, კალმახით მდიდარი წყაროები:

„ხოლო არს დაბა ველსა ზედა შავ-წყარო – ყარაბულახი, ამიერ და იმიერ უდის წყაროსაგან მდინარენი სავსე კალმახითა, არამედ სამხრეთის კალმახი არს შავი და ჩრდილოეთის თეთრი და უკეთუ ჩასვა ჩრდილოსი სამხრით გაშავდების და სამხრეთის ჩრდილოთ ჩასმული განსპეტაკდების“ (ვახუშტი).

– აი, როდის შეამჩნია ვახუშტიმ თავისებური მიმიკრია!

მხარმარცხნივ გადაჭიმული იყო ზურტაკეტის ზეგანი თავის სათიბ-სამოვრებით, ამ ზეგანს დასავლეთიდან გადმოსცქერის კერუთის ქედის მწვერვალები, გიჟი-მთა, შამბიანი, ემლიკლი, გულთოვლის მთები.

ეს ზეგანი შამბიანითურთ საორბელიანო იყო. ამ წარჩინებული გვარის ბედოვლათმა მემკვიდრეებმა XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში მიჰყიდეს თავისი მემკვიდრეობა გერმანელ ყველის მრეწველებს, რომელთაც ყველის ქარხნები ჰქონდათ სოფელ მამუდლოში, ბუსუკალაში, ყარაბულალში. მხოლოდ ორთაშუას სათიბ-სამოვრები ეკუთვნოდათ ქართველებს: ჯერ კეზელს, შემდეგ ფშაველ მეცხვარეს, გუგუტიშვილს. დღეს აქ საბჭოთა მეურნეობაა.

ვახუშტი წერს, რომ „გულთოვლის“ მთებში მარადი თოვლია ყინულითო, ამჟამად მარადი თოვლი აქ აღარ არის. როგორც ჩანს, 240 წელი საკმარისი იყო იმისათვის, რომ კლიმატი შეცვლილიყო. ამ უკანასკნელ ხანში შემჩნეულია მცინვართა უკან დახევა. მეტეოროლოგები ფიქრობენ, რომ ამის მიზეზია მსოფლიოს ინდუსტრიალიზაცია – ქარხნების მიერ გამოყოფილმა სითბო, რომელიც ჰაერში ვრცელდება, ახდენს გავლენას, ჰაერი შრება და ეს მოქმედებს მცინვარზე და მარადიულ თოვლზე, რომელიც თანდათან დნება.

– აკი იგივე ვახუშტი წერს, რომ შამბიანს „შამბიანი“ შამბალახის სიმრავლის გამო ეწოდაო, რომელშიც ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი იმალებოდა. ვახტანგ VI უნადირია ერთ დღეს და თურმე 140 მოუკლავს... რასაკვირველია, ამაღასთან ერთად.

საფიქლის ხევის ნაპირას შეკრიბეს მიწაზე გართხმული ნარი, სურნელოვანი. ვახუშტის ესეც აქვს მოხსენიებული. ამან საბაბი მისცა გიორგის, ეთქვა, ვახტანგ VI თვის ბაღში გადარგო<sup>36</sup>. მაგრამ აი, კიდევ რა ცნობა გვაქვს ვახტანგის შესახებ: მას ქიმიაც ესმოდა და დაუწერია კიდევ ქიმიური ტრაქტატი.

აი, ამ ტრაქტატში ერთგან წერს:

„ქაფური ხის ფისია, თვითონ ამის ხე მეც მქონდა, ზედ ესხა, ინდოეთიდან მოვა. ორი რიგი მეტი არ იქნება. ერთი წამალში რომ ხმარობენ ის არის, ჯოვანდოს ეძახიან, უფრო ბევრია, მარილის თვალსავით გასჭვირს წვრილი იქნება“.

ირკვევა, რომ 1710-1715 წლებში ვახტანგის ბაღი ბოტანიკური ბაღი ყოფილა და უფრო ადრე გაშენებული, ვიდრე პეტრე I „სააფთიაქო ბოსტანი“, რომელიც პეტერბურგში 1715 წელს დაარსდა. მას რუსეთის ბოტანიკური ბაღის მამამთავრად თვლიან.

ლეღვთა ხევში ხდებოდა ინტროდუქცია და აკლიმატიზაცია, როგორც ეგზოტიკებისა, ისე ჩვენი მთა-ბარის მცენარეებისა.

გაიარეს სოფლები: ახა, რკინის წყარო (30 წლის წინ ახასთან დიდი ტბა-ჭაობი იყო, დაუშრიათ.) და მანქანა გომარეთში შეგრიალდა. გიორგიმ სოფლის სასაფლაოზე მიუთითა და თქვა:

– ამ სასაფლაოს ქვებზე სოფლელების პროფესიაა ასახული.

მართლაც, ხავსითა და მღიერით დაფარულ საფლავის ქვებზე გუთნისდედა, მეხრე, ხარი და ცხვარი, ცხენი და მხედარი, მწყემსი და მომკელი, კირითხურო და ხითხურო, ფეიქარი და... ვინ იცის, კიდევ ვინ არ იყო გამოსახული. ბიჭები ფოტოსურათებს იღებდნენ.

– ამ ჩვენს მუზეუმში ვინ შემოგიშვან! – დაიროხროხა უცბად ვიღაცამ.

გიორგიმ იცნო კოლმეურნეობის თავმჯდომარე და აქაური სკოლის დირექტორი. მხიარულად მიესალმნენ. მანქანასთან ბაღლებიც შეკრებილიყვნენ.

- სანო, მოდი აქ! - დაუძახა ერთ ბაღს თავმჯდომარემ, - ჩადი სოფელში, კლუბის გამგეს უთხარი, ზარი დარეკოს, ხალხი შეკრიბოს, აი, გიორგი ლექციას წაგვიკითხავს.
  - რას ამბობ, კაცო?..
  - მაშ, ისე წახვალ, რომ გომარელებს ერთ-ორ სიტყვას არ ეტყვი?
  - ძალიან ვჩქარობთ!
  - აი, საცაა დადამდება კიდეც, სად წახვალთ.
  - ეს ქვის მხედარი რა არის...
  - სიმბოლოა, შვილო, ქართველი კაცისა. ცალ ხელში ხმალი უჭირავს, მეორეში გუთანნი.
- სკოლიდან ზარის რეკვა ისმოდა, კლუბში ხალხს ეძახდნენ. საღამოზე გიორგიმ საუბარი მხედრის ქანდაკებით დაიწყო.

### საქართველოს კლდეკარი

მზე კარგა მაღლა იდგა, როდესაც მანქანა სკოლის დირექტორის ეზოდან გამოსრიალდა. შოთამ ჩვენს მგზავრებს აჩვენა ძველი გომარეთის უბანი - ეგრისი, იქვე სასაფლაო მეუნარგიასი და სხვა მეგრელებისა, პატარა ბაზილიკა, ლიპარიტის მეუღლის მზისთვალას მიერ აშენებული „სულის საოხად“ და ბოლოს, საფიქლის ხევის გამოქვაბულთა კომპლექსში ჩაიყვანა. ის პირდაღებულის კომპლექსზე ნაკლები არ იყო.

გამოქვაბულის ხრამის პირდაპირ ჩანდა 100-150 მ. სისქის გაქვავებული ლავა, ბაზალტი და ფონოლიტი გაწითლებულ თიხის ფენას აწვა. ცხელი ლავა რომ დააწვა თიხას, სწორედ მაშინ დაიწვა ის და გაწითლდა.

თიხისა და ლავის საზღვარზე გადმოჩქეფდა წყარო, რომელიც ოთხ წისქვილს დაატრიალებდა. ასეთი თავისებური, მიწიდან გადმოხეთქილი ჩანჩქერი ამ ხრამებში არცთუ ისე იშვიათად გვხვდებოდა.

გომარეთის დიდ ვაკეზე დიდი ტბა-ჭაობი იყო, გველ-ბაყაყით სავსე. უკვე დაუშრიათ. მისი წყალი ღრმა ხრამშია გადაშვებული. ის გადაუხნავთ და ახლა ისეთი ყანები ბიზინებს, კაცს ესამოვნება.

გომარეთში არის ჯიშთა გამოცდის საცდელი სადგური. ასეთი სადგურები ჩვენი ქვეყნის ყოველ კლიმატურ ზონაშია. მეურნეობაში გადასაცემ მცენარეს ჯერ გამოცდიან (გამოცდის ვადა 3-4 წელი), მერე კოლმეურნეებს რეკომენდაციას აძლევენ. ამჟამად, აქ იცდებოდა 5-6 ჯიშის ხორბალი, ქერი, შვრია, ჭარხალი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და სხვ.

ბოლოს ქციის ხრამისკენ აიღეს გეზი. გაიარეს პატარა გომარეთი, მამულაანთ სოფელი და ჩაჰყვნენ ქციის, აქ შედარებით იოლ, მცირე დაქანების კანიონს. ყოველ ნაბიჯზე პატარა ბაზილიკები, საფლავის ქვები, ცხენის ქანდაკებები ხვდებოდათ. მაგრამ, აი, უცბად ქალაქის ტიპის სახლები გამოჩნდა. ეს მეორე რიგის ხრამქვის მშენებელთა სახლებია.

ქციის ვიწრო პირველ თუ მეორე ტერასას, ხრამის კედლის ძირიდანვე გასდევს გომარელების ბაღები, ვენახები, ბოსტნები. ამ მყუდრო, ქარებისგან დაცულ ადგილას ვაზიც კარგად ხარობს და მრავალნაირი ხილიც. ამ ბაღ-ბოსტნებს ირგვლივ ქვის ყორე არტყია, რომლის ძირშიც ქლიავი, ჭანჭური, არახილი, დამასხი, ღოღნოშო, ტყემალი დგას.

მრავალნაირი ქლიავ-ტყემლის არსებობამ შექმნა პირობები თვითჰიბრიდიზაციისა. ჯვარედინი დამტვერვის შედეგად წარმოიშვა მრავალნაირი თავისებური ჯიშის ქლიავი და ტყემალი. ამიტომ ქციის კანიონი შესწავლას მოითხოვს.

ვენახში, ვაზებს შორის, თესია ლობიო, ცერცვი, ოსპი, მუხუდო და მისთანები, ნაპირს ჩაყოლებული აქვს სიმინდი და სარის ლობიო. ყორეებზე გადაშლილია გოგრის კავები. ერთი მტკაველი მიწა არ არის უნაყოფოდ დაკარგული. თრიალეთი მთიანი ქვეყანაა, მაგრამ ბაღი და ვენახი მაინც აქვს. მშრომელი თრიალელი 400-600 მეტრით დაბლა, ქციის ნაპირას, მიწას პატარა ნაკვეთზე აშენებს ბაღ-ვენახებს.





## ეული წალკაში ქვიან მთაზე

ქციის ნაპირას, სოფელ კაკლიანში შეისვენეს და მალე გავიდნენ „ხრამჰეს“ პირველთან; თითქოს ციდან დაშვებულა ტურბინისათვის წყლის მიმწოდებელი უზარმაზარი მილები. მანქანა შეუდგა აღმართს და წალკის ზეგნისკენ გასწია. ესეც ისევე, როგორც ზურტაკეტისა და ჯავახეთის დიდი ზეგანი, ვულკანური წარმოშობისაა. ისეთი ვულკანები, როგორებიც იყო აწ ჩამქრალი თავკვეთილი და გოდორები, აბული და სამსარი, შამბიანი და ემოიკლი ამ პლატოებს ლავა არ აკლებდნენ. მათ ამოავსეს ღრმა ხეები, შექმნეს უზარმაზარი ზეგნები, რომელიც ერთმანეთისაგან დაცილებული არიან აბულსამსარისა და კეჩუთის ქედებით. შემდეგ ეს ზეგნები მდინარეებმა დახრამა და გაჩნდა ალგეთის, ქციის ჭიჭიკვას, მაშავერას, ფოლადაურის და სხვა მდინარეთა ხრამები.


წალკის საშუალო სიმაღლე 1800 მეტრია ზღვის დონიდან. ეს მხარე საქართველოს ავბედობის დროს ამოწყდა, განსაკუთრებით XVII და XVIII საუკუნეებში, ერთი ქართული სოფელი რეხა გადარჩა მხოლოდ. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, 1825-1830 წლებში, თურქეთში, რუსთა ჯარის სარდალმა, პასკევიჩმა ვერან ადგილებზე დაასახლა ოსმალეთიდან გადმოხვეწილი ბერძნები, რომლებიც ამჟამად ძირითადად მესაქონლეობას და მემინდვრობას მისდევენ. თესენ კარტოფილს. ირგვლივ არც ერთი ხე არ მოჩანს, მაგრამ აგერ, მთის წვერზე ეულად მდგარ მუხას შეავლო ყველამ თვალი.

– გახსოვთ იმ მუხაზე წერილი რომ დაიბეჭდა?

– გვახსოვს, – თქვა ერეკლემ, ჩანთიდან ამოაძვრინა ჟურნალი და ხმამაღლა წაიკითხა:

„გაშლილ ველზე, სადაც გაზაფხულობით მრავალნაირი ჭიოტა ყვავილი ბიბინებს, სადაც ზაფხულში დედამიწას აღმური ასდის, გადახრუკულა ბალახი და ქარის წამობერვაზე, იმის მაგივრად, რომ ველს მზეკაბანმა გადაურბინოს, მტვრის კორიანტელი დგება, იშვიათად, მაგრამ მაინც შეგხვდებათ ეულად მდგარი, ტოტებგაშლილი მუხა ან თელა.

ბევრი ასეთი ეულად მდგარი მუხა მინახავს, ბევრის ჩრდილში დაღლილს დამისვენია და თითქმის ყველგან ერთი და იგივე ჩურჩული მესმოდა, მაგრამ ყველა მუხათა შორის მაინც ერთი მუხა, თრიალეთის მუხა მიდგას თვალწინ. იქნებ იმიტომ, რომ მის ახლო-მახლო მთელი დღის სავალზე სხვა ხეს ვერა ხედავს თვალი. ის მართლაც მარტო და ეულად დგას. მდინარე ქციის სათავეებისკენ არის ერთი ნაქალაქარი, რომელსაც წინათ ახალქალაქს უწოდებდნენ და რომელიც, ალბათ XVII საუკუნეში გაავერანეს დამპყრობთა ურდოებმა. ეს ნაქალაქარი, ნასოფლარ ეძანის, ახლანდელ სოფელ წალკას რომ უწოდებენ, ცოტა ქვემოთ, ქციის ღრმა ხევის თავზე მდებარეობს. მას პატარა მთა – ქვათავა დასქერის. აი, სწორედ ამ მთის წვერზე დგას ტოტებგაშლილი მუხა.



წალკის ეული მუხა

ერთ შემოდგომის ცრიატ დღეს მოვხვდი ამ მუხის ძირში. ანაზდეულად დაუბერა სუსხიანმა ჩრდილოეთის ქარმა. მუხის ტოტი ტოტს დაეჯახა, დაიჭახუნა, დაიკვნესა და რაღაც საომარი სიმღერა წამოიწყო. მუხის ძირში მინაბულს, ქარს მორიდებულს, ნაბადწამოსხმულს, მესმოდა მისი ჩურჩული, თითქოს მღეროდა:

„ბევრი საუკუნე მიცხოვრია, ბევრი ჭირი და ვარამი გადამხდენია, ბევრი თანამგზავრი გამომცლია მხრიდან, ქარსა და ქარიშხალს, გრიგალსა და ქარაშოტს ბევრჯერ გადაუვლია ჩემს თავზე, იქნებ ტოტი შეუტეხია, მაგრამ ფესვი კი ვერ შეურხევია, ვდგავარ ფესვმაგარი, ტოტებლონიერი, ომში შესულ კაი ყმასავით, უკან არ ვიხევ; ვდგავარ და ასე ვიდგები. აი, მოვესწარ იმ დროსაც, როდესაც ნატყვევარ მთებსა და გორაკებს ახალი სიცოცხლის მახარობლები წითელყელსახვევიანი ბავშვები შეესივნენ და რგავენ ხეებს, ბუჩქებს, აშრიალდება კვლავ ტყის


ტვერი... ლოდებს შორის აღმოცენდა ჩემი ნაშიერი. ისიც მალე გაიზრდება, მხარში ამომიდგება. იგრიალე, დაუბერე, ქარიშხალო“.

ჩვენი მთის ზეგნები – ჯავახეთი, წალკა, ზურტაკეტი, – ტყით ყოფილა დაფარული. ამ ტყეებს ამშვენებდნენ მთის მუხა, ფიჭვი, ნაძვი, ნეკერჩხალი, არყი, ცირცელი და სხვა. ამის საბუთი მრავლად მოგვეპოვება, როგორც თვით ბუნებაში, ასევე ჩვენს ისტორიულ წერილობით წყაროებში.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის შესანიშნავი მკვლევარი ვახუშტი, აი, რას წერს ტაბისყურის შემოგარენზე: „ტბა ტაბისყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახ-ყვავილოვანი, წყაროიანი და კალმახითა სავსე, დიდწვრილითა და ფრიად გემრიელითა“.

დღეს ტაბისყურის ახლომახლო ხე თოფის სასროლზედაც არ დგას, უახლოესი ტყე 20 კილომეტრით მაინც არის დაცილებული. მისი ნაპირები ბალახ-ყვავილოვანია, მაგრამ ისიც შეცვლილა, ველის წარმომადგენლებს, წვრილფოთოლა ვაციწვერასა და წივანას შეუცვლია ტყისა და ალპების მცენარეები, რომელთაც ვახუშტი „ბალახ-ყვავილოვანს“ უწოდებს.

თურქებმა სამხრეთ საქართველო მიიტაცეს, მათ ეს მხარე, ხარკის დასადებად, გულდასმით აღწერეს და შეადგინეს „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“. ამ დავთარში ჯავახეთი ორადაა გაყოფილი – ტყიანი და უტყეო ჯავახეთი, „ტყიან მხარეში“ თანამედროვე ჯავახეთის ნახევარზე მეტია ნავარაუდები. დღეს კი ორივე, „ტყიანიცა“ და „უტყეოც“, სრულიად უტყეოა. მხოლოდ ალაგ-ალაგ არის გადარჩენილი პაწაწა კორომი, ანდა თითო-ოროლა ხე (ვერხვი, მუხა, ფიჭვი, არყი).



არჯევანის ბაზილიკის კედელი

ჩვენი ნიადაგმცოდნეების გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ მრავალ ადგილას, იქ, სადაც დღეს ველის მცენარეა გაბატონებული და დიდ მანძილზე ხის ჭაჭანებაც კი აღარ არის, ტყის ნიადაგი შემორჩენილა. გარდა ამისა, ალაგ-ალაგ ველისა და ნახევარუდაბნოს მცენარეთა შორის ზოგიერთი ტყის გამძლე მცენარეც გვხვდება, ზოგან ცალკეული ტყისა და ზოგან პატარა ოლე.

ბევრგან, საქართველოშიც, სომხეთშიც, ველების არეში ტყის ცხოველების ჩონჩხები ნახეს. ერთი სიტყვით, ეს უტყეო მხარე წარსულში ტყიანი ყოფილა. აკი ეს თრიალეთის მუხაც თავის სიმღერაში, ქარიშხალს რომ შეაგება, ამასვე ამბობს.

ყოველივე ამის ცოდნას შეუძლია თუ არა რაიმე სარგებლობის მოტანა? რასაკვირველია, შეუძლია. რაკი გვეცოდინება, სად რანაირი მცენარე ხარობდა, რანაირი ტყე იყო, შევუდგებით ამ მხარის გატყევებას, მაგრამ სად არის საჭირო ტყის გაშენება? ტყე ხომ ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ტყე იმ რაოდენობით უნდა შევიწარმოოთ, რამდენიც საჭიროა ბუნების ჰარმონიულობის დასაცავად.

ბევრჯერ ამივლია წალკა-ჯავახეთის გზაზე და შორიდან დამინახავს, ხე მთის წვერზე წერტილივით რომ მოჩანს, მაგრამ იმ ხესთან ახლოს მისვლა მხოლოდ ოცი წლის მერე მოვახერხე. მივედი და გული სინანულით და სიხარულით ამევსო. ძველი, დიდი ხნის უნახავი მეგობარივით დავუკარი თავი, ქუდი მოვუხადე და გამარჯვება ვუსურვე. დიდი გზა აქვს გამოვლილი და დღეს თუ კიდევ ცოცხალია, თითქოს იმისათვის, რომ გვითხრას:

*„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა,  
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...“*

მართლაც, უმოწყალო ხელმა მოსპო ამ მუხის ირგვლივ მოშრიალე ტყე; წარსულში მტერთა ხშირი შემოსევა ცოტა ზიანს როდი აყენებდა ტყეებს.

ზაფხულში დამპყრობთა ურდოები ჯავახეთ-წალკა-თრიალეთის გზითაც მოდიოდნენ (რემათა საკვები აქ უხვად იყო). გზადაგზა მტერი ანადგურებდა ყოველივეს, რაც სამშობლოს დამცველებს თავშესაფრად გამოადგებოდა. რამდენჯერ დასხმია საქართველოს მტერი და, „გასტეხს ქვასაცა მაგარსა, წყალი წვეთ-წვეთად მდინარი“! – გატყდა ტყეც, მით უმეტეს, ბუნების პირობების ცვალებადობა, სინესტის შემცირება ხელს უწყობდა ტყის განადგურებას. ომებით წელში გაწყვეტილი ხალხიც სათანადოდ ვერ უვლიდა, უთავბოლოდ ჩეხდა, აახოვებდა, საქონელს აძოვებდა... და ტყე შეცვალა ველმა, ზოგან კი ნახევარუდაბნომ...

დღეს თრიალეთის მუხას უხარია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მთა-ბარს შეესია და რგავს ხეებს: მუხასა და წიფელს, ფიჭვსა და ნაძვს, აკაკის და საკმლის ხეებს, თელასა და ნეკერჩხალს და მრავალ სხვას.

დარგეთ, ახარეთ, გაიზრდებიან, ტყედ გადაიქცევიან... აქ წინათაც ხომ ტყე იყო, ტყე!

ქარი ჩამდგარა, მუხა ოდნავ შრიალებს, ქარტეხილმა ვერც ახლა დააკლო რა და დროა, მეც გავუდგე გზას.“

და კვლავ მოავლეს თვალი მათ წინ გადაშლილ ზეგანს.

– რა ძალამ გადაარჩინა ის ნეტავი?

– ღვთის ძალამ! – არც აცია, არც აცხელა, თქვა ვახტანგმა.

– არ გჯერა? აგერ თეთრი ფული, პატარა ზარი, ხის და, კერძოდ, მუხის კულტი დახვედრიათ და მიუღიათ ბერძნებს. ბერძნები აქ დასახლდნენ დაახლოებით 1825-1830 წლებში, ე. ი. 135 წლის წინათ, ეს მუხა კი 400-500 წლის მაინც იქნება.

ზურტაკეტის ფართო ზეგანიც, დმანისის რაიონში, ნატყევარია. ამას ადასტურებს ტყის კორომები, რომლებიც აქ ბევრგან არის შემორჩენილი: მუხის კორომი საფიქლის ხევში და მის პირას, მრავალი პანტა ორთაშუაში, არმუდლოში, ტყის ელემენტები დღევანდელ ველის მცენარეებში (ბალახებიდან – დიდჯამა ფურისულა, ბურქებიდან ჭანჭყატა).

ნაცვლად ძველი ტყისა, აქ ველი დასახლდა, ველს თან მოჰყვა ირანისა და ანატოლიის ხრიოკთა ელემენტები – ეს ჩვენი ბუნებისათვის თანამედროვე ბერქა, ჯალალედინი და თემურ-ლენგია.

სოფელ ტაშბაში, სოფლის განაპირა, ქციის ხრამის პირას, ამართულია პატარა, მაგრამ კოპწია გუმბათჩამოქცეული ეკლესია. არქიტექტურის მიხედვით იგი XII– XIII საუკუნეში უნდა იყოს აგებული.

ეძანიდან ხრამჭვის წყალსაცავთან ავიდნენ, ამ წყალსაცავმა რამდენიმე სოფელი დაფარა, ზოგი სოფლის ეკლესიის გუმბათი ახლაც ჩანს წყლის ზედაპირზე. როცა ამინდი წყანარია, ფსკერზე სოფელიც კარგად მოჩანს. დასავლეთიდან იცქირებოდა თავკვეთილის ლამაზი მწვერვალი და გოდორების მხარგანიერი კალთები.

მანქანამ არჯევანისაკენ გასწია.

„ეძანს ზევით ერთვის ქციას ბეშქენაშენი – ხევი ჩრდილოდამ გამოსდის ერჯევანისა და კლდე-კარის მთასა. აღმოსავლეთით ბეშქენაშენისა და არს ტბა ბარეთისა, მცირე, უთევზო“ (ვახუშტი).

ტბა მომაკვდავია, ძველისძველი, უკვე იფარება ლაქაშითა და ტბისა და ჭაობის მცენარეულობით, წყლის სარკე, როგორც ჩანს, ყოველწლიურად მცირდება. შიგ წყალში ბევრია მცენარე, განსაკუთრებით წყლის ვაზი. ალბათ ამ ცოტა ხანში ჭაობად გადაიქცევა. ნაპირი ტორფიანია, მას მოსახლეობა ჭრის, აშრობს და საწვავად იყენებს. სოფელში, ყორეებზე ტორფის ალიზებია გაკრული. წალკისა და ჯავახეთის სოფელში თუ პირველად თვალში წივა გეცემათ – საქონლის გამხმარი პატივი ალიზებად დაჭრილი, მათგან განსხვავებით ამ სოფელში ტორფის ალიზებია შესამჩნევი.

სოფელ არჯევანში ჩვენი ნორჩი მგზავრების ყურადღება მიიპყრო ბაზილიკამ, რომელიც უზარმაზარი თლილი ლოდებითაა ნაშენი. ზოგი კედელი თითქმის ორმეტრიანი ქვითაა მოპირკეთებული.

სამხრეთ საქართველოში ბევრია ე. წ. ადრეულ ქვის ხანაში გავრცელებული ციკლოპური ნაგებობები. ციკლოპური ნაგებობის დამახასიათებელია უზარმაზარი ლოდები. ასეთი მშენებლობა ბრინჯაოს ხანამდე გაგრძელდა.

თრიალეთის კულტურას დიდი ტრადიციები აქვს და ის ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულში იკარგება. კუფტინმა და შემდეგ ოთარ ჯაფარიძემ წალკის ყორდანებში აღმოაჩინეს ძვირფასი ნივთები, ინვენტარი, ოთხთვლიანი ურმები. ყველა ეს ეხმაურება მცხეთის და სხვა ადგილების ნამარხებს. არც საკვირველია, ძველთაგანვე მთა და ბარი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. შორეულ წარსულში მესაქონლეობა ძირითადი დარგი იყო მეურნეობის. წალკიდან ქართლის ვაკემდე ცხენით ერთი დღის სავალიც არაა.

გიორგიმ სოფლის ერთი თავკაცი ნახა და შეუთანხმდა, ხვალ დილით კლდეკარის ციხესთან სამი ცხენით მოდიო.



### ასე მოახერხეს ასომთავრული წარწერის წაკითხვა

მზე გადაიწვერა, როდესაც მანქანა კლდეკარის ციხესთან მიგრიალდა. გაიარეს კიდეც 1-1,5 კილომეტრი და მართლაც კლდის კარში მოხვდნენ. მაღალი კლდე გაჭრილი იყო, გოგიმ მანქანა ძლივს გაატარა, ემინოდა, არ წამოვედოო. კლდეკარის შემდეგ პატარა ტაფობზე გაჩერდნენ. ბიჭები გორაკზე აფოფხდნენ.

– აი, თეძამი!

– ეს?

– ალგეთია.

– მაშ, ალგეთის პირველ წვეთებს ვხედავთ!

– ეგ ვერის ხევია, აქვე მანგლისი, დიდგორი, ლასტის ციხე, იქვე ბევრეთი, დილომი და... თბილისი.

– დაიცა, დაიცა, ასე ახლოა?

– დიახ, ახლოს არის! დიდგორის ბრძოლა დავით აღმაშენებელსა და თურქთა კოალიციურ ჯარებს შორის სწორედ აქ მოხდა 1121 წლის აგვისტოში. თურქთა კოალიციის აურაცხელმა ჯარმა წალკა გადმოიარა და ვერისა და დილმის წყალგამყოფზე ჩამოვიდა – მათ მოკლე გზით უნდოდათ თბილისში ჩაჭრა. დავითმა კარგად გაწვრთნილი ჯარი დაახვედრა დიდგორზე. მტერი ისე დაამარცხა, მარტო ამბის მიმტანილა დატოვაო. როგორც ჩანს, დავითმა შეიტყუა თურქები ამ ხეობებში, სადაც მათი დიდი სპა ვერ გაიშალა, შეიბოჭა, ტყეში და ფერდოში ჩასაფრებული ჩვენი ჯარი მტრის ურდოს მუსრს ავლებდა. ავი ამიტომაც დავითს ტყის მეფეს უწოდებდნენ აღმოსავლეთის დამპყრობლები. „ველზე გამოდი და იქ გვებრძოლო“. არც იქ დააყარა ხეირი. აი, რას წერს მატიანე დიდგორზე: „შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქვეყანა, და აგვისტოსა თვრამეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამით ადგილთა. ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე მშვენივრად და ღონიერად იყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თვისნი სპანი დაიცვნა უვნებლად, – ამათ ყოველთათვის არა ჩვენი, არამედ, ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენითა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მოთხოვრებად ზედმიწევნით ყოველსავე.

რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ხელი მაღლისა შეეწეოდა და ძალა ზეგარდმო ფარვიდა მას და წმინდა გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძლოდა მას და მკლავითა თვისითა მოსვრიდა ზედამოწევნულთა ურჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი უსულგულონი და უმეცრნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხოვდეს სასწაულსა ამას მთავარ მოწამისა გიორგისსა, და ვითარითა ღონითა მოხსნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვით და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ევლნი, მთანი და ღელენი მძორეებითა.

ხოლო სპანი ჩვენი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვერცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხვითა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თვითო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და სამზარეულოთათა, რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტოს აღწერად“...

– კლდეკარი ვისაც ეჭირა, მისი იყო თბილისის კარიც.

– ყოველ შემთვევაში, ერთ-ერთი მთავარი კარი იყო.

მოსადამოვდა, აგრილდა. დაღლილ-დაქანცული მგზავრები სუფრას მიუსხდნენ.

„კარგაკობა ქვაზე დადე...“


ბიჭებმა კარვიდან რომ გამოიხედეს, მზეს სხივები ჯერ არ გაეშალა. გოგია ვიღაც კაცს ელაპარაკებოდა, სამი ცხენი იქვე ბალახს წიწნიდა.

– რა ადრე მოსულხარ, მამედ-ალი? – ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა ჰკითხა გიორგიმ. სოფელ კლდეკარში რომ გიორგის შეპირდა ცხენებს მოგიყვანო, ის კაცი იყო მამედ-ალი.

– სიტყვა სიტყვაა, ეფენდი გიორგი! – უპასუხა მამედ-ალიმ.

– აბა ჩვენც მოვემზადებით...

ალგეთის მხარეს ფერდოზე წყაროს წყლით დაიბანეს პირი. ამ წყაროდან ალგეთი იწყება. აქ ხეობა გაშლილია, მხოლოდ ქვევით ვიწროვდება. სოფელ არხოტის შემოდმა, ზემო ნაწილში კარგი ნაძვნარი ჩანს, რომელიც ზემოთკენ არყნარით მთავრდება. ერთი-ორი სოჭი ურევია მხოლოდ. სამხრეთი მაინც თავისას შვრება: სოჭი უფრო კარგად გრძნობს თავს ჭარბნესტიან ჰავაში. კლდის ძირში ერეკლე წამოწოლილიყო და გამხმარ ხეს, რომელსაც ერეკელის რქებივით ჰქონდა ტოტები დახვეული, სურათს უღებდა.



კლდეკარი

– მაღალი მთის მუხაა!

ერეკლე გადახტა და წყაროს თავზე მოექცა, მალე თვალს მიეფარა. ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა და მამას დაუმახა, ამოდი, რა დაგანახო. მეორე ფერდოს ბილიკზე ორ კაცს ცხენები მიჰყავდათ, ცხენებს ტოტებშესხეპილი ტანწერწეტა ნაძვები ეკიდა!

– დაბლა ტყის მცველი დაგხვდება, ხერგილს დაკეტავს და გკითხავს: „ხე-ტყე ხომ არ მიგაქვთო“, აქ კი პატრონი არ ჩანს. სვიმონ მეფეს ჯავახიშვილი „არჯევნის მეყორულედ“, ტყის მცველად ჰყავდა დანიშნული, ახლა განა გვიჭირს?! – თქვა გულნატკენმა გიორგიმ.

ამასობაში მზე ამოვიდა და უფრო მეტი სინათლე ჩაიდვარა ხევებში, ააპრიალა არჯევანის და დანახვისის მწვერვალი. აღმოსავლეთისკენ მიქცეულ ფერდობებს ბინდის ლეჩაქი ეხდებოდა, უფრო მკვეთრად ისახებოდა ფერდოთა ხაზები, ხის სილუეტები, მდელოთა ზურმუხტოვნება. ჩრდილის ფერდოები კი ისევ ჩაბნელებული იყო. ეს კონტრასტი უფრო წარმტაცს ხდიდა ალგეთსა და თემამის ხეობას. კლდეკარის ციხის ქონგურებიდან სამხრეთით იშლებოდა წალკის უზარმაზარი ზეგანი, რომლიდანაც ნისლი ნელ-ნელა იკრიფებოდა და მაღლა-მაღლა მიიწევდა, ლაჟვარდოვანი კამკამა ცისკენ. ლურჯად მოჩანდა აბულ-სამსარი, ვიწრო, ღრმა ხაზი გეგონებოდათ მდინარე ქციის ხრამი, არჯევნის წვერიდან კი ყველა ხეობას: ჩარხის წყალს, მამას, ტანას, თემამს, კავთურას, ვერეს, ალგეთს, ქციას დაინახავდით. აქ, ამ ადგილას, თავს იყრის თითქმის ათი მდინარის ხეობა და ყველა შუა ქართლისა და ქვემო ქართლისაკენ მიექანება. აი, რატომ იყო ეს სტრატეგიული პუნქტი.

თემამის ხეობა კლდეკარის მისადგომებთან განივრდება. დასავლეთიდან ნადარბაზევის წყლის ხევია და მარჯვნივ, აღმოსავლეთიდან – სალომისა, მათი ფერდობებიდან კი ზირთის ხევის პირველი ნაკადულები მოლიკლიკებს.

– ერეკლე, მოდი აქ, მოდი! – მოისმა ვახტანგის ყვირილი გაღმა სერიდან.



### ბრაკონიერები

სერი გასაოცარი არყებით იყო მორთულ-მოკაზმული. მთელი მიდამო ნაომარს ჰგავდა, ტანსწორ არყს ვერსად ნახავდით. დაგრებილი, გადახრილი, მიწისკენ დახრილი, მიწაზე გაწოლილი, ბებერი, დაჩაჩანაკებული – აი, ძირითადად, როგორი ხეები იდგა. ომში მოსხეპილი ვაჟკაცებივით ეყარა ძირს არყის ზროები, ზოგი გუშინ დაცემულიყო და ჯერ კიდევ შერჩენოდა სიცოცხლის ნიშანი; ზოგი დიდი ხნის წინ მოცელები და თითქმის დამპალი იყო, გარე ქერქი იჭერდა, თორემ მერქანი მტვრად იყო ქცეული; ზოგიც დამპალიყო და სულ გამქრალიყო. ხის ტანის ნაალაგევზე ბალახი ამოსულიყო. ბალახი ასეთ ადგილებში უფრო მწვანეა, ღონიერია, ზოგან განშტოების ადგილებიც ჩანს. საერთოდ, ხის მერქნით გაპოხიერებულ მიწაზე უფრო კარგი ბალახი ამოდის.

– ნაომარსა ჰგავს, არა?

– საქონელს ამოვებენ ალბათ, ნორჩნარი აღარ იზრდება და ნადგურდება სუბალპების ტყეც, – თქვა გიორგიმ.



### ატენის ტაძარი

მანქანის საყვირის ხმა შემოესმათ თუ არა, გამოფხიზლდნენ და სწრაფად მიიბრინეს ბინაზე.

მამამ გოგიას უთხრა, დღეს სადამოს თემამის ხეობაში სოფელ რკონთან ამოდი, გოდერძი მიგრიაულის საფლავთან ვიქნებითო.

ზურგანთები და საჰერბარიუმო ბადეები ცხენებს აჰკიდეს, ბიჭებმა და მამედ-ალიმ აღვირები დაიჭირეს და გაუდგნენ გზას. ერთ ქიმს გაუხვიეს და უცბად ტრაქტორის რახრახმა ცხენი შეაფრთხო. ტრაქტორი ორ უზარმაზარ წიფლის მორს მოათრევდა.


გიორგიმ მამედ-ალისაგან გაიგო, რომ თურმე „გელდიარში“ ანუ კლდეკარში ხერხი დგას და ხერხავენ.

– ამაზე დიდი ბარბაროსობა მეორე არ იქნება! – გაჯავრდა გიორგი, – როგორ შეიძლება ტყის საზღვარზე სახერხი ქარხანა.

დაკიდებული ბილიკით ერთ ნასოფლართან მივიდნენ. სოფელი დიდი უნდა ყოფილიყო, შიგ ნასოფლარში ორი ეკლესია იდგა, ბაზილიკის ტიპისა. სოფლის გარეთაც მოჩანდა ბაზილიკა.

– ასეთი ნასოფლარები აქ ბევრია, – თქვა მამედ-ალიმ – ჩვენ, წალკელები, გორში ამ გზით დავდივართ და ვიცით.





მომაკვდავი არკი

გორაკის წვერიდან მხარმაცხნივ თეკლნელას გამოქვაბულებიც ჩანდა.

აქ ცხენებს ბარგი მოხსნეს და საძოვრად გაუშვეს, თვითონ კი ჩაიმუხლეს. ცოტა ხნის შემდეგ შეუყვნენ ნაძვნარ-წიფლნარებს, მუხიანებს, რცხილიანებს, ხრიოკებს. გზა თემამს ასცდა, მალლა ავიდა. გზა წვრილი იყო და მთა კუსთავის ფერდოს გაჰყვნენ. ბიჭები ხან წიფლნარ-ნაძვნარში ძვრებოდნენ და ხან რცხილნარში. ბოლოს მგზავრებმა ერთი სოფლის ნანგრევებს მიაღწიეს. თემამი გადაკვეთეს და ისევ შეღმართს შეუდგნენ, მალე ისევ გაივაკეს, კვლავ წყალგაღმა გავიდნენ და ვიწრო ბილიკს დაადგნენ. აქ შესანიშნავ ხიდს წააწყდნენ, რომელიც თავისი არქიტექტურით არაფრით განსხვავდებოდა აჭარის წყლის, ბესლეთის წყლის (აფხაზეთში), მაშავერას ხიდებისაგან: კოპწიაა, ისეთივე მსუბუქი.

– რაკი ასეთ ხიდებს აშენებდნენ, ალბათ აქ დიდი გზა იყო.

– ქართლისა და წალკის შემაერთებელი...

კვლავ გადაკვეთეს მჩქეფარე თემამის წყალი და შევიდნენ რკონის ტაძრის ეზოში, რომელიც ღვთისმშობლის სახელზეა აგებული.

ტაძარი ძველია, IX-X საუკუნის ფრესკები კარგად შემონახულა, მაგრამ ახლა წყალი ჩამოდის, ფრესკები ფუჭდება.

– გამარჯობათ თქვენი, – მიესალმა ახალმოსულებს მაღალი, ბრგე, ჭადარა კაცი, – ტაძრის მცველი ვარ, რკონელი. წინათ რკონში 40 კომლი იყო, 300 სულზე მეტი, ახლა მარტო მეღა ვარ.

– სხვები?

– სხვები? რუსთავს გადაასახლეს, მორწყულ მიწებზე... აქაური მიწა აბა რას გაძლევთო.

– თქვენ?

– მენა? მე ვერ გავბედე მამა-პაპათა საფლავების დატოვება. საქმეც გამოვიჩინე, წმინდა ღვთისმშობელს ვუვლი.

– მერე, რომ არ არის მოვლილი?

– „მარტოხელა კაცი პურიჭამამივ ბრალიაო“, ხომ გაგიგონია, ვუთხარი უფროსებს, ამოდით, მოემშველეთ-მეთქი, მაგრამ საქმე გააქ? ამოვიდნენ ერთხელ, სუფრა გაშალეს, კარგი სიტყვები თქვეს და გაქრნენ ბზობის ყვავივით... განა მარტო პურსა ვთესავდით, საქონელიც გყავდა, ცხვარიც, ქაჩალგორაზე მეცხვარედ დავდიოდი, ბოლოს სარქალიც ვიყავ. ტყუილად მოგვდეს შარი და აგვყარეს, – ქიტესა მცველმა ჩაიცინა, – ერთი არაკი უნდა გითხრათ: ძველად მეცხვარეებმა იცოდნენ. მწყემსი როდესაც დაზარალდებოდა ან დიდი ყინვისაგან, ან ნაბარევისაგან<sup>37</sup> და სოფელში ცარიელ-ტარიელი ჩამობრუნდებოდა, დაკვავდა ერთი-ორ ცხვარს, დეკეულს, დაპატიყებდა თავ მეცხვარეებს და გაუმასპინძლდებოდა. თამადა დაილოცებოდა და სტუმრებს უამბობდა მასპინძლის უბედურებას, ცხვარი გაუწყდა, ოჯახიც დაექცა და ასე ხომ ვერ დავტოვებთო. და დაიწყებოდა შეჯიბრი:

– მე ათი ცხვარი შემომიწევია ჩვენი მასპინძლისთვის, შენ რას იტყვი, კიმოთე?

– აგაშენოს, მეც ჩემი მხრით ათი დამითქვამს! – ჩამოართმევდა ყანწს, დაილოცებოდა, გადაჰკრავდა.

– აბა, იასონ, შენზეა სიტყვა!

– მე რაღად ჩამოგრჩებით, – და ისიც იტყოდა თავისას.

ჰოდა, დაზარალებულს კვლავ 200-400 ცხვარი დაუფროვდებოდა.

ერთ თავადს ოჩხარი ჰქონია, ჩემმა ბიჭებმა თქვეს, ეს გიორგი ერისთავის მამა, „გლუხარიჩი“ იყო. თურმე ქეიფში რომ შევიდნენ, ჩამოიარა ერთმა ტყაპუჭიანმა, ჭადარა კაცმა:

– თქვენ თავყრილობას გაუმარჯოს! – თქვა.

– მოურავო, ეგ ვილაა და რა უნდა? – გადმოსძახა მოურავს თავადმა.

– რა ვიცი, შენი ჭირიმე, მეც მოვედიო, – ცოტა არ იყოს, გამკილავი და დამცინავი კილოთი უპასუხა მოურავმა.

– რახან მოვიდა, დასვი მანდ, სუფრის ბოლოს, მე შენ გითხრა, რქადახვეული ჭედილეები არ შეგვაწიოს!

დაჯდა ეს შემოსწრებული სტუმარი სუფრის ბოლოს, მასპინძლების კილო აინუნშიაც არ ჩააგდო, როცა მისმა ჯერმა მოაწია, წამოდგა და სადღეგრძელოს ნაცვლად ლექსი მოახსენა ბატონს:

*„განა არ იცი, ბატონო, კვერნაკი დიდი მთა არი,  
სამასი სული ძროხა მყავ, იმის ხბორები სხვა არი,  
ხუთი ათასი ცხვარი მყავ, იმის ბატკანი სხვა არი,  
ექვსასი სული ღორი მყავ, იმისი გოჭი სხვა არი,  
ძმა და ძმისწული ცხვარში მყავ, მოჯამაგირე სხვა არი,  
სამოცი სული მწყემსი მყავ, მოშლავათე სხვა არი.  
სამოცი ძალი ცხვარში ყფეს, პარკი გომია სხვა არი,  
ას ცხვარსა მენაც გაჩუქებ, ერთი და ორი რა არი?  
ბოლოშიც კარგა მოვილხენ, ვოთომ თავჯდომა რა არი“.*

– მე ერთსაც არ მივცემდი, – თქვა ერეკლემ.

დაისვენეს, მზე უკვე კარგად იყო გადახრილი, სუფრიდან რომ აიშალნენ. ქიტესა წინ გაუძღვა მგზავრებს და სოფელთან გაიყვანა.

იდგა სახლები, მაგრამ ბოლი არც ერთიდან არ ამოდიოდა, ძალი არ ყფედა, ბავშვები არ დარბოდნენ, ვენახის ბოლოდან ხბო არ ბღაოდა. ნაბოსტნარში ლიხი მორეულიყო. მკვდარი იყო სოფელი. მხოლოდ კაკლები იდგნენ ძველებურად ტოტებგაშლილი.

– ხან ვინ ჩამოხსნის კარ-ფანჯარას და ხან ვინ, – ამოილულლულა გულდათუთქულმა ქიტესამ.



**მომაკვდავი არყი**



**რკონის ტაძარი**

ციხე-გალავანთან მანქანა იდგა.

ბიჭები მიესალმნენ გოგიას. გოგია ეშმაკურად ილიმებოდა.

– ხილი არ წამოგვიღე?

– მანქანაშია, – უპასუხა გოგიამ მოკლედ.

ბიჭები მივარდნენ მანქანას, „ვაჰაო“, – დაიძახა ამ დროს ლელამ და ფეხზე წამოხტა.

რკონის ციხე კარგად შენახულია. მრავალ საფლავთა შორის გოდერძი მიგრიაულის საფლავიც მოჩანს. რატომღაც ჩარჩათ გულში ეს გვარი და სახელი.

– კარავი აქ დავცეთ, – თქვა გიორგიმ.

მამედ-ალი გულმზურვალედ გამოეთხოვა, ცხენების ქირა არ აიღო.

– როგორ, თქვენ ფული გამოგართვათ? დღეიდან ჩვენ ძმაკაცები ვართ, კარგად იყავით, მშვიდობით.

გოგიას ჩამოტანილი ხილი თითქმის მთლიანად მამედ-ალის გაატანეს, ჩვენ ხვალ ხილიანში ვიქნებითო.

ლელა თხასავით დაძვრებოდა ქონგურებს შორის და ტიკტიკებდა.

მზე კარგა მაღლა იყო წამოსული, როდესაც დაიძრნენ. მანქანა ფრთხილად მიჰყავდა გოგიას, რადგან რიყე-რიყე მიდიოდნენ.

ჩეჩუბეთის გასწვრივ, მაღალ ქარაფზე გამოქვაბულები მოჩანდა. ცოტა ქვემოთ, მარცხნივ, აღიმართა დრე (ზემო დრისის) ანუ ჯავახიანთ ციხე. რიყე მალე ახალქალაქში ჩავიდა. მხარმარცხნივ ხოვლე დარჩა. ნახეს ნოსტე, ერთაწმინდის ტაძარი.

შუადღე გადასული იყო, სოფელ მეტეხსა და მის ტაძარს რომ ჩამოუარეს. მოხვდნენ კასპში, სადაც ახალი ქალაქი აშენებულა და გამოსწიეს თბილისისაკენ.

უკან დარჩა უნახავი ატენის ხეობა, მამას ხეობა და სხვა, მაგრამ ამჟამად მეტი დრო არ ჰქონდათ. შემდეგ უეჭველად მათაც ნახავენ.

---

<sup>1</sup> ბაგა — ახალშენი ვენახი

<sup>2</sup> კოკოზა — თევზის საჭერი, პირშექცეული გრძელი გოდორი.

<sup>3</sup> მოსაკიდი — აქ: პატარა გოდორი.

<sup>4</sup> კაწანი — ღობე, მცირე ეკალთაგან ამართული (საბა).

<sup>5</sup> შიმალი – ახალმოზარდი ხე (რედაქ.)

<sup>6</sup> რიკრიკა — მდინარის მონატანი ჩინჩხვარი.

<sup>7</sup> ცხავატი — სოფელია ქსნის ხეობაში. იქაური თიხის ჭურჭელი განთქმული იყო.

<sup>8</sup> ზეკარი — უღელტეხილი

<sup>9</sup> გაგა — ლედვის მკვახე ნაყოფი.

<sup>10</sup> მლაშე წყლის მარილი (რედაქ.)

<sup>11</sup> იოჰან რუდოლფ გლაუბერი, გერმანელი ქიმიკოსი და ექიმი (რედაქ.)

<sup>12</sup> ბუსნარი — კორდი მაღალბალახიანი (საბა).

<sup>13</sup> აყაფი — ხის აღვირი.

<sup>14</sup> ნაგები — რუსთავი

<sup>15</sup> ბალახი ნაცარქათამასებრთა ოჯახიდან (რედაქ.)

<sup>16</sup> იგივეა, რაც შამბი (რედაქ.)

<sup>17</sup> სამალდი — თხის ბეწვისაგან დაწნული თოკი, აპეური.

<sup>18</sup> ალანდარა — ივრის პირას ერთ-ერთ ადგილს ჰქვია.

<sup>19</sup> სამალდი — თხის ბეწვისაგან დაწნული თოკი, აპეური.

<sup>20</sup> ხაზი ყველგან ჩემია ნ.კ.

<sup>21</sup> ტიბაანში.

<sup>22</sup> ხაზი ჩემია ნ.კ.

<sup>23</sup> ახლანდელი კიროვაბადი.

<sup>24</sup> გელიქეშად — მისდა უცოდინრად.

<sup>25</sup> გალი — უშტო ხე.

<sup>26</sup> ალქატი — ფრიად მწირი, მოუსავლიანი მიწა.

<sup>27</sup> ღოღი — ძუძუს ზაქი.

<sup>28</sup> დუბე — დაბლობი, ნესტიანი ადგილი.

<sup>29</sup> იშელი — საღორე. (საბა)

<sup>30</sup> კუტალი — ხის სურა.

<sup>31</sup> ხალი — დახალული ხორბალი, დაფქული და მარილით შეზავებული. ცივი წყლით უნდა მოზილო, გამოცხობა აღარ უნდა, ისე იჭმება.

<sup>32</sup> პინა — ხის ჯამი.

<sup>33</sup> დოლა — რქამოკლე ან ურქო საქონელი.

<sup>34</sup> დუქარდი — ცხვრის საპარსი მავრატელი.

<sup>35</sup> ტერასები (რედაქ.)

<sup>36</sup> სამეფო ბალი იყო ახლანდელი ბოტანიკური ბაღს ტერიტორიაზე, ლევთ ხევში.

---

<sup>37</sup> ნაბარევი — ზაფხულში თუ გვიანობამდე ცხვარი ბარად დარჩა, დაავადდება და მთაში დააჩნდება, ამას ნაბარევს უწოდებენ.